

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქრისტიანული კულტურის კვლევის ცენტრი

**სამეცნიერო ცენტრი - ნიკო ბერძენიშვილის პუმანიტარულ-სოციალური მიმართულების ისტორიისა და არქეოლოგიის
განყოფილება**

ჩვენი სულიერების პალავარი

სამეცნიერო კონფერენციის მასალები

IV



**გამომცემლობა „ენივერსალი“
თბილისი 2012**

კრებულში წარმოდგენილია უნივერსიტეტის „ქრისტიანული კულტურის კვლევის ცენტრის“ და უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრის - ნიკო ბერძენიშვილის ჰუმანიტარულ-სოციალური მიმართულების ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მიერ ჩატარებული სამეცნიერო კონფერენციის მასალები, რომელიც დაინტერესებულ მყითხველს მრავალმხრივ ინფორმაციას მიაწვდის ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის, რელიგიისა და კულტურის, ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობის, კულტურათა დიალოგის, სწავლებისა და აღზრდის და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ საქართველოს საპატრიიარქოს, სასწავლო და სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლები.

მთავარი რედაქტორი ბიჭიკო დიასამიძე

ტომის რედაქტორი მანუჩარ ლორია

სარედაქციო საბჭო: ანანია (ჯაფარიძე), გურამ ლორთქიფა-ნიძე (თბილისი); ავთანდილ ნიკოლეიშვილი, სულხან კუპრაშვილი (ქუთაისი) ნოდარ ბარამიძე, ოლეგ ჯიბაშვილი (ბათუმი).

© კრებული, 2012

გამომცემლობა „ენივარსატი“, 2012

თბილისი, 0179, გ. ვაკევაძის გამზ. 19, თე: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISSN 1987-5916



„ჩვენი ყველა კულტურული თუ სხვა სულიერი ხაუნტები, რომელიც ქართველობა ერმა შექმნა, – ყველაფერი დაფუძნებულია ქრისტიანულ სამართლებრივ... არ არსებობს წოდნა, რომელიც დაკავშირდებული არ იყოს რწმენაზე, ისევე როგორ არ არსებობს რწმენა, რომელიც დამოკიდებული არ იქნება წოდნაზე”.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,

უშინდები და უნეფარები ილია II



„ქრისტეათონია, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში
პირნავდა ქართველობა... მამული და ეროვნება, რკულთან
ერთად შეერთებული, რკულთან შეხორცოვისებული, უძლეველი
ხმალია და შეუცლენელი ფარი მჭრისა წინაშე”.

წმიდა ილია მართლი

შინაარსი

სამეცნიერო კონფერენციის პროგრამა.....	8
მიუროვოლიტი ანანია ჯავარიძე	
სკანდალი და სარაპანა ართიგი-არტანის ბზაზე (ლაზიკის მკარძინების 0'ურისდიქციისათვის).....	12
მარიკა გველიძე	
წარმართობიდან რისტიანოგამდე.....	29
0რმა გამოყოფილობის	
“ქართვული ქრისტიანოგის” მროვნელი 60'შენების	
საკითხებისათვის.....	35
მალეაზ ჩრხარამე	
0მერხების სანიტარი.....	38
გიგიმ ლიასამიძე	
მეჩეთები ნაეპლუსიარებები-რელიგიური ვითარება XIX საუკუნის აჭარაში.....	44
ოთარ გოგოლივალი	
სამოთავროს ღილა ნინოს ღედათა მონასტრის ისტორია.....	53
უჩა ოძროვილიძე	
ოძროვილიძეთა გვარის უარმოვობის ისტორიისათვის.....	59
შოთა გამზუამე	
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი შავშეთის საეპლუსიო ნაგებობანი (დაპაკეთილი, ასაღლაბა, ციხისძირი).....	67
თამაზ უფრკარამე	
ძრისტიან-ეპანებელისტ-კაპტისტების თემი გათუმშე 1940-1950-იან ღლებები (რელიგიური კულტების საბჭოს რომულებულის მასალების მიხედვით).....	76
ოლებ ჯიგაშვილი	
ველელ კატერილიცე ქართველია ისტორიიდან.....	80
შუგანა უუტკარამე	
0რაცე შავთელი – შავშეთის სახელოვანი სასულიერო მოღვაწე და მგრსანი.....	86
ავთანდილ ნიკოლოვალი	
ურიღონ ხალვაშის ეროვნულ-რელიგიური ოვალთახევის ზოგიერთი საკითხი.....	98
რამაზ სურმანიძე	
ძართვები ქალი ქუთათლამე ოსმალეთის დედოფლადი.....	105
თინა შიომვილი	
მაცხოვრის უამების ასახვა ძართულ ხალხორ სასულიერო კოენიაში.....	116
ნოდარ კახიძე	
„ტბეთის სულთა მატიანე“ გვარსახელთა და ადგილის სახელთა შესწავლის ღქარო.....	121
ნოდარ გარამიძე	
საქართველოსადმი ერთმორწმუნე რუსეთისა და ურავენო საპროექტის დამტკიცებულების ტკიზილიანი ეპიზოდების შესახვა (ბაზებილი ვიძრები)	128

ნაცი გუგუნეავა	
მზიანი დამწერები.....	137
გული შერვაშიძე	
ინტერველტურული განათლების რელიგიურ-ფილოსოფიური ასპექტები.....	143
ასმათ ღიასამიძე	
სახორცალოების გაკუმანურება სკოლიდან 0წელის.....	150
ჯემალ კარალიძე	
საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XIX საუკუნის პირველ ათწლეულეულებზე.....	157
მიხეილ სალვაზი	
ძრისტიანული სათხოება და ალგერტ ჭვეიცერის შემოქმედება.....	165
ნინო კილურაძე, ბურამ ლორთიშვილიძე	
ადრესრისტიანული (III-IV სს.) სამარხები გიგანტიაზი.....	173
ქოთევან ლილიმაშვილი	
ლორმის სიმარტეს განსაზღვრისათვის განთიადის სტელაზე.....	178
თამარ ჭხალაძე, დავით მალაზონი	
თავითმაყრიგელური რუსეთის ბრძოლა ქართული საეკლესიო ენის წინააღმდეგ (XIX საუკუნის II ნახევარში)	187
იმერი გასილაძე, სულხან კურაშვილი	
სასულიერო განათლების ისტორიიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრის ავსახეობზე.....	196
მამია ვაღავა	
ძიმილისა და მიმნაბრინის ეტიმოლოგიისათვის.....	204
ნანა ცეცხლაძე	
გიგლეინდები ილიას კუბლიცისტიკაზი.....	208
იზორდა გელთაძე	
აზხაზეთის ზონდა სალოცავი-კამანის ეკლესია.....	214
შორენა მახაჭაძე	
ემიგრაციი რუსთველოლოგები რესთავების თეორიულის შესახებ.....	224
ფატიანა კოკალევიშვილი	
ბათუმის ეგანებურ-ლუთერანული ეკლესიის ისტორიიდან.....	230
ელზა გულტარაძე	
„წევნებურის“ თვალით დანახულ-განცდილი „ბაღგა მამლუქეთი“	238
აბესალომ ასლანიძე	
არამუსლიმურ ქვეყნებში მუსლიმთა ინტერესების დაცვის ბზების შესახებ.....	245
მერაბ მეგრელიშვილი	
ბათუმის ძრისტიანული ეკლესიები.....	250

თამილა ლოგოთათიშვილი

სყლის სიმბოლური გააზრება ქრისტიანობასა და ეთნოგრაფიულ
ყოფაში.....253

ოთარ მემიშვილი

სარვის მიკროტოპონია.....258

მანუჩარ ლორია, ემზარ მაკარაძე

რელიგიური, საზღვაო და საქალაქო ტერიტორიების

თავისებურებანი ძალაშ გათავმშვილი.....268

ინფორმაცია

სიახლეები.....272

გიორგი (იური) გიგილეიშვილი

საინტერესო ნიმონერება.....273

ნოდარ კახიძე

ეთნო-რელიგიური საკითხები „ჩვენი სულიერების მალავარში“.....277

თემურ აგალიანი

განმარტება ერთი ფასანიი შეწომის გამო.....282

ავტორები.....283

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქრისტიანული კულტურის კვლევის ცენტრი

**სამეცნიერო ცენტრი - ნიკო ბერძენიშვილის პუმანიტარულ-სოციალური მიმართულების ისტორიისა და არქეოლოგიის
განყოფილება**

ჩვენი სულიერების ბაზარი

სამეცნიერო კონფერენციის პროგრამა

20-21 აპრილი

**ბათუმი
2012**

**20 აპრილი, 12⁰⁰ - 15⁰⁰ სთ
ტბელი აბუსერისბის აუდიტორია (№238)**

12⁰⁰ სთ – პონფერვენციის ბახსნა

მისაღებები:

გონიერებები

რეგლამენტი

**მომსენებელს 10-15 წუთი
კამათში მონაწილეს 3-5 წუთი**

სხდომის ხელმძღვანელები:

მიტროპოლიტი ანანია ჭავარიძე, პროფ. ბიჭიკო დიასამიძე

1. **მიტროპოლიტი ანანია ჭავარიძე (თბილისი) - სკანდალისა-რაპანა ართვინ-არტანის გზაზე (ლაზიკის ეპარქიების იურისდიქციისათვის)**
2. **მარიკა მშვილდაძე (თბილისი) - წარმართობიდან ქრისტიანობამდე**
3. **ბიჭიკო დიასამიძე (ბათუმი) - მეჩეთები ნაეკლესიარებზე-რელიგიური ვითარება XIX საუკუნის აჭარაში**
4. **შოთა მამულაძე (ბათუმი) - შავშეთის საეკლესიო ნაგებობა-ნი (დაბაკეთილი, ახალდაბა, ციხისძირი)**
5. **მალხაზ ჩოხარაძე (ბათუმი) - იმერხევის ხანძთა**
6. **ოთარ გოგოლიშვილი (ბათუმი) - სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის ისტორია**
7. **უჩა ოქროპირიძე (ბათუმი) - ოქროპირიძეთა გვარის წარმო-შობის ისტორიისათვის**
8. **თამაზ ფუტკარაძე (ბათუმი) - ქრისტიან-ევანგელისტ-ბაპტისტების თემი ბათუმში 1940-1950-იან წლებში (რელიგიური კულტების საბჭოს რჩმუნებულის მასალების მიხედვით)**
9. **ოლეგ ჯიბაშვილი (ბათუმი) - ველელ კათოლიკე ქართველთა ისტორიიდან**
10. **ირმა ბაგრატიონი (ბათუმი) - "ქართული ქრისტიანობის" ეროვნული ნიშნების საკითხისათვის**
11. **ტატიანა კოპალეიშვილი - ბათუმის ევანგელიურ-ლუთერა-ნული ეკლესიის ისტორიიდან**

სხდომის შეჯამება

20 აპრილი, 16³⁰ სთ - 19⁰⁰
სხდომის ხელმძღვანელები:

პროფ. შუშანა ფუტკარაძე, პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი

1. **შუშანა ფუტკარაძე (ბათუმი)** - იოანე შავთელი – შავშეთის სახელოვანი სასულიერო მოღვაწე და მგოსანი
2. **ავთანდილ ნიკოლეიშვილი (ქუთაისი)** - ფრიდონ ხალვაშის ეროვნულ-რელიგიური თვალთახედვის ზოგიერთი საკითხი
3. **რამაზ სურმანიძე (ბათუმი)** - ქართველი ქალი ქუთათელაძე ოსმალეთის დედოფალი
4. **თინა შიომვილი (ბათუმი)** - მაცხოვრის წამების ასახვა ქართულ ხალხურ სასულიერო პოეზიაში
5. **ნოდარ კახიძე (ბათუმი)** - „ტბეთის სულთა მატიანე“ გვარსა-ხელთა და ადგილის სახელთა შესწავლის წყარო
6. **ნანი გუგუნავა მზიანი ღამე**
7. **გული შერვაშიძე (ბათუმი)** - ინტერკულტურული განათლების რელიგიურ-ფილოსოფიური ასპექტები
8. **ჯემალ კარალიძე (ბათუმი)** - საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XIX საუკუნის პირველ ათწლეულებში
9. **ასმათ დიასამიძე (ბათუმი)** - საზოგადოების ჰუმანიზაცია სკოლიდან იწყება
10. **მერაბ მეგრელიშვილი (ბათუმი)** - ბათუმის ქრისტიანული ეკლესიები
11. **მიხეილ ხალვაში (ბათუმი)** - ქრისტიანული სათნოება და ალბერტ შვეიცერის შემოქმედება

სხდომის შეჯამება

21 აპრილი, 13⁰⁰ - 16⁰⁰ სთ
სხდომის ხელმძღვანელები:
პროფ. გურამ ლორთქიფანიძე, პროფ. ნოდარ ბარამიძე

1. **ნინო კილურაძე, გურამ ლორთქიფანიძე (თბილისი)** - ადრექტისტიანული (III-IV სს.) სამარხები ბიჭვინთაში
2. **ნოდარ ბარამიძე (ბათუმი)** - საქართველოსადმი ერთმორწმუნე რუსეთის და ურნმუნო საბჭოების დამოკიდებულების ტკივილიანი ეპიზოდების შესახებ (გამზელილი ფიქრები)

3. ქეთევან დილმელაშვილი (თბილისი) - ლომის სიმბოლოს განსაზღვრისათვის განთიადის სტელაზე
4. იმერი ბასილაძე, სულხან კუპრაშვილი (ქუთაისი) - სასულიერო განათლების ისტორიიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრის აფხაზეთში
5. თამარ ფხალაძე, დავით მალაზონია (თბილისი) - თვითმშეწობელური რუსეთის ბრძოლა ქართული საეკლესიო ენის წინააღმდეგ (XIX საუკუნის II ნახევარში)
6. მამია ფალავა (ბათუმი) - ძეგლისა და მიძნაძორის ეტიმოლოგიისათვის
7. შორენა მახაჭაძე (ბათუმი) - ემიგრანტი რუსთველოლო-გები რუსთაველის თეოსოფის შესახებ
8. იზოლდა ბელთაძე (ბათუმი) - აფხაზეთის წმინდა სალოცავი-კამანის ეკლესია
9. ნანა ცეცხლაძე (ბათუმი) - ბიბლეიზმები ილიას პუბლიცისტიკაში
10. აბესალომ ასლანიძე (ბათუმი) - არამუსლიმურ ქვეყნებში მუსლიმთა ინტერესების დაცვის გზების შესახებ
11. ელზა ფუტკარაძე (ბათუმი) - „ჩვენებურის“ თვალით დანახულ-განცდილი „გაღმა მამლუქეთი“
12. თამილა ლომთათიძე (ბათუმი) - წყლის სიმბოლური გააზრება ქრისტიანობასა და ეთნოგრაფიულ ყოფაში
13. ოთარ მემიშიში (ბათუმი) - სართის მიკროტოპონიმია
14. მანუჩარ ლორია, ემზარ მაკარაძე - რელიგიური, საზღვაო და საქალაქო ტურიზმის თავისებურებანი ქალაქ ბათუმში

კონფერენციის შეჯამება

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი: ბიჭიკო დიასამიძე, მანუჩარ ლორია, ოლეგ ჯაბაშვილი, მერაბ დიასამიძე, ზვიადი ბერაძე, ნანი და ელზა ფუტკარაძეები.

საორგანიზაციო კომიტეტი მადლობას უხდის საზოგადოება „მარეთის“ გამგეობას კონფერენციის ფინანსური მხარდაჭერისთვის.

მისამართლითი ანანია ჯავაშიძე

სპანდა და სარაპანა ართგონ-არტაანის ბზაზე (ლაზიკის ეპარქიუბის იურისდიქციისათვის)

სარაპანას ადგილმდებარეობის გარკვევას უპირველესი მნიშვნელობა საქართველოს კალების იურისდიქციის საზღვრების გამორჩევისათვის.

XX ს. 20-30-იანი წლების შემდეგ ქართული ისტორიოგრაფიაში ჩამოყალიბდა ოვალსახრისი, რომ სტრაბონისა და ბერძნული წყაროების „სარაპანა“-არის პენტეი შორაპანი, ამჟამინდელ ქ. ზესტაფონთან ახლოს ძირულასთან, მიჩნევა რომ აქვე გადიოდა იბერიის საზღვარი. შესაბამისად, ქართული (მცხეთის) ეკლესიის იურისდიქცია (უძველესი ხანიდან ვიდრე IX-X სს-მდე) თითქოსდა მხოლოდ აქამდე აღწევდა.

ასეთ თვალსაზრისს ეწინააღმდეგება ქართული წყაროების, ასევე საეკლესიო კრებების (მაგ. რუსეურბისის კრების) თვალსაზრისი, რომ დაარსებისას, წმიდა ნინოს ეპოქიდანვე ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვარი აღწევდა არა თუ შორაპანამდე, არამედ შავ ზღვამდე და მდ. ეგრისწყლამდე, სადაც ამაგე ქართული წყაროების ცნობის მეფე მირიანის დროს აღწევდა ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი.

ბერძნულ-რომაული წყაროების ცნობით ლაზიკისა და იბერიის საზღვარი გადიოდა ციხე-სიმაგრეებზე სკანდასა და სარაპანაზე.

სტრაბონის სარაპანა, როგორც კვლევითი ხეობაში, ხოლო სკანდა იყო არსიანის ქვდის უდელტეხილ კანდრიდოთა (უდელტეხილი იაღზიმანათოან) მდებარე ციხესიმაგრე (მისგან არც თუ დაშორებით მდებარეობს მთა „კანდილი“).

პროკოფი კესარიელის სარაპანა და სკანდა განლაგებული იუგნენ ისეთ მადალმთიან ადგილებში, სადაც არც ვენახი ხარობდა და არც სხვა რაიმე მოსავალი მოდიოდა.

შევადაროთ – როგორც ითქვა, თანამედროვე შორაპანი არის ზღვის დონიდან 170 მ სიმაღლეზე. მისი ციხის გარშემო ვრცელ რეგიონში ავგავებული ბაღები და ვენახის პლანტაციებია, ყველა აქაურ მოსახლეს აქვს ეზოში ვაზი და სეხილი, აქ მოდის ყველანაირი მოსავალი. საბჭოთა ეპოქაში, ენციკლოპედიის მიხედვით, შორაპანში იყო მეენახეობის კოლმეურნეობა, ხოლო, რაც შეეხება სკანდას, ის მიჩნეულ იქნა თერჯოლის სოფელ სკანდელ. სკანდე, სოფელი თერჯოლის რაიონში ზღვის დონიდან იმავე 170 მეტრ სიმაღლეზეა. ესაა ვაკე ადგილი. აქაც ყოველგვარი მოსავალი მოდის.

პროკოფი კესარიელის ცნობით, „სარაპანისი და მისი მეზობელი სკანდის ციხე-სიმაგრე ლაზებმა დიდი გაჭირვებით ააშენეს“ (პრო-

ქოფი კესარიელი, ომი გოთებთან, VIII, 13). მაშასადამე, სარაპანისი და სკანდა ერთმანენთთან ახლოს მდებარეობენ, ურთიერთმეტზობდები იყვნენ, მაგრამ, როგორც ვიცით, თერჯოლის რაიონში მდებარე სკანდე და ზესტაფონის შორაპანი – ერთმანეთისაგან საგმაო მანძილით არიან დაშორებულინ. ამასთანავე, ისინი ერთ გზაზე არ მდებარეობენ. აღსანიშნავია, რომ თერჯოლის სოფელ სკანდეს არაფერი აკაგშირებს აღმოსავლეთ საქართველოს გადასასვლელებთან

იმერეთის შორაპანი მდებარეობს ქ. ზესტაფონთან, ხოლო სკანდე თავისი ციხით, თერჯოლის რაიონშია. „საქართველოს გეოგრაფიული ატლასის (1992)“ ოროგრაფიული რუკის მიხედვით („საქართველოს გეოგრაფიული ატლასი, 1992, გვ. 7), თერჯოლისა და ზესტაფონის რაიონები მდებარეობენ „მთათაშორის ვაკე-დაბლობზე“ ზღვის დონიდან 200 მეტრამდე სიმაღლეზე.

ამავე, საქართველოს გეოგრაფიული ატლასის „სოფლის მეურნეობის“ რუკის მიხედვით (იქვე, გვ. 21) იმერეთის სკანდე და შორაპანი მდებარეობენ „საკუთალიზებულ ზონაში“, რომელშიც განვითარებულია - „მევენახეობა – მეხილეობა, მესიმინდეობა, ნაწილობრივ მეჩაიერდა“ (იქვე, გვ. 21).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჩვენი თქმისათვის, ვფიქრობ, არის ამ ატლასის რუკა – „პუნქტირივი ზონები“ (საქართველოს გეოგრაფიული ატლასი, 1992, გვ. 16).

ამ რუკის მიხედვით იმერეთის სკანდე და შორაპანი მდებარეობს „ნოტიო სუბტროპიკების“ ზონაში, რომელიც ასეა დასასიათებული – „გორაკ-ბორცვიანი მთისწინები, ფართოფორთლოვანი ტყეებით“, (იქვე, გვ. 16).

ასე, რომ იმერეთის სკანდე და შორაპანი ზღვის დონიდან დაახლოებით 200 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობენ, ნოტიო სუბტროპიკულ ზონაში, მევენახეობის, მეხილეობის, მესიმინდეობის რეგიონში. ეს სერათი კი საერთოდ არ შეესაბამება პროკოფი კესარიელის მიერ აღწერილ ცნობას, რომლის სკანდა და სარაპანა მდებარეობენ მთა-კლდოვან რეგიონში, ძალზე მაღალ სიმაღლეზე ზღვის დონიდან, იმდენად მაღლა, რომ იქ არ მოღიოდა არავითარი მარცვლეული, შესაბამისად იქ არც მევენახეობა და მეხილეობა იყო განვითარებული.

ასე, რომ, ჩანს, სხვაა იმერეთის სკანდე და შორაპანი და სულ სხვაა პროკოფი კესარიელის სკანდა და სარაპანა. ისინი სხვადასხვა რეგიონებში მდებარეობდნენ. პირველი ნოტიო სუბტროპიკების მთისწინებში, მეორენი კი მაღალმთის ალპურ ან სუბალპურ ზონებში

სტრაბონი წერს – „არმენიაში ერთის მხრივ ბევრი მთაა, მეორეს მხრივ – ზეგნები, რომლებზედაც ვაზიც კი არ ხარობს აღვილად“ (სტრაბონი XIV, 4).

მაშასადამე ვაზი, არ ხარობს მაღალმთიანეთის ზეგნებში, ამიტომ პროკოფის აღწერა, რომ სარაპანისა და სკანდეში ვაზი არ ხარობს, იმას მიუთითებს, რომ ისინი მაღალმთიანეთის რეგიონს და არა სუბტროპიკულ ზონას მიეკუთვნებოდნენ სამსრეფ-დასავლეთ სართველოში.

ჩვენს მეცნიერებაში დამკვიდრებულია თვალისაზრისი, რომ სტრაბონისა და პროკოფი კესარიელის მიერ ნახსენები პუნქტი „სარაპანა“ არის დღევანდელი შორაპანი ზესტაფონთან, რაც გ. გრიგოლიას კვლევის თანახმად საკვეთია. საქმე ისაა, რომ, როგორც აღმოჩნდა „სარაპანა“ ერქვა მნიშვნელოვან გზაზე არსებულ მგზავრთა მოსახვენებელ პუნქტს, თავშესაფარს, რომელიც საჭიროების მიხედვით შესაძლო ციხესიმაგრეც ყოფილიყო ან უძრავო ნაგებობა, ზოგჯერ კი სოფელიც. თუ ეს ასეა, მაშინ საქართველოს გზებზე არა ერთი, არამედ რამდენიმე „სარაპანა“ უნდა ყოფილიყო. ერთეული, მაგალითად, XV საუკუნის მონაცემების მიხედვით იყო გურიაში და მას სახელად ერქვა „შორაპანა“. გ. გრიგოლიას დაკავირვებით „აა“ ფუძის მქონე ასეთი სახელები რამდენიმე ყოფილია ის წერს - შორაპანი (სარაპანა) არის საპარსული წარმომავლობის სიტყვა. რაც ნიშანებ დამცელს (პანა) „პანა“, და მიღებულია ძირიდან პა - „პა“ - დაცვა, რომელსაც ემატება სუფიქსი ანა - „ანა“. ამგვარად ნაწარმოები საპარსული სიტყვებია: ასაპანა (ცხენის დამცელი), კაურაპანა (საქონლის დამცელი), კარაპარა (ხალხის, ჯარის დამცელი) და სხვა.

მაშასადამე, არ არის სავალდებული, რომ სტრაბონის მიერ ნახსენები სარაპანა ის პუნქტი იყოს, რომელსაც მიუთითებს პროკოფი კესარიელი, რადგანაც „სარაპანები“ მრავალი ყოფილი (თვით შუა საუკუნეების საქართველოშიც რამდენიმე „შორაპანი“ იყო). პროკოფის სარაპანა ფასისის მარჯვენა სანაპიროს ქვეყნაში მდებარეობდა იბერიის საზღვართან. სპარსელ-რომაელო ომების დროს მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე, რადგანაც ამ პერიოდში, გ. გრიგოლიას აზრით ფაზისი ერქვა მდ. ჭოროხს, სარაპანაც მის მარჯვნივ - იბერიის საზღვართან უნდა ვეძიოთ არტაან-ართვინის გზაზე რადგანაც პროკოფის მიერ ნახსენები იბერია - არტაან-კოლას ქვეყნასაც მოიცავდა.

დარიოს I-ის დროს მოწესრიგდა გზები, სადაც „მეფის შიკრიკებისათვის ყოველ 30 ქმ-ში სპეციალური საფოსტო სადგურები დაიდგა“ (დარჩიაშვილი)

ამ „საფოსტო სადგურებს“ - ჩვენში მოიხსენებდნენ საპარსული სიტყვით „სარაპანა“-შორაპანი.

სპარსეთის იმპერიის გზებზე სარაპანები (შორაპანები) უნდა მდგარიყენენ ყოველ 30 ქმ-ში. აღსანიშნავია, რომ სიგრძის საზომი ერთეული „ერთი დღის გზა“ უდრიდა 20-30 კილომეტრს, მაშასადამე ყოველი ერთი დღის გზის გავლის შემდეგ მგზავრს დახვდებოდა სასტუმროს მსგავსი თავშესაფარი ანუ „სარაპანა“.

ამჟამინდელი სურამ-ბათუმის გზაზე ისტორიულად უნდა ყოფილიყო რამდენიმე „სარაპანა“ - შორაპანი, ასევე არტაან-ბათუმის გზაზე უნდა ყოფილიყო რამდენიმე სარაპანა - შორაპანი. ამ მიზეზის გამო საქართველოში იყო რამდენიმე „შორაპანი“:

1) ზესტაფონთან;

2) XVI ს-ში გურიაში ოზურგეთთან. ეს კარგად ჩანს „საქართველოს ისტორიის ატლასის“ (2003 წ.), გვ. 45-ის მიხედვით („საქართვე-

ლო XVI ს. მეორე ნახევარში“). პუნქტი შორაპანი ატლასის 45-ე გვერდზე დაბეჭდილ რუკაზე მოთავსებულია ოზურგეთსა და აჭს შორის.

3) შორაპანი იყო ასპინძასთან - „ასპინძის ხევის სათავეზედ, მთის ძირში, არს შორაპანის მონასტერი სრულად სოფიის კენტით აწ ცალიერი“ (ვახუშტის გეოგრაფია, 1842, ბროსეს გამოცემული, გვ. 385).

4) ამავე ფუძის მატარებელი უნდა იყვნენ სიტყვები - „სარფი“ /პუნქტი ბათუმთან/ და „არფალი“/პუნქტი ართვინ არტანის გზაზე/.

„არფალი“ - ხოველი თანამდეროვე შავშეთში არტანუჯის ჩრდილო-აღმოსავლეთით 20-25 კმ მანძილზე, არსიანის ქედთან ახლოს ქ. შავშეთისა და ქ. არტანის შემაერთებელ გზასთან 3-4 კმ. მანძილზე.

შორაპანი (ზესტაფონთან) და სტრაბონის სარაპანა ორი სხვა-დასხვა პუნქტი უნდა ყოფილიყო, არა თუ ისინი, სხვადასხვა პუნქტები უნდა ყოფილიყონენ სტრაბონის სარაპანა და პროკოფის სარაპანა:

1) **სტრაბონის** მიხედვით, ფასისი სანაოსნი იყო სარაპანამდე, მაშასადამე სტრაბონის სარაპანა მდინარის პირზეა, მისგან განსხვავებით **პროკოფის** სარაპანა არა მდინარის ნაპირას არამედ მაღალ მთაში მდებარეობდა.პირველი იბერიას თოხი დღის სავალი გზით იყო დაშორებული, მეორე კი იბერიის საზღვაოთან იდგა.

„რაც შეეხება დანარჩენ კოლხებს, მისი დიდი ნაწილი ზღვაზეა განლაგებული. კოლხიდაზე გადის ფაზისი - დიდი მდინარე, რომლის სათავე არმენიაშია ის იღებს მდინარეების გლავებისა და ჰიპპის წყლებს რომელთა სათავეებიც მეზობელ მთებშია. ფაზისი გემთმაგლია სარაპანამდე - სიმაგრემდე, რომელსაც შეუძლია მოელი ქალაქის მოსახლეობაც კი დაიტოს. აქედან გამავალი გზით მიღიან კირამდე (მტკვრამდე) 4 ლეგში. სტრაბონი (XI, II, 17)

მდ. ფაზისზე არის იმავე სახელის ქალაქი - კოლხების სავაჭრო ცენტრი, ერთი მხრიდან შემოზღუდული მდინარით, მეორიდან - ტბით, მესამიდან კი - ზღვით. აქედან ამისამდე და სინოპამდე ცერვას 2-3 დღე სქიორდება იმის გამო, რომ ზღვისპირზე მიწა რბილია და მდინარეების შესართავებში ჭაობიანია.

ქვეყანა შესანიშნავია არა მხოლოდ ნაყოფით (თაფლის გარდა (რომელიც ძირითადად მწარევა).საგანგებო ყოველივე იმით, რაც გემთმშენებლობისათვის არის საქიორ). ის ამზადებს ბევრ ხეტეებს და აცურებს მდინარეებზე.

მცხოვრებლები ამზადებენ ბევრ სელის ტილოს... ადგილობრივი სელის ქსოვილები ფართოდობაც კია ცნობილი, მართლაც მათ ქსოვილები გააქვთ უცხო ქვეყნებშიც... მოსხების ქვეყანაში აღნიშნული მდინარეების მაღლა არის ფრიქსეს მიერ დაფუძნებული ლევდოთეას სამლოცველო და ფრიქსეს ორაპული, სადაც არ იწირება ცხვარი.“ (სტრაბონი, XI, II, 17)

ჩვენი კვლევით სტრაბონის ფაზისი ჭოროხია, რომლის სათავე იმქამად არმენიის მიერ იყო ხელდებული, სარაპანა იმქამად შესაძლოა ართვინს ერქვა. აქედან არტანუჯ-არტანის გზით იბერიამდე ანუ კო-

ლა-არტანის რეგიონამდე (ე.ი. მტკვარამდე) მისვლა ფეხით ოთხ დღეში ამჟამადაცაა შესაძლებელი. კოლა-არტან-შაგშეთი ამავე დროს მესხეთის მთიანი რეგიონია, რომლის ქვემოთაც ჭოროხი მიედინება თავისი შენაკადებით. მაშასადამე ამ მდინარეების მაღლა მესხეთია. აქედაც ჩანს, რომ სტრაბონის ცნობები ჭოროხის რეგიონს შეესაბამება.

სტრაბონის ცნობით, სარაპანასთან ფაზისი არის სწრაფი და ხმაურა (სტრაბონი, XI, III, 4). ის წერს იძერიაში არის ოთხი შესასვლელი - „ერთი არის კოლხურ ციხე-სიმაგრე შორაპანზე და მასთან არსებულ ვიწროებზე, რომელიც ჭედაც ფაზისი მომდინარეობს, სწრაფი და ხმაურა მიემართება კოლხიდაში, რომელიც 120 ხილით გადაისვლება“ (თ. ყაუხებიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 128).

სტრაბონი გარეველი მიუთითებს, რომ სარაპანასთან ფაზისი არის „სწრაფი და ხმაურა“, რომ იქვე ე.ი. შორაპანიან ახლო-მახლო მასზე 120 ხილია გადებული, რადგანაც „ეს ადგილები სულ დახრულია მრავალი ნაკადულებით“ (იქვე, გვ. 128).

არის თუ არა რეალურად თანამდეროვე შორაპანადან მდინარე რიონი „სწრაფი და ხმაურა“, ანდა არის თუ არა ეს ადგილები „დახრული მრავალი ნაკადულებით“, არა, მსგავსი არაუკრია ზესტაფონის შორაპანთან. მასთან გავდინება არა რიონი, ანდა ყვირილა არა-მედ ძირულა. ამჟამად მიჩნევა, რომ ძირულა იყო სათავე მდ. ფაზისისა, ვოჭავთ, ეს მართლაც ასეა და სტრაბონი შორაპანის ძირულას მიიჩნევდა მდინარე ფაზისად, არის თუ არა ის „სწრაფი და ხმაურა“? არა, შორაპანთან მდინარე ძირულა არც ჩქარია და არც ხმაურა, არა თუ ჩქარი, შორაპანთან ძირულა არის მდორე, სარკული ზედაპირის მქონე, სრულიად უხმაურო, რადგანაც შორაპანთან ის ვაკე ადგილზე მიდინარეობს. ამასთანავე, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ შორაპანთან ძირულა არის წყალმცირე, იმდენად თხელი მდინარეა, რომ მასზე ნავი ვერ იმოძრავებს. კარგი გაგებით ის ნაკადულია. შორაპანის ქვემოთ ზესტაფონის თაგზე ძირულა ყვირილას უერთდება ასევე გავე ადგილას. იქნებ ყვირილაა სწრაფი და ხმაურა იქ? არა, ყვირილაც უხმაურო, მდორე, ვაკის წყალია ამ მდგილას და საერთოდ ზესტაფონიდან რიონამდე მდორედ და უხმაუროდ მიედინება. პლინიუსის ცნობით ფაზისის შესართავიდან სარაპანამდე 37500 ნაბიჯია ანუ 30-40 ემ იყო. რეალურად კი თანამდეროვე შორაპანიდან ფოთამდე 137 კილომეტრია. საერთოდ რიონის ყველა შენაკადი ქუთაისი-დანაც ფოთამდე მდორეა!

სხვა სტრაბონის მიერ აღწერილი სარაპანა და სხვა პროკოფი კესარიელის მიერ აღწერილი.

პირველის (სტრაბონის) მიხედვით მდ. ფაზისის შესართავიდან ვიდრე სარაპანამდე (ფაზისზე მდებარე ქალაქამდე) აღმა ცურვა შესაძლებელა (თ. ყაუხებიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 123). სარაპანადან იძერიამდე ოთხი დღის გზაა ფეხით. მაშასადამე სტრაბონის სარაპანა დაშორებულია იძერიას და მდინარეზე მდებარეობს.

პროკოფი ქესარიელის სარაპანა იბერიის საზღვარზეა, მაღალ მთაშია, სადაც მოსავალი არ მოდის, სასაპალნე საქონლითაც ვერ ახვალ, არამედ ფეხით.

რატომაა ძველ ავტორთა შორის ასეთი განსხვავება სარაპანას მდებარეობასთან დაგავშირებით? როგორც ითქვა, ამის მიზეზს გვიხსნის გ. გრიგორლია. მან გამოიკვლია, რომ სიტყვა „სარაპანა“ სპარსული წარმოშობისაა და ნიშნავს გზაზე მდებარე საგანგებო ადგილს მგზავრების მოსასვენებლად, ის გარემო პირობების შესაბამისად, ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს გზაზე მდებარე ციხე-სიმაგრე, ქალაქი ანდა პუნქტი.

მაშასადმე საერთაშორისო გზაზე მრავალი სარაპანა შეიძლება ყოფილიყო. სტრანის დროს ის მდინარისპირა ქალაქს ერქვა, პროკოფის დროს კი იბერია-ლაზიების გზაზე მდებარე ციხეს.

ჩვენი ევლევთ მდ. ფაზისი ისტორიულ ხანაში ერქვა მდინარე ჭორობს.

ჭოროხი სანაოსნო მდინარე იყო უმკელესი ხანიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე. გ. ყაზბეგი, დ. ბაქრაძე, ე. ვეიდენბაუმი და სხვანი დაბეჯითებით მუჟოთებენ მდინარე ჭოროხზე საგაჭრო-სასაქონლო ნაოსნობის შესახებ. ამ მდინარით ყარსიდან და ჯავახებითიდან ხორბალი ჩაჰქონდათ შავიზღვისპირა პორტებში, და პარიქით ბათუმიდან ართვინისაკენ ნავგბით მოჰქონდათ ნავთი, მარილი და ფართლეული ქსოვილები. ამ მდინარით ართვინიდან ბათუმშიდე ასევე ჩაჰქონდათ ხეტყის დახერხილი მასალა, კრამიტი, სელის ხაწარმი და სხვა. ჭოროხზე არსებობდა ნაგმისადგომები, ნავთსამშენებლო საწარმოები, მოსახლეობის ძირითადი ხელობა ნაოსნობა იყო, ამიტომაც ვფიქრობ რომ სტრაბონის სული სარაპანა არის ართვინი, ხოლო პროკოფისეული სარაპანა მდებარეობდა ართვინ-არტანის შემაერთებელ საერთაშორისო გზაზე არსიანის უდელტეხილზე. უნდა ვიფიქროთ და მასშტაბებიც ამას აჩვენებს, რომ ვეხით ართვინიდან (სტრაბონის სარაპანიდან) ვიდრე იბერიამდე ანუ არსიანის ქედის გავლით მტკრამდე ოთხი დღის საგალი გზა იყო.

სიგრძის ერთეული სახელწოდებით „ერთი დღის გზა ვეხით“ იყო დაახლოებით 17-20 კმ. შესაბამისად 4 დღის გზა დაახლოებით 80 კილომეტრია. მართლაც დაახლოებით ამდენივეა მანილი ართვინიდან არტანუჯამდე, რომლის სიახლოესაც მტკარი მიედინება.

„იბერიის საზღვრებიდან რომ შედისარ, იქვეა ლაზების მიწა-წყალზე ორი სიმაგრე... იქ არ მოდის არც ხორბალი, არც ლეინო, არც სხვა რამ სიკეთე, სხვა ადგილებიდან რისიმე შემოზიდვა, ვიწრობების წყალობით, შეიძლება, მხოლოდ ისე, თუ კაცები თვითონ მოიტანენ“ (პროკოფი ქესარიელი, გეორგიევა, 2, 1965, გვ. 51).

პროკოფი თავის მეორე წიგნშიც წერს სარაპანისისა და სკანდის შესახებ: „იბერიის საზღვრებიდან რომ შედისარ, იქვეა ლაზეთთან ორი სიმაგრე სარაპანისი და სკანდა, იქ არ მოდის არც ხორბალი, არც ლეინო და არც სხვა რამ სიკეთე, ხოლო სხვა ადგილებიდან

რისიმე შემოზიდვა ვიწრობების გამო შეიძლება მხოლოდ ისე, თუ თვითონ კაცები მოიტანენ“ (BG, გეორგია, II, 1965, გვ. 110).

ე.ი ამ მაღალ ციხეებში ურმებითაც ვერ აპქონდათ სანოვაგე მაღალმთიანობის გამო.

პროკოფი სხვაგანაც წერდა, რომ მაღალმთაგორიანობის გამო ლაზიკაში არ მოდიოდა ხორბლეული, დვინო და სხვა რამ სიკეთე (პროკოფი კქასრიელი გეორგია 2, 1965, გვ. 96).

იბერიის ნაწილად მოიაზრებოდა კოლა-არტანიც, საიდანაც არტანუჯის გავლით ჭოროხის ხევით ზღვამდე (ანუ ლაზიკამდე) მიემართებოდა ძველი საგაჭრო-საჭაპანო გზა და იბერიის გავლით ლაზიობას ამ გზით უკავშირდებოდნენ.

ამ გზით ლაზიკაში შესვლისას მგზავრს ორი სიმაგრე – სარაპანა და სკანდა შესვლებოდა.

პროკოფი სკანდასა და სარაპანას ქვეშ არ გულისხმობს იმერეთის სკანდესა და შორაპანს.

ჯერ ერთი, შორაპანისა და სკანდეს ციხეებში ურმები თავისუფლად შედიან, თითქმის ვაკეზე არიან, ზღვის დონიდან მხოლოდ 170-250 მეტრ სიმაღლეზე, მათ ტერიტორიაზე და მათ ირგვლივ მიწაწყალზე მოდის ყოველგვარი მოსავალი, რაც კი დაითესება (ეს ფაქტი ჩემი თვალით მინახვეს, რადგან მათ სიახლოვეს ვცხოვრობდი ათეულობით წელი). მეორეც, პროკოფისთვის კარგად ჩანს, რომ პროკოფის მიერ აღნიშნული ორი სიმაგრე ერთ გზაზე – იბერიიდან ლაზიკეში მიძავალზე, ხოლო რაც შეეხება იმერეთის სკანდესა და შორაპანს, ისინი ერთმანეთისაგან საკმაოდ არიან დაშორებულნი (მათ შორის მთელი ქვეყანა – ზემო იმერეთია გადაჭიმული) და ერთ გზაზე არ მდებარეობენ. მათონ გამავალი ერთი გზა აკავშირებს ზესტაფონს – საშურთან, მეორე კი თერჯოლისა – მესურა-ხრეითის გავლით ჭიათურასთან.

პროკოფის მიერ აღწერილი სკანდასა და სარაპანას გეოგრაფიული აღწერილობა არ შეესაბამება იმერეთის სკანდესა და შორაპანის რეალურ გარემოს, ამიტომ ისინი სხვადასხვა რეგიონში უნდა ვეძიოთ. სკანდე და შორაპანი სხვა პუნქტებით, ხოლო სკანდა და სარაპანა კი სხვა.

სტრაბონის მტკიცებით სარაპანა კოლხეთში მდებარეობდა მის ეპოქაში, ე.ი. I საუკუნისათვის, მაშინ როცა არქეოლოგიური მასალებით იმერეთის შორაპანის დასავლეთ რეგიონში ზღვისაკენ - კლდეეთსა და ბორითში - არმაზულ წარწერებიანი (სტრაბონის ეპოქის) არქეოლოგიური საგანძურებელი აღმოჩნდა იბერიილი პიტიახშებისა.

ამ ფაქტის გამო XX ს. მკვლევარებმა შორაპანი იბერიაში მოაქციეს, მაგრამ ეს სტრაბონის ცნობის უგულებელყოფაა, რომელიც, როგორც ვთქვით, სარაპანას კოლხეთში ათავსებს.

პროკოფი კვლავ იმერებს: „იბერიის საზღვრებიდან რომ შედინარ (ლაზიკეში), იქევა ლაზების მიწაწყალზე ორი სიმაგრე (სკანდა და სარაპანისი), იქ არ მოდის არც ხორბალი, არც დვინო, არც სხვა სიკეთე“ (BP, I, 12) (იქვე, გვ. 96).

ჩანს ეს ორი სიმაგრე მესხეთში არსიანის მთების კალთებზე მდებარეობდა. ისინი ე.წ. ქლარჯეთის გზის ციხეები უნდა ყოფილიყვნენ. ეს გზა არტაანის გავლით ზღვასთან აერთებდა იბერიას, სომხეთსა და სპარსეთს. არტაანი კი იბერიის ნაწილი იყო.

პროკოფი წერს ასევე: „ამას გარდა ლაზიკეში არსად არ არის მარილი, არც ხორბლეული მოდის, არც ლეინ, არც სხვა რამ სიკეთე“. (BP, II, 28).

აქედან ჩანს, რომ ლაზიკე არ იყო დასავლეთ საქართველო, სადაც თუ საჭირო ხორბლის და მარცვლეულის მოევანა ადვილად შეიძლება (ქუთაისის, თერჯოლის, ზესტაფინის, ზუგდიდის და სხვა რეგიონებში), მითუმეტეს აქ ჰყელთაგანვე გაშენებული ვაზი. ჩანს ლაზიკე იყო მთა მთარე – ჭორისის სეობის მომდგამი მთიანეთი, სადაც მაღალმთიანობის გამო ვაზი არც ახლა ხარობს იმ ოდენობისა, რომ მისგან საჭირო რაოდნობის დავინო დააყენონ.

ლაზიკის მაღალმთიანობა დასტურდება პროკოფის კიდევ ერთი ცნობით – სპარსთა მეფის კიდევ ერთი ლაზერობის შემდეგ, ლაზეთში სპარსელთა 20 000 ცხენი შიმშილით დაიღუპა. მიზეზი იყო ის, რომ მათ არ ჰქონდათ ცხენის საკვები ბალაზი სამყოფად ლაზიკის კლდიანობის გამო: „როდესაც ლაზიკეში იყვნენ საკვები არც თუ საყოფად ჰქონდათ, და ამრიგად შიმშილით და დააგადებით შევიწროვებულნი, მთლად დაგარდნენ“ (პროკოფი კესარიელი გეორგიკა, II, 1965 გვ. 194).

ცხენებისათვის ბალაზი დასავლეთ საქართველოს ბარში უამრავია, ხოლო არტაანუჯ-ართვინის რეგიონში კი ნაკლები, რაღაც მაღალმთიან-კლდებიანი მთარება. ამიტომაც ამტკიცებს პროკოფი კესარიელი რომ ლაზიკეში არ მოდიოდა დავინო, ხორბალი „და სხვა სიკეთე“.

ს. ყაუხებიშვილის თვალსაზრისით ლაზიკე იყო დასავლეთ საქართველო და რაღაც პროკოფის მიერ აღწერილი დასავლეთ საქართველოში არსებული რეალობა არ ეთანადებოდა აღწერილს და ამიტომ ამ აღწერისას, ს. ყაუხებიშვილის აზრით, პროკოფი ცდებოდა, მაგრამ რით უნდა აეხსნათ ცნობა იმის შესახებ, რომ ლაზიკეში პირუტკის საკვები ბალაზიც მცირე იყო, იმდენად რომ ცხენები დაიღუპა? ამით კარგად ჩანს, რომ ლაზიკე იყო კლდოვანი ქვეყანა, სადაც ნამდვილად არ მოიძიებოდა ასეთი „სიკეთეები“. ჩვენ ვიცით, რომ ასეთი იყო მესხეთის მთიანეთი, კერძოდ კი კლარჯეთი (მამათა ცხოვრებიდანაც ჩანს).

პროკოფის სიტყვით, მთელ ლაზიკეში ერთადერთი რეგიონი იყო მოხირისი, სადაც „ლეინოც კარგიც მოდის და სხვა ნაყოფნიც იქ კარგად ხარობენ, თუმცა ლაზიკის სხვა ადგილებზე არ შეიძლება იგივე ითქვას“ (გეორგიკა, 2, 1965, გვ. 194).

ჩვენი კვლევით „სკანდა“ ერქვა პუნქტს თანამედროვე სოფელ ბაგდასენთან არტაანის რეგიონში, რაღაც მის ახლოსაა „კანდ“ ძირის მქონე ტრანსიმები – ნამონასტრალი „კანდრიდი“, მთა „კანდილი“, ციხე „ქინძოტამალი“ და სხვა, სარაპანა კი ართვინ-არტაანუჯის რეგიონში უნდა ვეძიოთ.

პროექტი, როგორც ითქვა, წერს: „იბერიის საზღვრებიდან რომ შედიხარ, იქვეა ლაზეთთან ორი სიმაგრე სარაპანისი და სკანდა, იქ არ მოდის არც ხორბალი, არც ლეინო და არც სხვა რამ სიკეთე, ხოლო სხვა ადგილებიდან რისიმე შემოზიდვა ვიწრობების გამო შეიძლება მხოლოდ ისე, თუ თვითონ კაცები მოიტანენ” (გეორგიკა, II, 1965, გვ. 110).

პროექტი სხვაგანაც წერდა, რომ მთაგორიანობის გამო ლაზიკაში არ მოდიოდა ხორბლეული, დვინო და სხვა რამ სიკეთე (იქვე გვ. 96).

ყოველივე აღნიშნული შესაძლოა უსაფუძვლოდაც კი მოგვჩენებიდოდა, რომ ქალაქებისა და მდინარეების აღნიშნული მდებარეობანი ურთიერთდაშორებებით, მანძილებით, მიმართულებებით, ადგილმდებარეობებით და სხვა ნიშნებით თითქმის ზუსტად რომ არ ემთხვეოდეს პროკოფი კესარიელისა და სხვა ავტორების მონათხრობს.

ჩვენ ადარ გავიმურებოთ სკანდას და სარაპანას ციხეებთან და კავშირებულ, შეიძლება ითქვას, ჩვენს ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ ლაფხუსებს - მაგალითად, ძველი ავტორების ცნობით, სკანდასა და სარაპანას კლიფონი მთაგორიან ადგილზე მდებარე ციხე-სიმაგრეების ირგვლივ არ მოდიოდა არავითარი მოსვალი (არც ხორბალი, არც დვინო, სურსათიც კი მეციოვნეებს ცხენებითაც ვერ აჰეთნდათ ქვეყნის კლიფის გამო და მას ზურგით ეზიდებოდნენ) და, ამავე დროს კი, ჩვენ თანამდებოროვე ზოგიერთ მეცნიერს ეჭვმიუტანელ ფაქტად მიაჩნია, რომ აღნიშნული სკანდა და სარაპანა არის თანამედროვე ზედვის დონიდან 170-200 მეტრ სიმაღლეზე სუბტროპიკულ ზონაში მდებარე პუნქტი სკანდა და შორაპანი, რომელთა ირგვლივ კენაცხების პლანტაციებით გადაშლილი. რადგანაც აქვე ახლოს ზესტაფონის რაიონის სოფელში ვარ გაზრდილი, შემთხვევით ვთქვა, რომ აქაურ მოსახლეებს ათეულობით ფუთი დვინო პეტონდათ დაყენებული ქავერებში.

ადსანიშნავია, რომ სარაპანს საპარესოის შაპი ხოსრო უწოდებს „სარაპანს“ (გეორგიკა, გვ. 222), ასევე „სარაპანს“ უწოდებს მას ბერძენი აეტორი მენანდრე. ამიტომაც შეგვეძლო გვეფირა, რომ ეს ტოპონიმი დაცულია ჭოროხის ხეობაში და ერთ-ერთ პუნქტს ეწოდება კიდვევაც სარფი. გვიქრობ, სარაპანასთან ერთმოლოგიურად სარფი უფრო ახლოა, მაგრამ სარფისაგან განსხვავებით, ძველი სარაპანა მდებარეობდა არა ზედვისპირას, არამედ მაღლა მთებში იბერიასთან, ვფიქრობ თანამედროვე არტაანთან ახლოს, სადღაც არტაან-არტაანუჯის გზაზე. თანაც სარაპანა უნდა ყოფილიყო არა ერთი, არამედ ერთმანეთთან ახლოს მდებარე რამდენიმე ციხე-სიმაგრე. ამიტომაც მოიხსენიებენ მას ზოგჯერ მრავლობით რიცხვში – სარაპანები. ერთ-ერთი ასეთი სარაპანი შესაძლოა მდინარე ჭოროხეზე მდებარე ართვინიც ყოფილიყო სტრაბონის დროს. ასე, რომ სტრაბონის სარაპანა სხვაა, ხოლო პროკოფისა და აგათიასი სხვა. სტრაბონის სარაპანა მდებარეობას მაღალ-მთიანეთში მიუთითებენ.

დაზიერის ომების განხილვის დროს XX ს.-ის ავტორები ბერძნული წყაროების „იბერიად“ მოიაზრებენ მხოლოდ თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველოს, მაგრამ არ უნდა იქნას დავიწყებული, რომ იბერიის დიდი ნაწილი თანამედროვე სამხრეთ საქართველოში მდებარეობდა, ვრცლად იყო სამხრეთით გადაშლილი, ვიდრე არაქსამდე.

პროტინ-არტანის ბზბ (სპანდა და სარაბანა ხოსროს ბზაზე)

„როდესაც ლაზები წინ მიუძღვებოდნენ ხოსროს, მათ გადაეჭას მდ. ბოასი და ისე მივიღენ პეტრაში, რომ ფაზისი მარჯვნივ ჰქონდათ თითქოს იმიტომ, რომ მათ წინასწარ განჭვრიტეს რათა მდინარე ფაზისის გადასასვლელად არც დრო და არც შრომა დასჭირებოდათ, ხოლო ნამდგოლად იმიტომ, რომ არ სურდათ „სპარსელებისთვის ქვენებინათ თავიანთი საბინადრო აღილები“ (გეორგიკა 2, 1965 გვ. 102).

დიდი სიგრძის მდ. ჭოროხს, თავისი დინების სხვადასხვა მონაკვეთში, სხვადასხვა სახელი ერქვა. მას სათავეში „აკამფსი“ და „ბოასი“ ერქვა დაახლოებით ართვინამდე, ხოლო ართვინიდან ზღვამდე „ფაზისი“.

პროექტი ბოას მდ. ჭოროხს უწოდებდა კარჩხალის მთიანეთამდე (ართვინთან ახლოს), ამიტომაც ხოსრომ ან მდ. ბოასი გადალახა ამ ადგილას, ანდა სახელ „ბოასს“ რომაკლები ასევე უწოდებდნენ მდ. იმერხევს, რომელსაც სათავეში გ. ყაზბეგის ცნობით, მართლაც „ყვირილა“ ერქვა (მიტროპოლიტი ანანია ჯავარიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მდინარეები. „სვეტიცხოველი“ 2, 2010, გვ. 46-55).

ქართულ წყაროებში ნახსენები საერთაშორისო მნიშვნელობის „გზა კლარჯეთის“ არტანიდან ზღვისაკენ ჯერ თანამედროვე არტანუჯში შედიოდა, შემდეგ გადალახავდა მდ. იმერხევსა და ასევე გადალახავდა მდ. ჭოროხს და შედიოდა ართვინში. იქიდან კი ზღვისაკენ სამდინარი და სახმელეთო გზებიც მიერთოდნენ.

„კლარჯეთის გზით“ მავალი ხოსრო ჯერ მდ. იმერხევს გადაკვეთდა, შემდეგ კი ჭოროხს და ამავე გეზით, ანუ ჭოროხის მარცხენა სანაპიროს გზით, სვლას გააგრძელებდა ზღვისაკენ, ამიტომაც ის ისე მისულა პეტრაში, რომ ფაზისი (ხუთ ჭოროხი) მარჯვნივ ჰქონდა. ართვინიდან ზღვისაკენ ძველად მართლაც არსებობდა გზა ჭოროხის მარცხენა სანაპიროს გავლით, რასაც მარცხენა სანაპიროზე არსებული ქვის თაღოვანი ხიდების უამრავი ნაშთი და ადგილობრივ მცხოვრებთა მონათხრობი ადასტურებს, თუმცა ართვინიდან ზღვამდე ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე გამავალი გზა უფრო მნიშვნელოვანი იყო.

მარცხენა სანაპიროს გზით მავალი კაცისათვის, ცხადია ჭოროხი ანუ ფაზისი მარჯვენა მხარეს აღმოჩნდებოდა. ამიტომ წერს პროკოფი - ისე მივიღენ პეტრაში, რომ ფაზისი მარჯვნივ ჰქონდათ (პეტრა ხუფათის რეგიონში მდებარეობდა, მდინარის მარცხენა ნაპირას. ეს მხარე მარჯვენა სანაპიროზე მდებარე მოხირისის მხარესთან შედარებით დაუსახლებელი იყო).

კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით ქალაქი არტანუჯი საერთაშორისო საგარეო ცენტრად ამ გზის მეშვეობით იქცა. როგორც ითქვა, ეს გზა დვინს (ე.ი საპარსეთსა და არმენიას) იბერიის (ანუ ამ

შემთხვევაში არტანის) გავლით ზღვასთან აკავშირებდა. დვინი-არტან-არტანუჯის გზა ქართულ წყაროებში „კლარჯეთის გზის“ სახელითაა ცნობილი. ეს გზა არტანთან იყოფოდა. მისი ერთი მთავარი ტოტი მცხეთა-თბილისისაკენ მიემართებოდა. მაშასადამე, ეს გზა ასევე თბილისა და საქართველოს შავ ზღვასთან აკავშირებდა. ეს ძირითადი გზა იყო, რომელითაც მრავალმა ქართველმა მეფებმ ისარგებლა წყაროთა ცნობით. იბერიის, არმენიისა და საპარსეთის ზღვასთან დაბაკავშირებლი ეს გზა I საუკუნეშიც კი ფუნქციონირებდა (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიქ, სამხერეთ-დასავლეთ საქართველოს მთავარი სავაჭრო გზები და არტერიები. „სკეპტიცოსკელი“ 2, 2010, გვ. 40-45).

როგორც აღწერილა „ნათლად ჩანს, ამ გზით შემოსულმა საპარსელთა მეფე ხოსრომ გადალახა მდ. ბოასი (როგორც ითქვა, ეს ჭოროხის სახელი იყო ამ ადგილებში თანამედროვე ართვინის მაღლა, ხოლო მის დაბლა ვიდრე ზღვამდე ჭოროხს უკვე ფაზის ერქვა) და ქ. პეტრამდე გააქვა მდინარე ჭოროხის მარცხენა სანაპიროს, ისე რომ, როგორც პროკოფი წერს „ფაზის (კი. ჭოროხი) მარჯვნივ პქონდათ“. ეს არის ჩვეულებივი სვლა-გეზი, ანუ ხოსრო პეტრაში მივიდა არა სურამის ქდის გზით, არამედ სპარსეთიდან ქ. პეტრამდე უკველაზე მოკლე გზით – სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მან გაიარა შემდეგდომიდელი კლარჯეთი და მდ. ჭოროხის მარცხენა სანაპიროს გზით მივიდა პეტრაში.

სპარსთა ჯარმა გაიარა „იბერიიდან კოლხიდაში მიმავალი გზა“, (გეორგია, II, 1965, გვ. 182).

როგორც ითქვა, აქ იგულისხმება დვინი-არტან-არტანუჯ-ართვინ-ჭოროხის ხეობის დამაკავშირებელი გზა, რომელიც გადადის არსიანის მთის მაღლალ უდელტეხილზე.

არტაანი – იბერიის ქვეყანა იყო, არტანუჯი იმჟამად ლაზიკის ნაწილი იყო.

იბერიიდან კოლხიდაში მიმავალი გზა, უკელგან დაქანებული ნაპრალებითა და ძნელსავალი ადგილებით დასერილი და დაფარული უღრანი ტყეებით, ისე გაასწორს რომ არა თუ მთელმა მათმა ცხენოსანმა ჯარმა გაიარა იქ დაუბრკოლებლად, არამედ სპილოებიც გაატარეს – წერს პროკოფი.

მაშასადამე, იბერიიდან კოლხიდაში მიმავალი გზა „გაასწორეს“. აქედან ჩანს, რომ გზა იყო მოკლე და არა გრძელი.

თუ კი დაზიერა იყო მთელი დასავლეთი საქართველო და იბერია კი აღმოსავლეთი, მათი შემაერთებელი გზის „გასწორება“ ნამდვილად არ იქნებოდა ადგილი, რადგანაც ეს გზა გრძელია, ხოლო არტაანიდან კლარჯეთში კი. იბერიიდან კოლხიდაში გამავალი გზა, მართალია ძალზე ძნელ, მაგრამ მხოლოდ ერთ უდელტეხილს გადადიოდა, რომლის გასწორებაც სიმოკლის გამო ალბათ შესაძლებელი იყო.

აქ უნდა ყოფილიყო (და არა ლიხის ქედზე) „ლაზებისა და იბერების საზღვრები“ (გეორგია, II, 1965, გვ. 185), აქვე, ახლომახლო უნდა ყოფილიყო სკანდისა და სარაპანისის ციხეები (კი. არსიანის ქედზე და არა ლიხის მთაზე).

იმპერატორმა იუსტინიანემ ჭანეთში რომაელთა და პერსარმენიელთა საზღვრების გასაყარზე ააგო მტკიცე ციხე-სიმაგრეები. მათი დანიშნულება იყო დაეცვა გზები. პროკოფი წერს – „ეს ძეგლიანა სამი გზაჯვარედინით არის დანაწილებული. აქედან იწყებენ გაყრას რომაელთა, პერსარმენიელთა და თვით ჭანთა საზღვრები. აქ იუსტინიანემ ააგო ძალიან მტკიცე ციხე-სიმაგრე პორონონი და ამით დაადგა თავი ზავის საქმეს. პირველად აქედან გახდა შესაძლებელი რომაელთათვის ჭანეთში შესვლა“ (პროკოფი კესარიელი, შენობათა შესახებ, 2006, გვ. 106).

ციხე-სიმაგრის დანიშნულება ძირითადად იყო გზის დაცვა ანუ ძლიერი ციხე-სიმაგრე მნიშვნელოვანი გზის დაცვის საქმეს ემსახურებოდა. შესაბამისად, სკანდალი და სარაპანა – სპარსეთიდან რომის მიწებისკენ (ბიზანტიისკენ) მიმავალ გზაზე უნდა აგებულიყო – რათა მტრისთვის გზა გადაეკეტა.

პროკოფი წერს – იუსტინიანემ „აღმართა ძლიერი სიმაგრეები“ (იქვე, გვ. 100) იმ ადგილებში, რომელიც „მტრებისოვის გზის გადაკეტვის თვალსაზრისით მეტად საყურადღებონი იყვნენ“ (პროკოფი კესარიელი, შენობათა შესახებ, 2006, გვ. 100).

აქედან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესო სკანდალის ციხე-სიმაგრე, სადაც ბიზანტიისა და სპარსეთის შორის, მნიშვნელოვანი გზაზე მდებარეობდა.

ასეთი გზა, თუ კი დასავლეთ საქართველოში შორაპნის მხრიდან შედიოდა, მაშინ უშაუალოდ ამ გზისპირზე უნდა ყოფილიყო კიდევ სკანდალის ციხე. რეალურად კი, იმერევთის სკანდალ სულ სხვა რეგონში მდებარეობს.

ბიზანტიელები სპარსეთთან დამაკავშირებელ გზაზე აგებდნენ ციხე-სიმაგრეებს, ასევე იქცეოდნენ სხვა ქვეყნებშიც, ზაგალითად, ოქონდოპოლიისის მახლობლად ხორზანეს მხარეში გამავალ გზაზე: „სპარსელთა მეფისათვის აქედან ადგილი იყო შეკრილიყო რომაელთა ქვეყანაში, გილრე იმპერატორმა იუსტინიანემ გზა არ ჩაქეტა. ამ კუთხის შეუალები იყო სოფელი არტალესონი. იგი ციხე-სიმაგრედ იქცა“ (იქვე, გვ. 101).

მაშასადამე, სკანდალის ციხე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეასრულებდა თავის ფუნქციას, თუკი ის „გზის ჩამქეტი“ სიმაგრე იქნებოდა, ანუ ის უშაუალოდ გზაზე უნდა მდგარიყო.

იმერევთის სკანდალი კი სურამ-შორაპნის გზაზე არ დგას, ანუ არ დგას და არასოდეს მდგარა დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს შემაერთებელ გზაზე, ხოლო კლარჯეთის კანდრიდი, რომელსაც ჩვენ პროკოფისეულ სკანდალ მივიჩნევთ, ნამდვილად ასეთ საერთაშორისო გზაზე იდგა.

როგორც ხშირად აღინიშნა, ბიზანტიელებს არ სურდათ, რომ სპარსელებს ხელში ჩაეგდოთ ის საერთაშორისო გზა, რომელიც დაზიერის გავლით პერსარმენიას, ანუ სპარსულ აღმენიას აერთებდა შევზღვასთან. კერძოდ, რადგანაც პერსარმენია მირითადად სპარსელების ხელში იყო (იგულისხმება ქალაქ დვინისა და სხვა მიმდებარე ქალაქების

ბის სანახები), აქედან ისინი იმ გზით, რომელიც აერთებდა დვინს არტაანთან და შემდეგდროინდელ არტანუჯთან, ჩადიოდნენ ჭოროხის ხეობაში შემდეგდროინდელ ქალაქ ართვინში და ჭოროხისპირა გზით სწრაფად მიდიოდნენ ზღვისპირა ციხე-სიმაგრე „კუტრაში“, ანუ გადიოდნენ შავ ზღვაზე ეს კი ძალზე აფრთხობდათ ბიზანტიულების, ამიტომაც წერს აგათია: „თუ სპარსელები ოში გაიმარჯვებდნენ და მთელ ქვეყანას (ლაზიკას) აიღვძნენ, ადარაფერი დაბარკოლებდათ მათ უშიშრად შემოუცურათ ევქსინის პონტოთ და ძალიან ლრმად გაეკლიათ გზა რომაელთა სამეფოში“ (გეორგია, III, გვ. 29).

აქედან ჩანს, დასავლეთ საქართველო რომ ყოფილიყო ლაზიკა, მაშინ ჟელი ავტორები მას და არმენიას ერთად არ მოიხსენიებდნენ, რადგანაც არმენია და დასავლეთ საქართველო ერთმანეთისაგან ძალზე დაშორებული რეგიონები არიან და მათ შორის იმუმად სხვა მრავალი ტომი ცხოვრობდა და მრავალი ქვეყანა იყო. ხოლო დაზიკა და მცირე, ანუ რომაული არმენია ნამდვილად იყვნენ ერთმანეთის მეზობლები, ერთ სახელმწიფოში, ბიზანტიაში, შემავლი, ერთი მმართველობის, მათ შორის სტრატეგიული მმართველობის ქვეშ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია თვალსაზრისი, თითქოსდა სპარსელები ლაზიკეში გადადიოდნენ თანამედროვე სურამის უდელტეხილებით და თითქოსდა ამ გზის გავლის შემდგომ ეწვეოდნენ კატერისათვის მოს.

ისმის კითხვა: თუკი პეტრასათვის მოს დროს სპარსეთის შაპმათვის ჯარი შეაგზაფნა ჯერ აღმოსავლეთ საქართველოში, შემდგომ ჯარმა გადალახა სურამის უდელტეხილები და მთელი დასავლეთ საქართველოს გავლით ჩავიდა პეტრაში, რატომ განახორციელა მან ეს ძალზე ურთულესი მანევრი, მაშინ, როცა უკვე არსებობდა უკვე გაგვალული გზა, რომლითაც სპარსელ ჯარს დგინდის სანახებიდან (პორკოფის სატყეოს სპარსელთა ძირითადი სამხედრო ბაზიდან) შეეძლო პირდაპირ შესულიყო პეტრაში უმოკლესი გზით (ესაა იბერიის (კერძოდ არტაან-კოლას) გავლით არტაან-არტანუჯ-ართვინის გზა).

აღნიშნულის გარდა დასავლეთ საქართველო, კერძოდ კი რიონის დაბლობი, არის ზღვის პირას გადაშელილი ძალზე ვრცელი ვაკე, რომელიც ქედი დროს მეტისმეტად იყო დაჭაობებული და იქ გავრცელებული იყო მაღარია, ციებ-ცხელება, დაავადებანი. ჭაობიანი ადგილები კი საომარი მოქმედებისათვის უვარგისი იყო. ჭაობებში გავლა უჭირდათ შეიარაღებულ რაზმებს, მითუმეტეს წარმოუდგენელი იყო ასეთ ჭაობებში სპილოებით მო. სპილოებს კი ლაზიკის მოს დროს იყენებდნენ როგორც ხოსროს უშუალო ხელმძღვანელობის, ასევე მის მხედართმთავარ ნახორაგანის დროს.

აგათია სქოლასტიკოსის სიტყვით ჭაობში, ჭაობიან ადგილებში და ისეთ ტყეებში, სადაც ტყეს გააჩნია საკუთარი ქვეტყე, გავლა უჭირდათ არა თუ სპილოებსა და ცხენოსან რაზმს, არამედ უბრალო შეიარაღებულ რაზმსაც კი.

კერძოდ, აგათია სქოლასტიკოსი ერთ უმნიშვნელო ჭაობზე წერს: „დაბლობები მეტისმეტად ჭაობიანი და შლამიანია და მათ გარს

აკრაგს იმდენად ხშირი ბუჩქნარები და ტყეები, რომ არათუ შეიარაღებულ რაზმებს, არამედ კაცსაც კი – ისიც მსუბუქად ჩაცმულს, გაუჭირდება იქ „გავლა“ (გეორგიკა, III, გვ. 31).

მითუმებს, რომ დასავლეთ საქართველო დაფარული იყო არა პატარა ზომის ცრაგმენტული ჭაობებით, არამედ მისი მთლიანი ზედაპირის დიდი ნაწილი – რიონის დაბლობი და ზღვისპირეთი, ერთ მთლიან ჭაობს წარმოადგენდა, სადაც შეიარაღებულ რაზმებს და არმიებს გავლა ცხადია გაუჭირდებოდა.



ჭოროხის კლდეთა შორის
(ძველი ხილის ნანგრევები)



სკანდას ციხე ართვინ-არტანის გზაზე (ზღვის დონიდან 2600 მეტრი) სოფელ ბაგდასენთან ქინძოტამალის ციხე კანდილის მთასთან



ართვინ-არტანის კლდოვანი გზა მდინარის პირზე (პროკოფის კლისურები)



არტანუჯი (ერთ-ერთი სარაპანა ანუ მგზავრთა მოსასვენებელი პუნქტი იბერია (არტანი) – ართვინის (შავიზღვისპირეთის) შემაერთებელ გზაზე



მდინარე ფაზისი (ჭოროხი),
სტრაბონისა და პროკოფი კესა-
რიელის ცნობით კლდეთა შო-
რის მიედინებოდა




მდინარე რიონი არათუ კლდეთა
შორის მოედინება, არამედ შა-
ვიზღვისხირა ვაკეზე, სადაც ქმნის
ჭაობებს, რომელთაც ხელოვნურად
აშრობინ შისაძამისი სათაორები




ბანანის ხე შორაპნის ერთ-ერთ
ეზოში, მიუთითებს, რომ სტრა-
ბონის და პროკოფი კესარიელის
მაღალმთიანი სარაპანა, სადაც
არავითარი მოსავალი არ მოდიო-
და სხვა რეგიონში უნდა ვეძიოთ.




იმერეთის სკანდეს ციხე-სიმაგრე,
მდებარეობს თოთქმის ვაკე ადგი-
ლის, ხოლო სტრაბონისა და პრო-
კოფი კესარიელის სკანდას ციხე
მაღალმთიანეთში მდებარეობდა.




© მეცნიერებების ახალი კვალიტეტი, 2011



© මියුරුවැන්දාස ප්‍රතිච්ඡාලී, 2011



© മിസ്റ്റർപ്പുരുഷൻ എൻഡ് ഗ്രഫാർട്ട്, 2011



© მარტინოვის ანთა კულტურული, 2011

მარიპა მშვილდაძე

წარმართობიდან პრისტიანობამდე

საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ მოციქულთა ეპოქაში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ მოგვითხრობენ როგორც ბერძენ-რომაელი ოპტორები [1. 41-42; 209-213; 2.29-30; 3.57-59], ისე „ქართლის ცხოვრება“ [4.36-43], რომელშიც საქართველოში ქრისტეს მოციქულთა მისიონერული მოღვაწეობის შესახებ ჩანართის სახით აისახა როგორც უძველეს წყაროთა ცნობები, ისე ლეგენდა-გადმოცემები.¹

„მოციქულთა საქმეებიდან“ ჩვენთვის ცნობილია, რომ პირველი ქრისტიანული თემების აღმოცენება იყო მაცხოვრის შემდეგ, ქრისტეს მოციქულებს უკავშირდება, რომლებიც ახალი მოძღვრების საქადაგებლად მთელ ცივილიზაციულ სამყროში გაიფანტნენ. მათი მეშვეობით ქრისტიანობა ვრცელდებოდა ძირითადად იმ ელინიზებულ ებრაულ თემებში, რომლებიც თითქმის მთელ რომის იმპერიაში იყვნენ ფეხმოკიდებულნი (საქმეები, 13, 14, 16:12-13, 17:1, 17:10, 18, 19, 20). იგივე „მოციქულთა საქმეები“ გვითვენებს, რომ პავლე მოციქული ქადაგებას ყველთვის იუდეურ სინაგოგებში იწყებდა იერუსალიმის კრების შემდეგაც კი (საქმეები, 13:46, 14:1, 17:1, 17:10).

წყაროების შესწავლის შედეგად კი დგინდება, რომ ჩვენთვის საინტერესო გვითანანტიკური პერიოდისათვის ებრაელები მთელ ცივილიზებულ სამყაროში იყენენ გაბეჭედლი (იოსებ ფლავიუსი, სიძევლები, XIV,7,2). ფილონ აღექსანდრიიელს მთაქვს აგრიპას წერილი გაიუსისადმი (კალიგული), სადაც აღნიშნულია, რომ იერუსალიმი არა მხოლოდ ებრაელების დედაქალაქია, არამედ ბერი ქაფნისა (Philo., Leg.

¹აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ წყაროებში რიგ შემთხვევაში სამწუხაროდ ზუსტად არ ემთხვევა აღგილთა ტოპონიმიკა ქრისტეს მოციქულთა მიერ ნაქადაგებ აღგილთა ტოპონიმიკას. საკითხის კვლევას ართულებს ისიც, რომ აღნიშნული მოვლენა არ არის ასახული ადრეშეასაუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიაში, რაც წლების მანძილზე მკვლევართა მიერ ქრისტეს მოციქულთა საქართველოს ტერიტორიაზე მოღვაწეობაში ეჭვის შეტანის მიზეზი გახდა [5.216-240; 6.95]. ბოლო დროს აღნიშნულ საკითხს არაერთმა მკვლევარმა მიუძღვნა ნაშრომი, რომლებშიც წარმატებით მიდის მსჯელობა ტოპონიმთა შეჯერების შესახებ [7].

ad. Gaium, 36), სხვა ადგილის (In Flaccum, 37) ფილონი აღნიშნავს, რომ ოუდეველები მთელ ციფილიზებულ სამყაროში იყვნენ განვენილნი, რომ ეპროპისა და აზის უმტკების ქალაქების ებრაელები მათი არა მხოლოდ ძველი მცხოვრებლები იყვნენ, არამედ ისინი მონაწილეობდნენ კიდეც ამ ქალაქების დაარსებაში (სიძველენი, XIV,7,2).

სწორედ ოუდეველებისაგან გაიგო აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობამ მონოთეისტური რელიგიის არსი. კირეთწოდებული ქართველი ებრაელები კი, თვის მხრივ გვევლინებიან აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საყრდენად. აკი სწორედ ნაციონალობით ებრაელები – ელოზს მცხეთული და ლონგიოზ კარსენელი ას. წ. I ს. გახდნენ პირველმოქცეულები ახალ მონოთეისტურ რელიგიაზე.

IV სს. განსაკუთრებულ პერიოდს წარმოადგენს საქართველოს ისტორიისათვის. ეს არის პერიოდი, როდესაც ქართული სახელმწიფო-ებრიობის ისტორიაში ადგილი აქვს წარმართულიდან ქრისტიანულ სახელმწიფოზე გადასვლის უმნიშვნელოვანეს პროცესს. მთელი ამ საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა ბროლია ორ მოძღვრებას – ქრისტიანობასა და წარმართობას შორის, რომელიც საბოლოოდ ქრისტიანობის დიდი გამარჯვებით დასრულდა. წარმართულმა სახელმწიფომ ადგილი ქრისტიანულს დაუთმო. მეცე მირიანის დროს ქრისტიანობა ქართლში საბოლოოდ დამგვიდრდა როგორც გამარჯვებული რელიგია. მეცე მირიანს, რადა თქმა უნდა, ჰყავდა გარკვეული რაოდენობა ქრისტიანი მოსახლეობისა, რომელიც ჩვენი აზრით, რელიგიური რეფორმის გატარებისას მის საყრდენ ძალას წარმოადგენდა. აღნიშნული პროცედურის კვლევისას მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს არქეოლოგიური მასალის შესწავლა და მისი ისტორიულ კონტექსტში ჩასმა.

წყაროებში დაცულ ცნობებს ქართლის ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდანვე ქრისტიანიზაციის შესახებ ეხმაურება აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ადრექტისტიანული სამლოცველოებისა და ტაძრების დამადასტურებული მასალა, რაც განსაკუთრებით ღირებულია ჩვენთვის, რადგან ადრეული ტაძრები ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებადე პერიოდით თარიღდება.² აღ-

² ნიშანდობლივია, რომ ქართული ხუროთმოძღვრების საწყისი და მისი განვითარება გ. ჩუბინაშვილის მიხედვით, მიმდინარეობდა ერთიან, უწყვეტ ჯაჭვად. მის მიერ შემუშავებული სისტემა „ევლეუციური თეორიის“ სახელით გვხვდება ლიტერატურაში, რომლის მიხედვითაც, ადრეული პერიოდისათვის მკაცრადაა განსაზღვრული ქრისტიანული არქიტექტურის დასაწყისის წანამდგრები. ქართული ხუროთმოძღვრება რიგი მიზეზებისდა გამო იძულებული იყო 30

სანიშნავია ის გარემოება, რომ ქართველ მკვლევართა შორის დღესაც მიმდინარეობს დღემდე არსებული ამა თუ იმ ტაძრების აგების გადა- თარიღების არცოუ უსაფუფლო მცდელობები.

აღნიშნული ფაქტის ნათელ დადასტურებად შეიძლება ჩაითვა- ლოს ნასტარისის არქეოლოგიური ექსპლიციის მიერ ნასტარისის ველზე მდ. მტკვრისა და მდ. ქსნის მარცხნა ნაპირზე 1971-1974 წწ. ანტიკური და აღრე შეასაუგნებების კრცელი დასახლების (ნაქალაქარის) გათხრა, რომლის შედეგადაც აღმოჩენილი იქნა „საცხოვრებელი ნაგებობები ჩა- შენებული სათავსოებით, რომლებიც თავიანთი მშვენივრად გამოკვეთი- ლი, მორკალული აბსიდებით ეკლესიებს წარმოადგენდა. სულ გაითხა- რა სამი ასეთი კომპლექსი. ეკლესიად მიჩნეულ ნაგებობებს თან ახლდა სხვადასხვა ზომის სათავსოები, მათ შორის დიდი საცხოვრებელი დარ- ბაზი, რომელთა ფართი 130-230 კვადრატულ მეტრს შორის მერყეობს“. ნაგებობის დამხმარე სათავსოებიდან შემორჩა აბანოს ნაშთები, რომე- ლიც ცორმით, კონსტრუქციით და სამშენებლო მასალით საქმაოდ გან- სხვავდებოდა ანტიკური ხანის აბანოსაგან. საცხოვრებელი ნაგებობანი

თითქმის ცარიელი ადგილიდან, ყოველგვარი საწყისი მოდელის გარეშე თავად განევითარებინა საკულტო ხუროთმოძღვრება, რის შედეგადაც ქართული ქრისტიანული არქიტექტურის თვითმყოფადობა იქცა [8.3 და შემდეგ].

როგორც გ. ყიფიანი აღნიშნავს, ქართული ქრისტიანული არქიტექტურა, მიუხედავად იმისა, რომ ანტიკური ხანიდან მოკიდებული, განვითარების უწყვეტი გზის არსებობის შედეგად არსებობს, მაინც ემორჩილება ახალი რელიგიის მიერ დაკანონებულ ნორმებს, თითქმის მთლიანად ინარჩუნებს კოლხეთისა და იბერიის საკულტო ნაგებობებისათვის დამახასიათებელ სივრცობრივ კონცეფციას... ცალკეა აღსანიშნავი არმაზციხის ექვსაფსიდიანი ტაძარი (III-IV სს.), როგორც მრავალ სხვადასხვა მემკვიდრეობათა გამაერთიანებელი და შესაძლოა მოდელიც მოგვიანო ამავე გეგმარებითი სქემის ქართული ეკლესიებისათვის (გოგიუბა, ბოჭორმა, კიალმის ალთი, კაცხი, კუმურდო, ნიკორწმინდა) [9.75- 77].

წარმოადგენდა დიდი ოჯახისათვის განკუთვნილ შენობებს, რომლებშიც რამდენიმე ათეული სული ცხოვრობდა. საცხოვრებელი ნაგებობები თავისი ელექტრიკით III ს. II ნახევრით თარიღდება. არქეოლოგთა აზრით, განათხარი მასალა აშეარად მიუთითებს ნასტაკისის ველზე ქრისტიანთა არსებობის ფაქტს ქრისტიანობის სახელმწიფო ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდე [10.93-94].

აღმოსავალეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ადრეული ქრისტიანული ტაძრების შესახებ მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის, აგრეთვე, ნახტავისის სამნავიანი ბაზილიკა, რომელიც, როგორც ჩანს, ანტიური ბაზილიკა იყო და მოგვიანებით ელექტრიდ გადაეთდა. რისი თქმის საფუტელსაც აღმოსავლეთ კედლის სტრუქტურაში შემორჩენილი თავდაპირველი ნაგებობის კვალის არსებობა იძლევა. ა. ბოხოჩაძე, რომელმაც აღნიშნული ნაგებობა გათხარა მას წარმართული საფეხურებიანი საკურთხევლის ნაშთად მითნავს, რომელზეც შემდგა სამნავიანი ბაზილიკა დაშენდა. იგი აღნიშნულ ძეგლს ას. წ. V-VI სს. ათარიღებს [11.43].

გ. ყიფაზინი, რომელმაც დაწვრილებით შეისწავლა აღნიშნული სამნავიანი ბაზილიკა მას III-IV სს. ძეგლად თვდის, რისი მტკიცების საფუტელსაც გარდა წმინდა ხელოვნების ელექტრიციებისა (საკურთხეველი ჩრდილოეთ აფსიდში და არა ცენტრალურში. ის ფაქტი, რომ მხოლოდ უადრეს, III-IV სს. ძეგლებს ახასიათებს ვიწრი სივრცეში საკურთხევლების აღმართვა, რასაც იმ დროისათვის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ლიტურგია ითვალისწინებდა) ისტორიული ფაქტების მოშევლიერაც ადასტურებს. კერძოდ, რომ „წარმართული ბაზილიკას ეპლესიად ათვისება გაცილებით ადრე მოხდა, შესაძლოა საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდეგ; ძალიან მხელია წარმოდგეხა იმისა, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდგომ ერთ-ერთ საქალაქო ცენტრში და თანაც დედაქალაქის (მცხეთის) სიახლოეს ალიზის ეკლესია აგებულიყო. IV საუკუნიდან ეკლესიათა მშენებლება საქართველოში სამეცნ პრეროგატივაა და ეს საისტორიო წყაროებიდანაც კარგად ჩანს. გარდა ამისა, ქრისტიანული ეკლესიების მშენებლობის დასაწყის ეტაპზე, როცა ეს პროცესი უშალოდ ხელისუფლების კონტროლს ექვემდებარება, ხდება აღორძინება წყობათა ანტიკური სახებისა და ეკლესიის ქვის ეკდლები სხვა სიმბოლურ დანიშნულებას იქნეს“. მკვლევარის თვალსაზრისით, ნახტავისში გვერდიგვერდ არსებობდა მცირე დარბაზული და საკმაოდ მოხრდილი სამნავიანი ბაზილიკა. ეკლესიათა ზომების გამპირობებელია კი კონკრეტული რეგიონის და უპის მოთხოვნები, მრევლის რაოდენობა... მიაჩნიათ [9.109], რასაც წაროების ანალიზის საფუტელზე და რელიგიის იტორიდან გამომდინარე, ჩვენც ვეთანხმებით.

ამრიგად, კვლევის შედეგად შეგვიძლია დაგასკვნათ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე I-IV სს. ქრისტიანობა საკმაოდ გატრცელებულ რელიგიას წარმოადგენდა და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისათვის საფუტელზე დაგენერირდა შემზადებული

იყო. ეგრეთწოდებული ქართველი ებრაელები კი, თავის მხრივ, ბვევ-ლინებიან აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საყრდენად. არქოლოგიური მასალის საფუძველზე დაინდება, რომ აღნიშნულ პერიოდში ქართლში უკვე არსებობდა პირველი (ადრეული) ქრისტიანული სამლოცველოები და ტაძრები, იყო ახალი მონოთეისტური რელიგიის მიმდევრების გარკვეული რაოდენობა, რომლებიც ჩვენი აზრით, მირიან მეფის მიერ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ერთ-ერთ საყრდენ ძალად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს აღ. გამყრელიძემ და ს. ყაუხებიშვილმა, I, თბ., 1961.
2. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხებიშვილმა, III, თბ., 1936.
3. გეორგიკა, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხებიშვილმა, IV, ნაკვ. I, თბ., 1941.
4. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხებიშვილის მიერ, I, თბ., 1955.
5. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1979.
6. ჯანაშია ს., შრომები, V, თბ., 1987.
7. ფირჩხაძე მ., ქრისტიანობის გავრცელების ისტორია დასავლეთ საქართველოსში (I-IX სს.), დისერტაცია წარმოდგენილი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხამეცნიერო ხარისხის მოსამავლებლად, თბ., 2002.
8. ჭუბინაშვილი გ. ნ., К вопросу о начальных формах, ВИИ, т. I, Тб., 1970.
9. ფიფიანი გ., ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების სათავე ებთან, ქრისტიანული არქეოლოგიის V კონფერენცია, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ., 2001, გვ. 75-77.
10. ბოხочაძე ალ., ნასტაკისი, სარკინე, დალისი – города Иберии античной эпохи (Некоторые результаты полевых исследований), КСИА, 151.
11. ბოხოჩაძე ალ., ნასტაკისის ველზე გათხრილი ადრექტისტიანული ხანის ეკლესია, მმ, 63, 1983.

MARIKA MSHVILDADZE FROM PAGANISM TO CHRISTIANITY

The existing written resources about the spreading of Christianity in Kartli are studied in this work. They confirm the fact of spreading of Christianity in Kartli from the very first century. Archeological materials confirming the early Christian temples existing on the mentioned territory are analyzed. As a result of the research it is ascertained, that on the territory of Eastern Georgia in the I-IV centuries Christianity appeared to be rather spread religion, in the mentioned period the first (early) Christian temples already existed in Kartli and there was a certain amount of the followers of a new monotheistic religion, who could be counted as one of the support strength for king Mirian in announcing the Christianity to be a state religion.

098 ბაზრატიონი

“ქართული ქრისტიანობის” ეროვნული ნიშნების საკითხების

შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანული რელიგიური რწმენა ქართველის ბუნებაში ორგანულად შეერწყა ეროვნული ტრადიციებისა და თავისი შვილებისადმი სიყვარულს, სიცოცხლისადმი სწრაფვასა და მშობლიური მიწისადმი თავდადებას და ამიტომაც მიესადაგება იგი ქართველი კაცის ბუნებას. “სხვაგვარად არ შეიძლება აიხსნას მისი ერთგულება ქრისტიანობისადმი როგორც რელიგიისადმი, რადგან ქართველი მორწმუნებული ფანატიკოსი არასოდეს არ ყოფილა” (ქიქოძე, 1985:147). ქართველი თავისი ბუნებით დადასა, იგი უფრო წარმართია, როცა მზის, მიწის, სიცოცხლის წყურვილს თავდაგიწყებით მიეღოვის, ხოლო ქრისტიანია მაშინ, როცა თავისი ცხოვრების წესს ქრისტებს მცნებაში ასახულ ზნეობრივ ნორმებში მოაქცევს; ქრისტიანული მორალი მის ზნეობრივ სახეს აკმაყიფილებს. ამიტომაც “ქართული ქრისტიანობისთვის” უცხოა მისტიკურობა, ფანატიზმი, ასკეტურობა და შავი სამდველოება. ადნიშნული განასხვავებს მას ევროპული ქრისტიანობისგან.

ევროპაშიც განასხვავებენ ადმოსავლურ და დასავლურ ქრისტიანობას. “ქრისტიანობის მთელი სული მოქმედებაშია” (ოვსიანიკოვი, 1997:104). კლ. სილოვანის აზრით, ადმოსავლები ქრისტიანი ლოცულობს, დასავლები ქრისტიანი ლოცულობს და მოქმედებს. ქრისტებ თავისი ხილული ქვეყანა იმიტომ კი არ შექმნა, რომ ცა ეჭვრიტაო, არამედ იმიტომ რომ ადამიანებს მიწაზე ეშრომათ და ებრძოლათ ჯოჯოხეთის კარზე” (გაიდენქო, 1998:97). ანუ ბიზანტიური მართლმადიდებლური ეკლესიის დაცემის მიზნზად გარე სამყაროსთან მისი პასიური დამოკიდებულება სახელდება, რაც უცხოა ქართული ქრისტიანობისათვის.

“ქართული ქრისტიანობის” ცნების შინაარსის თავისებურების გამოკვეთა რელიგიურ რიტუალებში ქართული ენის გამოყენებამ შეძლო. ჯერ კიდევ X საუკუნეში გიორგი მერჩულემ ადნიშნა ენის ფაქტორის მნიშვნელობა: საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ლოცვა ქართულ ენაზე სრულდება. გარდა ამისა, “ქართული ქრისტიანობის” ცნების შინაარსის თავისთავადობა განპირიბებულია ქართულ წარმართულ რელიგიურ პანთეონთან და საერთოდ წარმართულ კულტურასთან ქრისტიანული რწმენის დამოკიდებულების სპეციფიკით. შეიძლება ითქვას, რომ ეროვნულობის ნიშანმაც გადაწონა აღდათ ქართველი კაცის შეგნებაში, როცა იგი ვერ შეელია თავის საკუთარს, თეორი გიორგის კულტს და იგი წმ. გიორგის კულტს შეურწყა და მასში გაანიჭოთა.

“ქართული ქრისტიანობა” უფრო მდიდარი შინაარსის მომცველი ცნებაა, გიდრე ზოგადად “ქრისტიანობა” და გამოყოფილია ამ უქანას-

ქნელისგან ეროვნული ნიშნით. კორნელი კეკელიძე პირველი მიუთიოთებს „ქართული ქრისტიანობის“ ცნების საეციფიკაზე და აღნიშნავს მის შემდეგ ძირითად თავისტებურებებს:

1. საეკლესიო ცხოვრების ნაციონალიზაცია – სახელმწიფოებრიობის განვითარებისთვის ბრძოლა;

2. ეროვნულ წმინდანთა კულტის დანერგვა; წმ. გიორგის კულტის განვითარება;

3. ეროვნული კალენდრის შექმნა;

4. საეკლესიო მწერლობის ეროვნული ხასიათი, ბიბლიის გადმოდება, საკულტო წიგნების მოდიფიკაცია;

5. საქართველოს დათისმშობლის „წილხვდომობის“ იდეის დანერგვა;

6. დაგით აღმაშენებლისა და თამარ მეფის კულტი;

7. ქართული ქრისტიანობის ტოლერანტობის ბუნება (კეკელიძე, 1970:284).

განსაკუთრებული აღნიშნის ღირსია ტოლერანტობის ნიშანი: ქართველ ქრისტიან მორწმუნებს, საკუთარი სჯულის გაცნობიერების მიუხედავად, არასოდეს არ გასჭირებების საიცარი ტოლერანტობა გამოეჩნია სხვა რელიგიის მატარებელი ხალხისათვის. იგი ცეცხლითა და მახვილით ეგვიპტოდა ოურქ-სკლეპებს, საარსებრა და არაბებს, მაგრამ შემწყუნარებლობას იჩენდა მათ მიმართ ამ ხალხების რჯულის გამოვლენის კონკრეტული შემთხვევის დროს მშვიდობიანობის ქამს: თავის ეკლესიის გვერდით ადგილს უთმობდა შეჩერსა და სინაგოგას და ამთ პატივს სცემდა მის მიწა-წყალზე შეხინული ხალხის რწმენას. მსგავსი თვისება უჩვეულოა ევროპული ქრისტიანობისთვის. გავიხსენოთ საშინელი ომი კათოლიკობასა და მართლმადიდებლობას შორის შეკარგულებში ან თვით კათოლიკობას შორის მმათა ომი ჰუგინიტებსა და პრიტეტანტებს შორის. ქართული ეკლესია ინდივიდუალური იყო განწყობილი კათოლიკობისადმი. კათოლიკე მისიონერების საქმიანობა მას ხელს არ უშლიდა. საქართველოს ისტორიაში მართლმადიდებლური საქართველოს კეთილგანწყობის ბევრი შემთხვევა იცის კათოლიკური ქვეყნებისადმი. გავიხსენოთ ოუნდაც ის ფაქტი, რომ რესუსტან მეფემ დახმარება სთხოვა პაპს გრიგოლ IX-ს მონღოლთა წინააღმდეგ საბრძოლველად და სანაცვლოდ ქართული ეკლესიის რომის ეკლესიასთან შეერთებას დაპირდა (ამ შემთხვევაში ეროვნული ინტერესები უფრო მაღლა დადგა სარწმუნოებრივ დამოუკიდებლობაზე). ასე რომ, ქართველი ხალხის რჯულთშემწყნარებლობა რელიგიური დოგმებისადმი ზერელე დამოკიდებულებით კი არ აისხება, არამედ მისი ისტორიული ძნელბედობით: უცხო რელიგიურ გარემოცვაში მყოფი ქართველი ხალხი მეზობლებთან ყოველთვის სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე თანამშრომლობდა.

ამდენად, „ქართული ქრისტიანობის“ ცნება დამკვიდრებულია სამეცნიერო ლიტერატურაში და განისაზღვრება ზემოთ აღნიშნული თვისებებით.

Irma Bagrationi (Batumi)
For the Issue of the National Symbols of “Georgian Christianity”

Abstract

The present scientific paper outlines that Symbolism of “Georgian Christianity” invests objects or actions with an inner meaning expressing Christian ideas. Today, much cultural symbolism reflects a mythologized interpretation of tradition that is influenced by self-perception as belonging to European, Christian contemporary society. Mythical symbols include the Golden Fleece of the Greek myth of the Argonauts' journey to Colchis and the mythical ancestor of Georgians, Kartlos. Other important mythical figures include Saint George, and Amirani, a noble hero analogous to Prometheus.

The numbers seven and nine have symbolic meaning, as does the number three, which reflects the Trinity. The snow leopard and lion symbolize noble valor and vigor. The vine symbolizes fertility and the Dionysian spirit, and dominates medieval architectural ornamentation. A very important ornamental symbol is the fire-wheel swastika, a solar symbol traditionally used as an architectural ornament and in wood carving as well as on the passport and currency. The Cross plays an equally significant role. The hymn "Thou Art the True Vine" is the most important sacred song. National symbols often refer to language, motherland (national territory) and Christian Orthodoxy. The ideas of loyalty to kin, honor, and hospitality are held in high esteem. The characteristic metaphor is that of a mother. Other metaphors are linked to the sun, which is interpreted as a source of beauty and light, brotherhood, supreme loyalty and victory.

ლიტერატურა:

1. გვალიძე კ., მველი ქართული ლიტერატურის ისტორია, მველი მწერლობა, რედაქტორი: ალ. ბარამიძე, თბილისი, “საბჭოთა საქართველო”, 1970.

2. ქიქოძე გ., წერილები, ესეები, ნარკვევები, თბილისი, “მერანი”, 1985.

3. Гайденко П. П., Искушений диалектикой: пантеистические и гностические мотивы у Владимира Соловьёва // Вопросы философии, № 4, Москва, 1998.

4. Овсянников М. Ф., Эстетическая концепция Фридриха Шеллинга и немецкий романтизм // Шеллинг Ф. В., Философия искусства, Москва, “Мысль”, 1997.

იმპრევის ხანძთა

ხანძთის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით ქართველ მეცნიერთა შორის დღემდე არ არსებობს ერთიანი აზრი. სამწუხაროდ, კლარჯეთის იმ ნაწილში, სადაც გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების” მიხედვით ხანძთაა საგულვებელი, ასეთი ტოპონიმი აღარ დასტურდება. სამაგიეროდ, გეოგრაფიული სახელი „ხანძთა” გვხვდება სხვაგან, შავშეთში, კერძოდ, იმერხევში, კლარჯეთის ზემოხსენებული სექტორიდან პირდაპირი ხაზით დაახლოებით ოცი-ოცდაათი კილომეტრის დაშორებით, სოფელ უბის თავზე. ამ გარემოებას ჯერ კიდევ ნიკო მარმა მიაქცია ყურადღება. პირველად სწორედ მან აღნიშნა, რომ სოფელ დიობიდან უბისკენ გადასასვლელზე არის ადგილი, რომელსაც ადგილობრივები ხანძთას ან ხანსთას უწოდებენ. რაიმე ნაგებობის კვალი მარმა აქ ვერ აღმოაჩინა სამაგიეროდ, მახლობელ სოფლებში – დაბასა და უბეში რამდენიმე ეკლესიის, შესაძლოა მონასტრისაც, ნაშთებს მიაგნო. (ჯაფარიძე 1996: 108-109)

შუშანა ფუტკარაძემ, რომელმაც თანამედროვე მკვლევართაგან პირველმა ნახა იმერხევის ხანძთა, სავსებით სამართლიანად მიუთითა, რომ ხანძთისა და შატბერდის ადგილმდებარეობის მკაფიობრივი ეს ფაქტი უნდა გაითვალისწინოს. ამასთან, ფრთხილად გამოოქვა ვარაუდი, რომ „იქნებ დღევანდელი ჭალა (ხანძთის – მ. ჩ.) არის ის დავაკება, სადაც პირველად ააშენეს ხანძთის ხის სენაკები და ხის ეკლესია, შემდეგ კი დიდი ტაძარი“. (ფუტკარაძე 1991: 189)

როლანდ თოფჩიშვილის აზრით „ხანძთის მონასტრები იქ იყო, სადაც ტოპონიმი „ხანძთაა“. არქიტექტურულმა ძეგლმა უბრალოდ ჩვენამდე ვერ მოაღწია. აქ ხომ სხვა არაერთი ეკლესია და ტაძარი მოისცო“ (თოფჩიშვილი 2010)

იმერხევის ხანძთაში (უბის ხანძთაში//უბურ ხანძთაში – ადგილობრივები ზოგჯერ გამოთქვამენ: ხანძთა//ხანსთა//ხოსტა) რომ ახვიდე, სოფელ უბიდან უნდა გაჲვევ მთის გზას. უბეში ასვლა ორი გზით შეიძლება: ერთი სვირევანის გავლით, მეორე ხევწრულიდან, ზაქიეთისა და დაბის გზით. ქალაქ შავშათიდან ხანძთა 52 კილომეტრითაა დაშორებული, უბიდან – 17 კილომეტრით. გზად უნდა გაიარო სათავე, სადაც ზაფხულობით იმერხევის ყველაზე მასშტაბური ფესტივალი იმართება. აქ, ხან-

ძთამდე შვიდიოდე კილომეტრის დაშორებით, გზა ორად იყოფა – მარჯვნივ – დიობნისკენ, მარცხნივ – ხანძთისკენ.

როგორც ითქვა, ხანძთა იმერხევის სოფელ უბის ნაწილია. უბე შავშეთის იმ სოფელთაგანია, რომელშიც დღემდე ისმის ქართული ენა. სოფლის ტოპონიმიკა ძირითადად ქართულია: აზრათი, ბუხრუკანი, გალიძეკარი, გზაგაყრილა, დევაძეგბისწყალი, დიდწისქვილები, ენდროყანა, ვირიგაჯრილა, კარეთი, კარწინათი, ლამაზულერები, ნაქოხრავი, პეტრივლი, სამღერელი, სამზიარი და მრავალი სხვა (ცეცხლაძე 2004: 161).

ხანძთა წარმოადგენს სათიბს და სათიბის თავზე წამომართულ გორაკს. ადგილობრივები საუბრობენ ამ გორაკზე არსებულ ნაგებობათა ნაშთებზე თუ ნაგებობათაგან გადარჩენილი ქვების ფრაგმენტებზე. ზოგმა შეიძლება გაჩვენოს პატარა ტაფობი გორაკის შეაში, სადაც თითქოს („დედექების თქმით“) ქილისე ყოფილა. მიწის ზედაპირზე არაფერი ჩანს. თითქმის მთელი გორაკი ტყითად დაფარული. ამდენად, ზემოხსენებული ფრაგმენტები და ნაშთები უფრო აქაურთა მეხსიერების კუნჭულში არსებობს და მათი მოძებნა ძნელია, თუ შეუძლებელია არა.

გორაკის მწვერვალიდან მიჯრით მიწუობილი მთების პანორამა განუშეორებელ შთაბეჭდილებას ახდენს. თუ აქ ოდეხეგ ყოფილა რაიმე ნაგებობა, მისი ამშენებლის გემოვნებას წუნიარ დაედება. მწვერვალი ზღვის დონიდან დაახლოებით 2350-2400 მეტრია. გორაკისძირა სათიბი – 2200 მეტრი.

„თამარა დოლოფალს“ უბეშიც ახსენებენ. ადგილობრივი მცხოვრებლები არ გამორიცხავენ უწინ აქ ეპლესის არსებობას, თუმცა დღეს რაიმე ნაგებობათა კვალის პოვნა შეუძლებელია. უკანასკნელ პერიოდში გახშირებული კონტაქტების წყალობით, გრიგოლ ხანძთელის შესახებაც სმენიათ და თუ კარგად ჩაეძიები, შეიძლება ძველი ისტორიის თანამედროვე ინტერპრეტაციაც მოისმინო. მაგალითად, უბელი ალი ქებაძე ძველებისგან უურმოერულს თუ უკანასკნელ წლებში მოსმენილ-გაგონილს შემდგენაირად ალაგებს (მომყავს სიტყვა-სიტყვით): „ოთხას წელიწად წინ ქრისტიანი იყო აქევრობა... ოთხასი წლის... იმა უკან მუსლიმანი გავხდით; იმ თერევ მიეკრნენ... იმათაც ეწყინენ, ჰამა...“

გრიგორი ხანძთელი, პროფესორ, იქიდამ ქი გამოქცეულა აქა, თალღები უკითხვებია, ქილისა გუშაგოებია... სელჩუკი თურქები გუშწუხებიან და თექრენ იქ წასულა.

სელქუქ-თურქები მუსლიმანობა ემე იჯებოდენ, იქიდან გამოქვეულა, სერბებსად აქ ვიკითხოვთ კოლი, ქილისა გუპეტობია. მემრენ იქზ სენე იუზ ელლი სენე ყალმიშ ჰანე... ას წელიწად იმაუკან კიდო წასულა იქა. ი ქილისაც დანგრევლა, დაფლატულა, ჰამა, იმათვინ, ქართველებისთვინ ეს აღგილები ემედ არი, იციან, იციან... წმინდა, ჰო!”

მოხუცი უძელის ნაამბობი სხვათა შორის ჩაგურთე აქ, კეთილი, თბილი და ამავე დროს სიმწრის დიმილისათვის. ისე, იმერხევის ამ უბანში გრიგოლ ხანძთელისული ხანძთის არსებობა მნელი წარმოსადგენია რამდენიმე მიზეზის გამო. მიზეზთაგან უმთავრესი ისაა, რომ ეს შესაძლებლობა სავსებით ეწინააღმდეგება გიორგი მერჩულესეულ ცნობებს, მეტადრე მეფე-მთავრებისა და ბერების მოგზაურობის ისტორიას – იმერხევის ხანძთა ვერაფრით ვერ თავსდება მოგზაურობის მარშრუტში. არც გარემო პირობები ემთხვევა მერჩულებს თხზულებაში აღწერილს.

როგორც ცნობილია, კლარჯეთის სავანეთა განლაგების შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული სწორედ გიორგი მერჩულეს ძეგლში. აქ აღწერილია, თუ როგორ იმოგზაურეს კლარჯეთის ოორმეტ სავანეთა მხარეში IX საუკუნის 30-იან წლებში მეფე-კურაბალატმა ბაგრატმა და მისმა მმებმა გრიგოლ ხანძთელისა და სხვა სასულიერო პირების თანხლებით. კერძოდ, მოგზაურები წამოსულან არტანუჯიდან და პირველად მისულან შატბერდში, შემდეგ მოუხილავთ ჯმერე, ბერით და დაბა (იგულისხმება კლარჯეთში და არა იმერხევში მდებარე სოფელი დაბა – მ.ჩ.). მერჩულე წერს: „და მოიწინეს ჯმერეს და ბერთას წმიდისა დმრთისმშობლისა ეკლესიათა, და დაბას, წმიდისა მოწამის გიორგის ეკლესიასა”.

ბერთადან მოგზაურები გადასულან ოპიზაში, შემდეგ ხანძთაში, რომელიც, როგორც წარმოღვენილი მარშრუტიდან ჩანს, ერთი მხრივ ოპიზას ესაზღვრებოდა, მეორე მხრით – მიძნაძორს. ამის შემდეგ კი მოუხილავთ მიძნაძორი, წყაროსთავი და ბართელთა: „ხლოო სელმწიფეთა მათ მოილოცნეს მიძნაძორო, წყაროისთავი და ბარეთელთა და ადგილნი მათნი და მუნცა მისცეს შესაწირავი და მიიღეს მადლი წმიდათა მათ ეკლესიათაგან და ნეტართა მამათა ლირსთა და წმიდათა მოღვა-წეთაგან.”

როგორც ვხედავთ, ამ აღწერილობის მიხედვით არაბუნებრივი ჩანს, მოგზაურები ოპიზიდან გადასულიყვნენ იმერხევის ხანძთაში, შემდეგ მიძნაძორსა და წყაროსთავში. თუ გავითვა-

ლისწინებთ ამ ძეგლების განლაგებას, მარშრუტის ასეთი თან-
მიმდევრობა არაბუნებრივი ჩანს.

რაც შეეხება გარემო პირობებს, მერჩულეს მიხედვით,
ხანძთა ფიცხელ კლდეებზეა აგებული. ამასთან, როგორც გრი-
გოლ ხანძთელმა აშოგ კურაპალატთან საუბრისას დაიჩივლა,
ხანძთის სავანესთან „სათესი ყანაი და სათიბელი ქუქანაი რა-
ითურთ არა არს რაცა იქმნების დირდოლოვენთა მათ ფიცხელ-
თა მწუერვალთა მათ დაღოსაითა“. იმერხევის ხანძთის მახლო-
ბელ მიდამოებში კი „სათიბელი ქუქნის“ უკმარისობა არ იგ-
რძნობა.

მაშინ საიდან გაჩნდა გეოგრაფიული სახელი ხანძთა
იმერხევში? ამის თაობაზე მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შე-
იძლება.

1. შესაძლოა ქამთა ავბედობის გამო ოდესდაც სწორედ
ხანძთიდან ამ ადგილებში გამოქცეულ-გადმოსახლებულმა
ხალხმა წამოიდო ხსოვნა ძელი საბინადრო ადგილის შესახებ
და ახალ საცხოვრებელსაც ხანძთა უწოდა.

2. შესაძლებელია ეს ტერიტორია იყოს ხანძთის სახნავ-სა-
თესად შეწირული ერთ-ერთი ადგილი. „გრიგოლ ხანძთელის
ცხოვრებაში“ გარკვევით წერია, რომ აშოგს არა მხოლოდ
შატბერდი შეუწირავს: „შეწირნა ადგილი კეთილნი და შატ-
ბერდისა ადგილი აგარაკად ხანძთისა“ ანუ, კარგი მიწები და
შატბერდი, ე. ისიც უბობა და ისიცო. უბის ხანძთა, ანუ რო-
გორც ადგილობრივები უწოდებენ, უბური ხანძთაც მთაშია,
მაგრამ აქ უფრო მოიძებნება სახნავ-სათესად თუ სათიბად გა-
მოსადეგი ადგილები. მართალია, მთლად კლარჯეთის ხანძთა-
ზე მიკრული არაა, მაგრამ არც იმდენად შორსაა, ბერებს რომ
გაჭირვებოდათ მისით სარგებლობა.

მაშასადამე, უბის თავზე მდებარე ტაფობი შესაძლე-
ბელია იყოს ხანძთის ერთ-ერთი აგარაკი, სახნავ-სათესი და სა-
თიბი მიწა, რომელსაც მფლობელი მონაცემის შესაბამისად იმ-
თავითვე დაუმკვიდრდა სახელი „ხანძთა“.

3. კიდევ ერთი ვარაუდი იმერხევში ტოპონიმ ხანძთის გა-
ჩნისა ამ სიტყვის ეტიმოლოგიას უკავშირდება. კერძოდ, მამია
ფალაგა „ხანძთას“ შემდგენაირად განმარტავს:

„ხანძ-თა”ში გამოიყოფა **ხანძ** მირული მასალა და ო(ა)
მრავლობითის სუფიქსი. იგივე მირი დასტურდება **ხანძარ**”ში.

აჭარულ დიალექტში შ. ნიუარაძე ადასტურებს შესანძვას
– გადახარშვის, გადახრაკვის, ზედმეტად მოხარშვის მნიშვნელ-

დობით. „ცოტა გამუნელე ცეცხლი, ცავ, არ შეიხანოს შეჭა-
მაჩდმა”.
ჩანს, **ხანძ** ძირი ანალოგიური მნიშვნელობით იხმარებოდა
სხვა სამხრულ კილოებშიც.

შეხანძვა’სთან ერთად იხმარება დახანძვა, ხანძვა... მისი
ძირითადი მნიშვნელობაა დახრაკვა, ჩახრაკვა, ჩაწვა. იტყვიან
„ჩეიხანა საჭმელიო”, ან კურაღბია (გვალვები) და „მიწა დეი-
სანძაო”.

დახანძვა, შეხანძვას ეძახიან მზის სიმხურვალით მიწის
ზედაპირის ოუ ხეხილის ნაყოფის შეხრაკვასაც: ხანგრძლივ
სიცხეებს რომ დაიქერს, ქვეყანა „გედეიხანძვის”. (ფადავა 2007:
149)

მაშასადამე, შეიძლება დაგუშვათ, რომ ხანძთა ტოპონი-
მად ქცეული საზოგადო სახელია, რომელიც რაღაც კონკრეტუ-
ლი საერთო ნიშნის გამო რამდენიმე ადგილს ერქვა. მსგავსი
შემთხვევები არაერთგზის დასტურდება საქართველოში. მაგა-
ლითად, „აგარა” სულხან-საბას განმარტებით არის „სადგური
საზაფხულო”, „აგარაკი” – „ადგილი საყანური, გინა სავენახე,
გინა დაბა”, - შესაბამისად, საქართველოში რამდენიმე აგარა. „ხერთვისი” - „ხევთშესაყარია”, შესაბამისად, საქართველოში
არაერთი ხერთვისია. დაბა დასახლებულ პუნქტს, სოფელს,
„მომცრო ქალაქს” ნიშნავს და შესაბამისად საქართველოში
მრავალი დაბა... უბის ზემოხსენებული ტაფობიც მზისგულზეა,
შესაბამისად, შესაძლოა მზისგულზე მდგბარე მთას აღნიშნავ-
დეს და ორ ადგილას (კლარჯეთსა და შავშეთში) ეს ტოპონიმი
ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გაჩნდა.

შესაძლოა ტოპონიმი „ხანძთა” კიდევ რამდენიმე ადგი-
ლას არსებობდა. ამასთან დაკავშირებითაც არის გარკვეული
მოსაზრებები. მეტიც, უკანასკნელ ხანებში, 2011 წლის ზაფხუ-
ლის ექსპედიციის დროს, კლარჯეთში ადგილობრივთაგან რამ-
დენიმე მოულოდნელი ვერსია მოვისმინეთ, რომელთა გადამოწ-
მების საშუალება ალბათ მომავალში მოგვეცემა. მიუხედავად
ამისა და მიუხედავად აქ გამოთქმული ვარაუდებისა, უნდა ვა-
ლიაროთ, რომ იმერხევის ხანძთა კარგა ხანს ვერ მოიცილებს
იდუმალების ხიბლს და დარჩება ერთ-ერთ გამოცანად შავშეთ-
სა და საზოგადოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.

ლიტერატურა

1. **თოფჩიშვილი 2010:** თოფჩიშვილი რ. ზოგიერთი ქართული ეთნოგრაფიული რეალია შავშეთში, კლარჯეთსა და ტაოში, <http://www.archives-adjara.com/pdf/samxreti.pdf>
2. **ფალავა 2007:** ფალავა მ., ხანძთისა და შატბერდის ლობალიზაციისათვის, ქურ. მნათობი, №1, თბილისი.
3. **ფუტკარაძე 1991:** ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, ბათუმი.
4. **ცეცხლაძე 2004:** ცეცხლაძე ნ., ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმიდან, ბათუმი.
5. **ჯაფარიძე 1996:** ჯაფარიძე შ., ნიკო მარის მოგზაურობა შავშეთსა და კლარჯეთში, თბილისი.

МАЛХАЗ ЧОХАРАДЗЕ

Имерхевская Хандзта

резюме

Среди грузинских ученых сегодня нет единого мнения по вопросу о том, где располагалась Хандзта. В той части Кларджети, где по данным произведения Георгия Мерчуле «Жите Гиоргия Хандзтели», можно было бы предполагать её местонахождение, такой топоним не подтверждается. Это географический топоним «хандзта» встречается в другом регионе, в Шавшети, в частности, в Имерхеви, по прямой линии примерно в двадцати – тридцати километрах от вышеуказанного сектора Кларджети. Хандзта является частью села Убе, населенного грузинами.

В работе рассмотрены некоторые взгляды на местонахождение исторической Хандзта и высказаны предположения, связанные с существованием в Шавшети топонима Хандзта.

მეჩეთები ნაეპლუსიარებზე-რელიგიური ვითარება XIX საუკუნის აჭარაში

ოსმალთა ბატონობის დროინდელი აჭარის ისტორიიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აქ ქრისტიანული ეკლესიისა, მისი სალოცავებისადმი ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულობის საკითხი, რადგან პირვენდელი სახით შემორჩენილია მხოლოდ ერთი (სხალთა), და არქეოლოგიურად შესწავლილია სულ რამდენიმე (ხინოს და პეტრას საეპისკოპოსოები, ვერნების, თხილვანის, კალორის, აგარის, საციხეურის...) ეკლესია.

ამ ინტერესს აძლიერებს თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიასა და ზოგიერთი ქართველი მკვლევარის ნაშრომებში გატარებული აზრი იმის შესახებ, რომ ოსმალთა ბატონობის ხანაში, მოსახლეობის გამუსლიმანების მიზნით, იძულებას ადგილი არ ჰქონია. თურქ მკვლევართა მიერ ამ საკითხის ასეთი ასენა არაობიგებურია და ჩვენთვის მიუღებელი, მაგრამ მათი მიზანი გასაგებია. ქართველმა მკვლევარებმა კი არ უნდა გავიმეოროთ ადრე დაშვებული შეცდომა, როცა საბჭოთა რესერთან ურთიერთობის გაფუჭების შიშით საქართველოს რესერთან შეერთება ნებაყოფლობით აქტად გამოვაცხადეთ (ლ.ჩიქოვანი, 2003, 153-164). მეზობელ თურქეთის რესპუბლიკასთან ჩვენს ახლანდელ ქეთილმეზობლობას, ვფიქრობთ, სულაც არ მიაყენებს ჩრდილს წარსულის მოვლენების ობიექტური შეფასება.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია ისტორიული წყაროების, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალების, მოგზაურ-მკვლევართა ჩანაწერების და თვითმხილველთა მონათხრობის ანალიზის საფუძველზე წარმოვადგინოთ XIX საუკუნის აჭარაში შექმნილი რელიგიური ვითარება და ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება ქრისტიანული რელიგიისა და მისი სალოცავებისადმი.

ამჟამად, ქართულ საისტორიო მეცნიერებაში გაზიარებულია ოვალსაზრისი— XVI საუკუნის 60-იანი წლებიდან აჭარაში ოსმალთა გაბატონების შესახებ (ზ.შაშიძაძე, 2002, 151-152). გაბატონებიდან ათი წლის შემდეგ ოსმალთა მიერ აჭარისწყლის ხეობაში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის დავთრების მიხედვით (აჭარის ლიგის..., 2011, 5-21), რომლის მიზანი იყო მო-

სახლეობის სულადობის და შემოსავლების დადგენა აქ გადა-
სახადების დაწესების მიზნით, ხეობაში 94 სოფელია აღრიცხუ-
ლი, რომელთაგან 31 მოსახლეობისაგან დაცლილი იყო, ხოლო
ზოგში მხოლოდ ორ-ორი კომლი იყო დარჩენილი. უნდა ვივა-
რაუდოთ, რომ აჭარისწყლის ხეობის მოსახლეობამ სხვა მხარე-
ების მაგალითზე იცოდა ოსმალთა ბატონობის სიმძიმე, ამიტომ
ერთმა ნაწილმა დატოვა სამკვიდრო ადგილი და თავი შეაფარა
ქვეყნის შედარებით დაცულ მხარეებს. ეს არცაა გასაკირი,
რაღაც ოსმალეთის ეკონომიკის ძლიერება პირდაპირ იყო და-
კავშირებული დაპყრობით ომებთან, აქედან გაჩნდა ისტორიკო-
სებში გამოთქმა „ხმალზე დაყრდნობილი ეკონომიკა“ (აჭარის
ლიკის..., 2011, 5).

XIX საუკუნემდე აჭარაში ოსმალური მმართველობა ნო-
მინალური იყო და ისლამის გავრცელებასაც, განსაკუთრებით
მოსახლეობის დაბალ ფენებში, ფართო ხასიათი არ მიუღია.
ამას თავისი ახსნა აქვს: 1) ვიდრე ოსმალები ფართო დაპყრო-
ბით ომებს ეწეოდნენ, ცდილობდნენ შედარებით ლოიალურად
მოქცეოდნენ დამორჩილებული ქვეყნების მოსახლეობას მათი
წინააღმდეგობის შენელების მიზნით; 2) დაპყრობითი ომები
დიდაბლ სახსრებს მოითხოვდა, ამიტომ მათოვის ამ ეტაპზე
მთავარი იყო რაც შეიძლება მეტი გადასახადების ამოღება; 3)
დაპყრობილ ქვეყნებში და მათ შორის აჭარაში მოსახლეობის
არაერთ გამოსხვლას, აჯანყებას ჰქონდა ადგილი. კერძოდ, აჭა-
რაში აჯანყებები მოხდა 1668, 1685, 1697, 1739-1740, 1770-1781,
1815, 1830, 1845, 1852 წლებში (ვ.იაშვილი, 1948, 103-117), ასევე 1685
წელს ლიგანის ხეობაში, 1690 წელს შავშეთ-იმერებევში, 1697
წელს სამხრეთ საქართველოში (ხ.ახვლევიანი, 1956, 103-117), ყვე-
ლადვერი ეს დამპყრობელს აიძულებდა ფრთხილად ემოქმედა,
მისთვის მოსახერხებელ დროს დალოდებოდა და დაქმაყოფი-
ლებულიყო დიდგვაროვნების გამუსლიმანებით, რომლებზე დაჭ-
რდნობითაც მართავდა დაპყრობილ მხარეებს. ამის პარალელუ-
რად იგი დაშინებით, ფულით, საჩუქრებით, პრივილეგიებით და
სოციალური სტატუსის ამაღლებით დაბალ ფენებშიც ნახუ-
ლობდა საყრდენს. როგორც ჩანს, ეს პროცესი მიმდინარეობდა
წინა ორ საუკუნეში. ამიტომაა, რომ XIX საუკუნეში, ერთი შე-
ხედით, სწრაფი ტემპით განხორციელდა აჭარის მოსახლეობის
გამუსლიმანების პროცესი. თაობების მახსოვრობას შემორჩა ის
სისახტიკე, როგორსაც იჩენდა დამპყრობელი, ხალხზე ზემოქმე-
დების დასახელებულ ფორმებთან ერთად. ზ. ჭიჭინაძეს ქვდის
ხოჯა ახმედ ხალიფაშვილისგან ჩაუწერია: „დგელად ხოჯა ხერ-

ხეულიძე ასე იტყოდა, რომ ნებით არც ერთი მხარე არ გამუსლიმანებულა, სადაც კი გამამადიანებულან, უველგან მაღით მოშედარა.... ნახევარი ზეგანი, ფოცხოვისა და ქვაბლიანისკენ გაწყდა ბრძოლაში, რადგანაც არ თანხმდებოდნენო. დანდალოს აჭარამ მიპარა და აჭარაშიც სისხლი დაიღვარა” (ზ.ჭიჭინაძე, 1907, 16-17). სხვა კიდევ უფრო შემაძრწუნებელი ამბები მოუსმენია ოსმალთა ძალადობის შესახებ ზ.ჭიჭინაძეს მთხოვბელუბისაგან (ზ.ჭიჭინაძე, 1907, 16, 70-71, 73-74, 81). ასე, რომ ძალადობამ და სოციალურ-ეკონომიკურმა ღონისძიებებმა, რაც გამოიხატებოდა რწმენის შეცვლის შემთხვევაში სოციალური სტატუსის შენარჩუნება-ამაღლებაში, უძრავი ქონების მფლობელობის უფლების მინიჭებაში და სახელმწიფო სამსახურით უზრუნველყოფაში, თავისი შედეგი მოუტანა დამპურობელს,— ისლამმა აჭარაშიც მოიკიდა ფეხი, თუმცა შედარებით გვიან. დაბაქრაძე წერს: „ისლამმა ჯერ ლაზისტანში მოიკიდა ფეხი, შემდეგ ჭოროხის ხეობაში, შემდეგ ახალციხის მაზრაში, შემდეგ შეაღწია აჭარაში და ბოლოს დაუფლა ქობულეთს, საიდანაც გავრცელდა კინტრიშის ხეობის აყოლებით. „ხინომ, სადაც ეპისკოპოსი იჯდა, მაჰმადიანობა მიიღო 1780 წლამდე ცოტა ხნით ადრე” (დაბაქრაძე 1987,72). მისივე თქმით, ასე, 30 წლის წინათ აჭარაში თურქულს მხოლოდ ვაჭრობის მიმდევარი ხალხი ლაპარაკობდა, ვისაც თურქეთის ქალაქებში პქონდა საქმე”. მის დროს (1873 წ. ბ.დ) მოსახლეობა მხოლოდ და მხოლოდ ქართველი იყო, ქართული ენა თითქმის დღემდე შეუბრალად შემორჩა,—ამბობს იგი. მაგრამო,—აგრძელებს მკვლევარი, „ამბობენ, რაც დრო გადის, მით უფრო საგრძნობლად სუსტდებაო”(დაბაქრაძე, 1987,40).

იაკობ პროსეკურიაკოვი (1807-1873), რომელმაც ბათუმი 1842 წელს მოინახულა, წერს: „ქრისტიანობა ბათუმში ოსმალთა ძალმომრეობით მოისპო. ძველებური ფერწერით მოხატული ეპლესია კარგადაა შენახული, ხოლო ქართულად მოლაპარაკე ქალაქის მცხოვრებლები მაჰმადიანები არიან, მაგრამ მაინც უფრთხილდებიან და კითხულობენ საღვთო წიგნებს. ზოგიერთ სახლში ხატებიც კი აქვთ, როგორც სახსოვარი იმისა, რომ წინაპრები ქრისტიანები იყვნენ” (ИКОИРГО, Т .1906,3). ვფიქრობთ, საინტერესო ინფორმაციაა XIX საუკუნის 40-იანი წლების ბათუმის ისტორიისათვის, კერძოდ, ბათუმში, რომელიც სოფლის ტიპის დასახლებაა, დგას ფრესკებით მოხატული ეკლესია და ადგილობრივ ქართველ მაჰმადიანებს (აჭარლებს) აქვთ ქრისტიანული საღვთო წიგნები და კითხულობენ კიდეც. სახლებში

კი ხატებიც აქვთ. ოცდათი წლის შემდეგ (1873 წ.) დ.ბაქრაძის მიხედვით, ბათუმის შემოგარენში-ყოროლისწყლის მარცხნივ-ექვსი-შვიდი ეკლესის ნაშთი ჩანს, ყოროლისწყლის სათავეში დიდი გუმბათოვანი ეკლესია, ბათუმის ახლოს კი სამების ეკლესია. ახალშენსა და კვესელაურში-ეკლესის ნანგრევებია (დ.ბაქრაძე, 1987, 27). ამასთან, იგი მიუთითებს, რომ „მხოლოდ მოხუცებში შევხვდი ადამიანებს რომელთაც ესმით, რომ გურჯები არიან და რომ აჭარა ენითაც და ისტორიითაც გურჯის-ტანის ნაწილია.... სიტყვა „ქართველი“ აჭარელთავის უცნობია, თავს აჭარლებს ეძახიან, ხოლო ქართულ ენას-„გურჯულს“ (დ.ბაქრაძე 1987, 45).

იაკობ პროსკურიაკოვისა და დ.ბაქრაძის მიერ აღწერილ ბათუმისა და მისი შემოგარენის სურათებს შორის განსხვავება აშკარაა. 30 წლის მანძილზე ასეთი ცვლილება იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ 30-40-იანი წლების ეწ „თანზიმათის“ პოლიტიკამ და მეორე მხრივ, წინა მრავალ ათწლეულებში დამპურობლის მიერ გატარებულმა ლონისძიებებმა თავისი შედეგი გამოიღო ეროვნული და რელიგიური იდენტობის დაფიქსირების თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, გწერეთელი, რომელიც აჭარაში 1873 წელს მოგზაურობდა, წერს: „აქ ყველა ოსმალობის ბატონობის შესახებ არანაკლებ ფარული სიძულვილით დაბარაკობს. თუმცა მაჰმადიანები არიან, მაგრამ რელიგიამ ასე ხანგრძლივ პერიოდშიც მათ ცნობიერებაში თურქებთან საერთო ვერავითარი დამაკავშირებელი ელემენტი ვერ შექმნა. თვით მოსახლეობაში ვერც ფანატიზმი შევნიშნე და ვერც რელიგიურობა. მრავალი მათგანი რამაზანს საერთოდ არ ასრულებს“... აჭარლები სიძულვილით იყვნენ განწყობილი ფადიშაპის ხელი-სუფლებისადმი (გწერეთელი, 1973, 154). ამავე აზრს გამოთქვამს ჯიფორდ პალგრევი, რომელიც ინგლისის კონსული იყო ტრაპიზონში 1867-1872 წლებში. იგი წერს, რომ თვითონ იყო აჭარის ყველა ოლქში და გვაუწყებს: „აჭარა იყოფა სამ ოლქად: ზედა აჭარა, ქვედა აჭარა და მაჭახელი. ჩრდილო-დასავლეთიდან იგი შემოსაზღვრულია ბათუმის სანაპიროთი და თავისი რელიეფითა და გზებით სამხრეთ-დასავლეთი ტერიტორიებისათვის ერთგვარი გასაღებია ზღვაზე გასვლისათვის.... აჭარლებს არ უყვართ ოსმალური ხელისუფლება, დიად ებრძიან (Материалы для ..1882, 50). აქ ერთი მხრივ, აჭარისა და ბათუმის სტრატეგიული მნიშვნელობაზე ხაზგასმული და მეორე მხრივ, ნაწვენებია აქაური მოსახლეობის განწყობილება და პოზიცია.

1872 წელს ბათუმს სტუმრობდა ნიკო ნიკოლაძე. იგი შთამბეჭდავად აღწერს რა აჭარელის გარეგნობას: „აჭარლები ცოცხალი, ძალითა და სიმრთელით სავსე, ტალივით მაგარი, ლომური აგებულების არიან. მათვის დამახასიათებელია გონიერი და სავსე თვალები, მშვენიერი შუბლი, მარჯვედ მოთლილი ყბა, ფართო მხარებჭი, წერწება წელი, გაპარული მუცელი, მარჯვე წვივები. ერთი სიტყვით, კაცი გრძნობს, რომ ეს ბრძოლაში გამოქნილი და გამარჯვებისთვის გამოჭრილი ხალხია”, შემდეგ მოაქვს საინტერესო დიალოგი ერთ აჭარელთან. ნიკო ნიკოლაძის კითხვაზე: ეხლა რომ წერა-კითხვა დაგვიწენიათ, ენაც და ლაპარაკიც რომ დაპარგოო, როგორც რჯული და კარგეთ, მაშინ რა კაცები იქნებით? აჭარელი პასუხობს: „ლაპარაკის დაკარგვა ჩემმა მტერმა თქვა. ლაპარაკს სწავლა როი სჭირია. მას ჩვენ, თუ საჭირო გახდება ფიშტოთი და მაჭახელათიც კი დავიცავთ. მას ცოცხალი თავით არავის დაგამაგრინებთ და დავანებებთ. მტერი მაგას ვერ მოესწრება. აბდალაი ნუ კი გვონია შენ აჭარლები” (ნიკოლაძე, 76,82).

ამ დიალოგში აშენად ჩანს, რომ რწმენის შეცვლის მიუხედავად, აჭარელისათვის ეროვნული იდენტურობის ნიშნად ენა დარჩენილა და მას ცოცხალი თავით არავის დააჩაგვრინებს და დაანებებს. „ქართული ენა, მიუხედავად საშინელი ბრძოლისა, რომელიც სარწმუნოების გავლენით მაჰმადიანობამ გამართა მასთან, თითქმის სელშეუხებლად და პირვანდელი სიწმინდით დაცულია შიდა აჭარაში... ძეგლებურის ქართულის ნიშანი განსაკუთრებით შენახულია აქაურ სიტყვა-პასუხში. მათი ზრდილობიანი ლაპარაკი, თავაზიანობა, სურვილი სტუმრის ამებისა-უმაღლეს განვითარებამდევა მიღწეული. აქ ადამიანის უკრი იშვიათად გაიგონებს უწმაწურ სიტყვებს” წერს თედო სახოკია (თ.სახოკია, 1985, 234, 237)

XIX საუკუნის დასაწყისში ოსმალეთის იმპერიის ხელი-სუფლებამ გადაწყვიტა დაპყრობილ ტერიტორიებზე გავლენის განმტკიცების მიზნით სახელმწიფო და ეკონომიკური მმართველობის მოქნილი სისტემის შექმნა, რომელიც აიძულებდა დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობას ისდამის რწმენის მიღებასა და სახელმწიფოს მოთხოვნებისადმი მორჩილებას. მართლაც, თუ XIX საუკუნის 30-იან წლებამდე აჭარის ტერიტორიაზე სულ რამდენიმე მეჩეთი იყო აშენებული (ახოს, დაგვისთავის, თხილვანის, ხიხაძირის, ფუშრუქაულის) მომდევნო ათწლეულებში მათი რიცხვი ასეულებს აღწევდა. XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში მარტო ბათუმში, რომელიც უფრო ხო-

ფელს პგავდა, კიდრე ქალაქს მოსახლეობა კი 5000 სულამდე იყო და 1878 წლისათვის 3000-მდე შემცირდა (Батумыи его окрестности... 1906, 24), სამი მეტეთი მოქმედებდა (აზიზიე, მუფთიე და ორთაჯამე), ხოლო მთლიანად აჭარაში 200-მდე მეტეთი და 207 მედრესე მოქმედებდა (ხ.ახვლედიანი, 1956, 44). 1877-1878 წლების ომის შემდეგ მეჩეთების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა, რადგან საგუთარი სალოცავის ქონა სოფლისთვის პრესტიჟის საკითხად მიიჩნეოდა რუსეთის მართველობისას (ქართველი მუსლიმები... 2010,16) და კველა პატარა დასახლება თავის მეჩეთს იშენებდა. 1898 წლს მარტო აჭარისწყლის ხეობის სოფლებში 68 მედრესე მოქმედებდა 1177 მოსწავლით (ზემო აჭარაში—320, ქვემო აჭარაში—857 (თ.სახოკია, 1985, 293). ასეთ პირობებშიც აჭარლები დიდხანს საიდუმლო სამლოცველოებში გადამალული ხატებით და ჯვრებით ჩუმად ლოცულობდნენ, ქრისტიანული წესით მარხავდნენ მიცალებულებს, გურიიდან მოწვეულ მღვდელებს ანათვლინებდნენ ბავშვებს (ხ.ახვლედიანი, 1956, 42-43). დ.ბაქრაძეს ქვედაში ერთი მოხუცი დაღაქისგან—დიასამიძისგან მოუსმენია: „ჩემს ახალგაზრდობაში, ჩვენ ვლოცულობდით მათს (ეკლესიების) ნანგრევებში ძველი ჩვეულებისამებრ. ვიცოდით რომ ჩვენი მამა-პაპანი ერთ ღროს ქრისტიანები იყვნენ და ჩვენ რომ მოდგმით გურჯები ვართ” (დ.ბაქრაძე, 1987, 49). თ.საქოკია კი მოგვითხრობს, რა თავისი მოგზაურობის შესახებ მარეთის ხეობაში, გვაცნობებს: „ჩვენი მასპინძლის ეზოში ძველი ნასაყრდალიცა. ძველი კედლებისა და მხოლოდ ქვების გროვა—ლაა დარჩენილი. ხელუხლებლად დარჩენილა აგრეთვე ძველადგე დარგული ბზის ხეები. მთელ ამ ადგილს მოწიწებით ეპყრობიან და შუმლებელია იქ დარგულ ბზებს ერთი ტოტი ჩამოაცალო” (თ.სახოკია, 1985, 267). ამავე აზრს ადასტურებს დ.ბაქრაძის ნათქვამიც: „თუმცა აჭარასა და ჩურუქსუში ქრისტიანული ტაძრები დიდი ხანია დაანგრიეს, მაგრამ მოსახლეობა მათ დღემდე შიშითა და კრძალვით ეპყრობა და მათ გარშემო კორომები ხელუხლებლად მიაჩნია” (დ.ბაქრაძე, 1987, 72).

ზ.ჭიჭინაძის ცნობით, სოფელ გობრონეთში 1830 წლამდე იდგა პატარა ეკლესია, რომელსაც უვლიდა ერთი მოხუცი ქალი, ხოლო სოფელ ახოში ეკლესია 1780 წელს დაუქცევით. ჯამის კარის ქვეშ დატანილ ეკლესის ქვაზე კი ჯვარი და ქართული წარწერები ჩანსო (ზ.ჭიჭინაძე, 1907, 107).

წარმოდგენილი მასალა აჩვენებს აჭარის ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილის დამოკიდებულებას ქრისტიანობი-

სა და მისი წმიდა ადგილების, სალოცავებისდრო, მაგრამ აუხ-სნელი რჩება, რამ გამოიწვია აჭარის ტერიტორიაზე არსებული თითქმის ყველა ეკლესის დანგრევა. ჩვენამდე, ხომ მხოლოდ სხალთის ეკლესიამ მოაღწია თითქმის თავდაპირველი სახით, მაშინ როცა XIX საუკუნის ბოლოს ზ.ჭიჭინაძეს 100-დე ეკლესი-ის ნაგრევი აქვს აღრიცხული (ზ.ჭიჭინაძე, 1913). ამ პრობლემის ასესნა ვფიქრობთ, ისევ ზ.ჭიჭინაძის მიერ ჩაწერილ ერთ მონათხოვდშია მოცემული: ოსმალნი „შესყიდვით შოულობდნენ მოდალატებს. პირველს ხანაში აჭარის თავადნი გულ-ამდვრევით ეკიდებოდნენ ასეთ საქმეს და გადაბირებულს ქართველს-ერთ დღესაც არ აყენებდნენ აჭარაში. მაგრამ გავიდა ხანი და მათი ძალაცა დაეცა... თავად-აზნაურნიც შეისყიდეს... თავადებს ბეგობა მისცეს, აზნაურებს- აღიობა... თავად-აზნაურების გათაოთრების შემდეგ, მიჰყევს ხელი სამდველოებას და დაუწეს გათაოთრება, მაგრამ სამდველოებამ დიდხანს იმაგრა თავი, ბოლოს კი იმათაც მოაკლდათ ძალა და ზოგი გათაოთდა და ზოგი ქართლ-იმერეთში გადაიხვეწნენ. ხალხი თაოთობის დროსაც არ სტოკებდა დიდხანს ეკლესიების პატივისცემას და სწორედ ეს გარემოება გახდა იმის მიზეზი, რომ ოსმალებმა აჭარაში ისე დააქციეს და დაარღვიეს მცენი ნაშთები, რომ ერთი ეკლესიაც აღარ გაუშვეს დაუქცეველ-დაუნგრეველი.” ამ მონათხოვდში, ვფიქრობთ, საკმაოდ დამაჯერებლადაა მოთხოვბილი არამარტო ეკლესიების განადგურების მიზეზებზე, არამედ კარგადაა ნაჩვენები ის ხანგრძლივი და მძიმე განსაცდელი, რაც აჭარის მოსახლეობამ გამოიარა გამუსლიმანებამდე. ასევე ადვილად ასახსნელი ხდება ისიც, თუ რატომ იყენებდნენ ეკლესიებს მეჩეთებად, ან რატომ აგებდნენ ეკლესის ნანგრევებზე მეჩეთებს., ასეთი შემთხვევა კი ადგილობრივ მთხოვბელებზე დაყრდნობით ზ.ჭიჭინაძეს როგორც აქვს დაფიქსირებული (ზ.ჭიჭინაძე, 1913, 131-132). როგორც ჩანს, ამით სურდათ დავიწყებას მისცემოდა ეკლესიები და მათი აღრინდელი არსებობა.

ამრიგად, მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან, აჭარაში ოსმალთა მმართველობის დამყარების შემდეგ, ორი საუკუნის (XVII-XVIII სს) განმავლობაში ტარდებოდა სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებანი აქ ოსმალური ცხოვრების წესის დანერგვისა და ისლამის გასაგრცელებლად. XVIII საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში, საზოგადოების მაღალი ფენების ისლამიზაციის შემდეგ, ჯერი მიღდა მწარმოებლურ ფენებზე. ოსმალეთის ხელისუფლება ითვალისწინებდა აჭარაში მოსახლეობის წინააღმდეგობას და შედარებით სხვა ქვეყნებისა-

გან, აქ შედარებით მსუბუქ საგადასახადო პოლიტიკას ატარებდა, თუმცა თანხიმათის პოლიტიკამ აქაც თავის შედეგი გამოიღო, ისლამი სხვადასხვა იძულებით შეთოვდებით, ფართოდ დაინერგა მოსახლეობაში, რაც მეჩეთების რიცხვის ზრდაშიც გამოიხატა. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ ფარულ ქრისტიანობას მისდევდა, შემდეგ, მიუხედავად გამუსლიმანებისა, მაინც გამოხატავდა პატივისცემას და ერძალვას ქრისტიანული სარწმუნოებისადმი. მათვის ეროვნული იდენტობის საფუძვლად ქართული ენა იქცა. ამიტომაა, რომ დედასაქართველოსთან შეერთებისას, აქ ქართული ენა შენახული და დაცული იყო. რაც შეეხება ქრისტიანულ სალოცავებს, ისინი ნადგურდებოდა დამპყრობლების მიერ იმის გამო, რომ ისინი ადიქმებოდა როგორც ქრისტიანობისა და ქართველობის შენარჩუნების სიმბოლო. ამიტომ ბევრგან ნაეკლესიარებზე შენდებოდა მეჩეთები, მათი დავიწყების მიზნით.

ლიტერატურა:

1. აჭარის ლივის გრცელი და მოკლე დავთორები, ოსმალური ტექსტი, თარგმანი,
გამოკვლეული, კომენტარები და ფოტო ასლები გამოსაცემად მოამზადეს ზაზა
შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ. თბილისი, 2011
2. ა. ახვლებიანი, სახალხო განმანთავისუფლებელი ბრძოლის ისტორიდან
სამხრეთ საქართველოში, ბათუმი, 1956
3. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987
4. კ. იაშვილი, აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ბათუმი, 1948
5. ნ. ნიკოლაძე, თხზ. ტ. III, თბილისი, 1962
6. თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი, 1985
7. ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში, ბათუმი, 2010
8. ლ. ჩიქოვანი, როგორ იწერებოდა ისტორია-კრ. საისტორიო შტუდიები, IV,
თბილისი, 2003
9. ზ. შაშიკაძე, ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი XVI საუკუნის აჭარის ისტორიიდან. ბათუმის შ. რუსთაველის სახ.სახელმწიფო უნივერსიტეტის
მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული, ტ. III,
ბათუმი, 2002
10. გ.წერეთელი, პუბლიცისტიკა, თბილისი, 1973

11. ხ. ჭიჭინაძე, ქართველების გამაპმადიანება, თბილისი, 1907
12. ხ.ჭიჭინაძე, მუსლიმან ქართველობა და მათი ხოფლები საქართველოში, თბილისი, 1913
13. Батумъ и его окрестности, Батумъ , 1906
14. ИКОИРГО, Т. 25, В .I, Тифлис, 1906
15. Материалы для описания Азиатской Турции и Батумской области. Тифлис, 1882

Бичико Диасамидзе

**Мечети на руинах церквей—религиозная ситуация
в Аджарии XIX века**

Резюме

В работе на основе исторических источников, записей путешественников-исследователей и положении выдвинутых в научных трудах, сделан вывод, что со второй половины XVI века, в течение двух последующих веков в Аджарии проводилась социально-экономическая политика и использовались насильтственные меры, направленные на утверждение здесь османского образа жизни и распространение ислама. Ислам в первую очередь, приняли имущие слои общества, а с начала XIX века, применяя различные принудительные методы, эту религию распространяют и среди других слоев населения, что нашло своё выражение в интенсивном строительстве мечетей (до 200 мечетей в 70-ые годы). Тем не менее, население долго сохраняло свою приверженность христианству, его святыням. Грузинский язык стал основой национальной идентичности местного населения. его защищали и хранили. Захватчики особенно преследовали христианскую веру, её ценности. Поэтому на развалинах церквей строили свои мечети, чтобы стерлась и сама память о христианстве.

ოთარ გოგოლიშვილი

სამთავროს ფილა ნინოს დედათა მონასტრის ისტორია

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი მდებარეობს საქართველოს უძველეს ქალაქში - მცხეთაში, რომელიც V ს. საქართველოს დედაქალაქი იყო. ამ წმიდა ადგილიდან უქადაგა ქართველ ერს ქრისტეს სჯული მოციქულთასწორმა, კაპადოკიელმა ნეტარმა ქალწულმა ნინომ, სამთავროშივე აიდგა ფეხი ქართულმა ქრისტიანულმა მრწამსმა და ოვითშეგნებამ, აქედან მოეფინა ნაოვლი სრულიად საქართველოს.

სამთავროს დედათა მონასტრის დაარსების თარიღად 1820 წელი უნდა მივიჩნიოთ. ამ მოსაზრების საბუთად გამოგვადგება რამდენიმე ცნობა. ერთ-ერთ მათგანში ნათქვამია, რომ 1820 წელს თავადის ქალი ნინო ამილახვარი და რამდენიმე განცეკილი დედა მისულან, აუგიათ სენაკები და ეგზარქოს თეოფილაქტეს ნებართვით დასახლებულან სამთავროში. მონოზნებს მხოლოდ შემოწირულობით უცხოვრიათ, ამასთან თურმე ბავშვებს წერა-კითხვას ასწავლიდნენ და მცირე გასამრჯელოსაც იღებდნენ. თავიდან მხოლოდ ოთხი ყოფილან, შემდეგ კი - სხვა დედებიც შემატებიან.

ვინაიდან იმ დროისთვის საქართველოში დედათა მონასტრები ადარ მოქმედებდნენ, ეგზარქოს გადაუწყვეტია თბილისში დედათა მონასტრის დაარსება. მას საეკლესიო მმართველობისათვის დაუკალებია, გაერკვიათ სამთავროს გარდა კიდევ სად იმყოფებოდნენ მონაზვნები. აღმოჩნდა, რომ რამდენიმე მონაზონი მთაწმნდაზე „ფერისცვალების“ ეკლესიასთან სახლობდა. ასევე იმერეთსა და სამეგრელოში რამდენიმე ეკლესიასთან განცეკილად ცხოვრობდნენ დედები. მაგრამ იყვნენ თუ არა ისინი აღკვეცილნი მონაზვნებად, კერ დაუდგენიათ. სამთავროში მყოფი დედების შესახებ კი ცნობები მცხეთის არქიმანდრიტ საბას მიუწოდებია.

არქიმანდრიტ საბას წვრილად გამოუყიოთხავს მონაზვნები, რომელთაც თავიანთ წინამდლერად ნინო ამილახვარი დაუსახელებიათ. 1830 წლისათვის სამთავროში სულ ათი დედა მოღვაწეობდა. ესენია: ნინო ქრისტეფორეს ასული ამილახვარი, ოეკლა გიორგის ასული ბიძინაშვილი, დომნა თამაზის ასული გოგნიაშვილი, მარია ზაზას ასული გეაძე, თეკლე (თეონა) გიორგის ასული ბერიძე ტატიანა ესტატეს ასული ბიჭიკაშვილი, ქრისტინე ბესის ასული ოქ-

როპირიძე, მარიამ გიორგის ასული გუდაბერიძე, მელანია ლაზარეს ასული შევდლიშვილი, დარეჯან გიორგის ასული კობახიძე.

ამ დედების დაუწყით მოღვაწეობა ნინო ამილახვრის წინამდვრობით და საფუძველი ჩაუყრიათ წმიდა ნინოს დედათა მონასტრისთვის. 1827 წელს მონოზვების აღუდენიათ წმიდა ნინოს სახელობის ქალებია და 1828 წლის 14 იანვარს წმიდა ნინოს ხევნების დედეს მის სახელზევე უცურთხებიათ. ვინაიდან სამთავროში დვაწლმოსილი დედების ნებით აღმდგარა სამონასტრო ცხოვრება, ამიტომ საეკლესიო მართველობას 1830-იან წლებში დედათა მონასტრის ოფიციალურად დამტკიცება განუზრახავთ. სამწესაროდ, იმ დროს მონასტრის დამტკიცება ვერ მოხერხდა. მონასტრის დამაარსებელი ნინო ამილახვარი გარდაიცვალა 1839 წელს. იგი დაკრძალულია „მაყვლოვანში”, წმიდა ნინოს ეკლესიისთან. ქვაზე ამოკვეთილია წარწერა: „ლოდი ესე ჰყარავეს სავანესა თავადის ქაიხოსრო ამილახვრის ასულის მონოზონისა ნინასასა, რომელმაც დაარსა მონასტერი ესე 1820 წელს და გარდაიცვალა 1839 წელს თებერვალსა 11-ს“. მონოზონ ნინოს დაუდალავმა დვაწლმა და მონდომებამ აიძულა სეკლესიო მართველობა, რათა მეტი უცრადდება გამოეხინათ სამთავროსადმი. ნინო ამილახვრის საქმე გააგრძელებს მისმა აღზრდილებმა და 1857 წლის 18 ივნისს სამთავროს დედათა მონასტერი მოიციალურად გაფორმდა და დამტკიცდა.

მონასტრის წინამდვრად ეგზარქოსმა ისიდორე ნიკოლსკიმ (1844-1868 წწ.) 1846 წლის 19 ნოემბერს დანიშნა სამეგრელოს თავადის ხიტუ ფალავას ასული დარია ფალავა. წინამდვარი დარია ფალავა და მცხეთის „სობორის“ დეკანოზი იოსებ ბორისოვი შეუდგენ მონასტრის აღდგენის საქმეს. ამ პერიოდის სამუშნებლო საქმიანობა დეტალურად განხილულია რამდენიმე სქელტანიან საქმეში. წინამდვარი დარია ფალავა გარდაიცვალა 1853 წლის დასაწყისში. თუმცა ამ მოკლე დროშიც შეძლო ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება სამთავროსათვის და რაც უმთავრესია, მისი ძალისხმევით მოხდა სამთავროს დედათა მონასტრის დამტკიცება ოფიციალურ მონასტრად. დედა დარია ატარებდა სამთავროს პირველი იღუმენიას წოდებას. დარია ფალავას გარდაცვალების შემდეგ მის მოვალეობას ასრულებდა მონაზონი ქრისტინე ოქროპირიძე, მის შემდეგ კი - მინადორა ავთანდილის ასული ფურცელაძე, რომელმაც მისი მოღვაწეობის მცირე დროშიც მრავალი სასიკეთო საქმე გააკეთა.

1863 წლის 15 სექტემბერს გარდაცვლილი იღუმენია მინადორას ნაცვლად ამავე წლის 8 ოქტომბერს მონასტრის გამგებლად დაუნიშნავთ ნინო (ანა ამილახვარი), ხოლო 1865 წლის 8 ოქტომბერს მონაზონი ნინო ამილახვარი (უმცროსი) ეგზარქოს ეკსევის იღუმენის ხარისხში აუყვანია. ნინო ამილახვარი მონასტერს 40 წლის განმავლობაში წინამდობლობდა. იგი იყო მონასტრის პირველი წინამდლრების - უფროსი ნინო ამილახვრის, დარია ფადავასა და მინადორა ფრცელაძის წმინდა საქმის დირსეული გამგრძელებელი. მისი ძალისხმევით შეკეთდა სამთავროს ტაძარი, აიგო ახალი სამონასტრო შენობები, დაარსდა ობოლ გოგონათა სასწავლებელი, აშენდა ახალი გუმბათიანი ეკლესია. ნინო ამილახვრის დაუშრებელმა ენერგიამ და მუდმივმა ღვაწლმა სამთავრო საქართველოს უპირველეს დედათა სავანედ აქცია. 1904 წლის 29 დეკემბერს გარდაიცვალა წინამდგვარი ნინო ამილახვარი. იგი დაკრძალეს მისივე თაოსნობით აგებულ წმინდა ნინოს ახალ, გუმბათიან ეკლესიაში, რომლის მშენებლობა დასრულდა 1904 წელს ვე. დღეს ამ ეკლესის საძირკვლის ნაშთებია შემორჩენილი.

1905 წლის 10 თებერვალს მონასტრის გამგებლად ეგზარქოს აღექსი I დაუნიშნავს თავად ციციშვილის ქალიშვილი გლენე ციციშვილი-ბარათაშვილისა, რომელიც საქართველოს ეგზარქოსმა ინოკენტიმ (ბელიავევი) 1910 წლის 16 მაისს იღუმენის ხარისხში აიყვანა. მანამდე კი წინამდვრის მოვალეობას ასრულებდა მონასტრის ხაზინადარი, ნისიმე ციციშვილი.

1910 წელს მონასტრის ხაზინადარად დაუმტკიცებიათ ანუ-სია კოჭლამაზაშვილი, რომელმაც მრავალი წელი იღვაწა მონასტრის საკეთილდღეოდ და მონასტრის გაუქმების შემდეგაც შემწედ და მცველად ედგა ამ წმინდა სავანეს. 50-იანა წლებში მას იღუმენია-დაც კი მოიხსენიებენ. პირველი მსოფლიო ომის დროს მონასტერს კაონომიურად უკიდურესად გაუჭირდა. მონასტერმა დვოთის ძალით გაუქდო 1917 წლის ზამთარს, რაც ვერ შეძლო რუსეთის იმპერიამ, რომელიც ნაწილებად დაიშალა. რუსეთის მიერ დაპყრობილ ქვეყნებს დამოუკიდებლობა ერგოთ. მათ შორის იყო საქართველოც. თუმცა პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე ადრე 1917 წლის 12 მარტს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში საზეიმოდ გამოცხადდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია და 106 წლის შემდეგ ეკლესია-მონასტრებში აღდგა წირგალოცვა ქართულ ენაზე.

საქართველოს პოლიტიკური და საეკლესიო დამოუკიდებლობის მოპოვების მიუხედავად, ამ წლების საერთო ეკონომიკურმა

კრიზისმა და განუკითხაობამ ხელი შეუშალა მონასტრის მდგომარეობის გამოსწორებას.

1921 წელს საქართველო "გაასაბჭოებს", მოხდა მისი ფაქტობრივი ანექსია საბჭოთა რუსეთის მიერ. ათეისტი კომუნისტები, რა თქმა უნდა, არაფერ სასიცეოს არ მოუტანდნენ მონასტერს, თუმცა თავდაპირველად რელიგიის აშკარა დევნა არ დაუწყიათ. სამთავროს მონასტერს უჭირდა მაგრამ ჯერჯერობით მაინც არსებობდა.

1922 წელს საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდა. კომუნისტები მოღონიერდნენ და დაიწყეს რელიგიისა და დვოისმსახურთა სასტიკი დევნა. კომუნისტურმა მმართველობამ ვერ აიტანა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბორსის მიერ გენუის 1922 წლის აპრილის საერთაშორისო კონფერენციისადმი მიწერილი მიმართვა, სადაც იგი ამხელდა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის ფაქტს. საქართველოში კვლავ მძვინვარებდა პოლიტიკური რეაქცია. ხელისუფლებამ დააპატიმრა პატრიარქი და საკათალიკოსოს საბჭოს წევრები. დახურეს ეკლესიები, მონასტერები და მათ შორის, სამთავროს დედათა მონასტერიც. მონასტერში უპატრონო ბავშვთა თავშესაფარი მოეწეო. მონაზვნები მონასტრიდან განდევნება, შემდეგ მათ მხოლოდ ერთი ოთახი დაუთმეს. 1924 წელს ჩამოუყალიბებიათ მცხეთის სამეურნეო არტელი "ქალთა შრომა", რომელშიც მონაზვნები გაერთიანებულან. მონაზვნებს კარგა ხანს საარჩევნო ხმის უფლებაც ჩამორთმეული ჰქონიათ. ეს უფლება მათ 1931 წელს აღუდგინეს. 1933 წლის საბუთი კი წარმოადგენს პირველი საფეიქროს მუშების სიას, რომელშიც წინამდვივარი ნინო ციციშვილი ამ საწარმოს რიგითი წევრია, თაგმჯდომარედ კი ანუსა კოჭლამაზიშვილი აურჩევიათ. აქ რა თქმა უნდა, გარკვეული როლი უნდა ეთამაშა ნინო ციციშვილის თავადურ წარმოშობას, რაც იმ დროისათვის არასასურველად ითვლებოდა.

1930-იან წლებში სამთავრო კულტურის ძეგლად გამოცხადდა. 1938 წელს ანუსია კოჭლამაზიშვილი ძეგლის მცენლად არის მოხსენიებული.

ხელისუფლების დაუინებული მცდელობის მიუხედავად, სამთავროში ამ სასტიკ წლებშიც (საქართველოს გასაბჭოების შემდეგ), არ დამცხერალა სულიერი ცხოვრება. მონასტერი ოფიციალურად გაუქმებული იყო, თუმცა დედები მაინც ახერხებდნენ ფარულად სამონასტრო წესით ცხოვრებას. ეს კარგად ჩანს ამ პერიოდის მონასტრის დედებისა და დვოისმსახურთა პირად მიმოწერაში. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწე დედები და მათი სული-

ერი დები და მექტი ერთმანეთს ამხნევებდნენ ამ წერლებით. წერილებიდან ისიც ჩანს, რომ ქართველი სამღვდელოება სამთავროს მონასტერს მოქმედ მონასტრად მითხნევდა.

1941 წელს გარდაიცვალა მონასტრის იღუმენია ნინო ციციშვილი. 1944 წელს კი ანუსია კოჭლამაზიშვილი მოხსენიებულია სამთავროს ისტრიული ძეგლის დამლაგებლად (უხელფასოდ). კათოლიკოს-პატრიარქის ილია II გადმოცემით, II მსოფლიო ომის შემდეგ სამთავროს მონასტრის იღუმენიად უკურთხებიათ ანუსია კოჭლამაზიშვილი.

1950-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირში ნიკიტა ხრუშჩივის მიერ დაწყებულმა კ.წ. "დათბობის პოლიტიკაზ" საქართველომდეც ჩამოადგია. მებრძოლ "უდმეროთოა" ათეისტურ გარემოში ჯერ კიდევ სასწაულებრივ შემორჩენილ მრევლს საშუალება მიეცა მორწმუნეთა კ.წ. "ოცეულები" ჩამოეყალიბებია, რაც სათანადო კრებით უნდა დამტკიცებულიყო. ამგვარი კრება მცხეთაში გაიმართა 1961 წლის 28 ივნისს, ამ "ოცეულის" წევრები მირითადად სამთავროს მონასტრის დედები იყვნენ, რომელთაც ოთხი ათეული წლის მანძილზე გაუძლეს უკიდურეს გაჭირვებასა და დამცირებას და მიმქრალი სული ხელახლა შთაბერეს სამთავროს.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II იგონებს, რომ ამავე პერიოდში მას მოსკოვის სასულიერო აკადემია ახალი დამთავრებული პქონდა (1960 წელი) და წირვა-ლოცვას სამთავროში ატარებდა. 1960 წლიდან იგი ახლადდგახსნილი სამთავროს სასულიერო სემინარიის პირველი რექტორი გახდა.

სამთავროს მონასტრის აღორძინებაში დიდი წვლილი შეუტანია ზოილე დვალიშვილს, რომელიც წინამდღვრობდა მონასტერებს 1960-70-იანი წლებში. კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დედაზოილე დვალიშვილის ნათლულია და მისი უწმიდესობის ბავშვის საუკეთესო დღეები სამთავროში გაუტარებია. წინამდღვარი ზოილე დვალიშვილი გარდაიცვალა 1973 წელს. სამონასტრო ტიპიკონი სამთავროში მხოლოდ 1980-იან წლებში აღდგა. ამ დროს მონასტრის იღუმენია იურ ანა აჭაიძე. იგი გარდაიცვალა 1986 წელს და ისევე როგორც სხვა იღუმენიები, დაკრძალულია ტაძრის ეზოში.

1991 წლიდან სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის წინამდღვარია იღუმენია ქეოვეანი (კოპალიანი), რომელიც განუერებდა აგრძელებს სამთავროს დვაწლმოსილი წინამდღვრების ტრადიციას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სამთავროს დედათა მონასტერი, ქურნალი „ციხარი”, 1989, № 9
2. სამთავროს დედათა მონასტრის გამგე ელენე ციციშვილი, ქურნალი „კარიბჭე” 2002, № 5
3. საქართველოს ეკლესია-მონასტრები, თბ., 1999
4. წმიდა დედათა ცხოვრებიდან, თბ., 2001
5. ეპისტოლეთა წიგნი, თბ., 2005

Otar Gogolishvili

History of the St.Nino's Nunnery

Summary

St. Nino's Nunnery is located in the oldest town of Georgia in Mtskheta, which was the capital of Georgia in the V century. From this holy place preached Cappadocian virgin Nino to the Georgian people the religion of Christ. Georgia Christian faith and self-consciousness formed in the Principality. From this place illuminated all Georgia.

We must consider that the Nunnery was founded in 1820. For substantiation we can use several information. One of them tells that in 1820 the princes Nino Amilakhvari and Monk mothers went there built cells and with Exarch Teophikle's permission settled in the Principality. Monks lived by donation, also they taught children reading and writing and took a little reward for it. At first they were four, but then other mothers joined them.

ოქროპირიძეთა ბვარის ჭარმოშობის ისტორიისათვის

საგულისხმოა, რომ ოქროპირიძეთა გვარი, როგორც ქართულ გვართა უმრავლესობა, პიროვნების სახელისაგან, კერძოდ, ოქროპირისაგან შეიძლება იყოს წარმოშობილი (ოქროპირი ნიშნავს მჭევრმეტყველს, ორატორს, მოძღვარს). ცნობილი ისტორიული პიროვნება იყო ერთ-ერთი უდიდესი დვოისმეტყველი, მეცნიერი და მწერალი, კონსტანტინეპოლის პატრიარქი იოანე ტერიპირი (347-407 წლები). 980 წელს ოშკის ლავრაში საქმიანობდა ცნობილი საეკლესიო მოღვაწე ასევე იოანე ოქროპირი. ტაოელ ძმებს ოქროპირსა და ათანასეს მოუხატავთ 1083 წელს პეტრიწონში (ბაჩკოვო-ბულგარეთი) აგებული მონასტერი.³ 1033-1048 წლებში ქართლის კათალიკოსი იყო ოქროპირი, რომელიც ისესნიება საეკლესიო კრების დაღგენილებაში შიომღვიმის მონასტრის შეუვალობის შესახებ.⁴ იმავე პიროვნების შესახებაა საუბარი ივ. ჯავახიშვილის თხზულებებში თორმეტ ტომად.⁵ აჭარის ერისთავთ-ერისთავებს ცნობილ მწერალს, ასტრონომსა და ფილოსოფოსს ტბელ აბუსერისძეს ეკუთვნის ნაშრომი „გალობა წმიდათა იოვანეთა: ნათლისმცემელთა, მახარებელისა ოქროპირისა“... ტბეთის სულთა მატეანეს XI-XIII საუკუნეთა ნუსხაში მოხსენიებულია ოქროპირ მოძღვარი, კაცო-ოქრო გიორგიეთ... კაციოქრო ჭუმბასქე, ოქროპირ ლომთათოძე და იორდანე კაციოქროს-ძე,⁶ ხოლო “თისლისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერების” ტექსტში მოხსენებულია ოქროკა-

³ ბექირიშვილი ი., აჭარის ისტორია გვარ-სახელებში, ბათუმი, 1996, გვ. 148-150.

⁴ პირთა ანოტირებული ლექსიკონი, III, საქართველოს მეცნ. აკადემიის პ. კეკელიძის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, გამომც. „არტანუჯი“, თბ., 2004, გვ. 346-348.

⁵ ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 314.

⁶ ტბეთის სულთა მატიანე... გვ. 148, 153 (ბექირიშვილი, იქვე).

ცი, ოქროპირ სიხათ, ოქროპირ სიხასძე, სიხათ ოქროპირი და მისი დედა თეგლა, სიხასძე ოქროპირი, მონაზონი⁷.

აჭარაში მარქოს ხეობის ისტორიულ ძეგლებს შორის საყურადღებოა მდინარეების ჩირუხისა და უჩამბის შესართავთან შუახევის (იგივე ოქროპირაულის – უ.ო.) ციხე-სიმაგრის ნაშთები,⁸ რომლის კავშირი ოქროპირიძეთა გვართან გარკვეული არ არის.

ქართლის ოქროპირიძეთა გვარში შემორჩენილი გადმოცემის მიხედვით (მთხოვბელი ზურაბ ოქროპირიძე – დისევი, 65 წლის), ამ გვარის მამამთავარი იყო დავით აღმაშენებლის თანამედრომე საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე იოანე მახარებელი (ოქროპირიძეთა ერთ-ერთ შტოს სწორედ მახარებლი-ანთი წარმოადგენს – უ.ო.), რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა დავითის მიერ გატარებულ რეფორმებსა და სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იოანე მართლაც არის მოხსენებული დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი გაცემულ ორივე ანდერძში, – პირველში როგორც “სულიერი ბერი და მეფის მოძღვარი,” ხოლო მეორეში როგორც “ქართლის კათალიკოზი”⁹). ამის გამო სახელმწიფო სამსახურიდან წასვლის შემდეგ მისი დვაწლის დასაფასებლად მეფე მას უბოძა მამული სამტკვიდრეოდ, რასაც დავითის დამ საკუთრივ მისი კუთვნილი ხოფელიც საჩუქრად დაუმატა, რომელიც აღნიშნულ მამულს ზემოდან საზღვრავდა. ამიტომაც ამ სოფელს ხალხმა დისევლი, ანუ მეფის დის მიერ ნაბოძები უწოდა. ეს არის სწორედ ოქროპირიძეთა ბუდე-სამშობლო, ხოფელი დისევი (აქვე უნდა გავიხსენოთ ისტორიულ დიტერატურაში უკვე გამოქვეყნებული ვერსიებიც, რომელთა მიხედვითაც დისევი ოქროპირიძეებს რომელილაც დიდებულმა მათი დამსახურების გამო უბოძა, იქვე დის მიერ სოფლის დამა-

⁷ თიხლისა და ხახულის ხელნაწერთა მინაწერები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო დარეჯან კლდიაშვილმა, თბ., 1986.

⁸ რუხაძე შ., დარჩიმებისა და შუახევის ციხე-სიმაგრეები, აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმი, შრომები, ტ. II, სახელმწ. გამომცემლობა, 1957, გვ. 61-69.

⁹ ნათელი ქრისტესი საქართველო, წ. I, ანდერძი დავით მეფისა შიომღვიმისადმი, ივ, ჯავახიშვილის სახ. თხუ-ს გამომც., თბ., 2003, გვ.210-213.

ტებით – უ.ო.). ამავე გადმოცემის თანახმად იოანე მახარობლი-სათვის დავით აღმაშენებელსვე მიუცია გვარი ოქროპირისძე. ამასთან ცნობილი ფაქტია დავით აღმაშენებლის მიერვე გაცემული გუჯარის ოქროპირიძეთა ოჯახში დაცულობის შესახებ.¹⁰ მკვლევარი ი. მეგრელიდე თავის ნაშრომში მიუთითებს: „ალექსანდრე ბესარიონის ძე ოქროპირიძემ დისევში გვიჩვნა ერთი გუჯარის ასლი, რომლის დედანი მცხეთის სიონის არქივში ინახებოდა და ეს პირი დეკანოზ გაბრიელ ოქროპირიძემ გადაიღო. აქვე მყოფი მოხუცი ექიმი ბესარიონ ოქროპირიძე ამბობს, – აღნიშნულია ავტორის იმავე წეაროში – ჩვენს წინაპრებს მუდამ საჩივარი ჰქონდათ. დისევი ჩვენ დავით აღმაშენებელმა გვიბოძა და ნურავინ გვერევა შიგო.«

ალექსანდრემ გვიჩვნა პაპამისის განცხადების პირი, – განაგრძობს იგივე ავტორი, – რომელშიც ის მართლაც ჩივის: დისევი დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული ჩვენი, ოქროპირიძეების, იყო და საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც ჩვენ უნდა გვეკუთვნოდესო. ამ განცხადებას სსენიებული გუჯრის პირს ვურთავთ და გთხოვთ, ჩვენი ჩვენ მოგვახმაროთ“.¹¹ მოცემულ გუჯარში ოქროპირიძეთა ამ საგულვებელი მამულის მცხეთის სვეტიცხოველზე გადაცემის, მისი საზღვრებისა და მასთან ერთად „კეთილგვაროვან ოქროპირიძეთა“ მისთვის შეწირვის შესახებ არის აღნიშნული.¹²

უნდა ითქვას, რომ ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილი თქმულება – წარმოდგენები, ხშირ შემთხვევაში ისტორიული სინამდვილის ადამიანთა ხსოვნაში დალექილი რეალობის გამითიურებული ასახვაა; ყოველივე ამას თუ დავუმატებო ზემოაღნიშნულ სხვა გარემოებათა და მათი ანალიზის მიხედვით ვიმსჯელებთ, შესაძლებელია, რომ იოანე მახარობელი სწორედ ქართლის კათალიკოს–პატრიარქის ოქროპირის შთამომავალი ყოფილიყო (დროშიც კარგად ემთხვევა მისი ზეობის ხანა, 1033–1048 წლები, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის წინა პერიოდს) და იქნებ სწორედ ამის გათვალისწინებით მისცა და-

¹⁰ უ.ო. „ივერია“, № 210, 1890.

¹¹ მეგრელიდე ი., წარწერები და სხვა სიძველეები პატარილიახვის ხეობაში, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, №5, თბ., 1963, გვ. 30.

¹² იქვე, გვ. 213–214; ჩემი სოფელი-ლიახვის ხეობა, უ.ო. „კარიბჭე“, №9 (122), 30.04–13.05, 2010, გვ. 24.

ვით მეფემ მას გვარად ოქროპირისძე. ამასთან, როგორც ისტორიული რეალობა და „პირთა ანოტირებული ლექსიკონი“ გვიჩვენებს სახელ თქროპირის მატარებელ პიროვნებათა უმრავლესობა საეკლესიო მოღვაწეა.¹³ აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ოქროპირიძეთა გვარი არასდროს უჩიოდა საეკლესიო მოღვაწეთა, მჭევრმეტყველთა, ორატორთა და მოძღვართა ნაკლებობას.

თქროპირიძეთა გვარის წარმომადგენელთა მოღვაწეობის ისტორიული ასპექტით შესწავლას მკალევართა უურადღება არ აკლია,¹⁴ მაგრამ ამასთანავე ძალიან საინტერესოა მის შესახებ ხალხურ თქმულებაში შემორჩენილი გადმოცემები, რომელთაც თავის ლექსებში თრიგინალურად ასახავს ჩვენი საგვარეულოს სახალხო მოქმედი, უმშევნიერესი პოეტური სულის მატარებელი და ამასთან ლამაზი ლექსების ავტორი, ზემოთ ჩვენს მიერ მოხსენიებული, ზურაბ თქროპირიძე.

მის ლექსეში გადმოცემული თქმულების მიხედვით თქროპირიძეთა საგვარეულოს ცალკეულ შტოთა მამამთავარი ყოფილა ითანე მღვდლის შვილი ესაია, რომელსაც ექვსი ვაჟიმვილი ჰყოლია.

ამ ექვსეულის შთამომავალი არიან დისეველ თქროპირიძეთა მახარობლიანთ, გაბრიელიანთ, ეპიტაანთ, კიკოაანთ, ზურაბაანთ და ქაქუცაანთ განშტოებანი; ერთ-ერთ შტოს კი, მის-

¹³ პირთა ანოტირებული... იქვე.

¹⁴ გურია-სამეგრელოს ეპისტოპოსი უსამღვდელო ალექსანდრე, ბიოგრაფიული და სხვა წერილები გამოც. ზ. ჭიჭინაძისგან, ტფ., 1903; გამახარია ჯ., მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი, თბ., 2006; თქროპირიძე ზ., ქართული ეკლესის ცხოველმყოფელი ვარსკვლავი, უურნ. „ჩვენი უნივერსიტეტი, №2, გორი, თებერვალი, 2011; მისივე, თქროპირიძები, ქ. „ლიახვის ხეობა“, №1, 2011, გვ. 17–19. იმერეთის ეპისტოპოსი ლეონიძი, ილ. ნებოძირელისა, გამოცემულია ზ.ჭიჭინაძისაგან, თბ., 1902; ვარდოსანიძე ს., საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ლეონიძი (1918–1921 წ.წ.), თბ., 2000; ზ. თქროპირიძე, უოქროპირიძე, უოველი მსგავსი მსგავსს ჰშობსო... საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია-ჩვენი სულიერების ბალაგრი-მასალები, III, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქრისტიანული კვლევის ცენტრი, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2011, გვ. 78–83 და სხვა.

გან მღვდელთა დიდი რაოდენობით წარმომავლობის გამო, მღვდლიანობიც პქფია.

ბატონ ზურაბს, გადმოცემის საფუძველზე შექმნილი, აჭარაში, კერძოდ, ქობულეთის რაიონში, ოქროპირიძეთა დამკვიდრების საინტერესო ვერსიაც გააჩნია, რომლის მიხედვით მინდვრად სამუშაოდ გასული დისეველი ოქროპირიძენი ლექებს თავისი გუთნეულითურთ გაუტაცნიათ. ამის გამო აღნიშნული მინდვრისათვის გუთნიყლაპია უწოდებიათ. (ეს ადგილი დღესაც ამ სახელს ატარებს – უ.ო.) ავტორისეული თქმულების მიხედვით, გუთნიყლაპიადან გატაცებული და აჭარაში (და არა მარტო აჭარაში) მოხვედრილი იმ ოქროპირიძეთა შთამომავლები არიან დღეს ქობულეთის რაიონში მცხოვრები ოქროპირიძენი, რასაც მხარს უმაგრებს აქაურ ოქროპირიძეებში შემორჩენილი გადმოცემა, ჩვენი გვარის წარმომადგენელთა ტყემაკარავში ქართლიდან, კერძოდ, დისევიდან გადმოსახლების შესახებ (ამის შესახებ მომისმენია, როგორც მამაჩემის, დურსუნ აქროპირიძის, სოფ. ზენითი, ისე ჩვენი გვარის უხუცესი წევრების – სულიკო ოქროპირიძე – სოფ. გვარა, – რამიზ აქროპირიძე – სოფ. ქაქუთი, ნაბადა – ნუგზარ ოქროპირიძე, სოფ. ქაქუთი, გოგმაჩაური – და სხვებისაგან – უ.ო.).

საერთოდ, უნდა ადინიშნოს აგრეთვე ე.წ. გორისა და ქობულეთის ოქროპირიძეთა როგორც გარეგნული იერსახით, ისე ხასიათითა და განსაკუთრებით, სამართლიანობისადმი დამოკიდებულებით დიდი მსგავსება. ალბათ, როგორც ქრთი, ისე მეორე შეოს წარმომადგენელთაგან, მრავალი აღმოჩნდება ისეთი, რომელიც ძველი რომაელის მსგავსად იტყვის: თუნდაც დაიქცეს ქვეყანა, ღლონდაც იზეიმოს სამართლიანობაშ (ძველმა რომაელმა ასე სთქვა: „თუნდაც დაიქცეს რომი, მაგრამ იზეიმოს სამართლიანობაშ“).

ამასთან ნიშანდობლივია ის ურთიერთნდობა და პატივისცემის გამამაფრებული გრძნობა, რაც ერთმანეთის მიმართ გაცნობისთანავე გაგეინდა, რაც, ვფიქრობთ, ჩვენი საერთო წინაპრიდან წამოსული და ჩვენში ქვეშეცნეულად შემორჩენილი ისეთივე იმპულსი და კოდირებული თვითაღებმის გამოხატულებაა, რომელიც, ბევრ ცოცხალ არსებას იმ გარემოში აბრუნებს, სადაც ის დიდი ხნის წინათ დაიბადა (სხვადასხვა თევზები, ქვეწარმავლები, კუთა სახეობანი და ა.შ.).

ცნობილია, რომ წმინდა წერილთა მიხედვით ადამიანთა მოდგმა ერთი წყვილის, ადამისა და ევას, შთამომავლობას წარმოადგენს. ღმერთმა კი ადამი შექმნა სახედ და ხატად თვი-

სად. ამიტომაც ადამიანი ყოველთვის უნდა ამჟღავნებდეს თავის ღვთაებრივ ბუნებას, უფალთან თანაზიარობას, – მისოვისაც უპირველესი ლტოლების საგანი უნდა იყოს ღვთის საონო და კეთილმოქმედი საქმეები, ანუ უკიდეგანო სიყვარული, ისევე როგორც თავად უფალშია... და რადგანაც ყოველი ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, ღვთის შვილია, რატომ არ უნდა მიელ-ტოლეს საკუთარი მოდგმის საუკეთესო წარმომადგენელთა სა-უფლოს, რატომ არ უნდა აღიქვამდეს თავს მის ნაწილად და უშუალო მემკვიდრედ, წმინდანთა დასში საკუთარი სულის მა-კავშირებელთა მაძიებლად. სწორედ ეს არის ადამის მოდგმის დედამიწისეული არსებობის უმთავრესი არსი და მისიაც... ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, არავითარი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს მისი მიწიერი წარმომავლობის მახასიათებელთა ისეთ ერთობას, როგორიცაა ადამიანის სახელი, გვარი, მისი მოდგმა და ჯილაგი. მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად სჩანს ასე; სინამდვილეში კი, რადგან ღმერთმა ადამის სახით შექმნა ინდივიდი, მისთვის უმთავრეს მახასიათებელს სწორედ მისი ინ-დივიდუალური თვისებები წარმოადგენს, რადგანაც სწორედ ის არის ადამის მოდგმაში ღვთისაგან დაშვებული თვისუფალი ნების აპრობაცია, გამოცდა და გამოხატულებაც, – სხვა შემ-თხევეაში ისიც შეცოდებებისაგან დაზღვეული, სრული დმერთი იქნებოდა.

სწორედ აღნიშნული მისიის აღმატებულ გაგებას უნდა მიეწეროს სხვადასხვა ქაჟუნებული მეფე–არისტოკრატ–დიდგენულ-თა მიერ საკუთარი წარმომავლობის დამველება–გაკეთილშობი-ლების განუწყვეტელი მცდელობანი, რაც საკუთარი წარმოშო-ბის გაღვთიურების კი არა, მხოლოდ საწყისთან დაბრუნების ქეშეუცნეული ცდაა, რომელსაც საკუთარი მისიის მაღალი შეგნება და განსაკუთრებული, ღვთაებრივთან ნაზიარები ინტე-ლექტი (განხდობილობა) წარმართავს, რის შედეგადაც მათმა ნა-წილმა დედამიწაზე განხმერთობამდეც კი მიაღწია (უგვიპტის ფარაონები, მველი აღმოსავლეთის მეფეები, ალექსანდრე მაკე-დონელი, თუ რომის იმპერატორები, ინდუსი ბრაჟმანები და სხვა).

აქედან გამომდინარე, ჩვენც დიდ ცოდვას არ ჩავდივართ, თუ ჩვენი კეთილხმოვანი და ცნობილი გვარის საწყისებს, ასევე ცნობილ წმინდა მოდვაწეთა კეთილხმოვან სახელებში მოვძებ-ნით. ამ მხრივ კი, ჩვენი გვარის ძირის უძველეს გამხმოვანებ-ლად ვინ შეიძლება წარმოვიდგინოთ მართლმადიდებლურ საქ-რისტიანოში, თუ არა ქართლის კათალიკოსი ოქროპირი, ან კი-

დევ, კონსტანტინეპოლის პატრიარქი იოანე თქროპირი, რომელიც უფლისაგან სათნოყოფილი, ასე მოძღვრავს ადამიანთა მოდგმას: „მუდამ ასაზრდოვე შენში ღვთისადმი მადლიერების გრძნობა, რათა არ დაკარგო ეს ნიჭი და ამით–მისგან მომდინარე მრავალი ძლვენიც... ღვთის სათნომყოფლობა შენს მიმართ და მიღებული მადლი შენში ადრავს სათნო საქმეთა კეთების სურვილს, გიბიძგებს, მოიძულო სოფლის ამაოება, შეუდგე შემოქმედს და მუდამ სიხარულით გამოუცხადო უფალს ცხოველი სიყვარული... ნუ იქნებით უზრუნველნი, არამედ ყოველმა ჩვენგანმა ყოველ ქამს, რამდენსაც შესძლებს, იმდენი იფიქროს ღვთის წყალობაზე, რომელიც ღმერთმა მოელ კაცობრიობასა და აერძოდ, ყველა ჩვენგანზე მოიღო; გაიხსენეთ ასევე ისიც, რაც მარტოდენ თქვენ თვითონ უწყით – ის მადლი, რომელიც უფალმა მხოლოდ თქვენზე საიდუმლოდ მოიღო და მაშინ შევძლებთ ადგავლინოთ მუდმივი დიდება. ეს არის უფლისათვის ჩვენს მიერ გადებული ყველაზე დიდი მსხვერპლი...“¹⁵ არაფრია უფრო წმინდა, ვიდრე ენა, რომელიც უბედურების ქამს პმადლობს უფალს! ჰეშმარიტად გეტყვით: არაფრით განსხვავდება იგი მოწამეთა ენისაგან და იგივე გაირგვინს ღვბულობს...“¹⁵ – და ადამიანურ სათქმელში, რომელი სიტყვა გამოხატავს ამ წმინდა ენას უფრო უკეთ, ვიდრე ოქროპირი, ე.ი. ენა, რომელიც მუდამეამს პმადლობს უფალს; ამიტომაც მისგან თქროპირიძეთა გვარის წარმოშობის შესაძლებლობა მეტად სანდომიან საქმედ მიმართა, რადგან, განა ვინმე არ ისურგებს ისეთ საძირკეელს, რომელიც უკვდაგებაზეა დაშენებული, განა ვინმე უარყოფს ისეთ მამას, რომელსაც ჩვენთვის მარადიული ფასეულობების ჩანერგვა განუზრახავს, – და განა ღვთისთვისაც სათნო არ იქნება წმინდანთა ნაეურთს ემბაზში განბანოს ჩვენი ლამაზი გვარის უფლისადმი ერთგულად ნამსახური მემკვიდრები?!?

მადლობა, მადლობა და ათასგზის მადლობა მას ამისთვის!

გამოყენებული ლიტერატურა:

¹⁵ „ყოველსა შინა პმადლობდეთ“ (წმ. იოანე თქროპირიძის მიხედვით), კურნ. საპატრიარქოს უწყებანი, №40, 24.XII.2009 წ. 7.I, 2010 წ. გვ. 8-9.

1. ბექირიშვილი ი., აჭარის ისტორია გვარ—სახელებში, ბათ., 1996
2. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, III, საქართველოს მეცნ. აკადემიის პატიოლიტის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, გამომც.
- „არტანუჯი“, თბ., 2004
3. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია (თორმეტ ტომად), ტომი VIII, თბ., 1977
4. ტბეთის სულთა მატიანე...
5. რუხაძე შ., დარჩიმებისა და შუახევის ციხე-სიმაგრეები, აჭარის ასხრ სახელმწ. მუზეუმი, შრომები, ტ. II, სახელმწ. გამომცემლობა, 1957
6. ჯურნ. „ივერია“, №210, 1890
7. მეგრელიძე ი., წარწერები და სხვა სიძველეები პატარა ლიახვის ხეობაში, საქართველოს მეცნ. აკადემიის მოამბე, №5, თბ., 1963
8. ჩემი სოფელი — ლიახვის ხეობა, ქურნ. „კარიბჭე“, №9 (122), 30. IV, 2010
9. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, ბიოგრაფიული და სხვა წერილები გამოცემულია ზ.ჭიჭინაძისაგან, ტფ., 1903
10. გამახარია ჯ., წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი, თბილისი, 2006
11. ოქროპირიძე ზ., ქართული ეკლესიის ცხოველმყოფელი ვარსკვლავი, ქურნ. „ჩვენი უნივერსიტეტი“, №2, გორი, 2011
12. ოქროპირიძე ზ., ოქროპირიძეები, ქურნ. „ლიახვის ხეობა“, №1, 2011
13. იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი, ილნებოძირელისა,, გამოცემულია ზ.ჭიჭინაძისაგან, ტფ., 1902
14. ვარდიშვილი ს., საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდი (1918–1921 წ.წ.), თბ., 2000
15. ოქროპირიძე ზ., ოქროპირიძე უ., ყოველი მსგავსი მსგავსსა კშობსო..., საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია-ჩვენი სულიერების ბალვარი, III, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქრისტიანული კალვის ცენტრი, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2011
16. ოქროპირიძე ზ., (დისექვი) პირადი არქივი
17. „ყოველთა შინა პრადლობდევთ“ (წმ. იოანე ოქროპირის მოხედვით), ქურნ. „საპატრიარქოს უწყებანი“, №40, 2010.
18. თისლისა და ხახულის ხელნაწერთა მინაწერები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო დარეჯან კლდიაშვილმა, თბ., 1986.
19. ნათელი ქრისტესი საქართველო, წ. I, ანდერძი დავით მეფისა შიომღვიმისადმი, ივ, ჯავახიშვილის სახ. თსუ-ს გამომც., თბ., 2003.


შოთა მამულაძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი შავშეთის სამკლასიო ნაბეჭდანი (დაბაკამოილი, ახალდაბა, ციხისძირი)

შავშეთ-იმიერხევი, ისევე როგორც მთლიანად ტაოკლარჯეთი, ძალზე მდიდარია საეკლესიო ნაგებობებით. აშორი I-სა თუ სხვა ბაგრატიონების დროსაც სამხრეთ საქართველოს ეკონომიკურ აღმაღლობას თან მოჰყვა მისი კულტურული დაწინაურებაც. სწორედ VIII საუკუნის დასასრულიდან, როგორც კლარჯეთში, ისე შავშეთში განსაკუთრებით მძლავრად გაიშალა სამონასტრო მოძრაობა. მის მეთაურად გვევლინება გრიგოლ ხანმთელი და მისი მოწაფეები. სწორედ ამ დროს ჩნდება და შენდება დიდი საეკლესიო-კულტურული ცენტრები. მათით ადრე თუ ჩვენს დროში არაერთი ქართველი თუ უცხოელი მეცნიერი დაინტერესებულა (დ.ხომტარია, 2005 იხ. იქნება ლიტ.). მათ გვერდით დიდი რაოდენობით იყო მცირე ზომის საეკლესიო ნაგებობანიც. ისინი აქ ძირითადად ბაზილიკური თუ დარბაზული ტიპის ეკლესიებითაა წარმოდგენილი. შავშეთში ვერ ნახავთ სოფელს, სადაც ორი თუ არა ერთი საეკლესიო ნაგებობა მაინც არ ყოფილიყო. დიდი ნაწილი თითქმის საძირკვლის დონემდებარებული. მათი განადგურების პროცესს რამდენადმე აჩქარებს ე.წ. „მოხალისე არქეოლოგების“ მიერ წარმოებული „სამუშაოებიც“. ეს პროცესი თუ გაგრძელდა, არა მარტო შავშეთში, არამედ მთლიანად სამხრეთ საქართველოში, ამ ტიპის ეკლესიები აღიგვება მთლიანად მიწისაგან პირისა. დიდი მოცულობის ცნობილ საეკლესიო ნაგებობებს შედარებით ყურადღებითა და სიფრთხილით ეკიდება სახელმწიფოც და მოსახლეობაც, მაგრამ მივარდნილ ხეობებსა თუ სოფლებში არსებული მცირე ზომის საეკლესიო ნაგებობანი უმოწყალოდ ნადგურდება. ამიტომ, მიზნად დავისახეთ შეძლებისდაგვარად სწორედ ამ ტიპის ძეგლების აღნუსხვა და მკითხველისადმი მათზე მცირე ინფორმაციის მიწოდება. ამჯერად შევჩერდებით ზოგიერთ მათგანზე.

დაბაკეთილის (იაშარქოს) ეკლესია

სოფელი დაბაკეთილი (იაშარქო) შავშეთისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, სოფელ ციხისძირსა და ტბეთს შორის მდებარეობს. იგი თანამედროვე შავშეთის ცენტრიდან 16 კილომეტრითაა დაშორებული. ამ სოფელსაც, ციხისძირის მსგავსად აქვს საკმაოდ დიდი ტერიტორიები. რაც ბუნებრივია ქმნიდა მეტად ხელსაყრელ პირობებს მიწათმოქმედებისა და განსაკუთრებით მქაქონლების განვითარებისათვის. ერთ ზოლზე მდებარე სოფლები ტბეთი, დაბაკეთილი, ციხისძირი და სხვა საკმაოდ დაწინაურებული უნდა ყოფილიყვნებ შეასაუკუნეებში. ამაზე მიუთითებს აქ არსებული ამ ეპოქის ძეგლების სიმრავლე და აქ გამავალი ის ძველი გზები, რომელიც ამ რეგიონს კლარჯეთთან ერთად აკავშირებდა აჭარასთან თუ სამცხე-ჯავახეთთან.



დაბაკეთილის ეკლესიის გეგმა შეასრულა გ. დუმბაძემ

ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ამ სოფელში თავის დროზე ორი ეკლესია ყოფილა. ერთი მათგანი აღგვილია მიწისაგან პირისა. ადგილს მხოლოდ სახელი-ნაქილისევი (ნაეგლესიარი) შემორჩენია. რაც შეეხება მეორე ეკლესიას, იგი მდებარეობს სოფლის თავში, საგრიომობილო გზის მარჯვენა მხარეს, 50 მეტრში, სოფელ ციხისძირსა და დაბაკეთილს შორის საზღვარზე. ეკლესია უშეალოდ დაშენებულია ქედის ბოლო მონაკვეთის შემაღლებულ ბორ-


ცვეზე(ტაბ.XII,1-10). აქედან შესანიშნავად მოსჩანს მთელი შემოგარენი კარგა მოზრდილ მანძილზე. დაზიანებული ეკლესია თავის დროზე შავშეოში მოგზაურობისას ნიკო მარსაც უნახია. იგი ეკლესიის სიახლოეს მიუთითებს ტბის არსებობაზეც. ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით არსებულ ვაკეზე ტბა დღესაც დასტურდება. ოდონდაც უფრო დამცრობილი, როგორც ჩანს, იგი თავის დროზე შედარებით უფრო დიდი უნდა ყოფილიყო. ირგვლივ საჯამოდ დიდ ფართობზე შეიმჩნევა ტბისათვის დამასასიათებელი მცენარეული საფარის არსებობაც.

დღემდე მოდწეული ეკლესია საკმაოდ დაზიანებულია. თუმცა მის გეგმაზე წარმოდგენის შექმნა შესაძლებელი ხდება. დაბაკეთილის ეკლესია წარმოადგენს მცირე ზომის დარბაზული ტბის ერთნავიან ნაგებობას, რომლის აფსიდაც სწორკუთხედშია ჩაწერილი. ეკლესიის სიგრძე 9,5 მეტრია, სიგანე-5,50 მეტრი, ხოლო მისი კედლების სისქე-70 სმ. ეკლესიის ძირითადი ნაწილი თითქმის საძირკვლის დონემდევა მორღვეული. შემორჩენილია მხოლოდ აფსიდის და კედლების მცირე ნაწილი. მის გაგრძელებაზე საძირკვლისა და კედლების უმნიშვნელო ნაშთები დაცულია ეკლესიის დასავლეთითაც. აფსიდის ცენტრალურ ნაწილში 4 მ სიმაღლის კედლელი განგრეულია 1,5 მეტრის სიგრძეზე. შემორჩენილ კედლებს როგორც შიგნით, ისე გარეთ პერანგები ძირითადად შემოცლილი აქვს. აქა-იქ შემორჩეული ნიმუშებისა და კედლებზე არსებული ფოსოების მიხედვით ჩანს, რომ პერანგებად გამოყენებული უნდა ყოფილიყო შედარებით კარგად დამუშავებული კვადრები. ქვების წყობაში რიგები დაცულია. კვადრებს შორის სიცარიელე შევსებულია დუღაბითა და წვრილი ნატეხი ქვით. ეკლესიის ცენტრალური შესასვლელი არ ჩანს. არაა გამორიცებული იგი სამხრეთის ან დასავლეთის კედლებზე ყოფილიყო დატანილი. ეკლესიის როგორც მიმდებარე, ისე გაანსაკუთრებით, შიგა ტერიტორია, განდის მაძიებელთა მიერ გადათხრილია.

ახალდაბის (თევექოის) ეკლესია

შავშეთის ცენტრიდან სოფელ ახალდაბამდე 14 კილომეტრია. სოფელი არსიანის მთებიდან ხეობისაკენ დაშვებულ ქედებს შორის ქვაბულშია მოქცეული. სოფელი მთლიანად უზარმაზარ მოგაკეტულ ტერიტორიაზეა გაშენებული. იშვიათად თუ მოიძებნება შავშეთისწყლის მარჯვენა მხარეს ისეთი ლამაზი და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისათვის უხვნიადაგიანი

ტერიტორია, როგორც ახალდაბაშია. სოფლის ცენტრში, იქ სა-დაც ამჟამად ჯამეა, დაახლოებით 200 მეტრის დაცილებით მდებარეობს შუასაუკუნეების ეკლესიის ნაშთები. ეკლესია თა-ვის დროზე აუშენებიათ ჯამის მიმდებარე საქმაოდ დახრილი ფერდობის მცირედ მოვაპებულ ტერიტორიაზე. აქედან შესანიშ-ნავად ჩანს მოედი სოფელიც და შავშეთისწყლის ხეობის დიდი ნაწილიც კარგა მოზრდილ მანძილზე. ეკლესიისათვის განკუთ-ვნილი ტერიტორია, როგორც ჩანს თავის დროზე დამატებით მოუსწორებიათ და გაუფართოვებიათ. მთლიანი ფართობი და-ახლოებით 400-500 კვადრატული. ეკლესია თითქმის საძირკვლის დონეზდეა მორდვეული. აქა-იქაა შემორჩენილი მხოლოდ კედ-ლებისა თუ საძირკვლის ნაშთები(გაბ.XIII,1-6).



შედარებით კარგადაა დაცული ეკლესიის აფსიდის ჩრდი-ლოეთი მხარისა და ასევე ჩრდილოეთი ნავის ნაშთები. აფსი-დის ამ ნაწილში კედლის შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 3,5 მეტრს აღწევს. აფსიდიდან ეკლესიის ჩრდილოეთის კედელი დასავლეთით 3,5 მეტრზე გრძელდება. შემდეგ კი საძირკვლის დონეზდეა მორდვეული. კარგადა შემონახული ეკლესიის ჩრდი-ლოეთი მინაშენის უკიდურესი აღმოსავლეთი მონაკვეთიც 4 მეტრის მანძილზე. აქ დღემდეა შემორჩენილი კედლების პერან-გებიც. ჩანს, რომ ეკლესიის კედლები, როგორც შიგნით, ისე

გარეთ, თავის დროზე კარგად დამუშავებული კვადრებით იყო შემოსილი. ამჟამად მოწეული კედლის მაქსიმალური სიმაღლე ამ მონაკვეთში 3 მეტრს აღწევს. კედლის სისქე 80 სმ-ია. რაც შეეხება ეკლესიის ცენტრალური ნავის შემორჩენილი აფსიდის კედლებს, მათ პერანგები მთლიანად შემოცლილი აქვს. ემსწერი მხოლოდ საშუალო ზომის კვადრებისათვის განკუთვნილი ბუ-დების კვალი. ჩანს წყობის რიგები დაცული იყო.


ეკლესიის უკიდურეს დასავლეთ მონაკვეთშიც აქა-იქ და-ცულია საძირკვლის ნაშთებიც. მათზე დაყრდნობით შეიძლება ეკლესის მიახლოებით გეგმის აღდგენაც კი. ჩანს, რომ ეკლესია თავის დროზე პატარა ზომის დარბაზული ტიპის ნაგებობა იყო. ძეგლს აქაც ემსწერი „მოსალისე არქეოლოგების“ საქმაოდ ძლიერი კვალი. ეკლესია შავშეთ-იმიერხევისათვის დამახასიათებელი დარბაზული ტიპის ნაგებობაა და იგი შეიძლება IX-X საუკუნეებით დათარიღდეს.

ციხისძირის (ყაიადიბის) ეკლესია

სოფელი ციხისძირი მდებარეობს შავშეთისწყლის მარჯვენა სანაპიროზე. შავშეთის ვაკე, რომელიც საკმაოდ დიდ და ნაყოფიერ ტერიტორიებს მოიცავს სამხრეთ-დასავლეთით ტერა-სებად იშლება. ერთ-ერთ ტერასაზე სწორედ სოფელი ციხისძირია გაშლილი. იგი შავშეთის ცენტრიდან 19 კილომეტრითაა დაცილებული, ხოლო ცნობილი ტბეთიდან-3 კილომეტრით. თანამედროვე სოფელი ყაიადაბი ანუ ციხისძირი საკმაოდ დიდი სოფელია. იგი რამოდენიმე მეტელესაგან (უბნისაგან) შედგება. მათგან აღსანიშნავია: თეთრიკლდე, ბეჭიდოღლუ, ჯინშენლარ, ასლიოღლუ, კორდეზელერ, აშალჯამემაპალუსი, სახონგილი და სხვა. აქაური მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება და მესაქონლეობაა. ციხისძირი საინტერესო სოფელია თავისი წარსულითაც. აქ, როგორც აღგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრებით დადასტურდა, ყოფილა თრი საკლესიო ნაგებობა და სოფლის თავზე, ჯამიმაპლესის უბანში არსებულ წოწოლა კლდის თავზე დაშენებული ციხე-კოშკი. სოფელი XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც მოწინავეობს.

გ. ყაზბეგი, რომელიც 1874 წელს შავშეთში მოგზაურობდა, აღნიშნავდა, რომ ციხისძირში ცხოვრობს შავშეთის მუდირი. მუდირის აქ ყოფნამ ციხისძირი მთელი შავშეთის ცენტრად გადააქცია. სოფელში არის ხულოს მსგავსი დუქნები, მაგრამ აქ ვაჭრობენ მხოლოდ ართვინელი სომხები(გ.ყაზბეგი, 1995:78). ამჯერად მოვახერხეთ მხოლოდ ჯამიმაპლეს უბანში არსებული

საეკლესიო ნაგებობის ზედაპირული შესწავლა. ეკლესია მდებარეობს თანამედროვე სოფლის ჯამეს ზემოთ არსებულ საკმაოდ დახრილი ფერდობის შცირედ მოვაკებულ ტერიტორიაზე, ჯამის შენობიდან დაახლოებით 200 მეტრის დაშორებით. ნაგებობისათვის განკუთვნილი ტერიტორია დაახლოებით 300 კვ-მეტრ ფართობს მოიცავს. ეკლესის დიდი ნაწილი თოთქმის საძირკვლის დონემდეგა მორდვეული(ტაბ.XIII,7-8). მიუხედავად ამისა შეიძლება გარევეული წარმოდგენა შევიქმნათ ეკლესის გეგმაზე. იგი დარბაზული ტიპის საეკლესიო ნაგებობაა.



შემორჩენილია აფსიდისა და ჩრდილოეთი კედლის ნაწილი. ასევე შცირე ნაშთებია დაცული ეკლესიის უკიდურეს დასავლეთ მონაკვეთში. მთლიანი ეკლესიის ნაგებობის სიგრძე 10,5 მეტრი უნდა ყოფილიყო, სიგანე კი-7,5 მეტრი. აფსიდის მხარეს შემორჩენილი ნაწილის მაქსიმალური სიმაღლე 2,80 მი. აფსიდიდან ჩრდილოეთი კედლები დასავლეთისაკენ 4 მეტრის სიგრძეზეა შემორჩენილი. ეკლესიის მზიდი კედლების სისქე 80 სმ-ია. ჩვენამდე მოღწეული ნაშთების მიხედვით ჩანს, რომ თავის დროზე ეკლესის როგორც ცოკოლი, ისე კედლების პერანგებიც, არც თუ ისე კარგად დამუშავებული ქვებით ყოფილი აშენებული. პერანგებს შორის სიცარიელე შევსებულია დუღაბით და წვრილი ნატეხი ქვებით. სხვა ეკლესიებისაგან განსხვავებით, აქ არ გვაქვს კედლის სვეტები, პილასტრები, რაც ნაგებობის შედარებით მცირე ზომების გამო, კონსტრუქციებით არ იყო საჭირო. შავშეთის როგორც ყველა საეკ-

დესიო ნაგებობის ტერიტორიაზე, აქაც განძის მაძიებლებს გა-
დაუთხრიათ ყველაფერი.

როგორც ვნახეთ შავშეთის „ქვეწის“ ზემოთ განხილული
ყველა ეკლესია უგუმბათოა. ამ ტიპის ძეგლები სამ ჯგუფად
იყოფა: 1. ბაზილიკური, სამ ნავად შინაგანი სვეტებით; 2. სამეკ-
ლესიანი ბაზილიკური და 3-ერთნავიანი დარბაზული ეკლესიე-
ბი(გ.ჩუბინაშვილი, 1936:189).

შავშეთში ჯერჯერობით ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა
ბოლო, მესამე ტიპის საეკლესიო ნაგებობანი. ისინი დარბაზუ-
ლი ტიპის ეკლესიებია, რომელიც ფართოდაა გავრცელებული
მთლიანად ტაოკლარჯეთში და განსაკუთრებით შავშეთ-იმიერ-
ხევში. დარბაზული ტიპის ეკლესიების ოქმას ფართო გავრცე-
ლება ჰქონდა ადრეული პერიოდებიდან(V-VI სს-დან) თოთქმის
XIX საუკუნის ჩათვლით(Чубинашвили Г.1971:39). იგი ერთადერ-
თი ფორმა იყო უგუმბათო ეკლესიებისა, რომელიც გაჩენის
დღიდან ბოლომდე დარჩა გუმბათიანი ტაძრების „თანამგზავ-
რად“(ვ.ბერიძე, 1974:26). შავშეთში ექსპედიციის დროს განხორცი-
ელებული დაზვერვებით დასტურდება, რომ ამ ტიპის ეკლესიე-
ბი შავშეთ-იმიერხევის ხეობებისათვის ძირითადია და თოთქმის
საძირკვლების დონემდება დანგრეული ან კიდევ ადგვილია მი-
წისაგან პირისა. ჩვენს მიერ შესწავლილი ეკლესიებისათვის
დამახასიათებელია წარგელებული სწორჯუთხედი, რომელიც
შიგნით, აღმოსავლეთის მხარეს ნახევარწრიული აფსიდით
მთავრდება. აფსიდა სწორჯუთხედის ფარგლებში რჩება. მათი
სახურავი ორფერდაა, შესასვლელები ჩვეულებრივ სამხრეთით
ან დასავლეთით აქვთ, თუ მოზრდილებია-ორივეგან. ამათი ში-
ნაგანი სივრცეც უფრო მარტივი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად
ამისა, როგორც ჩანს, ხეროვნობრივი შიდა სივრცეს მაღალ-
მხატვრული არქიტექტურული გადაწყვეტით მნიშვნელოვან
ეფექტს მაინც აღწევს.

ამ ტიპის ყველა ძეგლი ერთნაირი არა. ყველა მათგანი
თავისი დროის ნიშნებს ატარებს. აყვავების ხანის ძეგლები
(მაგ. საზგირელი) უფრო დახვეწილია და ყოველთვის იგრძნობა
შესრულების შედარებით მაღალი სტილი. ამ ტიპის ეკლესიე-
ბის ერთი ნაწილი სოფლის ან კარის სამლოცველოები უნდა
ყოფილიყო. ესენიც ყურადღებას იქცევენ მშენებლობის დახვე-
წილი მანერით. შავშეთ-იმიერხევში შესწავლილი დარბაზულ
ტიპის საეკლესიო ნაგებობების მცირე ნაწილს (საზგირელი)
აქვს სამხრეთის მინაშენი. იგი სრულყოფილი სახით არცერთ
ძეგლზე არაა დაცული. როგორადაც არ უნდა განვიხილოთ ეს

ნაგებობანი, შენობის თანადროულად თუ მერედ აგებულად, ისინი მაინც ბუნებრივად თავსდება შეა საუკუნეებრივი ხუროთმოძღვრბის აყვავების ხანაში. რადგან, როგორც ცნობილია, საქართველოში X-XI საუკუნეებიდან სტოა ტაძრის თითქმის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა (ვ.ბერიძე, 1942:105). შავშეთ-იმიერხევში ზემოთ განხილული ეკლესიების აბსოლუტური უმრავლესობა საერთო პროტორციებით, საშენი მასალის დამუშავების ხასიათით ძირითადად შეიძლება IX-X საუკუნეებით დათარიღდეს.

დარბაზული ტიპის ეკლესიები ბევრია კლარჯეთში, ტაოში, ჯავახეთში, სამცხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, შიდაქართლში(Чубинашвили Г.1971:27-66) და ა.შ. სვანეთში იგი ერთადერთ მიღებულ ოემას წარმოადგენდა(Чубинашвили Г.1965:69). ასე ჩანს იგი შავშეთ-იმიერხევის მომიჯნავე აჭარის წყლის ხეობაშიც(შ.მამულაძე, 1993:72-142). ამ ტიპის საეკლესიო ნაგებობანი იმდენად ბევრია შავშეთ-იმიერხევში, რომ მათ ნიკო მარი შავშეურ-იმიერხევურსაც უწოდებს(Mapp H.1911).

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ.ბერიძე, ძველი ქართული ხერითმოძღვრება, თბილისი, 1974
2. გ.ბერიძე, სავანე (XI ს-ის ქართული ხერითმოძღვრების ძეგლი).-ქართული ხელოვნება, №1, თბილისი, 1942
3. შ. მამულაძე, აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993
4. გ.ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი 1995
5. გ.ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ.I, თბილისი, 1936
6. დ.ხოშტარია, კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, გამ-ბა „არტანუჯი”, თბილისი, 2005
7. Марр Н. Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию,... С-П, 1911
8. Чубинашвили Г.Н., Зедазени, Кликис джвари, Гвиара.- „Картули хеловнеба”, №7, серия-А, Тб., 1971
9. Чубинашвили Г.Н., Архитектура Кахетии, Тб., 1965

Shota Mamuladze

Summary

Churches of Shavsheti

(Dabaketili , Akhaldaba, Tsikhisdziri)

The present article is concerning to Dabaketili (Yiasharkoy), Akhaldaba (Tepeko) and Tsikhisdziri (Kaiyadib) chamber type churches. They are dated by the 9th-10th centuries.

თამაზ ფუტკარაძე

ქრისტიან-ეპარქიალისტ-ბაპტისტების თემი გათუმში 1940-1950-იან წლებში (რელიგიური კულტების საბჭოს რწმუნებულის მასალების მიხედვით)

XIX ს. მეორე ნახევრიდან პათუმი სხვადასხვა შინაარსის კულტისა და რელიგიის თავშესაყარს წარმოადგენდა. ერთის მხრივ, აქ მძღვრად იყო წარმოდგენილი ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები, ამავე დროს გზას იკვლევდა ისლამური, იუდაისტერური და სხვა რელიგიური მიმიდინარეობები. ყოველივე ეს, განაირობებული იყო ქალაქის გეოპოლიტიკური მდებარეობით. ბათუმის შემდგომმა განვითარებამ, მისმა საპორტო ქალაქად ქვევამ მოზიდა განსხვავებული ეთნოსისა და რელიგიური აღმსარებლობის ადამიანები. აღნიშნულმა ფაქტორმა განაირობა სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციების და თემების ჩამოყალიბება, რომელთა კულტურა ფართო მასშტაბით მოაზრებული ქართული კულტურის ნაწილად იქცა.

დღეისათვის, ბათუმში მართმადიდებლურ მოსახლეობასთან ერთად ცხოვრობენ მუსლიმანები, ბაგატისტები, ეიღოვას მოწმეები, ორმოცდათიანებულები, იუდაისტები და სხვა აღმსარებლობის ადამიანები.

საბჭოთა ხელისუფლებამ რელიგიური მიმდინარეობების კონტროლის მიზნით სახეომსაბჭოსთან შექმნა რელიგიური კულტების საბჭო, რომელსაც ჰყავდა თავისი რწმუნებულები მოქავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში. რწმუნებულები ყოველ კვარტალურად წარუდგენდნენ საკაგშირო ორგანოს რელიგიური მიმდინარეობების საქმიანობის დეპარტატ ანგარიშს. აქარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოს რელიგიური კულტურის საბჭოს რწმუნებულის ფონდში დაცულია მრავალმხრივ საყურადღებო დოკუმენტები, რომლებიც ბოლო დროს შედიოდა საიდუმლო დოკუმენტების ნუსხაში. 2010 წელს მოხდა მათი გამოსაიღუმლოება, რაც ამ საკითხებით დაინტერესებულ მეცნიერებს მისცემს დასახელებულ ფონდში დაცულ მასალებზე მუშაობის შესაძლებლობას.

ამჯერად შევეხებით „ევანგელისტ-ქრისტიან-ბაპტისტების“ საქმიანობას რელიგიური კულტების საბჭოს რწმუნებულების – ი.ტუნაძის, მ. ვანილაშვის, ი.კალანდაძის კვარტალური ანგარიშების საფუძვლზე ნიშანდობლივია, რომ ანტირელიგიური საქმიანობისათვის დაწესებული ყოფილი საეკიალური ჯილდო – სამკერდე ნიშანი, რითაც დაჯილდოვებული იყო რელიგიური კულტების საბჭოს რწმუნებული აქარაში მუხამედ ვანილაშვი (ფონდი ი-977, აღწერა 1, საქმე 18, ფურც-26). ამ ანგარიშებიდან ირკვევა, რომ ბათუმში 1940-ის წლების მეორე ნახევარში არსებობდა: „მუსლიმანთა“, „ქართველ ებრაელთა“, „ევანგელისტ-ქრისტიან-ბაპტისტთა“ რეგისტრირებული რელიგიური სა-

ზოგადოებები, ასევე ბათუმისა და სოუქსუს მოქმედი კლესიები (ფონ-დი ი-977, აღწერა 1, საქმე 21, ფურც.1)

ცნობილია, რომ ბათუმის „ევანგელისტ-ქრისტიან-ბაპტისტების“ თემი იყო ევანგელისტ-ბაპტისტთა საკავშირო რელიგიური ოემის შემადგენელი ნაწილი. საკავშირო ევანგელისტური თემის მმართველ ორგანოს წარმოადგენდა ევანგელისტ-ქრისტიან-ბაპტისტების საკავშირო საბჭო, რომელიც შედგებოდა 12 წევრისა და 2 კანდიდატისგან. საბჭოს პრეზიდიუმი შედგებოდა თავმჯდომარის, თაგმიჯდომარის ორი ამხანაგის და გენერალური მდიგნისაგან. პერიოდულად იქრიბებოდა პლენურის შეგრებები (წლიწადში 3-ჯერ მაინც). საბჭოს პქონდა თავისი ბეჭდი და შემატები, ხოლო პრეზიდიუმით – კანცელარია, ასევე სალარო. შემოსული თანხები ინახებოდა შემნახველ სალაროში. საბჭოს შეეძლო გაეხსნა ბიძლიის შემსწავლელი სკოლები. იგი გამოსცემდა აგრეთვე უურნალსაც. რელიგიური ოემის რეგისტრაციისათვის საჭირო იყო არანაკლებ 20 წევრი. მათი ასაკი უნდა ყოფილიყო არანაკლებ 18 წელი. მონათვლისათვის აუცილებელი იყო გამოისაცდებელი ვადის გავლა - არანაკლებ 1 წლის ხანგრძლივობით (საქმე 19, ფურც.47,48,49).

ლოკურნტების მიხედვით ევანგელისტ-ქრისტიან-ბაპტისტურ თემს დაქრიცებული პქონია სამლოცველო სახლი მაშინდელი გორგას ქუჩაზე №55-ში მდებარე სახლში. თემს სათავეში ედგა პრესვიტერი ალექსანდრე შაკინი (ცოლ-შეიძლიანი, დაბადებული – 1899 წ.) (აჭარის ცსა, ფ. 0.977, ა.1, საქმე 19, ფურც.20)

რწმუნებულ მ. ვანილიშვის 1947 წლის I კვარტლის ანგარიშის მიხედვით „ევანგელური ქრისტანების-ბაპტისტების“ საზოგადოების წევრთა და თანამშრომელთა რაოდენობა ყოველთვიურად იზრდებოდა, რელიგიური პროპაგანდა კი უფრო ფართო ხასიათს დებულობდა. ამ საქმეში კველაზე აქტიურად იყო ჩართული პრესვიტერი შაკინი, რომელიც საზოგადოების სხვა წევრებით ერთად „სამლოცველოს“ გარეთაც აწარმოებდა რელიგიურ პროპაგანდას. პროპაგანდისტულ-იდეოლოგიური საქმიანობა მათი მოღვაწეობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იყო. ევანგელისტ-ბაპტისტები თავიათ სარწმუნოებას სხვა რელიგიებზე მაღლა აყენებენ და სწამდათ, რომ „ქრისტეს დაბადების 2000 წლისათვაზე დედამიწაზე მოხდება დიდი ცელილება, კველანი იწამებენ ევანგელურ ქრისტიან-ბაპტისტებას და მერე მოისპობა სიცოცხლე“. ისინი ამტკიცებდნენ, რომ „1941 წელს დაწყებული მსოფლიო ომი ჯერ არ დამთავრებულა და იგი უნდა დამთავრდეს ეგვიპტეში“ (ფ. ი-977, ა.1. საქმე-13, ფურც.5).

რწმუნებული თავის ანგარიშში განსაკუთრებულ უურადღებას ამახვილებს ევანგელისტთა რაოდენობრივი ზრდის მიზეზებზე. მისი აზრით, ევანგელისტები ბათუმში რაოდენობრივად გაიზარდნენ რუსეთიდან ჩამოსულ მორწმუნეთა ხარჯზე. გარდა ამისა, ბათუმშელ ევანგელისტებს მჰიდრო კავშირი პქონდათ ზესტაფონელ და მახარაძელ (ოზურგეთი) მორწმუნებულთან. ანგარიშში აღნიშნულია, რომ პრესვიტერი შაკინი (სხვათა შორის შაკინს ბრალი ეგვიპტის უხეშობაში, სიმკაცეები, ორცოდიანობასა და I მსოფლიო ომში მონაწილეობისაგან

თავის არიდებაში) და ბაპტისტი კალოტა (სასულიერო პირი) დადიან ამ ქადაქებაში „მიცვალებულის მომსახურების მიზნით“ (ფ. 0.977, ა.1. სამე 10, ფურც.6).

მომდევნო 1948 წ. ანგარიშების მიხედვით ევანგელისტთა რაოდენობა შემცირებულია (დაახლოებით 100-150კაცი). შესაბამისად შემცირებულია შემოსავლებიც (საქმე 20, ფურც.1). 1949 წლისათვის მათი რაოდენობა 120 მორწმუნებს აღწევდა. მოგვიანებით კი მათი რაოდენობა შემცირებულია 81 კაცამდე, რადგან ზოგი შეუცვლია საცხოვრებელი ადგილი, ზოგიერთი კი გაურიცხიათ მათი რიგებიდან.

მორწუნეთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით პრესვიტერი უკავშირდება დასაკუთრებული საქართველოს რაიონებს (მასარაძე (ოზურგეთი), ჩოხატაური, ლანჩხუთი), ასევე „აჭარის რაიონებში მცხოვრებ ბაპტისტებს“ და ცდილობს მათ გაერთიანებას. 1948 წლის მაისში ორგანიზაციაში 14 წევრი გაუერთიანებით ჩოხატაურის რაიონის სოფ. ქვენობანიდან. შესაბამისად მოუთხოვათ ნებართვა ახალი სამლოცველოს დაარსების შესახებ, რომელზეც მიუღიათ უარყოფითი აასუხი. ამავე დოკუმენტის მიხედვით 1948 წ. სექტემბერში ბაქოდან ბათუმში ჩამოსულა ქრისტიან ბაპტისტების ცენტრის უფროსი ტერ-ოვანესოვი. რწმუნებულისა და ტეროვანესოვის საუბარი შეეხი პრესვიტერის სამოქმედო არეალის ბათუმის ფარგლებში შეზღუდვის საკითხებს (ფ.0-977, საქმე 20(ა), ა.1, ფურც.4). 1949 წ. 25 ოქტომბერს პრესვიტერი შაგინი დააპატიმრება. პრისვიტერის მოვალეობის შესრულება დაკისრა ვინე ხარაჯინის, თუმცა რწმუნებულ ტუნაძეს მისთვის არ მიუცია ლოცვების ჩატარების უფლება იმ მიზნებით, რომ იგი რწმუნებულის მიერ „რეგისტრირებული არ იყო“ (საქმე 20(ა), ფურც.26). აღნიშნული პრობლემის მოსაგარებლად თბილისიდან ბათუმში ჩამოვიდა მათი ლიდერი დაუშენებო, რომელმაც ჩატარა ახალი პრესვიტერის არჩევნები. ეს პოსტი დაიკავა ტუმენკომ. იგი დასახლდა ანგისაში, შაბან აჯიბასთან. ტუმენებო მანმადე პრესვიტერის ფუნქციებს ასრულებდა კრასნოდარში. ხარაჯინი არჩეულ იქნა მოადგილედ, ხოლო ფეისკინი – სარევეზიო კომისიის მდივნად (საქმე 20, ფურც.31). პრესვიტერის ხელფასი შეადგენდა 250 მანეთს.

შედარებით უფრო სრულყოფილადაა წარმოდგენილი ევანგელისტ-ბაპტისტების რელიგიური თემის საქმიანობა 1951 წ. ანგარიშში. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ტუმენები ბათუმში ცხოვრობს 1933 წლიდან. 1949 წლიდან იგი პრესვიტერია. სახოვაგადოების მდივნისა და პრესვიტერის მოადგილის მოვალეობას ასრულებდა კონსტანტინე ნევეჟინი (იგი ამავე დროს სასტუმრო „ინტურისტის“ დარაჯიც იყო). მოლარის ფუნქციები დაკისრებული პქონდა პავლე ხვესკინს. სარევეზიო კომისიის შემადგენლობაში იყვნენ: პეტრე დროზლიკი, მიხეილ კოვალევი (იგი ამავე დროს პურის ქარხანაში დუმელების შემქეთებლიცაა), რომან მეუენიანი – (დიაკონი), იაკობ ხორუნჯი. რელიგიური თემის წევრთაგან 314 ქალია, 12 მორწმუნე 18-დან 25 წლამდე ასაკისაა, უმრავლესობას წარმოადგენენ რუსები. მორწმუნებიდან ორი ქალი სომებია, 2 ქალი კი ებრაელი. ბაპტისტების ნათლობის ცერემონი-

აღი ტარდება ზაფხულის ან შემოდგომის თბილ დღეებში. 1950 წ. შემოდგომაზე მოინათლა 4 კაცი (საქმე 23, ფურც. 12-13). ანგარიშში დახასიათებულია ეგანგელისტთა ერთ-ერთი დღესასწაული „ვეჩერნიაა“. რწმუნებულის დახასიათებით ეს დღესასწაული არის „ქოფა-ცხოვრებაში გახრწილობის წარმომშობი საფუძველი მომავალი თაობისათვეს“, რადგან ლოცვის დამთავრების შემდეგ „საღამოს 9 ან 10 საათზე შენობაში მთლიანად აქრობენ სინათლეს და ერთი-ერთეს პეტრიან განუჩხევლად სქესისა და ასაკისა“. ლოცვა მიძღინარეობს ყოველ კვირას დილიდან საღამომდევ. ლოკუმენტის მიხედვით რწმუნებულმა ი. ტუნაძემ აუკრძალა აღნიშნული რიტუალის ჩატარება. განსაკუთრებული კონტროლი დაუწესებს რელიგიურ ლოცვებსა და რიტუალებში ბავშვების მონაწილეობას.

საარქივო ლოკუმენტები მწირ მაგრამ მეტად საყურადღებო ცნობებს იძლევა ორმოცდათიანელების შესახებ. 1948 წ. ერთი ლოკუმენტის მიხედვით ორმოცდათიანელები იკრიბებიან ბათუმის შემოგარენში, ნეზ (ბნე) ტერიტორიაზე ხან ერთი, ხან მეორე სახლში. მათი რაოდებობა აღწევდა 40 კაცს. მორწმუნება შორის იყო „ახალგაზრდა ასაკის 4-6 ადამიანი“. რელიგიურ თემს ხელმძღვანელობდა ვინმე ვიკასოვი. საარქივო მასალებიდან დგინდება რელიგიური ორიენტაციის შეცვლის შემთხვევები. მაგ. ორმოცდათიანელთაგან 8-10 კაცი გადასულია სუბოტინკებში (წინდაცვეთის გარეშე). ამავე ლოკუმენტების მიხედვით ვლინდება, რომ ორმოცდათიანელთა ნაწილი საღოცავად დაიდობა ეგანგელისტებთან (მათი რაოდებობა 20-25 კაცს აღწევდა), თუმცა მოგვიანებით საერთოდ „შეუწევებიათ იქ სიარელი“ (ვ. ა-977, საქმე 17, ფურც. 5-6).

საყურადღებოა საქართველოში რელიგიური კულტების საბჭოს რწმუნებულის დ. ქურიძის წერილი მ. ვანლიშისადმი. დ. ქორიძე მოითხოვს დაწვრილებით ინფორმაციას ერთი კონკრეტული ფაქტის შესახებ, სახელდობრ ევანგელისტ-ბატისტების ახალგაზრდა წევრებმა სხვა ქალაქიდან ბათუმში ჩამოიყანეს ორმოცდათიანელი ქალი, რომელმაც ბათუმში დაიწყო წინასწარმეტყველება. აღნიშნულის გამო მისი ჩამომეუანი გარიცხეს თემიდან. საქართველოს რწმუნებული თხოვს მ. ვანლიშს დაწვრილებით აცნობოს – გარიცხული წევრის მონაცემები - „რომელი ქალაქიდან ჩამოიყანა ორმოცდათიანელი ქალბატონი, რა ვთარებაში გაიცხეს ერთმანეთი, სად არის ახლა, რას საქმიანობს“ და ა.შ. (საქმე 18, ფურც. 27).

ამრიგად, რელიგიური კულტების საბჭოს რწმუნებულის ფონდში დაცული ლოკუმენტები წარმოადგენს პირველსარისხოვან წევროს საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის შესწავლისა და ობიექტური გააზრებისათვის. ლოკუმენტები ადასტურებენ, რომ მორწმუნება რელიგიური თემების ზედამხედველობის მიზნით სახეომსაბჭოსთან შექმნილი სტრუქტურები წარმოადგენდა მძლავრ ბერკეტს ანტირელიგიური პროპაგანდისა და რელიგიური თემების საქმიანობაზე საბჭოთა ხელისუფლების სრული კონტროლის დამყარების მიზნით.

გელელ კათოლიკე მართველთა ისტორიიდან

საქართველოს სამოციქულო ეკლესია არა მარტო ქართველი ერის მსოფლმხედველობითი გეზის განმსაზღვრელი იყო ყოველთვის, არამედ იგი გვევლინებოდა ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნება-გადარჩენის მტბიცე, ხშირ შემთხვევაში ერთადერთ გარანტია ისტორიის სხვადასხვა ეტაზე. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის გარეთ დარჩენილ ქართველთა ცალკეული ჯგუფები, პოლიტიკური ოუ სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, დროთა განმავლობაში კარგავდნენ ეროვნულ ცხობიერებას და სხვა ერებში ითქვიფებოდნენ ხოლმე.

აღნიშნული სამწერაო მოვლენის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია სოფელ ველის კათოლიკე ქართველების ბედიც.

არტაანში მდებარე სოფ. ველი დიდად დაზარალდა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ოსმალთაგან დაკყრობილ ველში 1595 წელს 30 კომლიდა ცხოვრობდა [დომსაძე შ., 1975:363], ხოლო 1780-იან წლებში აქაურ ქართველთა რიცხვი მხოლოდ 500-მდე აღწევდა [თამარაშვილი მ., 1902:477].

დამპყრობელთაგან მიტაცებულ ზემო ქართლში საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია დიდ შეჭირვებასა და დევნას განიცდიდა, რამაც საშუალება მისცა სხვა რელიგიურ მიმართულებებს მისიონერული მოღვაწეობა გაეშალათ აქ. ქრისტიანობის შენარჩუნების იმედით, ველელი ქართველობაც კათოლიკური მისიის გავლენის ქვეშ მოექცა და კათოლიკობაზე გადავიდა.

როდის მოხდა ზუსტად ველელების გაკათოლიკება, ცნობილი არ არის. ეყრდნობა რა კაპუცინი პატრის ანდრია პალერმოველის წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდესადმი გაკეთებულ 1786 წლის 31 მარტის მოსხენებას, მ. ომარაშვილი მიუთითებს, რომ ველელების გაკათოლიკება მიეწერება კაპუცინ პატრის ნიკოლა ჯირჯენოს, რომელმაც კაპუცინების მისიონი დააარსა ახალციხეში 1733 წელს [თამარაშვილი მ., 1902:473]. მკვლევარ შ. ლომსაძის ვარაუდით კი კაპუცინების მისიამ ველელთა ერთი ნაწილის გაკათოლიკება 1737 წელს მოახდინა, რის შემდეგაც სოფელი

თანდათან კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადავიდა [ლომსაძე შ., 1975:363].

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისაგან ჩამოშორებამ უარყოფითი ზეგავლენა იქონია ისევდაც ქართული სახელმწიფოებრიობის მიღმა დარჩენილი ველელი ქართველების ბედზე. ეს მალე მათ მეტყველებასაც დაეტუ. XVIII საუკუნის 80-იანი წლებისათვის აქაური ქართული უკვე განიცდის თურქულის მოძალებას, რომელიც მისი ადგილის დაჭრას დამობს.

ველელები ამ ვითარებას იმას მიაწერდნენ, რომ 1770-იანი წლებიდან მათ ქართული ტიპიკონის ნაცვლად სომხური დაუკანონებს [ლომსაძე შ., 1975:363]. ანუ ამით ქართულ ენას მოქმედების ასპარეზი, ფუნქცია დაუკარგეს. ველელი ქართველი სახელმწიფოსთან (ოსმალეთის იმპერია) თურქულ ენაზე ურთიერთობდა, ხოლო ეკლესიაში, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ცნობიერების ფორმირებაში, ძირითადად სომხურად ლოცულობდა. ასეთმა ვითარებამ, ჩანს, შეარყია ქართული ენის სიმტკიცის საფუძვლები და შეასუსტა მისი პოზიციები შეტევაზე გადმოსული, სახელმწიფოში გაბატონებული ენის, თურქულის მიმართ.

ამდენად, არამართლმადიდებლურმა, უცხოენოფანმა ეკლესიამ საკმაოდ მოკლე ხანში მიაყენა მომაკვდინებელი დარტყმა ეროვნული იდენტობის ერთ-ერთ უმთავრეს ბასტიონს – მშობლიურ ენას, რითაც ნოვიერი ნიადაგი შექმნა ეროვნული ცნობიერების რდვევისათვის. ასეთ ვითარებას ნამდვილად არ ექნებოდა ადგილი, თუნდაც იმავე ოსმალეთის იმპერიაში ყოფნის პირობებშიც კი, თუ რომ ველელებს მშობლიური ეკლესიის მრევლად დარჩენის საშუალება ჰქონიდათ.

ქართველ კათოლიკებს ესმოდათ საფრთხის სერიოზულობა და მის თავიდან აცილებასაც ცდილობდნენ. მ. თამარაშვილი გვაწვდის ცნობებს ველელების ამ მცდელობათა შესახებ. 1880-იანი წლებით დათარიდებულ ერთ-ერთ წერილში ისინი ზემდგომ ინსტანციებს პირდაპირ სთხოვენ ისეთი სასულიერო პირი შეუნარჩუნონ, მათი სულების ქართულ რიგზე (ანუ ქართულ ენაზე) მოვლა-პატრონობა რომ შეეძლება [თამარაშვილი მ., 1902:475-477].

რომში საჭიროდ ცნებს ველელებისათვის ქართველი სასულიერო პირები დაენიშნათ. ამ მიზნით 1798 წლიდან ახალციხის პროვიკარად დანიშნულ პაგლე შაჟყულიანს (ჭილიმუზაშვილი) 1800-იანი წლების დასაწყისიდან რამდენჯერმე მოსთხოვეს ორი

ადგილობრივი ახალგაზრდა წმ. კონგრეგაციის კოლეჯში გაეგზავნა ქართულ ტიპიკონზე აღსაზრდელად.

როგორც მკვლევარები მიუთითებენ, პ. შაჰეულიანი მიისწრაფოდა რეგიონის კათოლიკური მრევლის სულიერი ლიდერობა ეგდო ხელთ, რისთვისაც სომეხ-კათოლიკეთა მხარდაჭერა ესაჭიროებოდა [პაპაშვილი მ., 1995:303]. ამ მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით იგი „სამცხე-შავშეთ-არტაან-ჯავახეთის ქართველ კათოლიკეთა შორის სომხეურენოვანი რიტის ქმარების მიზანშეწონილობის მტკიცებას შეუდგა“ [ლომსაძე შ., 1979:114] და რომის მოთხოვნის უგულველყოფა სცადა მდ მოტივით, რომ არც ველში და არც ახალციხეში საჭირო არ არის ქართულად მოსაუბრე ქართველი მდგდლები, რადგან ქართველი კათოლიკები შეეჩვინენ სომხეური ტიპიკონის მქონე მდგდლებისაგან სულიერი სამსახურის მიღებასო [პაპაშვილი მ., 1995:304].

საბოლოოდ, პ. შაჰეულიანი იძულებული გახდა 1805 წელს ორი ველელი ახალგაზრდა რომში გაეგზავნა მათგან ქართულენოვან მოძღვართა აღსაზრდელად, მაგრამ ისინი რადაც საბაბით კონსტანტინეპოლიში შეაჩერეს და, როგორც ჩანს, აქაური სომხეური კათოლიკური სასწავლებლისაგნ აქნევინეს პირი [ლომსაძე შ., 1979:114; პაპაშვილი მ., 1995:304]. ველველები, ძირითადად, ისევ სომხეურენოვანი ღვთისმსახურების ამარა დარჩნენ.

1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ველის კათოლიკე ქართველები ჯავახეთის სოფლებში – ბავრას, ხულგუმისა და კარტიკამში გადმოსახლდნენ (საინტერესოა, რომ ამ სოფლების, აგრეთვე სოფ. ტურცხის კათოლიკე ქართველებს საზოგადო მოღვაწე და მკვლევარი გიორგი ბოჭორიძე არტაანის ოლქის სოფელ ურიდან გადმოსახლებულებს უწოდებს [ბოჭორიძე გ., 1992:142]). მათ გარშემო არზრუმიდან გადმოსული სომხები დაწსახლნენ. ველველებს აქაც კვლავ სომხეური რიტი დაუკანონებს, ხოლო მაღლე სომხეური სასულიერო სასწავლებელიც გაუხსნეს. „ამგვარ ვითარებაში ჩაექნებული ხალხი თანდათან ივიწყებდა თავის ვინაობას, რადგან შთამომავლობა სხვა ჰქონდათ, ენა სხვა და სარწმუნობა სხვა“ [ლომსაძე შ., 1975:364], და დროთა განმავლობაში მენტალურადაც სომხდებოდა. საინტერესოა ამ პროცესისათვის თვალის მიღებება.

1883-1885 წლებში, „როცა სომეხ და ქართველ კათოლიკეთა წრეებში „ტომობრიობაზე და გვაროვნობაზე“ კამათი ატყდა“, ვე-

ლიდან გადმოსახლებულთა საკითხის შესასწავლად ორჯერ გაიგზავნა საგანგებოდ გამოყოფილი კომისია. გამოძიების შედეგად ორივე კომისიამ ერთი და ოგივე დაადგინა – „ველელები წარმოშობითა და ყოფაქცევით ქართველები არიან, ეხლა ასწავლიან სომხურ ენას“ [ლომსაძე შ., 1975:364-365]. სამწუხაროდ, მათ დასკვნებს აქაურთა საეკლესიო ცხოვრებაში არანაირი ცვლილები არ მოჰყოლია, რამაც შემდგომში სათანადო შედეგები გამოიღო.

1933 წელს ჯავახეთში ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიცია ჩაატარა ნ. ბერძენიშვილმა. ჩვენთვის საინტერესო სოფლებზე დაკვირვების შედეგები მან საანგარიშო მოხსენებაში შეიტანა. ამ დროისათვის ბავრას, ხულგუმოს, კარტიკამისა თუ აქედან სხვა სოფლებში გადასულ-დამკიდრებული კათოლიკური მოსახლეობის სასაუბრო ენა თურქული, ხოლო სომხური – დამკიდრების პროცესშია. ეროვნული ცნობიერება უკვე შერყეულია. ახალქალაქის ქართულ სკოლაში შესული ახალგაზრდები თავს ქართველებად მიიჩნევენ, სოფლებში არსებულ სომხურ სკოლებში მოსიარულენი კი სომხებად. „მაგრამ ორივე ეს იმ შემთხვევაში, – აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი, – თუ არ მოეშვებით და აიძულებთ თავიანთი ვინაობა სარწმუნოებრივი მომენტის გარეშე განსაზღვრონ, რაც მათ მეტად ემნელებათ. ჩვეულებრივ ისინი თავის თავს ფრანგებს („ფრანგებ“) უწოდებენ“ [ბერძენიშვილი ნ., 1964:55, 102, 107, 109].

XX-ს ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისისათვის ველელი კათოლიკე ქართველების შთამომავალთა ეროვნული დეგრადაციის პროცესი, ფაქტობრივად, უკვე დასრულებულია. მკვლევარი თ. ფუტკარაძე, რომელმაც ეთნოლოგიური თვალსაზრისით შეისწავლა ჯავახეთის მოსახლეობა აღნიშნულ პერიოდში, გულისწყრომით მიუთითებს, რომ „ანტიქართული დემოგრაფიული პოლიტიკის თვალსაჩინო მაგალითთა არტანის თლიქის სოფ. ველიდან ტურცებში, კარტიკამში, კულიკამში, ბავრასა და ხულგუმოში ჩამოსახლებული კათოლიკი ქართველების გასომხების ფაქტი“ [ფუტკარაძე თ., 2005:145]. ამდენად, ძირდები არტანელი ქართველების მემკვიდრეთა დიდი უმრავლესობა დღეს სომხური ეთნოსის შემადგენელ ნაწილად არის ქცეული.

არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტევით, რომ ველელი ქართველების გასომხების თუ ერთადერთი არა, უმთავრესი მიზეზი მაიც მათი მშობლიური ეკლესიის წიაღიდან მოწყვეტა და სომხურენოვანი მღვდელმსახურების გავლენის ქვეშ მოქცევაა. სწორედ ამ

სამწუხარო ფაქტმა დაუდო სათავე ჩვენთვის ესოდენ მტკიცნეულ დღევანდელ რეალობას.

აღნიშნული ვითარება კიდევ ერთხელ თვალნათლივ ცხად- ყობს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის უდიდეს როლსა და დანიშნულებას საუკუნეების მანძილზე მჩერთაგან მიძალებულ ქართველობაში ეროვნული ცნობიერებისა და თვითშეგნების შენარჩუნების უმნიშვნელოვანეს საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ბერძენიშვილი ნ., 1964:** ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგ. I, თბ., 1964;
2. **ბოჭორიძე გ., 1992:** ბოჭორიძე გ., მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები, საძიებლები და შესავალი დაურთეს დ. ბერძენიშვილმა, ლ. მელიქიშვილმა და ლ. ხუციშვილმა, თბ., 1992;
3. **თამარაშვილი მ., 1902:** თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902;
4. **ლომსაძე შ., 1975:** ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე), თბ., 1975;
5. **ლომსაძე შ., 1979:** ლომსაძე შ., გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან (ახალციხეური ქრონიკები), თბ., 1979;
6. **პაპაშვილი მ., 1995:** პაპაშვილი მ., საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს., თბ., 1995;
7. **ფუტკარაძე თ., 2005:** ფუტკარაძე თ., აჭარის მოსახლეობის მიგრაცია და ეთნოდემოგრაფიული პრობლემები პოლიეთნიკურ რეგიონებში, ბათუმი, 2005;

Oleg Jibashvili

History of catholic Georgians from Velly Summary

Apostolic church of Georgia was not only determined as the world outline way (ideology) of Georgian nation, as well as it was firm guarantee of preserving and saving of national self-consciousness on the different levels of history. Group of Georgian people left out of the orthodox church of Georgia often lost national consciousness for some different reasons and were mixed in different nations.

Catholic Georgian people, citizens of the village Velly had the same fate. From the 70s of the XVIII century Armenian was legitimated for them as a language of surviving in the church. From 1829 they were immigrated in the villages of Javakheti (Bavra, Khulgumo, Kartikami), Armenian was left as surviving language there too, and Arthrumian Armenians settled around them. Under the influence of Armenian Catholic church they became Armenians time by time and today their descendants are written as Armenians.

შუშანა ფუტპარაძე

იოანე შავთელი – შავშეთის სახელოვანი სასულიერო მოღვაწე და მზოსანი

ისტორიულმა ზემო ქართლმა–მესხეთმა–დედასამშობლის ბევრი სასახელო შვილი აღუზარდა. მათ შორის ერთ–ერთია იოანე შავთელი, ძელი ქართული სახოტბო პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენელი, „კაცი ფილოსოფოსი და რიტორი, ლექსთა გამომთქმელი და მოღუწებათა შინა განთქმული“ (1,95). ამ სახელოვანი პიროვნების შესახებ ბიოგრაფიული ცნობები თითქმის არ მოგვეპოვება. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, იგი თამარ მეფის თანამედროვე იყო, სამეფო კარის პოეტი, საზოგადოების მოწინავე წრეებთან დაახლოებული პიროვნება. ისტორიული წყაროების თანახმად, 1203 წელს ბასიანში თურქ–სელჯუკთა წინააღმდეგ ბრძოლის მოსამზადებელ წინა დღეებში იგი თამარ მეფის უახლოეს პირთა შორისაა. თამარ მეფის მატიანეები („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და „ცხოვრება მეფეთ–მეფისა თამარისი“) მოგვითხრობს: „მაშინ მოუწოდეს სპათა იმერთა და ამერთა, ნიკოფილი და რუპანდამდის, და შეკრბეს ჯავახეთს. და მივიდა თამარ ვარძიას, ვარძიისა და ლვისმშობლისა წინაშე და ცრემლით შევედრა სოსლან და სპა მისი; და დროშა მისი სპანი და ბედინერად მყოფი გაგზავნა ვარძიით. ლაშქარნი წარემართეს ბასიანის კერძოსა... მეფე თამარ მოიქცა სამცხეს და მოვიდა ოძრეს, და მოიცალა ლოცვად და მარხვად. მუნ იყო წინაშე მისსა თევდორე, ქართლისა კათალიკოსნი და მონაზონნი, ღმრთისა სათხონი; რომელთა თანა იყო იოანე შავთელი... და ევლოგი, რომელსა მოედო მადლი წინასწარმცნობელობის. იუჯნეს მიმდემნი დამისთევანი და ლიტანიობანი“ (1, 95; 136). სწორედ მაშინ დაწერა იოანე შავთელმა „გალობანი ვარძიისა ლვისმშობლისანი“, ხოლო მათთან მყოფმა ვინმე ევლოგად წოდებულმა სასულიერო პირმა „საღმრთო უამის წირვის“ აღსრულების დროს იწინასწარმეტყველა ბასიანის ბრძოლაში ქართველთა გამარჯვება. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, წინასწარმეტყველების გამოცხადება ამ სასულიერო პირმა, ევლოგიმ, „არავის რა გამოუცხადა საიდუმლო თქნიერ იოვანე შავთელსა. რამეთუ მას ოდენ აუწყა, კითარმედ ჟამთა ამას მოსცნა ღმერთმან ბარბაროზნი

საძლეველად ჰელთა ქრისტიანეთასა. და მყის წარგიდა ევლოგი პირისაგან მათისა და დაიმალა“ (1, 138).

ჩვენამდე მოღწეულ ძველ ისტორიულ წეროებში სხვაგან არსად იხსენიება იოანე შავთელი. გამონაკლისია „ვეფხისტეაოსნის“ დასახრულში მოცემული ბიბლიოგრაფიული სტროფი. ესაა უძველესი წერილობითი ცნობა „აბდულმესიანისა“ და მისი ავტორის შესახებ: „აბდულმესია-შავთელსა, ლექსი მას უქს რომელსა“... ამ სტროფში დასახელებული ოთხი ავტორიდან – სამი (მოსე ხონელი, სარგის თმოგველი, შოთა რუსთაველი) თამარის დროის მოღვაწეა, ამის ანალოგით მეოთხეც (იოანე შავთელი) იმავე დროის მგოსნადა მიჩნეული, რასაც ადასტურებენ თამარ მეფის ისტორიკოსები.

ქართველი მწიგნობრები და მკვლევარები 150 წელზე მეტია ცდილობენ საფუძვლიანად შეისწავლონ ქართული სახოტბო პოეზიის მშენება – „აბდულმესიანი“ და მისი ავტორის ვინაობა. პირველად ამ საკითხით დაინტერესდა პლატონ იოსელიანი, შემდეგ კი ყურადღება გამოიჩინეს სწავლულმა ბატონიშვილებმა–იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონებმა. იოანე ბაგრატიონი „კალმასობაში“ შავთელს მიიჩნევდა თამარის დროის მგოსნად. ასეთივე ახრისა იყო თეიმურაზ ბატონიშვილიც. ისინი კურდნობოდნენ თამარის ისტორიკოსების ცნობასა და იმ ხელნაწერებს, რომელთაც დაუცავთ შავთელის გალექსილი თამარის ქება. სახელდობრ, „აბდულმესიანის“ კვლევას კი ართულებს ის გარემოება, რომ ამ სათაურის მქონე ნაწარმოები ხელნაწერებს არ შემოუნახავს. ასევე, შავთელის მიერ დაწერილი თამარის ქება კი ჩვენამდე მხოლოდ გვიანდელი ხელნაწერებითაა მოღწეული.

იოანე შავთელის სახოტბო ნაწარმოები „აბდულმესიანი“, რომელსაც დღევანდელი მკითხველი იცნობს, ჩვენამდე მოღწეულია „ძალზე დამახინჯებული სახით. სულ მცირე, ორგზის განუცდია გადამუშავება. XVIII საუკუნეში დავით დუმბაძემ ეს ხოტბა გადააკეთა და არჩიდ მეფეს მიუძღვნა. XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე ქართველმა მწიგნობრებმა, განსაკუთრებით დავით რექტორმა, სცადეს ტექსტის რესტავრაცია. ამიტომ ძნელი სათქმელია, რა არის თხზულების ტექსტში თავდაპირებელი, რა–მერმინდელი და რა–ამოღებული და დაკარგული“ (4, 147).

1902 წელს აკად. ნ. მარმა გამოიქვეყნა ქართველი მეხოტბეგ-ბი (აბდულმესიანისა“ და „თამარიანის“ დაღგენილი ტექსტები, ვრცელი გამოკვლევითა და კომენტირებული ლექსიკონით). ნ. მარის ამ შესანიშნავი ნაშრომით საფუძველი ჩაეყარა ქართველ მე-ხოტბეთა მეცნიერულ შესწავლას. ნ. მარმა პირველმა გამოუნახა ამ ძეგლებს აღგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. გამართა და გასაგები გახდა ამ როგორი ტექსტების მრავალი აღგილი, გამოივლინა ჩახრუხამისა და შავთელის მაღალი პოეტური ოსტატობა (5, 92).

დავით რექტორის მიერ გადაწყვილი თამარის ქების ერთ-ერთი ხელნაწერი გარკვეულ ცნობას გვაწვდის ითანე შავთელის ვინაობის შესახებ. ელ. მეტრეველი იმოწმებს ამ ხელნაწერს (H-391), რომლის მიხედვით ითანე შავთელი არის თამარ მეფის მდივანი; მოგვიანებით იგი მონაზენად აღკვეთილა გელათში, იქ შეუთხავს მას თამარის ხოტბა და მიუროთმევია მეფისათვის. სხვა წერო მისი ვინაობის შესახებ დღემდე არაა გამოვლენილი, „ოუ მხედველობაში არ მივიღებთ, -როგორც წერდა აკად. კ.პეტელიძე-ზ.ჭი-ჭინაძის მიერ შედგენილ ფანტასტიკურ ბიოგრაფიას, რომლის მიხედვით ითანეს უსწავლია ჯერ შიომღვიმეში, მერე ათენში და ათონის აკადემიაში (?), ხოლო სწავლის დამთავრების შემდეგ უმოგზაურია ეგვიპტე-ფინიკიაში, და ბოლოს, სამშობლოში დაბრუნებულა“ (6, 323).

რად და მსხემად“ . მაშასადამე, ის მართლაც ბერი ყოფილა“ (6, 324). როგორც ჩანსა, პ. იოსელიანი იმეორებს დავით რექტორის მიერ გა-დაწერილი „აბდულმესიანის“ ხელნაწერის ცნობას იოანე შავთვ-ლის ვინაობის შესახებ.

პლატონ იოსელიანს 1838 წელს თბილისში დაუსტამბავს იოანე შავთვლის სახოტბო ნაწარმოები (ოდა) „აბდულმესია“ და სწორედ ნაწარმოების შესავალში აღნიშნავს მისი სადაურობის შესახებ, რომ ის იყო „ადგილთაგან საათაბაგოსთა“. მაშასადამე, იოანე შავთვლის სადაურობის შესახებ მხოლოდ ორჯერად საუბა-რი სამეცნიერო ლიტერატურაში: პლატონ იოსელიანის ცნობით, იოანე საათაბაგოდანაა. პ-კველიძე კი კიდევ უფრო აზუსტებს ამ ცნობას, აკონკრეტებს მას და აღნიშნავს, რომ იოანე შავშეთიდა-ნაა, რომ ზეწოდება „შავთვლი“ შემოკლებული „შავშეთელია“.

იოანე შავთვლის სადაურობის შესახებ პლ. იოსელიანისა და პ-კველიძის მიერ მოწოდებული შეხედულება უსათუოდ გასა-ზიარებელია. როგორც ცნობილია, ჩვენი დიდი წინაპრები თავიან-თი სადაურობის უკვდავსაყოფად ზეწოდებად ირჩევდნენ მშობლი-ური ადგილების სახელებიდან მომდინარე გამოთქმებს, როგორი-ცაა: რუსთველი, ოპიზარი, ილთისარი, ჯვარელი, ბერთელი, მერი-სელი, ხახულარი... ასეთივე შავთვლიც, რომელიც მიგვანიშნებს, რომ დიდი თამარის სამეფო კარის პოეტი იოანე შავთვლი იყო შავ-შეთიდან, პერძოდ, სოფელ შავთიდან//შავთიდან (შავმოკლი// შავთვლი). სოფლის სახელი შავმთა ადგილობრივ მცხოვრებთა მეტყველებაში ხშირად ისმის (გამოითქმის) როგორც შავთა.

შავმთა//შავთა მხოლოდ ერთადერთი სოფლის სახელია—სა-ქართველოში. იგი მდებარეობს ისტორიულ შავშეთში, რომელიც წარმოადგენდა ზემო ქართლის—მესხეთის—ერთ—ერთ დაწინაურე-ბულ მხარეს, სამცხე—საათაბაგოს შემადგენელ ნაწილს. დიდი ილია ჭავჭავაძე ჩვენი სამშობლოს ამ დიდებულ მიწა—წყალს ასე გვიხასიათებს: „საკვირველს მედიდურს სანახაობას წარმოადგენს იგი საქართველოს ისტორიაში. როდესაც საქართველო დაყოფილ იყო წვრილ სამთავროებად... მაშინ ზემო ქართლი, რომელსაც ეხ-ლა თსმალოს საქართველოს ვუწოდებთ, განაძლიერებდა ქართვე-ლებს თვითარსებობის დასაცველად, მაშინ თითქმის მარტო მას ეჭირა თავისუფალი დროშა ქართველთა ერთობისა... უწარჩინებუ-ლესნი მამანი, საღმრთო—საერო თხზულებათა მწერალნი ჩვენი,

ეხდანდელის ოსმალოს საქართველოს შვილნი იყვნენ... ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღმართავს თვისი სახელგანთქმული დროშა, თითქმის იგია ჩვენის სულის აღმატებულების აკვანი... სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას ერთს დროს (7, 8-9). ეს ბედნიერი დრო ჩვენი ხალხის ისტორიაში IX-XIII საუკუნეებს მოიცავს.

ითანე შავთელის მოღვაწეობა XII საუკუნის პოლო მეოთხედსა და XIII საუკუნის დასაწყისის პერიოდს უკავშირდება. ამ დროს შავშეთ-კლარჯეთი, აჭარა, ტაო ბასიანითა და საქრიო საქართველოს ისტორიის სასახლო ფურცლებს წერდა ხოლმე. შავშეთის სოფელ შავმთაში საქმაოდ მოზრდილი ეკლესია ემსახურებოდა აქაური მოსახლეობის სულიერებასა და განათლებას. მისი ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი.

მკლევართაგან სოფელი შავმთა პირველად აღწერა გ. ყაზბეგმა. 1874 წლის იგნისში იგი ზემო აჭარიდან სოფ. ბაქოს გავლით, სარიჩაორის მწვერვალზე გადავიდა მდ. ყვირალას ხეობაში და იქდან შევიდა სოფ. გარეულობში, საიდანაც იწყება შავშეთის ვაკე. აქვე სოფელი შავმთა//შავთა. მან აქ ნახა ეკლესიის ნანგრევები, მაშინ ჯერ კიდევ იდგა ეკლესიის სამი კედელი. აღმოსავლეთის კედელზე შემონახული იყო მაცხოვრის გამოსახულების მარცხენა ნაწილი „წარწერით-იქსო ქრისტე“ (8, 77). ნ. მარმაც იმოგ ზაურა 1904 წლის ივლისში შავშეთ-კლარჯეთში, მაგრამ მხოლოდ მიუახლოვდა სოფელ შავმთას, რომელიც სოფელ გარეულობის ზემოთ მდებარეობს. სოფელ სვირევანისკენ მიმავალი ნ. მარი ველარ შევიდა სოფელ შავმთაში, რაღაც გზამ გვერდით მოიტოვა შავმთა. დიდმა შეცნიერმა იცოდა შავმთის ეკლესიის ნანგრევის არსებობა, ამიტომ გარეულობელ კაცს მოათხოვდინა ამ ეკლესიის შესახებ. თუმცა გ. ყაზბეგის მიერ მოპოვებულ ცნობებს ბევრი არაფერი მიმატებია ამ ეკლესიის შესახებ (9, 30). ჩვენთვის მნიშვნელოვანი ნ. მარის დღიურში მხოლოდ ის გახლდათ, რომ გარეულობელი მთქმელი ქართულად მოლაპარაკე იყო. ამ ცნობით წახალი-სებულებმა 1997 წლის ზაფხულში ვიმოგ ზაურეთ შავშეთის სოფლებში აქ შემორჩენილი ქართული ენის კვალის საძებნელად. დავათვალიერეთ სოფლები-გარეულობი, ჯუარები, კარავათი, შავ-

მთა, მიქელეთი, ჩიხვტა, ყვირალა, ჯინალი. შავმთაში მაშინაც დაცული იყო ეკლესიის ნანგრევები და „ქართული მიწის ენა“—გეოგრაფიული სახელები—მიკროტოპონიმები. მოსახლეობამ ამ სოფლებში თითქმის აღარ იცის ქართული, თუმცა მათ თურქულს აქაიქ ამკობს ქართული სიტყვები, რაც ცალკე შეწავლის საგანია და მომავალ მკვლევარებს ევალებათ.

იოანე შავთელის მშობლიური სოფელი შავმთა გაშლილია არსიანის მთაგრეხილის ერთ-ერთ ფერდობზე. იქიდან კარგად ჩანს მთელი შავშეთის ვაკე, იმერხევის სოფლები, აჭარა-შავშეთის ქედი. სოფელი შავმთა ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია შავშეთის მხარეში. აქაური ქართველების მუსიკალური ფოლკლორი ისეთივე მაღალმხატვრულობით გამოირჩევა, როგორიც იოანე შავთელის სახოტბო პოეზია.

შავთელის სახელი იოანე ნათლობის სახელია, საერო სახელი ცნობილი არ არის. შავთელის ორი აღაპი შემონახულია ტბეთის საეპისკოპოსო ტაძრის სააღაპე წიგნში, რომელიც ცნობილია „ტბეთის სულთა მატიანე“—ს სახელით. ეს აღაპები ამ მატიანეში შეტანილია ნომრებით – 424 და 558 ორივე. აღაპში შავთელი ქუაბულისხედ არის მოხსენიებული. ქუაბულისხედ ამ აღაპებში ან გვარია შავთელისა, ანდა ქუაბული მამის სახელია. ვფიქრობთ, ქუაბულისხედ უფრო გვარი უნდა იყოს, ვიდრე მამის სახელი. 558-ე მოსახენებელში შავთელის მეუღლის სახელიცაა მოცემული—ნათელი: „სულსა ქუაბულისხის შავთელისა და მისსა მეუღლეს ნათელს შეუნდვენ ღმერთმან“. ჩვენის ვარაუდით, ამ აღაპებში მოხსენიებული პირი უნდა იყოს იოვანე შავთელი—ქუაბულისხედ, თამარ მეფის სამეფო კარის პოეტი, იმ პერიოდის საქართველოში ცნობილი სასულიერო პირი.

მაშასადამე, „ტბეთის სულთა მატიანე“ ძვირფასი წერილი იოანე შავთელის ვინაობის შესახწავლად. ცნობილი პოეტი და სასულიერო მოღვაწე, როგორც ჩანს, ზრუნავდა თავისი მშობლიური მხარის—შავშეთის—საეპისკოპოსო ტაძრის კეთილდღეობისათვის, უხვად სწირავდა მას საფასეს, რის გამოც მისი ღვაწლის სახსოვრად ორი აღაპი დაწესდა ტაძრის სააღაპე წიგნში. შავმთაში გაზრდილ იოვანესათვის ტბეთის ტაძრი, ცხადია, ძალიან ახლობელი (შავმთა ახლოსაა ტბეთთან), მშობლიური იყო და მასზე ზრუნავდა

დღენიადაგ, როგორც თამარის სამეფო კარზე მოდგაწეობისას, ასევე გელათის მონასტერში ყოფნის დროს.

დღევანდელი მკითხველისათვის შეიძლება გაუგებარი იყოს იოანე შავთელის სახოტბო პოეზიის შედევრის (ოდის) სახელწოდება – „აბდულმესიანი“. ნ. მარისა და კ-პეპელიძის ცნობით, ნაწარმოების სახელწოდება მომდინარეობს „არაბული სიტუკიდან-აბდულმესიჲ, რომელიც ქრისტეს, მესიას, მონას ნიშნავს“ (10, 233). ისმება კითხვა: ვის უძღვნის ქებას აგტორი? ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვაგვარი შეხედულება. ჩვენ ვიზიარებთ კ-პეპელიძის მოსაზრებას, რომლის თანახმად: „პოეტი ხოტბაში შეამკობს ორ გვირგვინოსანს: დავით აღმაშენებულსა და თამარ მეფეს... მას თვალწინ ეხატება ძლიერი, განათლებული და გალადებული საქრისტიანო საქართველო... ვინ შექმნა ასეთი საქართველო? რა თქმა უნდა, არა მარტო თამარ მეფემ, არამედ დავით აღმაშენებულმაც. თამარი უდავითოდ წარმოუდგენებულია. დავითი არის ალფა მომხიბლველი საქართველოსი, ხოლო თამარი-ომეგა. მათ ორთავეს თანაბარი დვაწლი მიუძღვის მის შექმნაში, წარმატებასა და განდიდებაში... ზოგ სტროფში დავითია შესხმული, ზოგში თამარი, ზოგში კიდევ ორივე ერთად“ (10, 240). კ-პეპელიძე ამიტომაც წერდა, რომ ნაწარმოებს შეიძლება ეწოდოს „დავით აღმაშენებლისა და თამარის ქებაო“.

ჩვენამდე მოღწეულია იოანე შავთელის კიდევ ორი თხზულება: „გალობანი ვარძიის დვთისმშობლისანი და „საძიებელი და მასწავლებელი“ ე.წ. „ასურული კვინკლოსისა“.

უბადლო პოეტური ოსტატობით გამოირჩევა „გალობანი ვარძიის დეთისმშობლისანი“. ეს არის წმ. მარიამ დვთისმშობლის საგალობელი იამბიკო, შექმნილი ბასიანის ომში ქართველთა გამარჯვების გამო. საგალობლის ხელნაწერი XIII საუკუნისაა. მეორე ნაწარმოები – „საძიებელი და მასწავლებელი“... უკავშირდება ტბელ აბუსერისის ნაწარმოებს.

XIII საუკუნის ცნობილი მწერალი და სასულიერო მოდვაწე ტბელ აბუსერისქე იოანე შავთელს მოიხსენიებს დიდი სიყვარულითა და პატივისცემით. იგი თავისი თხზულების „ქრონიკი სრული მისითა საუწყებელითა განგებითა– სარედაქციო დანართში წერს: „ესე ასურულისა კკლოსისა საძიებელი და მასწავლებელი, იამბიკონად თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუქნისა

იოანე შავთელისაგან თქუმულიცა ამისთვის დავწერე, რომელ ზე-მოსა საუწყებელსა შინა მექსენა“ (11, 209).

დიდი მეცნიერი პ.კეკელიძე აბუსერისძე ტბელის ნაწარმოებ-ზე მსჯელობისას „ასურულ კვინკლოსთან“ დაკავშირებით წერდა, რომ „აბუსერისძე ტბელმა თავის თხზულებას საგანგებოდ დაურ-თო შავთელის იამბიკოები თავსა და ბოლოში... აბუსერისძის თხზულება წარმოადგენს ტრაქტატს, რომელშიც განმარტებულია 532 წლიანი პასქალური ციკლი-იგივე „ასურული კვკლოსი“. შავ-თელის იამბიკოები კი ამ ციკლის, ე.ი. „ასურული „კვკლოსის“ „სა-ძიებელი და მასწავლებელია“; არის, ასე ვთქვათ, შესავალი (11, 186).

მკვლევართა აზრით, შავთელის ზემოთ დასახელებული იამ-ბიკური თხზულება უდავოდ ღირსშესანიშნავ და მაღალმხატ-ვრულ ტრაქტატს წარმოადგენდა, რომელიც მხოლოდ კალენდრის ლრმად მცოდნე მკითხველზე იყო გათვლილი. ჩვეულებრივი მკით-ხველი, ცხადია, ვერ შესძლებდა იმ პოეტური წიაღსვლების აღ-ქმას, რომლებიც ამ იამბიკოებში აზრის გადმოცემის მთავარ სა-შუალებად არის გამოყენებული. ცხადია, ამგვარი ნაწარმოების შექმნას მომზადებული მკითხველის ფართო აუდიტორიის გარეშე აზრი არ ექნებოდა. იოანე შავთელის იამბიკური თხზულება იძ-როინდელი მოწინავე საზოგადოების უაღრესად მაღალი მომზა-დების დონეზე მეტყველებს.

იოანე შავთელის ჩვენამდე მოღწეული ნაწარმოებებიდან ნათლად ჩანს ავტორის ორმაგი განათლება: საერო და სასულიე-რო. პ.კეკელიძე წერდა, რომ იოანე შავთელის „იდეურად და ფორ-მით საერო ხასიათის ნაწარმოები, სულითა და დამუშავებით სასუ-ლიერო ელფერის თხზულებაა. სასულიერო ელემენტს ჩვენ უმთავ-რესად ვარძნობთ არა თემის დამუშავებაში, არამედ – ენაში: შედა-რებანი ავტორს მოჰყავს ძველი აღთქმიდან და აზრებს გმოს-თქვამს ბიბლიის სიტყვებით. ის ნაკითხია როგორც ძველ ბერძნულ ისტორიულ, ფილოსოფიურსა და მხატვრულ მწერლობაში, ისე აღ-მოსავლურ, სპარსულ-არაბულში, მაგრამ არანაკლებ მცოდნება ის, ბიბლიის გარდა, საეკლესიო-სასულიერო მწერლობისაც, რომლი-თაც უხვად სარგებლობს თავის ნაწარმოებში“ (10, 242).

იოანე შავთელის განათლების მაღალ დონეზე წერდა დიდი ივანე ჯავახიშვილიც. იგი ჩახრუხაძისა და შავთელის სახოტო

პოეზიაში ამჩნევდა აღმოსავლური—სპარსულ—არაბულ კულტურის კვალსაც. იგი წერდა: „ქრისტიანობისა და ბიზანტიის მონარქიის უდიდესი გავლენის მიუხედავად, საქართველომ მრავალი საუკუნის განმავლობაში ბევრი რამ აითვისა მაჟმადიანი ხალხების სახელმწიფოებრივი კულტურიდან; მათი პოლიტიკური მსოფლმხედველობა და საზოგადოებრივი იდეალები უცხო არ ყოფილა ქართული საზოგადოების წარმომადგენლებისათვის. სპარსეთის ომანტიკულ და ეპიკურ ნაწარმოებთა გმირების რაინდული სული და საქმე, გვაროვნული სიამაყის შეგნება და სუვერენულ ხელისუფლებასთან დამოკიდებულება—ურთიერთობა შეეხებოდა საქართველოს ფეოდალური დიდკაცობის სულიერ განწყობილებას... მათ სთიშავდა რედიგია, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი კულტურა კი ბევრ რამეში ერთნაირი იყო.... ამგვარი მიმართულების მკაფიო მაგალითად შეიძლება დასახელდეს ჩვენამდე მოღწეული შავთელისა და ჩახრუხსაძის ხოტბანი“ (12, 63).

აღმოსავლური კულტურის კვალი აისახა იოანე შავთელის ნაწარმოებთა ლექსიკაშიც. ამ ლექსიკურ ერთეულებს ხშირად იმოწმებდა თავის შრომებში დიდი ივანე ჯავახიშვილი. მათგან აღსანიშნავია არაბულ—სპარსული ლექსიკის ნიმუშები: მგოსანი (გუსანი), გუნდი, დასი; ტურფა (ძვირფასი ქსოვილი), ბალასანი (ნელსაცხებელი), მუშკი, ზარდახშა (პატარა ყუთი), ფოლადი, შაქარი, ლალი, იაგუნდი, ფირუზი, სადაფი, ბალი, ბაღჩა, ბოსტანი. ბალი, ბაღჩა და ბოსტანი—X საუკუნეებდე ქართულ ენაში არ მოიპოვებოდა. მათი ჩვენს ენაში შემოხიზვის ხანად ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს X-XI საუკუნეებს (13, 116).

„დამახასიათებელია, რომ არც შავთელსა და არც ჩახრუხაძეს თავიანთ ხოტბებში არც ერთხელ ჩანგი დასახელებული არა აქვთ. ეს გარემოება იმ მხრივ არის საუკურადღებო, რომ შესხმის დასამდერებლად და დარბაზობის დროს ჩანგი საქართველოში თავდაპირებელად, როგორც ეტყობა, არ უხმარიათ; თუმცა ლხინსა და დროსტარებაში, ნადიმის დროს, ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული. შოთაც — კი ყველგან უპირველესად ამ საკრავს ასახელებს ხოლმე... „ჩანგ“ სპარსულად სპარსთა და პინდოელთა ოდესლაც არსებულ ჰარფას ეწოდებოდა“, აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი (14, 532).

იოანე შავთელის ნაწარმოებთა ლექსიკა ინახავს ძველი ქართული ენის შესანიშნავ ნიმუშებს, რომელთაგან დავასახელებთ

დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ წარმოჩნილ ლექსიკურ ერთეულებს, როგორიცაა: კეთილ—განსხლული, ნეკი, ნაკი, ბუტკო (ყურძნის ჯიში, მისი სახელი ძველი უნდა იყოს, XII საუკუნეზე უწინარეს ხანას უნდა ეკუთვნოდეს. ი.ჯ.), ერქუანი, ანეული (ზაფხულის სახნავი), მძნობარი (მოცეკვაგეთა გუნდი). იოანე შავთელს სიმღერაც მნობად აქვს წოდებულიო, შენიშნავს ივ-ჯავახიშვილი (14, 469–470); ლარი მე-12 საუკუნეში სისწორის შესამოწმებელ საზომად ყოფილა მიღებული („სჯულისა დარი, ქვეყნის სალარი, გამდიდრებული ფრიად ყოვლითა“. შავთელი); ტაბლაკი შავთელს დასახელებული აქვს იმდროინდელი საქართველოს საომარ საქრავად... აღსანიშნავია ისიც, რომ არც ჩანგური და არც ჩონგური არ გვხვდება არც შავთელთან, არც ჩახრუხაძესთან, არც რუსთაველთან არც მოგვიანო ხანის ქართველი მგრსნების ლექსებსა და პოემებში. ასევე, შავთელი სიმის მაგივრად იყენებს სიტყვას ძალი. ეს გარემოება იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ ეს სახელები (ჩონგური, ჩანგური, სიმი) ჩვენს ენაში მაინცდამაინც ძველი არ არის, აღნიშნავს ივ-ჯავახიშვილი (14, 541).

იოანე შავთელის ენაში ძალიან მკრთალად, მაგრამ მაინც იგრძნობა ადგილობრივი ენობრივი კოლორიტი, სამხრულ-დასავლური ქართულენოვანი სამყაროსათვის ნიშანდობლივი ელფერი, რომელიც უმეტესად შეიმჩნევა ლექსიკაში. ასეთი ენობრივი ერთეულებია: ანაგებად, ბასრობა, ბაყლი, საფერი, მობლარდნა, მორბედი, ავაზანი, პინაკი, კედელ—ყურენი, ლირწი, გარდალაჯული და ა.შ. უფროობითი ხარისხის ფორმათაგან აღსანიშნავია—უმხნევ, უმაღლე... საყურადღებოა ნასახლარი ზმნები—ბასრობდეს (კიცხავდეს), მეიმედოსა, ამრავალწილა, მოიბლარდე, მხედრობს, ფერობს... იოანე შავთელის მაღალმხატვრული ენა, ცხადია, ცალკეკლების საგანია და მასზე მეტად ამჯერად აღარ შევჩერდებით.

ამრიგად იოანე შავთელი, შავშეთის სახელოვანი შვილი, თავისი მრავალმხრივი შემოქმედებით ამკობს საქართველოს ოქროს ხანის მწერლობას. „ღმერთი რომ ერს, ქვეყანას მოწყალების თვალით გადმოხედავს, მოუვლენს ხოლმე კაცს, პოეზიის მადლით ცხებულსა... პოეზია კი მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცოა, ღვთივ რჩეულსა“ (15, 535). მართლაც, ღმერთმა შავშეთს იოანე შავთელის სახით მოუვლინა სასიქადულო მამულიშვილი, პოეზიის მადლით ცხებული პიროვნება. მისი პოეზიის ენა მხატ-

ვრული სახეების–მეტაფორების, შედარებების, ეპითეტების, ალიტერაციის, ომონიმების, მაჯამების ამოურწყევი საგანძურია. როგორც შოთა რესთაველი ამბობდა ნამდვილი მოშაირის შესახებ, „მისთვის ენა მუსიკობდესო“, იოგანე შავთელის პოეზიის ენა მართლაც მუსიკობს და მადალმხატვრული ენობრივი საშუალებებით ამკობს ქართველი ერის საამაყო შეიღებს–დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეს.

ლიტერატურა

- 1..„ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959;
2. იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, 1948, გვ. 178;
3. თეომურაზ ბატონიშვილი, განმარტება პოემა „ვეფხისტეაოსნისა“, 1960, გვ. 290;
4. ქართული მწერლობა, ლექსიკონი–ცნობარი, წიგნი I, თბ., 1984;
5. ელ. მეტრეველი, დავითისა და თამარის ქება, იხ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1966;
6. კ-პეტელიძე, ქართული ლიტერატურისა ისტორია,, ტომი პირველი, ძველი მწერლობა, თბ., 1960;
7. ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, პუბლიცისტური წერილები, თბ., 1987;
8. გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათ., 1995;
9. Георгий Мерчуле, Житие св. Григория Хандзтийского, грузинский текст: введение, издание, перевод Н. Марра с дневником поездки в Шавшию и Кларджию, VII. С.-Петербург, 1911.
10. კ-პეტელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი მეორე, თბ., 1981;
11. აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს: ნარგიზა გოგუაძემ, მიხეილ ქავთარიამ და რაულ ჩაგუნავამ, ბათუმი, 1998;
12. ივ.ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი XII, თბ., 1998;
- 96

13. ივ.ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტი ტომად, ტ.
V, თბ., 1986;
14. ივ.ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტი ტომად, ტ.
XI, თბ., 1998;
15. ილია ჭავჭავაძე, ლექსები, პოემები, მოთხოვები,
წერილები, ტ. 4, თბ., 1985;
16. ქართული მწერლობა ოცდაათ ტომად, ტომი მესა-
მე, თბ., 1988.

Шушана Путкарадзе

Иоанн Шавтели - известный шавшетский духовный деятель и поэт

Иоанн Шавтели - деятель эпохи царицы Тамар. Он находился в её свите накануне Басианской битвы. Об этом повествует летопись «Картлис չховреба».

Из других исторических источников известно, что Шавтели был придворным поэтом. Его перу принадлежит хвалебная ода «Абдул-Мессия». Слово *Абдул-Мессия* арабского происхождения, и в переводе на грузинский язык означает «покорный Мессии» (спасителю, Христу).

Произведение посвящено двум великим царям - Давиду Агмашенебели (Строителю) и царице Тамар. Автор для их восхваления использует множество художественных приёмов. Восхваляет физическую и духовную красоту царей. В научной литературе бытовало мнение, что Шавтели и Шавшетели слова-синонимы, то есть поэт по происхождению должен быть из Шавшети. Последние исследования подтверждают это предположение: Иоанн действительно шавшетинец, уроженец села Шавмта (Турция, Артвинский вилайет). Это село расположено на южном склоне Арсианского хребта и отличается необычайной красотой. Оттуда виден весь Шавшетский край.

Село Шавмта посетил в 1874 году Георгий Казбеги. В 1997 году там побывала и я. Руины старой церкви в этом селе, описанные ещё Георгием Казбеги, сохранились до наших дней.

Поминальная запись об Иоанне Шавтели имеется в известном историческом документе «Тбетском синодике», созданном в Тбетском монастыре, находящемся в Шавшети.

აპთანდილ ნიკოლეიშვილი

ზრიდონ ხალგაშის მროვნულ-რელიგიური იგაღმამართახელვის ზოგიერთი საკითხი

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ-სარწმუნოებრივი პრობლემა ფრიდონ ხალგაშის მთელი შემოქმედების ერთ-ერთ უძთავრეს თემად იყო დამკვიდრებული, ადნიშნული პრობლემის განსჯა-გაანალიზება მწერლის თვალთახელვის არეში განსაკუთრებული სიმბაფრით მაინც გასული საუკუნის 80-90-იანი წლებიდან – ჩვენს ქვეყანაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გააჩტიურებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დროიდან – მოგქცა. იმ პერიოდის საქართველოში რელიგიამ ისეთი აქტებით და მნიშვნელობა შეიძინა, რომ, საბჭოთა ეპოქისაგან განსხვავებით, იგი ეროვნული ცნობიერების განმსაზღვრელ ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორადაც კი მოგვევლინა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ფ. ხალგაში ძალიან ბევრს ფიქრობდა იმ ხილულ და უხილავ წინააღმდეგობებზე, რომელთა დაძლევის შედეგადაც ისტორიული ავტელიტის გამო სარწმუნოებრივად ხელოვნურად გახდებილი ჩვენი ხალხი ეროვნულ ერთობას აღიდგენდა და გამთლიანებითდა. ამ პრობლემის მწერლის შეულ განსჯას ორი უმთავრესი მიმართულება აქვს შექნილი – პირველი ესაა აჭარაში მცხოვრებ ქართველ შუსლიმანთა რელიგიური რწმენის პერსეპტივაზე ფიქრი და მეორე, სამი საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში დადასამშობლოს მოწყვეტილ ჩვენს თურქეთის დანამემამულებობათან ეროვნული ერთობის ადსადგენ გზათა აქტიური ძიება.

შუსლიმზე და ქრისტიან ქართველთა ეროვნული ერთობისა და განცხუყოფელობის საკითხის განსჯა-გააზრებამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბები შეიძინა რომანში „შეიძლება თუ არა შუსლიმანი იყოს ქართველი“ (დაიწერა 1991 წ. პირველად ცალკე წიგნად გამოიცა 1994 წელს ბათუმში). მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოების სათაურად ქცეული შეკითხვისთვის მწერალს მანამდე დაწერილი თავისი ნაწარმოებებითაც აქვს გაცემული ერთმნიშვნელოვნად დადგბითი აასუხი, აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით მისი თვალთახელვის უფრო საფუძლიანად წარმოსახენად ხსნებული ნაწარმოები მაინც გამორჩეულად საინტერესო ქმნილებაა ავტორის შემოქმედებაში.

ჩემის აზრით, ფ. ხალგაშის რომანს ასეთი შეფასება უწინარეს ყოვლისა თრი უმთავრესი გარემოების გათვალისწინებით უნდა მივცეო – ჯერ ერთი, იმის გამო, რომ ქართულ ლიტერატურაში ხსნებული ნაწარმოები პირველი ვრცელი ეპიქური ტილოა, რომელშიც მასშტაბურადად წარმოჩენილი ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველ მუსლიმანთა ეროვნული თვალთახელვა და მეორე, თავისი რომანით ფ. ხალგაშმა რეალურ ფაქტებსა და მოვლენებზე დაყრდნობით პირველმა შექმნა ღრმად შთამბეჭდავი პიროვნული სახე ნაწარმო-

ებში მუსა ბურსელის ფსევდონიმით გამოყვანილი ქართველი მამული შეკილისა – ახმედ მელაშვილისა, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე ყველაზე დიდი ქართველი იყო, თავად თურქეთილი ჩვენების უძინვების შეფასებით, მათი ილია ჭავჭავაძე და „ქართულებისთვის დამწუარი ქაცი.“

მიუხედავად იმისა, რომ ფ. ხალვაშეს შესანიშნავად პქონდა გააზრებული ქრისტიანობის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი როლი ჩვენი ხადნის ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებისა და დამკითხვების საქმეში, იგი იმ თვალსაზრისსაც იცავს თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად, მუსლიმანური აღმსარებლობა ქართველი ქაცის ეროვნულ ცნობიერებას საფუძველს რომ არ აცლის და არ ხდის საქვთოს.

ეს რწმენა ფ. ხალვაშეს არა მარტო საქართველოში მცხოვრებ მუსლიმან ქართველთა წიაღში ცხოვრებამ ჩამოუყალიბა და განუმტკიცა, არამედ თურქეთელ ჩვენებურებთან, განსაკუთრებით კი მათ ეროვნულ ძელადთან – ახმედ მელაშვილთან პირველულმა ურთიერთობებაც. როგორც ცნობილია, ფ. ხალვაში, როგორც საბჭოთა პერიოდის საქართველოდან თურქეთში პირველად გამგზავრებულ ქართველ მწერალთა ოჯიციალური დალეგაციის წევრი, 1968 წელს ქალაქ ბურსაში პირადად შეხვდა იქაურ ჩვენს თანამემამულებელს, მათ შორის ახმედ მელაშვილსაც და მუჟაჯირობის დროს თურქეთში გადახვეწილ თავის უცხობ მამიდასაც, ეს შეხვედრები იმდენად დიდმნიშვნელოვან მოვლენად იქცა მწერლის ცხოვრებაში, რომ მაშინდელი შთაბეჭდილებანი არაერთგზის იქცა მისი შემოქმედებითი შთაგონების წყაროდ. ამ თვალსაზრისთ ყველაზე მეტად სანქტერესო ზემოთ უკვე მოხსენიებული რომანი – „შეიძლება თუ არა მუსლიმანი იყოს ქართველი.“

როგორც რომანში არაერთგზის ესმება ხაზი, ბურსაში გაცნობილ ქართველთა უმეტესობა მუჟაჯირთა შთამომავალი იყო, მშობლიურ წიაღს მოწყვეტილ იმ ქართველთა მემკიდრენი, რომელთაც „რელიგიური მოწყალებით შეთავაზებულ სხვის მიწაზე, სხვის სევხუკებში, დალელურდნებსა და მთა-გორებზე, ციცქა-ციცქა სოფლებად პქონდათ გაშენებული თავიანთი პატარ-პატარი სამშობლოები.“

დღეს უკვე არავის ჭირდება მტკიცება იმისა, რომ მშობლიური კარ-მიდამოდან აყრილ და თურქეთში გადახვეწილ ათასობით მუჟაჯირს ამ ნაბიჯის გადაღვით თავის სამშობლოსა და ეროვნულ იდენტობაზე კი არ უთქამს უარი, არამედ პირიქით, სწორედ მათ დასაცავად და გადასარჩენად მიიღეს ამგვარი საბედისწერო გადაწყვეტილება. ისინი გულუბრყვილოდ იყნენ დარწმუნებულნი იმაში, რომ მათი სულიერი და ეროვნული ხსნის ერთადერთ გზას მუსლიმანური რელიგია წარმოადგენდა, რესეტის მიერ დაპყრობილ საქართველოში დარჩენის შემთხვევაში კი მათ ძალით გააქრისტიანებდნენ და ურჯულოებს განდენენ.

საბედნიეროდ, ქრისტიან და მუსლიმან ქართველთა ეროვნული შეკავშირების გზაზე რელიგიურ აღმსარებლობათა განსხვავებულობის შედეგად წარმოქმნილ მნიშვნელოვან წინააღმდეგობებს არასოდეს უჩენიათ თავი. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამის დასტურად უამრავი არ-

გუმენზი შეიძლება მოვიშველიოთ ორივე აღმსარებლობის მიმდევარ ქართველ მამულიშვილთა ნააზრევიდანაც და პრაქტიკული მოღვაწეობიდანაც.

თუმცა, როგორც ფ. ხალვაშის შემოქმედებიდანაც თვალნათლივ ჩანს, გარევეული სირთულეები, თუმცა არაარსებითი და ნაკლებად საშიში, მაგრამ მაინც უსათუოდ გასათვალისწინებელი, რელიგიურად ერთმანეთისაგან გამიჯნებული წვენი თანამემამულებების ეროვნული ცნობიერების გამთლიანების თვალსაზრისით ჯერ კიდევ არსებობს. განსხვავებით საკუთრივ საქართველოში მცხოვრებ ქართველ მუსლიმანთაგან, რომელთა ეროვნულ-სარწმუნობრივი ინტეგრაციის პროცესი მათ ქრისტიან მომქებოთან იმდენად ფართოდ, აქტიურად და მასშტაბურად მიმდინარეობს, რომ ზემოთ სსენებულ სირთულეთა არსებობას ფაქტობრივად უკვე გამოცლილი აქცეს რეალური საფუძველი, თურქთში მცხოვრებ წვენებურებსა და მათ ისტორიულ სამშობლოს შორის საუკუნების განმავლობაში გაწყვეტილი ურთიერთობის ადგენანად ბევრი რამ ჯერ კიდევ სამომავლოდა გასაკეთებელი.

როგორც ფ. ხალვაშის განსახილებელი რომანიდანაც ნათლად ჩანს, ამ ურთიერთობის აღდგნად და თურქეთში მიღიონობით მცხოვრებ წვენს მუსლიმის თანამემამულებებსა და მათ მომე ქრისტიანებს შორის მყარი ეროვნული ერთობის დამკვიდრება რელიგიური ფაქტორის დიდმიწვნებულოვანი როგორც გაუთვალისწინებლად, ფაქტობრივად, ყოვლად შეუძლებელი იქნება. ფ. ხალვაშის არა მარტო სსენებული რომანის, არამედ მთელი შემოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს ლაიტმოტივად ქცეულ ამ თვალსაზრისს განსაკუთრებული ყურადღება თუნდაც იმიტომაც უნდა მივაციორ, რომ მას ქართველ მუსლიმანთა წიაღში დაბადებული და აღზრდილი კაცი გამოთქამს ყოველგვარი მიკიბ-მოკიბებისა და ორაზროვნების გარეშე.

რომნის სათაურად ქცეული შეკითხვა ავტორს ისეთი კონტექსტის გათვალისწინებით აქვს დასმული, რომელიც მისოვგის ერთმნიშვნელოვანად დადგებითი პასუხის გაცემასაც გულისხმობს ყოველგვარი დაეჭვების გარეშე და მაინც, ამისდა მიუხედავად, ფ. ხალვაშის რომანის დაწერის უმთავრეს მიზანს იმ მყარი არგუმენტების წარმოჩენის მცდელობა წარმოადგენს, რომელიც არა მარტო ამ კუთხით თუნდაც ფარულად არსებულ იჭენა და უნდობლობას გამოაცლის ყოველგვარ საფუძველს, არამედ იმ დიდ ეროვნულ პერსპექტივასაც წარმოაჩენს ფართოდ და მასტებაურად, რომელიც წვენი ქვენის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ძლიერებას უნდა შესძინოს მომავალში ისტორიულ აგბედობათა გამო უცხოეთში მცხოვრებ წვენს მუსლიმან მომემებთან ეროვნული ერთობის განმტკიცებამ.

ამ იმედის პერსონიფიცირებულ სახედ რომანში ახმედ მელაშვილის პროტოტიპად ქცეული მუსა ბურსელია გამოყვანილი. მუსასთან რამდენიმე შეხვედრამ და მისი თავგანწირული მამულიშვილურმა მოღვაწეობის გაცნობამ რომანის მთავარი გმირი შიო შავაძე, რომელიც თავად აგტორის პროტოტიპს წარმოადგენს, ღრმად და დაუკეტებლად დაარწმუნა იმაში, რომ მიუხედავად თავისი მუსლიმანობისა, იგი იმჟა-

მად „ყველაზე წმინდან ქართველადაც“ შეიძლებოდა ჩაგვეთვალა ყოველგარი გადაჭარბების გარეშე, მმ ქრისტიან ქართველებზე გაცილებით უფრო დიდ მატელიშვილად, რომლებიც „თავიანთი ქართველობის უმაღლეს ნიშნად ქრისტიანულ წარმოშობას თვლიან, ქართველობის-თვის კი იოტისოდენასაც არაფერს აკეთებენ“ (**ხალგაში, 1994, 69.**)

თავისი ამ მონათხოვბით ფ. ხალვაშვილი არა მარტო მუსა ბურსელის თავგანწირული ეროვნული მოდგაწერილის უმნიშვნელოვანების გაიზოდები წარმოსახა ფაქტოლოგიური სიზუსტით, არამედ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ მუსლიმან ქართველებთან საუკუნეების განძავლობაში შესუსტებული თუ სულაც გაწყვეტილი ეროვნული ერთობის ადგენერის დიდი პერსპექტივაც წარმოაჩინა დამაჯერებლად არგუმენტირებული ფორმით.

ფ. ხალვაშის რომანის არსის სიდრმისეულად შესაცნობად და გასახრებლად მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ისტორიული ავბედობის გამო ჩვენს თურქეთულ მომებებთან გაწყვეტილი ეროვნული კავშირის აღდგენის პერსპექტივას მწერალი პირები უკვლისა რელიგიურ კონტექტში განიხილავს და პირინციპულად ეწინააღმდეგება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღზევების პერიოდში ჩვენი „დისიდენტების“ ერთი ნაწილის მტკიცებას იმის შესახებ, „საქართველო მარტო ქრისტიანული ქავენა შეიძლება იყოს“ (**ხალგაში, 1994, 57.**)

ფ. ხალვაში, როგორც თავადაც მუსლიმანურ ოჯახში აღზრდილი ქართველი კაცი, ბუნებრივია, პრინციპულად არ ეთანხმებოდა ამ თვალსაზრისს და სავსებით სამართლიანად უსვამდა ხაზს იმ გარემოებას, რომ „ხელისხაქნება და ამოდენა მუსლიმანი ქართველობის უკარიონოდ მიტოვება, ბევრისანაბარად მიშვება, აუნაზღაურებელი დანაშაული იქნებოდა საქუთარი ერის და მოძავლის წიანშე“ (**ხალგაში, 1994, 57.**)

მიუხედავად იმისა, რომ დედასამშობლოსთან ე. წ. „ოსმალოს საქართველოს“ შემორთების დროიდან მოყოლებული, აღნიშნული პრობლემა არაერთგზის ქცეულა მწვავე განსჯისა და პოლემიის საგნად, ჩვენი ერის დიდ შეიღებს – ქრისტიანებსაც და მუსლიმანური აღმსარებლობის მიმდევართაც (ი. ჟავჭავაძე, ა. წერეთელი, ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, ს. ხიმშიაშვილი, მ. აბაშიძე და ბევრი სხვ) საქვიდ და საკამათოდ არასოდეს გაუხდიათ ის ფაქტი, რომ რელიგიური რწმენის სხვადასხვაობა ქრისტიანი და მუსლიმანი ქართველების ეროვნული ერთობისა და შეკავშირების საქმეს ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეუძლიდა ხელს.

თავის მხრივ, ფ. ხალვაშის მიერ წარმოსახული ქართველი დათის-მსახურიც – ქრისტიანნიცა და მუსლიმანნიც – ღრმად არიან დარწმუნებულნი იმაში, რომ ქართველთა შორის ეროვნული ერთობის განსამტკიცებლად ერთმანეთის გვერდიგვერდ და ერთობლივი ძალით უნდა იღვწოდნენ ქართველი მღვდელიცა და მოლაც. მწერლის აზრით, ამგარი რამის გასაკეთებლად მყარ საფუძველს მათ პირველ უკვლისა იმის რწმენა აძლევდათ, რომ „რა სარწმუნოებისაც არ უნდა იყოს,

ქართველი ქართველია, რომ ჩვენ შევარიგეთ და მოვარიგეთ ქრისტიანობა და ისლამი, რომ მათ, როცა საქმე ეროვნულ ქართულ იდეალებს ეხება, ერთმანეთში სადაცო აღარა აქვთ, რომ ისინი ქართველობაში ერთსულოვანი არიან.“ მწერლის ხაზგასმით, ასეთი „უნიკალური, პუმანურ-ეროვნულ-საგაცობრიო“ რამის გაპეოებით ისინი „არა მარტო დედა სამშობლოს და მშობელ ერს გააერთიანებენ სულიერად სამუდამოდ და საბოლოოდ, არამედ თვით საქართველოს და მისი ხალხის ავტორიტეტსაც გაზრდიან უზომოდ მთელ დედამიწაზე“ (**ხალგაში, 1994, 38**).

ვთ. ხალგაშის ხელნებულ რომანშიცა და სხვა ნაწარმოებებშიც არაერთგზის ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ ქრისტიან და მუსლიმან დვოისმსახურთა ეროვნული ცხობიერების თანხვედრით განაირობებული ამგვარი იდეალიზებული ერთობა მხოლოდ ოცნების ხაგანს არ წარმოადგენდა და ამის დამადასტურებელი კონკრეტული შემთხვევებით რეალურადაც გვხვდებოდა საქართველოშიცა და თურქეთშიც.

მაგალითად, თურქეთიდან საქართველოში სტუმრად ჩამოსული ქართველი ხოჯა – ქიბარი გელათში ყოფის დროს მამა გიორგის შეხვდა და მასთან გულითადი საუბარი გააძა. კერძოდ, ქიბარმა ქართველ მღვდელს გულახნილად აუწევა ის ამავი, რომ განსხვავებით ადრინიდელისაგან, როცა მუსლიმანობა და ქართველობა ერთმანეთთან შეუთავსებელ ცნებებად ითვლებოდა და ქართველი გიაურის, ურწმუნოს, სინონიმად მინეულ სიტყვას წარმოადგენდა, ბოლო ხანებში ვთარება შეიცვალა და ჩვენი მუსლიმანი თანამემამულეები მიხვდნენ, რომ „ქართველობა კაცის ეროვნებას ნიშნავს და არა ქრისტიანობას, თანაც იმ ხალხის სახელია იგი, ვისი ჯილდავიც თვითონ ჩვენ, „მუსლიმანი გურჯები“ კუთხილვართ“ (**ხალგაში, 1994, 111**).

ქართველი მოლას მიერ ნათქვაში ამ სიტყვების მოსმენაშ მამა გიორგი იმდენად მოხიბლა, რომ ხელები გაშალა და მის თურქეთელ მომქმექ გადაეხვია. დავით აღმაშენებლის საფლავთან მომხდარი სიმბოლური მნიშვნელობის მქონე ეს ამბავი სულ მალე იმით გაგრძელდა, რომ ორივე მათგანი ლამის ერთმანეთის გვერდიგვერდ შეუდგა თავ-თავიანთი საღვთისმსახურებლო რიტუალების აღსრულებას. კერძოდ, „ქიბარი რომ სალოცავად დადგა, მამა გიორგი ტაძრისაკენ შეპრუნდა, მარჯვენა სამი თითო შებლოთან მიიტანა და სამჯერ პირჯვარი გადაიწერა. ქიბარს ორივე ხელი აღმართულად უჭირა, ცას შეცეკროდა და უხმოდ ჩურჩელებდა თავის ლოცვას...“

მამა გიორგი შორიახლოდან შეხედავდა მოლას და თავისთვის პირჯვარს იწერდა, თითქოს მუსლიმანურ დოკვას, რომელიც გელათის ნიადაგზე იწირებოდა, ხელის მოქნევით საქუთარ გულმკერდიდან შლიდა. შემდეგ გაახსენდა მღვდელს უწმინდესის და უნეტარესის ერთი ამასწინანდელი საუბარი იმაზე, თუ როგორ შეხვდა იგი სტამბოლში მუსლიმან ჩვენებურებს, როგორ წაიკითხა, შინ დაბრუნებულმა, იქ ნაჩუქარი ყერანის ერთი გამოცემა. მაშინ დავრწმუნდით, განაცხადა უწმინდესმა, ორივე სარწმუნოებაში ერთ ღმერთს, მამაზეციერს, ერთ გამჩენს, ერთ უფალს ვემსახურებით“ (**ხალგაში, 1994, 112**).

ფრიდონ ხალვაშის დგაწლება და ადგილს ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში, სხვა დამსახურებებითან ერთად, ის ფაქტიც განსაზღვრავს არსებოთად, რომ თავისი შემოქმედებითაც და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობითაც წარმატებით განაგრძო ჩვენი დიდი მამულიშვილების მიერ ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით დამკვიდრებული ტრადიცია. კერძოდ, მან, როგორც თავადაც მუსლიმანურ ოჯახში დაბადებულმა და აღზრდილმა მწერალმა და მამულიშვილმა, რომელმაც, ბევრი მისი მომზის მსგავსად, ჭარმაგობაში ისტორიული სამართლიანობა აღიდგინა და წინაპართა რელიგია დაიბრუნა (როგორც ცნობილია, მწერალი საქმაოდ გვიან, 1999 წელს, მონათლა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის), ბევრი რამ გააქოთა საიმისოდ, ქისხიან და მუსლიმან ქართველებს შორის სანგრძლივი დროის განმავლობაში შესუსტებული ანდა სულაც დარღვეული ერთვნული ერთობა კვლავაც რომ დამკვიდრებულიყო და კიდევ უფრო მეტად განმტკიცებულიყო.

დამოუმებული ლიტერატურა

1. ხალვაში ფ. შეიძლება იქოს თუ არა მუსლიმანი ქართველი, ბათუმი, 1994 წ.
2. ხალვაში ფ. ომრი, თბილისი, 2007 წ.

AVTANDIL NIKOLEISHVILI

SOME ASPECTS OF PRIDON KHALVASHI'S NATIONAL-RELIGIOUS VISION

Abstract

The number of Georgians who have Muslim faith living in other countries, especially in Turkey is quite big compared to Christian Georgians living in Georgia. Considering the abovementioned the issue of national unity and solidarity plays an important role in Pridon Khalvashi's creative work. The writer's interest towards this question was essentially conditioned by the fact, that he was the resident of Adjara. As a result of historical misfortune this area was isolated from Georgian state in terms of territory and religion for three centuries.

Despite the fact, that P. Khalvashi was well aware of the important role of Christianity in forming and establishing the national identity of our people he intentionally supported the viewpoint that Muslim faith does not destroy the

ground for the national consciousness of a Georgian man and does not make it dubious. The faith of the author was more strengthened by the personal relationship with the national leader of Turkish Georgians – Ahmed Melashvili. Muslim Georgians living in our country have long regained strong links with Christian fellow-men. However, the same process with Turkish countrymen is a future concerns. The role of P. Khalvahsi in the history of our literature is determined by the fact, that through his creative work and public activities he managed to do a lot to strengthen self-awareness of national unity among Christian and Muslim Georgians.

ძართველი ქალი ქუთათელაძე რომალეთის დედოფალი

საქართველოს სახელი შორს გაიტანეს ქვეყნიდან იძულებით, თუ საქუთარი სურვილით წასულმა ქართველმა მანდილოსნებმაც. ბევრი მათგანის ვინაობა უცნობია, მაგრამ ბევრმა დიდ წარმატებებს მიაღწია პირად ცხოვრებასა და საქვეყნო საქმიანობაში. მათ რიგს მიკუთვნება სულთან მაჰმუდ II-ს მეუღლე ბეზმიალემ ვალიდე სულთანი, რომლის ბიოგრაფია დღემდე უცნობი იყო.

1785 წელს ოსმალეთის სულთანს აბდულ ჰამიდ I-ს (1725-1789) ქართველი მეუღლის აიმენაქშიდილისაგან (1766-1817) შეეძინა ვაჟი, რომელიც შემდგომში სულთან მაჰმუდ II-დ იწოდებოდა. ოსმალური წყაროების მიხედვით, მაჰმუდი საქმაოდ ლამაზი გარეგნობის ბიჭი ყოფილა. მამა ოთხი წლის ასაკში დაეღუპა, ამიტომ ბიძას, სულთან სელიმ მესამეს (1761-1808) (პამერ პიურგშტალის მიხედვით დედით ქართველს) გაუზრდია და ბიჭიც მასავით (აგრეთვე ბაბუა დელალ-ზადესავით) მუსიკაში დახელოვნებულა. მაჰმუდს ხელოვნების სხვა დარგებიც ანტერესებდა. იგი „ადლის“ ფსევდონიმით წერდა მგრძნობიარე, საოცარ ლექსებს, ქმნიდა საცეკვაო მელოდიებსა და სიმღერებს.¹

მაჰმუდ II-ის ქორწინებას წინ უსწრებდა ტრაგიკული, ამავე დროს საოცარი შემთხვევა. როგორც ვთქვით, იგი აღზარდა ბიძამ, სულთან სელიმ III-მ, რომელიც სასახლის ოპოზიციონერებმა მოაშოეს. ჯერი სულთნის ტახტის ერთ-ერთ კანონიერ მექავიდრეზე, მაჰმუდზე მიდგა, ოპოზიციამ საჭიროდ ჩათვალა მისი ჩამოცილებაც. ამას მტრებმა ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც, მაჰმუდი მოწამდეს, მისივე საძინებელ როახში ბაწრით ჩამოკიდეს და ოთახი ჩაკეტეს, თითქოს ტახტის მემკვიდრეებ თავი ჩამოიხრიო. ამ ოთახის გასაძები პქონდა მხოლოდ მაჰმუდის მსახურ ქართველ ქალს (გადმოცემით ფატიმას), რომელსაც ოთახში შესვლისას საზარელი სურათი დახვდა, მაგრამ ქალი არ დაიბნა; სასიკვდილოდ განწირულს ყულფი თურმე ყბაზე პქონდა შემოჭერილი, ქალმა უგონო მდგომარეობაში მყოფი მოწამლული კაცი ჩამოსხნა და სიკვდილს გადაარჩინა. მაჰმუდი სულთნის ტახტზე ავიდა, მადლიურმა სულთანმა ამ მსახურ ქალს სასახლეში მიაღებინა განათლება, სრულასაკონტრების მიღწევის შემდეგ ცოლად შეირთო და სახელად ბეზმიალემი შეარქვა.

1823 წელს სულთან მაჰმუდ II-ს ბეზმიალემისგან შეეძინა ვაჟი, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ, 1839 წელს ოსმალეთის სულთანი გახდა და აბდულ-მეჯიდ II-დ (1823-1861) იწოდა, ხოლო მისმა დედამ, ბეზმიალემმა, ოსმალეთში არსებული კანონის მიხედვით, სწორედ ამ დროიდან ვალიდე სულთანის (დედოფლის) წოდება მიიღო.

ოსმალეთის ქართველი დედოფლის დაბადების ადგილად თურქი ავტორები ბათუმს მიუთითებენ, ხოლო მისი ქართული გვარ-სახელი მათვის უცნობია. რუსეთის უანდარმერიისაგან დევნილი და ოსმალეკიში გადახვეწილი ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი იასე მაქსიმეს ძე მესუზლა (1856-1919), რომელიც ისტორიაში რაჭველი-ს ფსევდონიმითაცაა ცნობილი, სულთან მაჰმუდ II-ის მეუღლის სახელად ფატიმა-ხანუმს მოისხიებს.² ავტორი 1880 წლიდან 1917 წლამდე (მცირე წევებილობით) ოსმალეთში ცხოვრობდა, კარგად ფლობდა ენას, შესანიშნავად შეისწავლა ქვეყნის ისტორია, კულტურა და ტრადიციები, ამიტომ სულთან მაჰმუდ II-ს მეუღლის სახელად ჩვენც ფატიმა მივიჩნიეთ, რომელიც ქართველთა შორის საგმაოდ გავრცელებული სახელია.

გაურკვეველი რჩებოდა ფატიმას გვარი. ამ საქმეში დახმარება გაგვიწია ისტორიკოს ხარიტონ ახვლედიანის წიგნმა, რომელშიც ნათქვამია: „ბათუმში დიდი ჯამე აუშენებია სულთან აბდულ მეჯიდის (1839-1861) დედას თურქთა ჯარებისათვის და მას ეწოდებოდა სულთან-ჯამე. ამ ჯამის ამშენებელი, ზ. ჭიჭინაძის თქმით, ყოფილა ქართველი ქალი სამტრედიიდან, გვარად ქუთათელაძე.“³

ამგვარად ჩვენთვის ცნობილია ქართველი დედოფლის სახელი და გვარი. სადაურობის თაობაზე საჭიროდ ვთვლით მცირე შესწორებას. ქუთათელაძეები უპირატესად სამტრედიის მახლობელ სოფელში დიდ ჯიხაიშში (სხვა სოფლებშიც) ცხოვრობენ, ამიტომ ფატიმა ქუთათელაძე დიდ-ჯიხაიშელად უნდა მიგიჩნიოთ.*¹⁶

¹⁶ ჩვენს ადრინდელ ნაშრომში (იხ. „არხეიონი“, №2, ბათუმი. 2011. გვ. 45) ფატიმა ბათუმელად ვიგულისხმეთ, რაც არასწორია. იგი დიდ-ჯიხაიშელი ქუთათელაძე აღმოჩნდა.

ფატიმა ბეზმიალეგმი აქტიურად მონაწილეობდა სასახლის ცხოვრებაში მეუღლის მაპმუდ II-ის სიცოცხლეში, მაგრამ იგი უფრო გააქტიურდა მისი გარდაცვალების (1839 წ.), ოსმალეთს სულთნის ტახტზე შვილის აბდულ-მეჯიდის ასკლის და ფატიმაზე ვალიდე (დედა) სულთნის წოდების მინიჭების შემდეგ.

ჯერ კიდევ სულიდად ახალგაზრდა (16 წლის) აბდულ-მეჯიდის გამოუცდელობის გამო, დედამ რეგენტის მოვალეობა იყისრა და დიდი როლი ითამაშა სახელმწიფოს მართვასა და შვილის სწორ გზაზე დაყენებაში. ამ როლს ის სიკვდილამდე ასრულებდა. ფადიშაპის მოგზაურობის დროს დედა-ბეზმიალეგმი აგვარებდა სასახლისა და სახელმწიფოს საქმეებს, საჭიროების შემთხვევაში მთავრობის მოხელეებს დაგალებებსაც აძლევდა, უფრო მეტიც, მართავდა ოფიციალურ მიღებებს და წვეულებებს.

ბეზმიალეგმის გარეგნობისა და ხასიათის გასაცნობად მნიშვნელოვანია სულთან აბულეულ-მეჯიდის კერძო, გერმანელი ექიმის, შივცერის ჩანაწერი. ას ვალიდე სულთანი 36 წლის ასაკში გაუსინჯავს და ეს ჩანაწერიც მაშინ გაუკეთებია. საყურადღებოა, რომ ექიმიც ბეზმიალეგმს ქართველ ქალად მოიხსენიებს. ჰარემ ჰემაიუში აგადმყოფთან მიწვევის შესახებ შპიცერი წერს:

„ჩირადან სარაიში ჩემი მისვლისას შორიდან საგარეული დავინახე, მასზე ნაქარგფერაჯიანი ქალი იჯდა. ის ქალი ვალიდე სულთანი იყო. გზას მიყვალევდა ჰარემის ადა. მე დედოფალს დიდი პატივით მივეახლე. ჰარემი-აღას მიერ ფალიშაპის სიტყვების წარმოთქმის შემდეგ ვალიდე სულთანმა ძალიან თბილად მიმიღო. შემომთავაზა ძირს დაჯდომა. სხვა რაიმე დასაჯდომი ვერ დავინახე და ნოხზე დავეშვი. თვალი დედოფლი-საკენ გამექცა. გამჭვირვალე ჩამოსაფარებლიდან მოჩანდა აღელვებისგან აალებული მისი ლოკები. ვთხოვე მისი პატივცემული ვაჟიშვილის ჯანმრთელობის შესახებ მოეთხრო და თავაზიანად აღვინებნე მისი ზრუნვის შესახებ. ამის შემდეგ ვისაუბრეთ მეურნალობის წესებზე. იგი უდიდესი სიმშვიდით მაასუხობდა. 36 წლის ქართველ ქალს თავისი სხეული ძალიან კარგად შეენახა. თვალისმომჭრელი თეთრი და ნაზი ხელების არაჩვეულებრივმა სილამაზემ, ზომიერად სასიამოვნო მოწესრიგებულობამ და ქედმაღლობამ ჩემი თვალი და ყური მიიპყრო. წამოსვლისას ძალიან თავაზიანად მომექცა. ფერაჯის ჯიბიდან ერთი ქისა ოქრო ამოიღო და ზემოთხსენებული ჰარემი-აღას ხელით გადმომცა“⁴.

ფატიმა – ვალიდე სულთანი ჭკვიანი, წინდახედული, ალექსიანი და გულებვი ქალი იყო, რომელმაც კეთილი მისწრაფებით, გარეგნული იერით და თავშექავებულობით მოპოვა წარმატება და ძალიან რჩეული ქალბატონი გახდა. ამ თვისებებით მან ოსმალეთის ისტორიაში, ინტრიგების მხლართველი მრავალი ქალისაგან განსხვავებით, განსაკუთრებული ქალის სახე შექმნა. იგი ვაჟიშვილის, აბდულ მეჯიდის მფლანგელობასა და საკუთარი გარეგნობისამი გადამეტებული ყურადღების მიქცევას არ ეპუებოდა. საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფო საქმეებში ეხმარებოდა, მაგრამ თავისი მდგომარეობა ბოროტად არასოდეს გამოუყენებია.

ვაჟიშვილის ფადიშაპობის პერიოდში სახელმწიფოს მიერ მისთვის გამოყოფილ ხელფასესა და სხვა შემოსავლებს ბეზმიალები სხვადასხვა საჭიროებებისა და საქველმოქმედო საქმეებისათვის ხარჯავდა. დერვიშთა ორდენის კარგი მცოდნე არ გაურბოდა დერვიშებზე დიდი ოდენობით მატერიალურ დახმარებას. პირადად დადიოდა ფეხით ქალაქში და დარიბებს უწვდიდა დახმარების ხელს. ობოლ და უპატრონო გოგონებს აქორწინებდა, ვისაც არ ჰქონდა ვალის გადახდის საშუალება, აგრეთვე პატიმრებს ფინანსურ დახმარებას უწევდა, ყველას მიმართ ფაქიზი სულის ადამიანისათვის დამახასიათებელ თანაგრძნებასა და გულმოწყალებას იჩნდა. ბოლო დროის ოსმალეთის იმპერიაში იგი აღიარებულ იქნა სასახლის ყველაზე პატივსაცემ ვალიდე სულთანად.

ბეზმიალებ ვალიდე სულთანი მძიმე ავადმყოფობის შედეგად 1853 წლს 3 მაისს ბეშიქთაში სასახლეში გარდაიცვალა.¹⁷

1861 წელს სულთან აბდულ-მეჯიდის გარდაცვალების შემდეგ, ოსმალეთის ტახტზე მისი მმა აბდულ აზიზი (1830-1876)¹⁸ ავიდა. ამგვარად ფატიმა-ბეზმიალემმა ვალიდე სულთანის საპატიო წოდება მეორეჯერ, სიკვდილის შემდეგაც მოპოვა.

ყველა ავტორი, ვინც ბათუმში აზიზიეს მეჩეთის აგების თარიღს შეეხო, ერთსულოვნად აცხადებენ, რომ იგი სულთან მაპმუდ II-ის მეუღლემ ბეზმიალემ ვალიდე სულთანმა თავის

¹⁷ ბეზმიალემ ვალიდე სულთანის შვილიშვილი მეპმედ VI ვაპიდეთინი (1861-1926) ოსმალეთის უკანასკნელი სულთანი იყო.

¹⁸ აბდულ-აზიზი 1876 წლის 30 მაისს სასახლეში შეჭრილმა შეთქმულებმა ტახტიდან ჩამოაგდეს და 2 ივნისს მოკლეს.

სიცოცხლეში სამხედროებისათვის,¹⁹ თუ შვილის აზიზის სახელზე ააშენა. თუმცა ყველა მათგანი მეჩეთის აგების თარიღად სხვადასხვა წელს ასახელებს (1861, 1864, 1867, 1868).^{5, 6, 7}

გალიდე სულთანი 1853 წელს გარდაიცვალა ამიტომ ამ მეჩეთის აშენება სწორედ მის სიცოცხლეში, 1853 წლამდე უნდა მომხდარიყო (ჩვენი აზრით უფრო 1830 წლის შემდეგ, როცა მეორე ვაჟი აზიზი შეეძინა).²⁰ დღემდე დამკვიდრებული თარიღები არასწორია, რადგანაც ამ დროს ფატიმა-ბეზმიალემ გალიდე სულთანი გარდაცვლილი იყო.

ფატიმა-ბეზმიალემა ქვეშის მრავალ ადგილას დააარსა საქველმოქმედო სახლები და ფონდები და დატოვა შემოსავლის მომგანი დიდი ოდნეობის უძრავ-მოძრავი ქონება. მის მიერ დაარსებული ფონდების ერთი ნაწილი და მათი შემოსავლები 1840-1850 წლებში წესრიგზე მოიყვანა. 14 ფონდის (ვაქფიე) მონაცემები 400 გვერდიან ვაკუფის დოკუმენტში აისახა. ამ დოკუმენტით ირკვევა, რომ ვალიდე სულთანს ბევრი კეთილი საქმე პქონდა გაპეობული. მან შეაკეთა და განაახლა დაზიანებული და სრულიად განადგურებული მრავალი შენობა-დაწესებულება, კერძოდ:

1. გურუბაი, სასნეულო სტამბოლში შეპრემინის რაიონში; იენიბაშეში მდებარე ეს სასნეულო დდესაც აგრძელებს არსებობას. ვალიდე სულთანმა ქონების დაცვისა და საუკეთესო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით სასნეულოს ბევრი მდიდარი შემოსავლიანი გადუფი აჩუქა.

2. მექაში მდებარე ამავე სახელწოდების სასნეულოს მშენებლობა ვალიდე სულთანმა წამოიწყო. ნახევრადაშენებული ნაგებობის მშენებლობა დედის გარდაცვალების შემდეგ სულთან აბდულჰამით II-ზ დაასრულა.

ბ) სასწავლებლები:

¹⁹ 1828-29 წლის რესერ-თურქეთის ომის შემდეგ ოსმალეთმა დათმო მის მიერ დაპყრობილი სამცხე-საათაბაგო. ჯერი აჭარაზე და სხვა ქართულ ტერიტორიებზე მიღება, ამიტომ მათი დაბარგვის შიშით 1829 წლის ჯარის დიდი ნაწილი გადმოისროლა. ბუნებრივია, მათ სალოცავიც მოითხოვეს, რასაც ქველმოქმედი დედოფლის მხრიდან მეჩეთის აშენება მოჰყვა.

²⁰ მეჩეთს დასაწყისში სამხედრო ჯამე ეწოდებოდა. მის აშენებას დაემთხვა აბდულ-აზიზის დაბადება (1830 წლის), რის შემდეგ, როგორც ჩანს, მეჩეთს აბდულ აზიზის სახელი უწოდეს.

ა. დარულმაარიფი (ვალიდე მექოფი), ოსმალეთის სახელმწიფოში გეგმის მიხედვით დაპროექტებული და აშენებული პირველი დიდი შენობაა. ეს საშუალო სკოლა მაღალი დონის 3 წლიან განათლებას იძლეოდა. 1850 წლის 20 აპრილს გახსნილი სენატური სასწავლებელი ამზადებდა როგორც სახელმწიფო მოხელეებს, ასევე ამზადებდა ძველ უნივერსიტეტი სწავლის მსურველ მოსწავლეებს. ვალიდე სულთანმა ამ სასწავლებლისათვის დაარსა სტამბა, აგრეთვე მის ბიბლიოთეკას გადასცა 546 ტომი ძვირფასი ხელნაწერი წიგნი. ქ. სტამბოლში მაპტურ II-ის მავზოლეუმითან არსებული და წვენს დროში კვლავ ცეხებ მდგომი ეს სასწავლებელი 1933 წლიდან დღემდე სტამბოლის ქალთა ლიცეუმის სახელს ატარებს და აგრძელებს თავის მოღვაწეობას.

2. ბეზმიალეგმ ვალიდეს სასწავლებელი, რომელიც ბაიქოზ ჩუბუქლუში აგებულ შენობაში იყო მოთავსებული.

3. ბეზმიალეგმ სიბიანის სასწავლებელი. იგი გაიხსნა 1850 წლის 20 აპრილს. მისი ნამდვილი სახელია „მწვანე სასწავლებელი.“

გ) მეჩეთები:

1. ბათუმის სამხედრო მეჩეთი სავარაუდოდ 1830 წელს, როცა შეეძინა მომავალი სულთანი აბდულ აზიზი (1830-1876), მას აზიზის სახელი უწოდეს.

2. დოლმაბაქჩეს მეჩეთი (1853 წ.) ქ. სტამბოლში ემპირეს სტილით დაგეგმილი მეჩეთის მშენებლობა ბეზმიალეგმ ვალიდე სულთანმა წამოიწყო, მისი გარდაცვალების შემდეგ მშენებლობა აბდულმეჯიდმა დაასრულდა.

3. გურეგბაი საავადმყოფოს გვერდით მდგომი და ხის სახურავიანი მეჩეთი ხესებულ საავადმყოფოსთან ერთად 1845 წელს გაიხსნა.

დ) ხიდები:

გალათას ხიდი (ანუ ვალიდეს ხიდი). ემინონუსა და ქიაქიოს შემაერთებელი გალათას ხიდის დამაარსებელიც ფატიმა-ბეზმიალეგმ ვალიდე სულთანია. ხიდი 1844 წელს ხის ბოძებზე აშენდა და 170 წლის ექსპლუატაციის შემდეგ დღემდე რამდენჯერმე განაახლეს.

ე. წყაროები:

ბაზმიალეგმ ვალიდე სულთანის მიერ გაკეთებული ან შეკეთებულია წყაროები და წყლის შადრევნები. მათ გვიანი პერიოდის ოსმალურ ძეგლებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. მათგან დაზუსტებული მონაცემებით 12 წყარო სტამბოლ-

ში, 2 მედინაში, 1 კი ქერბელაში მდებარეობს. ყველა შადრევანი და წყარო ძალზე მოკლე დროში, 1839-1852 წლებში აშენდა.

ფატიმა-ბეზმიალემის თაოსნობით წყლის დასალევი შადრევანი შექმოდა სტამბოლსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში. ვალიდე სულთანმა კეთილმოაწეო თერქესოის ტბა და მისი შემოგარენი. აითვისა ასობით მიწის ნაკვთი, დააფუმნა მეურნეობები და სოფლები, დუქნები, ქარვასლები. წისქვილები, სახლები და სხვა. დიდი შემოსავლების მქონე უძრავ ქონებასთან ერთად ისინი მან გადასცა სხვადასხვა ვაკუფს. ვალიდე სულთანი მათ სამსახურს უწევდა და დირქეულ საჩუქრებს სწირავდა. მერსინის ერთ-ერთი ყველაზე ძველი ოსმალური ნაგებობა, ბეზმიალემის წყარო, 1861 წლს ფადიშამა აბდულ-აზიზმა დედამისის სახელზე გააკეთებინა.

თავისი წინამორბედი ვალიდე სულთანის, ქართველი აიმეს (დედამთილის) მსგავსად მეუღლეზე, სულთან მაჰმუდ II-ზე ფატიმა-დედოფლის დადებითი გავლენა განაპირობებდა საზოგადოებრივ რეფორმას, ქვეყნის კულტურისა და განათლების დასავლურ ყაიდაზე მოწყობას, წიგნების ბეჭდვას, ახალი გაზეთების გამოშვებას, წიგნიერებისა და ხელოვნების განვითარებას. ამით ფატიმა-ბეზმიალემმა ერთგვარად განტვირთა მაჰმუდ II-ის უარყოფითი რეპუტაცია, რაც მას სისახტიერები, იანიჩართა მთელი არმიის განადგურებამ, აღმავლობის გზაზე გადაღობებული ყველა პიროვნებისა და ძალის ლიკვიდაციამ მოუტანა.

ფატიმა-ბეზმიალემის და მისი გავლენით მეუღლის მაჰმუდ II-ს მიერ წიგნიერების განვითარებაზე მხარდაჭერას ჩვენ შევეხეთ წერილში „მესხი აიმე – ოსმალების დედოფალი“.⁸ აქ გავიმეორებთ მხოლოდ იმას, რომ ცოლ-ქმრის საგანმანათლებლო საქმიანობა მიტაცებული ქართული საფაშოების ცხოვრებაზეც აისახა. მათი დახმარებით 1818-1828 წლებში ახალციხის საფაშოს ქართველ მმართველს ახმედ ხიმშიაშვილს დაუკავშირდა სასწავლებელი, რომელსაც მდიდარი ბიბლიოთეკა გააჩნდა. წიგნები ხიმშიაშვილისათვის უჩუქქებიათ მაჰმუდ II-ს დედას, აიმენაქმიდილს და მეუღლე ფატიმა-ბეზმიალემს. თვით სულთანიც ამ საქმის მიმართ უაღრესად კეთილგანწყობილი იყო (როგორც ვთქვით, თავადაც წიგნიერი პოეტი ყოფილა), რაც იმით დასტურდება, რომ ერთი წიგნი ქართველი დიდებულისათვის, ახმედ ხიმშიაშვილისათვის მაჰმუდ მეორეს პირადად უჩუქქებია. ამ სასწავლებლის ბიბლიოთეკაში მრავლად ყოფილა გრამატიკის, მათგამატიკის, ასტრონომიის, ღვთისმეტყველების, ფილოსოფიის და სხვა დარგების სახელმძღვანელები, სულ ათასზე

მეტი წიგნი და უნიკალური ხელნაწერი, რომელთაგან ყველაზე საუკეთესო 600 წიგნი და ხელნაწერი, რუსი გენერლის, ნ.ძ. მუ-რავიოვის ბრძნებით პეტერბურგში გაუგზავნიათ.⁹

ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილის მიმართ ფატიმა-დედოფლის და სულთან მაჰმუდ II-ს ყურადღება სხვა მხრივაც ჩანს.

როგორც ცნობილია, ახმედ ხიმშიაშვილი მამის სიკვდილით დასჯის შემდეგ, თავის უმცროს მმასთან აბდი-ბეგთან ერთად გურიაში გაიხინდა, სადაც თითქმის ორი წელი მოვკრებთან დარჩა (აბდი-ბეგს ცოლად ჰყავდა მამია V გურიელის და კესარია). იქედან დაბრუნებული მები სულთანმა მაჰმუდ II-მ შეიწყალა და 1818 წელს ახმედ-ბეგი აჭარის მმართველად განაწესა, ხოლო შემდეგ ახალციხის საფაშო ტახტზე აიყვანა.

უცხოელთა სამსახურში მყოფი ხიმშიაშვილი ოსმალთა ნებას დაჲყვა და გულმოღინებ ასრულებდა მათს დავალებებს, მაგრამ არც მამის სურვილი და მისწრაფებები ავიწყდებოდა – ცდილობდა სამცხე-სათაბაგო გაეთავისუფლებინა, რათა იგი ისეთივე ყოფილიყო, როგორც „ქართველი მეფების დროს იყო.“ ამისათვის კი ძლიერი დამხმარე სჭირდებოდა. ასეთ მომხრედ მას რუსეთი ესახებოდა. ახმედ-ფაშამ შეძლო რუსეთის მოხელეებთან კავშირის დამყარება, შემუშავდა ორმხრივი მოქმედების გეგმა და აჭარის რუსეთის ქვეშვერდომობაში შესვლას თითქმის აღარავერი აკლდა, როცა გენერალი ოსტენ-საკენი აჭარაში უმიზეზოდ შემოიჭრა და რამდენიმე სოფელი გადაწევა.

ვერაგულმა პოლიტიკამ ახმედ-ფაშა იძულებული გახადა რუსეთზე ზურგი ექცია და ოსმალეთის ხელისუფლებისათვის პატიება ეთხოვა. იმის მიუხედავად, რომ სულთან მაჰმუდ II-სთვის კარგად იყო ცნობილი ახმედ-ფაშის რუსებთან კავშირი, მან აჭარის მმართველს არათუ აპატია დალატი, არამედ დააწინაურა და მუშირის (გენერალ-ლეიიტენანტი) სამხედრო წოდება მიანიჭა. ჩვენი აზრით, შესაძლოა ამ შემთხვევაშიც მთავარი როლი ითამაშა ფატიმა-ბეზმიალებ დედოფლის გავლენამ, რამაც ახალციხის ფაშა სულთნის რისხვისაგან იხსნა და კიდევ უფრო დიდი კარიერა მოუპოვა.

1836 წელს ახმედ-ფაშა კონსტანტინეპოლში სულთანს ეწვია იქედან წამოსული არზრუმის სერასკირმა ნადიმზე მიიწვია: ნადიმიდან დაბრუნებული ახმედ-ფაშა ცუდად გახდა. დოკუმენტებში ნათქვამია, რომ ავადმყოფს გულმკერდი და ტუხები გაუშავდა და რვა დღის შემდეგ გარდაიცვალა.¹⁰ მაშინვე გაგრცელდა ხმა, რომ ახმედ ხიმშიაშვილს სულთანმა ძველი ცოდ-

ვები გაუხსენა და მოაკელევინაო, მაგრამ ეს ცნობა მაღლე უარ-ყვეს. რუსეთის კონსული არზრუმში, კავკასიის მთავარმართვებელ გვ- როზენს პასუხობდა, რომ „ახმედ-ფაშა ყოველთვის სიყვარულითა და მფარველობით (!) სარგებლობდა თავის მთავრობაში პირადი მამაცობითა და ერთგულებით, რისთვისაც მრავალი ჯილდო მიიღო, ამიტომ მისი სიკვდილის ცოდვის სულთანზე აკიდება შეუძლებელია. მითუმეტეს სწორედ კონსტანტინებოლმი ყოფნისას მიიღო ფერიკის წოდებაც და უმაღლესი ორდენით.“¹¹

მართლაც, მაპმუდ II-ს ახმედ-ფაშის სიკვდილით დასჯის სურვილი რომ ჰქონოდა, არაფერი შეუშლიდა ხელს ეს განზრახვა მისი სატახტო ქალაქში ყოფნისას ადესრულებინა. აქ საქმე ეხებათ უფრო პირად მტრებს, რომლებიც ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილის აღზევებას, ჯილდოებს და კარგ სახელს შერით ხვდებოდნენ. მისი თავიდან მოცილება ადრე ჰქონდათ გადაწყვეტილი, მაგრამ სულთნის შიშით ვერ ბედავდნენ. უმაღლესი სამხედრო წოდების მინიჭებამ და ორდენით დაჯილდოებამ ავისმსურველებს მოთმინება დააკარგვინა, ახმედ-ფაშას არზრუმში ნადიმის დროს საწამლავიანი საკვები მიართვეს, რამაც რამდენიმე დღეში მისი სიკვდილი გამოიწვია.

ჩვენთვის უცნობია როგორი იყო მაპმუდ II-ს განწყობა ამ ტრაგიკული შემთხვევის გამო, თუმცა მაღლე სულთანიც გარდაიცვალა და ახმედ-ფაშის სიკვდილის საიდუმლოც ბურუსმა მოიცვა.

სულთან მაპმუდ II-ს კარი, ქართველი დედა და მეუღლე სხვა ქართველი დიდგვაროვნების მიმართაც იჩნდნენ ყურადღებას. მე-19 საუკუნის დასაწყისში, აჭარის მეზობელ პროვინციებში (იმერეთი, გურია) რუსული მმართველობის დამყარებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით გამწვავდა მიწებზე საკუთრების კანონიერების საკითხები. ჯერი აჭარაზე მიდგა, ამიტომ ოსმალო მოხელეები ჩარობდნენ, რათა მიწების დიდი ნაწილი ხაზინაში ჩაერიცხათ, რასაც ადგილობრივ მიწათმებელებთან დიდი დავა და შეხლა-შემოხლა მოჰყვა. ასეთ გაუგებრობაში აღმოჩნდნენ ავალიანების, ათაბაგების, ბეჟანიძეების, თავდგირიძეების, სურმანიძეების და სხვათა ოჯახები.

აჭარის სახელმწიფო არქივისა და ბათუმის ხარიტონ ახ-ვლედიანის სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდებში ინახება ანალოგიური შემთხვევების ამსახველი საბუთები. ჩილდირის და ერზრუმის ვალის ერთ-ერთ მოხსენებაში ნათქვამია, რომ ალი და ისმაილ ბეჟანიძეების შემოსავალი (თიმარი) 4000 ახხის

ოდენობით, მათი უმემკვიდრეოდ გარდაცვალების გამო უნდა გაუქმდეს. 1813 წელს სულთან მაჰმუდ II-მ გამოსცა ფირმანი, რომლითაც ეს შემოსავალი გარდაცვლილების არაპირდაპირ მემკვიდრეს მუთი-ბეგ ბეჟანიძეს გადასცა. ამასთან მუთი-ბეგს (ალაი-ბეგს) ეკისრებოდა ვალდებულება საჭიროების შემთხვევაში ოსმალეთის ჯარში ახალი შევსება გაეყვანა.¹²

ოსმალო მოხელეებმა ქვემო აჭარის ექვსი სოფლიდან შეგროვილი შემოსავალი (თიმარი) ჩამოართვეს აგრეთვე მუხა-მედ-თევარ თევდოროდლი-ავალიანს. დაზარალებულმა თხოვნით მიმართა სულთნის კარს. 1815 წელს სულთან მაჰმუდ II-ს გამო-უცია ფირმანი, რომლის ძალით განმცხადებელ ავალიანს თიმა-რის ნაცვლად დაენიშნა ყოველწლიური პენსია 750 კურუშის ოდენობით, რაც მას გაცილებით მეტ შემოსავალს აძლევდა.¹³

ფატიმა-ბექმიალემი შვილებისაგან მოშორებით ცხოვრების პერიოდში წერდა წერილებს, რომელთა ნაწილი დაწერა მაშინ, როცა ავადმყოფობის გამო იაღოვას ცხელ წყლებზე იყო სამკურნალოდ წასული, ნაწილი კი – სტამბოლში აბდულ-მეჯიდის ბურსასა და ჩანაქქალეში ხანგრძლივად ყოფნის დროს.¹⁴

ფადიშაჰმა აბდულ-მეჯიდმა გარდაცვლილი დედის საპატივცემულოდ მოაწყო გრანდიოზული სამგლოვიარო ცერემონი-ალი, დედა ჭადალოდლუებს²¹ დივანიოდუზე, მამამისის მავზე-ლეუშში დაკრძალა.¹⁵ დედის სახელზე გამოუშვა დიდი რაოდენობით ფული, რომელიც სასახლის ქალებს, იმამებსა და დარი-ბებს დაურიგა.

ასეთია კიდევ ერთი სიკეთით მოსილი ქართველი მანდი-ლოსნის ცხოვრება. სამშობლოს ბედუკუდმართობით უცხოეთში გადასრულილი ქალი იმ ქვეუნისა და ხალხის სამსახურში ჩადგა, ქველმოქმედებითაც გაითქვა სახელი, მაგრამ თანამემატულებზე ფიქრი მთელ სიცოცხლის მანძილზე გაპყვა. შექძლების-დაგვარად მათაც უწვდიდა ხელს და არასრდეს ივიწყებდა.

მინაწერი: ნაშრომი დასაბეჭდად გადაცემული იყო, რო-ცა გამოვიდა პროფ. შუშანა ფუტკარაძის წიგნი „სტამბოლის

²¹ ეს გვარი ქართული ჭადალიძე-დან უნდა მოდიოდეს. სასურ-ველია ამ თემას ცალკე გამოკვლევა მიეძღვნას, თუნდაც იმი-ტომ, რომ ამ სასაფლაოზე მრავალი წარჩინებული ქართველი განისვენებს.

ქართული საგანე", სადაც ნათქვამია, რომ სულთან მაჰმუდ II-ს მეუღლე იყო ბათუმელი ქალი შუშანი თავდგირიძე. ეს ცნობა ამ ქალის ვინაობის დასადგენად კვლევის გაგრძელებას საჭიროებს. რ.ს.

ლიტერატურა

1. ისგანდერ ფალა. ლექსთა სულთნები. ქართულ-თურქულ ენებზე. სტამბოლი. 2006. გვ. 54.
2. იასე რაჭველი (მეუღლა) წერილები თურქეთიდან. თბილისი. 1991. გვ. 109.
3. ხ. ა. ავლენიანი. ნარკვევი აჭარის ისტორიიდან. ბათუმი. 1944. გვ. 172.
4. **Murat Kasap.** Osmanli Gürçüleri. Istanbul. 2010. sy. 436.
5. ავალიანი ა. მიწათმფლობელობის ფორმები აჭარაში. ბათუმი. 1960. გვ. 94-100.
6. **Френкель А.С.** Очерки Чурук-Су и Батума. Тифлис. 1879. стр. 62.
7. **Дакишевич Н.М.** Батум. Тифлис. 1890. ст.2.
8. სურმანიძე რ. მესხი აიმე-ოსმალეთის დედოფალი, გამ. „აჭარა“, № 103, 8-9 სექტემბერი. 2011. გვ. 6.
9. მაჭავარიანი თამარ. ახალციხის ბიბლიოთეკის შესახებ. საქ. სახ. საჯარო ბიბ-კის შრომები. III. თბილისი. 1937. გვ. 54.
10. საქართველოს ცხა, ფ. 11, ს. 558, ფურ. 16-19.
11. იქვე, ს. 942, ფურ. 5-10.
12. აჭარის სახ. მუზ. ხელნაწ. ფ.ს. 23209/1; 1201/12.
13. რამაზ სურმანიძე. ავალის შთამომავალნი. თბილისი. 2011. გვ. 327, 328.
14. **Murat Kasap.** იქვე.
15. **Beşir Ayvazoğlu.** Divanioly. Istanbul. 2003. sy. 53.

**მაცხოვრის ჯამების ასახვა ქართულ ხალხურ
სასულიერო პოეზიაში**

ქართული ფოლკლორის ბრძენი კოლექტიური ავტორი საუკუნეთა განძავლობაში პირველქმნილი სიყვარულითა და ტკივილით აღიქვამს მაცხოვრისეულ ენებებს და შთამომავლობას შეახსენებს, თუ რისთვის ეცვა ჯვარს იქნის ქრისტე. ამ თვალსაზრისით ძალზე შთამბეჭდავია ქართული ხალხური სასულიერო პოეზია, რომელშიც უდიდესი წესილითა და განცდებით არის გადმოცემული იქნის ქრისტეს წამების ამბავი.

სასულიერო ლირიკის ერთ-ერთ უმშვენიერეს ნიმუშში „ქრისტე“ (ქართ. ხალხ. პოეზია, 1973: 123), გადმოცემულია მაცხოვრის დევნა, მისი შეპყრობა და წამება. იქნის სოფლიერად გამოჩენას, ლექსის თანახმად, იუდეველთაგან დევნა და შევიწროება მოჰყა:

დალოცვილი ქრისტე დმერთი სოფლიერაო გამოჩნდაო,
ის მამაძალდი ურია დასაჭირავად დასდევსო...

ქართული ხალხური სასულიერო ლირიკის კოლექტიური ავტორი უდიდესი მწუხარებითა და დრამატიზმით გადმოსცემს მისთვის სახარებიდან კარგად ნაცნობ უმძიმეს ეპიზოდს: ერთსა გორას დაიჭირეს, მეორე გორას დამარხესო.

იქ ლურსმნები აიტანეს, თურმე, ყურით დააკრესო.

ქინი, მმარი მიუტანეს, ქრისტეს წამლად წაადგესო.

აკირე დილას რომ მივიდნენ, ცარიელი ტილო ძევსო.

ლექსში დიდი გულისწყრომაა გამოხატული იუდეველთა მიმართ, რის გამოც, ქართველთა რწმენით, ისინი დაწყევლილები არიან და წარომეული აქვთ ყველაზე დიდი აქვეყნიური მადლი – ხენისა და თეგის ჩვეულება.

მკვლევარ ა. ცანავას მიერ დაფიქსირებულ რაჭულ სასულიერო ლექსში – „იქნი ქრისტეს ლექსი“ – ასევე დიდი წესილია გამოთქმული „ჩვენი ქრისტეს“ წამების გამო; ცნობილი სახალხო მთქმელი ზაქარია ერამე ისე დაწერილებით ადწერს მაცხოვრის მოწამებრივ სიკვდილს, თითქოს საკუთარი თვალით ეხილოს; სწორედ ამიტომაც, იქნოსადმი მიუენებული ტანჯვა-წამების გამო, ამ ლექსშიც იუდეველები ცოდვილებად მოიხსენიებიან; გამოთქმულია რწმენა, რომ საიქიოს ისინი დაიტანჯვა-ბიან, სარჩო არ მიეცემათ:

ურია არის იუდა – ჩვენ მირონი მოგვაცხესა.

ჩვენი და ურიის რჯული იმასუბან გაშორდესა.

საყურადღებოა, რომ ლექსის – "ქრისტე" – ქართლური ვარიანტიც (ქართ. ხალხ. პოეზია, 1973: 323), რომელშიც საუბარია მაცხოვრის ტანჯვაზე, დაკრძალვასა და აღდგომაზე, იუდე-ველთა ცოდვიანობის გამხელით იწყება:

არასოდეს არ ცხონდება ურია,

არ შევა სამოთხეშია,

არ გევზარდა დედასა, ათასი წილად ერჩია...

ამ ოვალსაზრისით საინტერესო ფაქტი დასტურდება ქართულ ხალხურ მაყრულ ლექს-სიმღერებშიც. 1902 წელს "მასალათა კრებულში" დაბეჭდილ ფ. მთვარავის სტატიაში "მდაბიოთა ქორწილი კახეთში" (მას. კრ. (СМОМПК), 1902: 149-160) მოხმობილია მეფის მაყრების სამღერი ტექსტი, რომელშიც ტრადიციისამებრ დედოფლის მაყრები კი არ არიან გაქილიკებულნი, არამედ – იუდეველები (კონკრეტულად კი იუდეველთა მეფის დედა):

– ნეტავი მეფის დედასა, ვარდნი უსხედან კერასა!

იუდის მეფის დედასა თაგვინი უსხედან კერასა.

გამორიცხული არ არის, თაგვთა სათარეშო კერად (ამდენად – დამცირების ობიექტად) ამ შემთხვევაში იესოს გამცემი იუდას მშობლიური კერა იყოს ნაგულისხმევი, თუმცა არსებითად ეს არავერს ცვლის, რადგან ზეპირსიტყვიერების თოქმის ყველა უანრში, და მათ შორის საქორწილო ლექს-სიმღერებშიც, გადმოსცა ქართველმა ხალხმა თავისი განუზომელი სიყვარული იესო ქრისტეს მიმართ, მისიანად შერაცხა და გამოხატა შეურიგებლობა მისი უშუალო გამცემისა თუ ზოგადად იმ ტრმის მიმართ, ვინც შვა იუდა ისკარიოტელი თუ იუდეველთა მეფე.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით ლექსის – "ქრისტე" – ანალიზისას იგივე აზრი გამოოქანდა მკაფეობრმა ნატო გულუამ: " ... ბოლოს დაწყევლილია ურია... ვფიქრობთ, ზოგადად ებრაელნი, რადგან სიტყვა „ურია“ აქ ერთი ადამიანის მნიშვნელობით არ უნდა იყოს ნათქვამი" (გულუა, 2009: 142).

„არსენას ლექსის“ რაჭულ ვარიანტში ებრაელი ვაჭრებისადმი არსენას უარყოფითი დამოკიდებულების ერთ-ერთი მოტივაცია ისიც არის, რომ ისინი იმ ერის შვილები არიან, ვინც ქრისტე აწამა, იესო კი „ჩვენად“, ვი. ქართველად, არის აღიარებული. სახალხო გმირი ასე მიმართავს წვრილმანით მოვაჭრე ებრაელებს:

— ურიებო, ის არა ხართ, ქრისტე რო გვიწვალეთ ოქვენა!
მე გიზამთ ბიჭი არსენა ჩვენი ქრისტეს მაგიერსა!

ქართულ ხალხურ შელოცვებში “ურია ქეთელის” (დავით წინასწარმეტებელის სპასალარის) გააზრება ადამიანთა მწვალებლად („ურია ქეთერმა ჩამეიარა, შემკრულა, შემბგჭდა...“; „მოვიდა ორი ურია ქეთენი, შემყვარა, შემთვალა, შემაჟიშინა...“; და ა.შ.). იმავე პოზიციიდან უნდა შეფასდეს. აქვე უნდა აღვინიშნოთ, რომ ქართველთა ცნობიერებაში ებრაელი ერი უარყოფით კონტექსტში არასოდეს მოიხსენიება და ზემოთ განხილულ შემთხვევებში მხოლოდ მისი იპოსტასი — „ურია“ — ფიგურირებს.

ელევიური ხასიათის ქართულ ხალხურ სასულიერო ლექსში „ნეტამც არ ასულიყავ“ (ქართ. ხალხ. პოეზია, 1973: 126), გამედავნებულია უდიდესი მწერალება მაცხოვრის ჯვარზე გაკვრის გამო. მთქმელი ასე მიმართავს იქსოს:

ნეტამც არ ასულიყავ გოლგოთას მთაზეო.

შენი სახრჩობელა ჯვარი დაგადგეს მხარზეო.

.....

ეკლის გვირგვინი შაკერეს, დაგადგეს თავზეო.

აქვე გამოთქმულია გულისტკივილი იმის გამო, რომ იუდეველებმა დახმარების ხელი არ გაუწოდეს გოლგოთის გზაზე ტანჯვით მიმავალ მაცხოვარს: "ურის სახლთან დაისვენე — გაგაგდო განზეო."

იუდეველთაგან მაცხოვრის ტანჯვა-წამებისადმი ქართველი ხალხის დამოკიდებულება გამედავნდა ქართულ ხალხურ ხატოვან სიტყვა-თქმაში "ქრისტეს წვალების აღებინება" (სახოკია, 1979: 688), რომელიც იხმარება გინმესთვის დაუმსახურებელი ტანჯვის მიყენების გამოსახატავად.

სასულიერო ლექსში „ქვეყანა იძრა“ (ქართ. ხალხ. პოეზია, 1973: 136) იქსოს ჯვარცმის აქტი სახალხო მთქმელის მიერ მიწისძვრასთან, კლდის გასკვირმასთან ასოცირდება, რის გამოც დეთისმშობელი ტირის და მოთქვამს:

ქვეყანა იძრა, კლდე გასქდა,

ტირის მარიამ დედაო:

— შენზედა დამოკიდებულს

თვალით როგორა მხედავო!

ლექსში „გოლგოთის მთაზედ“ (ქართ. ხალხ. პოეზია, 1973: 129-130) გამოთქმულია უდიდესი გულისტკივილი იქსოს სატანჯველის გამო; დაგმობილია იუდეველთა სისასტიკე და განუკითხაობა მაცხოვრის მიმართ; უშეალო, ადამიანური გულ-

წრფელობით არის გადმოცემული ჭეშმარიტი ქრისტიანის საწუხარი. დექსი ნათელი დასტურია იმისა, რომ ქართველთა კოლექტიურ შემცნებას გაცნობიერებული აქვს „დვორური აღმშენებლობის ამოცანა – ქრისტეს თავისი სიკვდილით უნდა ეხსნა დაცემული კაცობრიობა“ (კიკნაძე, 1997: 14). ამ ლექსშიც მხეცებად და ბეცებად მოიხსენებიან მაცხოვრის გამწირველი იუდეველები.

იქსოს უდირსი მოწაფე და მისი გამცემი იუდა ისკარიოტებული ქართულ ხალხურ სასულიერო პოეზიაში მამის მკვლელად მოიხსენიება. თედო რაზიკაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილ სასულიერო ლექსში "იუდა ვერცხლისმოყვარე" (ქართ. ხალხ. პოეზია, 1973: 126) ნათქვამია:

იუდა ვერცხლისმოყვარე სიყრმიდან ავის მქნელია,
მისთვის შეუდგა ქრისტესა, რომ იყო მამის მკვლელია.

იუდას საქციელის გამოძახილია ქართული ხალხური ხატოვანი გამოთქმები: "ქრისტეს გამყიდველი", "ქრისტეს სისხლის მსმელი" (სახოკია, 1979: 687-688); იუდა ისკარიოტელის ეს ეპითეტი ქართველმა ხალხმა განაზოგადა ყველა მოღალატისა და ორგულის მიმართ.

ქართული ხალხური სასულიერო პოეზიის ნიმუშები დასტურია იმისა, რომ ჩვენმა ხალხმა საუკუნეთა მანძილზე გაითავისა მაცხოვრის ხორციელი სატანჯველი, მძიმედ განიცადა კაცობრიობის ცოდვისათვის ჯვარზე გაპრული იესოსეული ვნებანი, რათა მისი იდეაბისადმი ერთგულებაში გაძლიერებულ-გამობრმმედილიყო.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. გ უ ლ უ ა ნ., ბიბლიური მოტივები ქართულ ფოლკლორში, ქუთაისი, 2009.
2. კ ი კ ნ ა ძ ე ზ., შობიდან შობამდე, თბილისი, 1997.
3. "მასალათა კრებული (СМОМПК)", №31, განყ. III, თბ., 1902.
4. ს ა ხ თ კ ი ძ თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი, 1979.
5. ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, ნაკვეთი II, თბილისი, 1973.

Тина Шиошвили

Страсти Христовы в грузинской народной духовной поэзии

Резюме

В грузинской народной духовной поэзии с большим драматизмом отображены страдания Господа и Спасителя нашего на кресте. В народных стихах явно ощущается гнев в отношении тех иудеев, которые не узнали в Иисусе нашего Спасителя и обрекли Его на распятие. А предатель Иуда называется отцеубийцей.

Грузинская народная поэзия на протяжении веков выработала свое отношение к крестным страданиям Христа, принесшим себя в жертву во искупление человеческих грехов. Через народное творчество молодые поколения грузин укрепляются в вере, и вечно будут помнить, что Иисус Христос пострадал за нас, взяв наши грехи на Себя.

**„ფართის სულთა გაფიანე“ ბარსახელთა და
აღზილის სახელთა შესწავლის წყარო**

ტბეთის სულთა მატიანე XII-XVII საუკუნეების წერილობით ძეგლია, რომელიც 1874 წელს გიორგი ერისაბეგმა მოიძია შავშეთის ტბეთის ეკლესიაში. იგი წარმოადგენს შემწირველთა ანუ მოსახლეების ტბეთის ეკლესიას, რომელიც თვით ტბეთის ეკლესიაშია შედგენილი. ამიტომაც ეწოდა მას ტბეთის სულთა მატიანე, რომელიც ამ სახელწოდებით წიგნად გამოსცა ხელნაწერთა მცოდნებ თინა ენუქიძემ. მანვე დაადგინა, რომ მატიანეში შესული ადრეული ჩანაწერები ანუ ადრეული ფერი XIII-XIV, ხოლო მოგვიანო შემდგომ საუკუნეებს განეკუთვნება (ენუქიძე, 1977, 12-13).

მატიანე მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, პირველ რიგში, ჭოროხის ზოგიერთი კუთხისა და მაჭახლის ხეობის საეკლესიო ცხოვრების, ისტორიული გეოგრაფიის, საგვარეულოთა ისტორიის, ტოპონიმიკისა და სხვა საკითხებზე. იგი მის თანადროულ მიძნაძორის, წყაროსთავის, ართვინის სახარებასა და ბანას ხელნაწერ კრებულზე დართულ სულთა მატიანებთან (დაკლდიაშვილი, 2005) ერთად ხელნაწერებში ამეტყველებული ისტორიაა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ჩამოთვლილი რეგიონების 5-6 საუკუნოვანი სულიერი და საზოგადოებრივ-ეულტურული ცხოვრების შესწავლაში.

მატიანის 588 მოსახლეების შესულია 350-მდე გვარი და 20-ზე მეტი ცალკე გეოგრაფიული პუნქტის სახელი, რომლებიც საინტერესო სურათს იძლევა დამწერლობის, გვართა სუფიქსური წარმოების, სოციალური კუთვნილების, პროფესიული საქმიანობის და სხვა ნიშნების მიხედვით. მატიანის გვარები გვარსახელებმა და ტოპონიმებმა, რომლებმაც რთული პოლიტიკური და საზოგადოებრივი სიტუაციის მიუხედავად, რაც შეიქმნა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში თხმალთა შემოსევებისა და მათი სამსაუკუნოვანი ბატონობის პირობებში, გაუძლეს დროის გამოცდას და დღევანდლამდე თითქმის უცვლელი სახით მოაღწიეს.

მატიანეში 20-მდე სხვადასხვა სუფიქსით წარმოებული გვარ-სახელი გვხვდება, რომელთაგან ყველაზე მრავლადაბა წარმოდგენილი ქვეს სუფიქსით დამთავრებული სახელები. მათი

რიცხვი 200-მდე აღწევს. მეორე ადგილზე მოდის ეთ მაწარმოებლიანი 100-ზე მეტი და შვილ-ზე დაბოლოებული 30-მდე გვარსახელი. მატიანეში წარმოდგენილია ურ, ელ, ულ, ფხე და სხვა სუფიქსით დაბოლოებული გვარები. თითო-ოროლა გვარი მოხსენიებულია ილ, რ, აკ, ათ, აშ და სხვა სუფიქსით.

ჩამოთვლილ მატიანისეულ გვარსახელთაგან ამჯერად შევჩერდებით ეთ სუფიქსით დაბოლოებულ გვარებზე, რომლებიც მატიანის მიხედვით თუ ვიმსჯელებოთ, გახდა საფუძველი ძე და შვილ სუფიქსიანი გვარების წარმოებისა.

ეთ მაწარმოებლიანი გვარები ძირითადად გვხვდება მატიანის ადრეულ (XII-XIII საუკუნეები) ფენაში. ეს გვარებია: აბესლამეთ, ბერსელეთ, ბრევაეთ, გორგაძიეთ, გუიანეთ, გუნდარეთ, დოლიეთ, ვაცაეთ, ზარქიეთ, თევთიეთ, კანჯარეთ, მეფუტქრიეთ, სიკალაეთ, ტიბორეთ, ტურიეთ, ქუაბელეთ, ქუნთელეთ, შავლაეთ, ჩავლაეთ, ცხადაეთ, წყირმონეთ, ჭაუნტელეთ, ჯარდენეთ და ა.შ.). მომდევნო, XIV-XVI საუკუნეების ფენაში ჩამოთვლილ გვართაგან ზოგი ძე და სხვა სუფიქსით გვევლიერება (აბესლამეთ-აბესლამისძე-აბესლამური, გუნდარეთ-გუნდარისძე, გორგაზიეთ-გორგასძე, თევთიეთ-თევთისძე -თევთიური, კანჯარეთ-კანაჯარასძე, მეფუტქრიეთ-მეფუტქრისძე, სიკალაეთ-სიკალაური, ქუაბელეთ-ქუაბელისძე-ქუაბელური, ქუნთელეთ-ქუნთელასძე, ჯარდენეთ-ჯარდენისძე), ზოგი კი კვლავ ინარჩუნებს პირვანდელ ფორმას.

ეთ მაწარმოებლიანი გვარსახელები თუ ადგილთა სახელები დიდი ხანია იქცევს მკვლევართა ყურადღებას. ერთ-ერთი პირველი იყო ფრანგი ორიენტალისტი მარი ბროსე, რომელიც ძველ ქართულ ხელნაწერებსაც სწავლობდა. იგი იცნობდა ტბეთის სულთა მატიანესაც, რომელიც მას დ.ბაქრაძემ გადასცა. ამ უკანასკნელისათვის კი მატიანე გ.ყაზბეგს გადაუცია. დ.ბაქრაძემ მატიანის პირველი მოკლე აღწერილობაც დაგვიტოვა (ბაქრაძე, 1987:166). ტბეთის მატიანე მ.ბროსეს კოლექციიდან 1884 წელს მოხვედრილი პეტერბურგში, აზიის ხალხთა მუზეუმში (ენუქიძე, 1977:7). სამწუხაროდ, მ.ბროსეს აზრი მატიანის შესახებ უცნობია. მ.ბროსეს შემდეგ ანალოგიურ გვარსახელებს იკვლევდნენ ნიკო მარი, აკაკი შანიძე, ვარლამ თოფურია, სიმონ ჯანაშია. ეთ სუფიქსიან და ქართულ ისტორიულ წყაროებში დაცულ ანალოგიური ფორმის საკუთარ სახელებს საკუთარ სტატიაში მიუძღვნა პროფესორმა ვარლამ დონდუაშ (დონდუა, 1967:101-128).

სტატიაში ვდონდებამ მოკლედ მიმოიხილა დასახელებულ ავტორთა გამონათქვამები საკითხთან დაკავშირებით და თავისეული მოსაზრებაც განავითარა. მარი ბროსემ საკუთარი ეთ მაწარმოებლიანი სახელები: ლიპარიტე, სუქმანეთ, დავითეთ, გაგიყეთ, რომლებიც „გრამატიკის მონაპოვრად“ მიიჩნია, გვარის აღმნიშვნელად ჩათვალია (დონდუა, 1967:101). ს.ჯანაშიასაც ლიპარიტეთ სახელი გვარსახელად (გვარის სახელად) მიაჩნდა. ამავე დროს, ვ.დონდუა აკაეთ შანიძის გამონათქვამზე დაყრდნობით შენიშნავს, რომ ეთ სუფიქსიან კრებით სახელებში გეოგრაფიული სახელებია გათვალისწინებული. აქვე მას დამოწმებული აქვს ნიკო მარის გამონათქვამი ეთ სუფიქსთან დაკავშირებით: ამ დაბოლოებას მეცელ ლიტერატურულ ქართულში კრებითი მნიშვნელობაც აქვს და, საერთოდ, ქართულში იგი აწარმოებს ქვეყნების და მოსახლეობის ადგილსამყოფელ სახელებს, რომლის მოსახლეობაც ატარებს გარკვეულ ეთნიკურ სახელწოდებას (დონდუა, 1967:102). მკვლევარი ანალიზს უკათებს აღნიშნულ და მის მიერ მოტანილ მონაცემებს და დასკვნის სახით წერს: „განხილული ეთ სუფიქსიანი გვარსახელების ბუნება და ხასიათი, ვფიქრობთ, საფუძველს იძლევა საკითხის აღვრისათვის გეოგრაფიული ეთ სუფიქსიანი სახელების წარმოშობის შესახებაც“ (დონდუა, 1967:118). საყურადღებოა ვ.დონდუას შემდგენ მოსაზრებაც: „...გვარსახელების მსგავსად ტომობრივი სახელებისგანაც უნდა წარმოებულიყო ეთ სუფიქსიანი ფორმის გეოგრაფიული სახელები (დონდუა, 1967:119). აქვე დავიმოწმებოთ ქართველი ლექსიკოლოგის აღექსანდრე დლონტის გამონათქვამსაც იმის შესახებ, რომ ეთ სუფიქსი სახელის ფუძისაგან აწარმოებს როგორც დასახლებული პუნქტების, ისე ტომობრივსა და ეთნიკურ სახელწოდებებს (დლონტი, 1964:141).

დასახელებულ მკვლევართა მონაცემების საფუძველზე საჭიროდ ჩავთვალეთ ჩვენი თვალსაზრისი გამოვთქვათ ტბეთის სულთა მატიანეში მოხსენებულ ეთ მაწარმოებლიან საკუთარ სახელებზე.

ეთ მაწარმოებლიანი საკუთარი სახელები (გვარი თუ ადგილის სახელი ანუ ტოპონიმი) რომ ქართული ენის უძველეს ლექსიკურ ფონდს განეკუთვნება, ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს. მაგრამ მოცემულ ანუ მატიანის პერიოდში (XII-XVII საუკუნეები) თანამედროვე ეთნოგრაფიულ და სხვა მონაცემებსაც თუ მოვიშველიებთ, ეთ მაწარმოებლიან საკუთარ სახელებში, რომლებიც თენუქიძის მიერ გვარებად არის მიჩნეული (ენუქიძე,

1977:37. იხ. აგრეთვე წიგნზე დართული საძიებლები, გვ. 162-163), ჩვენი აზრით გვარები კი არ უნდა ამოვიკითხოთ, არამედ სადა-ურობის (სოფლის, სოფლის დასახლებული უბნების) აღმნიშვნელი სახელები. კერძოდ, ტბეთის სულთა მატიანისეულ ეთ სუფიქსიან სახელებში (თევთიეთ გიორგი, გუნდარეთ გიორგი, გუნდარეთ ბორჯა, გორგაძიეთ მახარებელი, მეფუტპრიეთ ნიკოლოზი, დავდაეთ ცხორება, ვარდანეთ გიორგი, ვაშანეთ ბასილი, ვაცაეთ ნიკოლოზი, მეფუტპრიეთ ივანე, ტურიეთ იორდანე, კანჯარეთ კონა, სიკალაეთ გიორგი, წითელაეთ გიორგი, ჯარდენეთ ნანა და ა.შ.) იმ ადგილმდებარეობის სახელები უნდა ვიგულისხმოთ, საიდანაც ჩამოთვლილი შემწირველები სულის მოსახსენებლად ტბეთის მონასტერში ჩადიოდნენ და საეკლესიო მსახურებას ასრულებდნენ. ამრიგად, გვარად წოდებულ სახელებში: გორგაძიეთ მახარებელი, მეფუტპრიეთ ნიკოლოზი, თევთიეთ გიორგი, ვაცაეთ ნიკოლოზი და ა.შ. ჩვენ უნდა მოვიაზროთ გორგაძიეთ-ელი მახარებელი, მეფუტპრიეთ-ელი-ი ნიკოლოზი, თევთიეთ-ელი გიორგი, ვაცაეთ-ელი ნიკოლოზი, რაც ნიშნავს, რომ მახარებელი ყოფილა სოფელ გორგაძეთიდან, ნიკოლოზი სოფელ მეფუტპრიეთიდან (დღევანდელი საფუტპრეთი), გიორგი – თევთიეთიდან (სოფელ ხერთვისის დასახლებული უბანი), ნიკოლოზი – ვაცაეთიდან (სოფელ ეფრატის დღევანდელი დასახლებული უბანი) და ა.შ. სხვა სიტყვებით რომ გამოვხატოთ: მახარებელი გორგაძეთის, ნიკოლოზი მეფუტპრიეთის (დღევანდელი საფუტპრეთი), გიორგი თევთიეთის, ნიკოლოზი ვაციეთის მცხოვრებლები არიან. გვარსახელთა ამგარი ამოკითხვა დღესაც ცოცხლობს მაჭახლის ხეობის ლექსიკაში: სოფელ ზედა ჩხეტუნეთის მცხოვრები მეზობელი სოფლუბიდან – გორგაძეთიდან, საფუტპრეთიდან მომავალს რომ დაინახავდნენ, იტყოდნენ: გორგაძიეთელი, საფუტპრიეთელი მოდის სახელის დასახელებით.

აქდან გამომდინარე, ჩვენ ვთვლით, რომ მატიანისეულ ეთ მაწარმოებლიან საკუთარ სახელებში ანუ იგივე შემწირველებში, გვარებად რომ მიიჩნევთ, მოცემული პერიოდისათვის უნდა წარმოვიდგინოთ გეოგრაფიული სახელები (ტოპონიმები), საიდანაც ისინი შემწირველის რანგში ტბეთის ეკლესიაში დადიოდნენ. თუ ჩვენი ეს მოსახრება სწორია, მაშინ უნდა ითქვას, რომ სულთა მატიანის შედგენის პერიოდში (XII-XVII საუკუნეები) ადრე ეთ სუფიქსით ნაწარმოებმა გვარებმა ტრანსფორმაცია განიცადეს და ეს გვარსახელები (გვარის სახელები) ადგილთა სახელებად (ტოპონიმებად) მოგვევლინენ. თუ როდის

დაიწყო და დამთავრდა ეთ მაწარმოებლიან გვარსახელთა გეოგრაფიული ადგილის (ტოპონიმის) აღმნიშვნელ სახელად დამკვიდრება, დამატებით კვლევას მოითხოვს. მაგრამ ერთი რამ, რაც დადგენილად ითვლება, ცხადია, გვარსახელები დაედო საფუძვლად ადგილთა სახელების (ტოპონიმების) წარმოქმნას. ასევე უნდა ითქვას მატიანის XII-XIII საკუუნეების ფენაში მოხსენიებულ ეთ მაწარმოებლიან ტოპონიმებზე: ჩხუტუნეთი, ჩიქუნეთი, რომლებიც დღეს სოფლებად იწოდებიან და შედიან ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მაჭახლის თემის საკრებულოში. მატიანეში ისინი ასეთი ფორმით მოიხსენიებიან: „კოველთა ჩიქუნეთით შემომწირველთა ამის ეკლესიისასა შეუნდვენ დმერთან“, „სულსა ყოველთა ჩხუტუნეთით შემომწირველთა ამის ეკლესიისასა შეუნდვენ დმერთან“ (ენუქიძე, 1977:46, 47. ის. 46-ე და 119-ე მოსახსენებლები). ჩიქუნეთით, ჩხუტუნეთით შემომწირველი უნდა წავიკითხოთ როგორც შემომწირველები ჩიქუნეთიდან და ჩხუტუნეთიდან. აქაც ეთ ადგილის მაწარმოებელი სუფიქსია. ანალოგიურად უნდა წავიკითხოთ მატიანეში მოხსენიებული ზედვაკით, ეფრატით და ხერთვისით შემომწირველები, როგორც ზედვაკის, ეფურატის (დღევანდელი ეფრატი), ხერთვისის მცხოვრებლები. ჩამოთვლილი ხუთივე სოფელი ისტორიული მაჭახლის ხეობის (ძველი მიტიხიანის) სოფლებია. ჩიქუნეთი და ჩხუტუნეთი (დღეს იგი ზედა და ქვედა ჩხუტუნეთადაა გაყოფილი) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით შედის ხელგაჩურის მუნიციპალიტეტის მაჭახლის თემის საკრებულოში, ხოლო ზედვაკე, ეფრატი და ხერთვისი მინდიეთან და აკრიასთან ერთად მოქცეულია ორად გაყოფილი მაჭახლის ზედა ნაწილში ანუ ზედა მაჭახლში (ართვინის ვილაიეთი, ბორჩხის ილჩე).

მატიანისეულ ეთ მაწარმოებლიან საკუთარ სახელთა გეოგრაფიულ სახელებად მიჩნევის შესახებ აზრი ჩვენ პირველად გამოვთქმით წიგნის – „ტბეთის სულთა მატიანისადმი“ მიძღვნილ განხილვაზე, რომელიც წიგნის ავტორის, რედაქტორის, გამომცემლობა „მეცნიერების“ (სადაც წიგნი დაიბეჭდა) წარმომადგენლებისა და სხვათა მონაწილეობით ჩატარდა 1978 წლის 15 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიკო ბერძნებიშვილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. წიგნის ავტორმა და გამოცემელმა ქალბატონმა თინა ენუქიძემ ნაწილობრივ გაიზიარა ჩვენი მოსაზრება და საკითხის შესახებ დამატებითი მონაცემების მოძიებაზე მიუთითა.

წინამდებარე სტატიაში ჩვენი თვალსაზრისი წერილიბი-
თი სახით წარმოვადგინეთ. ავტორი კმაყოფილი დარჩება თუ
ვინმე გამოგვეხმაურება და თავის თვალსაზრისსა თუ შენიშ-
ვნებსაც გაგვიზიარებს.

Nodar Kakhidze

Tbeti Soul Chronicle- the Source of Study the Surnames and the Names of the Places

Resume

The chronicle of Tbeti souls is a Georgian written monument of the XII-XVII Centuries, which is found in Shavsheti church of Tbeti. The monument contains the important information about the surnames and names spread in South west of Georgia, especially in Machakheli gorge and Chorokhi.also the materials about the life and culture about the people living in this gorge.

The chronicle deals with surnames derived with twenty different suffixes among them are the names with the suffixes such as:-et; svili and dze.

The article pays attention to the surnames and the names of places ending in-et; (toponymy). Which belong to the oldest names of these types. The article leads to the idea that, the names mentioned in the chronicle ending in -et such as: Berseleti; Gorgadjet;Gundariet;Tevtiet;Turiet;Quablet;Kejheret;Mefutkriet;Sikalae t;Tsitelaet;Tskirmonet;and etc. must be considered as geographical names not as the surname as it is today.

It is true that the surnames were formed by suffixes, but at the time of the chronicle or by the XII-XVII century the names with-et suffixes changed the function. And they became the names describing the places. Thus the chronicle surnames and names such e.g. Gorgadziet mariam, Kejheret Ivane, Vatsaet Nikoloz and others must be read as the following: Mariam from Gorgdzieta, Nikoloz from Vatsaeti, Ivane from Kejhereti. So, These donators of Tbeti church were the habitats of Gorgadzieti, Kejhereti, Vatsaeti.

Finally, Tbeti soul chronicle is an important, manuscript about the study of the surnames and names of the middle ages.

ლიტერატურა

დ.ბაქრაძე. არქეოლგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987.

გ.დონდუა. ლიპარიტეთისა და ანალოგიური ფორმის გვარსახელებისათვის ქართულ წერილობით წყაროებში. – საისტორიო ძიებანი, I. თბილისი, 1976.

დ.კლდიაშვილი. ქართული სამონასტრო სულთა მატიანეგბი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოხასოვებდად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერაციი. თბილისი, 2005

ი.სიხარულიძე. მაჭახლის სულთა მატიანის ონომასტიკისა და ტოპონიმიკისათვის. – აჭარის სახელმწიფო მუზეუმის-შრომები, V. ბათუმი, 1961.

ტბეთის სულთა მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თინა ენუქიძემ. თბილისი, 1977.

ალ-დლონტი. ქართული ლექსიკოლოგია. თბილისი, 1964.

ნოდარ ბარამიძე

საქართველოსადმი ერთმორწოვნე რუსეთისა და ურმენო საბჭოთის დამოკიდებულების ფიზილიანი მაიზოდების შესახებ (ბამხელილი ზიქრები)

თავიდანვე გვინდა განვმარტოთ, რომ წინამდებარე სტატიაში დასმულ საკითხზე მსჯელობისას ჩვენ არსებითად მხედველობაში გვაქვს ხელისუფლების, ოფიციოზის, სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლების პოზიცია-დამოკიდებულება და არა ამ ქვეყნების ხალხთა ურთიერთდამოკიდებულება.

ხალხები არასოდეს უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. მათ არასოდეს პქნიათ რაიმე სამტრო და გასაყოფი. ეს უბედურება პოლიტიკის, პოლიტიკოსების, მმართველობის ფორმის და შესაბამისი სახელმწიფოებრივი იდენტოგიის შედეგია. სწორედ ასეთი გაგებით, ამ პოზიციითა და სულისკვეთუთ შევეცდებით მკითხველს გავუშენილოთ ჩვენი (და არა მარტო ჩვენი) ზოგიერთი ტკივილი, ფიქრი და მოსაზრება დასმულ საკითხთან დაკავშირებით.

ამ სტრიქონების ავტორს, ისევე როგორც ნებისმიერ ქართველ კაცს, ხშირად უფიქრია რუსეთისა და საქართველოს ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, ქართველების როლისა და ადგილის შესახებ როგორც მეფის რუსეთში, ისე რუსეთის ცნობილ რევოლუციებსა და სოციალისტურ საბჭოთა კავშირში. ეს ფიქრები განსაკუთრებით მოგვეძალა ჩვენ 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ვერაგულად განხორციელებული სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების შემდეგ, რომლის დროსაც აგრესორმა გამოყენა თავისი სახმელეთო, საპატიო, სარაკეტო და საზღვაო ძალები. რადა დარჩა? ბირთვული იარაღი. თუმცა, მისი წერტილოვანი გამოყენების შესაძლებლობაზეც ამას წინათ იმსჯელა რუსეთის დუმამ და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. ასეთი იარაღის გამოყენების საჭიროებას კი პუტინების თუ იგანოვების რუსეთი ერველოვის მონახავს. აი, თანამდროვე რუსეთის სახე.

ბუნებრივად იბადება კითხვა: რა დავაშავეთ? რა შევცოდეთ ერთმორწმუნე რუსეთს ან საბჭოთა იმპერიას? ფიქრები სწრაფად ცვლიან ერთმანეთს, აზრი აზრს მოსდევს და ცნობიერებაში ძირი-

თადად ქართველთა კეთილი ქმედების მაგალითები ჩნდებიან. კი-დევ ერთხელ დამაჯერებლად რწმუნდები, რომ საქართველო არ იმსახურებს ასეთ დამოკიდებულებას, რომ ქართველი კაცი ყო-ველთვის სხვისადმი შემწყნარებლობით გამოირჩეოდა, რომ ქარ-თველების გარეშე უმაღური რუსეთისა და, მით უფრო, საბჭოთა კავშირის სრული ისტორიის დაწერა ფაქტობრივად შეუძლებელია.

ზოგიერთი დამახასიათებელი მაგალითი: ქართველმა პეტრე დიდმა გზა გაუხსნა რუსეთს ევროპისაკნ და ცივილიზაციისაკნ (ოუმცა ზოგიერთი რუსი ისტორიკოსი ამას რუსეთის უბედურებად და მისთვის შეუფერებელი მიმართულებით განვითარებად მიიჩნევს); ბაგრატიონმა თავი დადო რუსეთის დიდებისათვის; ქარ-თველმა გენერალმა ჩააბარა რუსეთს დადესტნის დაუმორჩილებე-ლი იმამი - შამილი; იოსებ ჯულაშვილ-სტალინმა არნახულ სიმაღ-ლეზე აიყვანა კავის რუსეთისა და სრულიად საბჭოთა იმპერიის ძლიერება; მეორე მსოფლიო ომში ლამის დაგწყდით ქართველი მა-მაკაცები დიდი სამშობლოსათვის ბრძოლაში და ქართველმა ქან-თარიამაც დირსეულად აღმართა გამარჯვების დროშა რაიხსტაგ-ზე. რომელი ერთი გავიხსეროთ და ჩამოვთვალოთ.

სანაცვლოდ რას ვდებულობდით? ტოტლებენის გაუგონარ დალატს ბრძოლის ველზე, რუსი ეგზარქოსის მიერ ქართველი ხალხის დაწყევლას, ქართული ენისა და ქართველი ერის დამცი-რება-შეურაცხოფას, გეორგიესკის ხელშექრულებაზე ფაქტობ-რივად უარის თქმას, ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებას და საქართველოს რუსეთის გუბერნიებად გადაქცევას, ქართველი მაჟულიშვილების გადასახლება-გაციმბირებას და მათ ვერაგულ მკვლელობას (მაგალითად, დიმიტრი ყიფიანისა), კრემლის დასტუ-რით საქართველოსათვის დამოუკიდებლობის უხეში ძალის გამო-ყენებით წარმევას, 1956 წლის მარტისა და 1989 აპრილის ტრაგე-დიებს და ა.შ. აფსუს, უმაღური რუსეთო და ქართველი კაცის ძა-ლისხმევით შექმნილო დიდო საბჭოთა იმპერიავ, აფსუს!

იმპერიული რუსეთისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის მესვე-ურებს თუკი მაინც გავიწყდებოდათ და გავიწყდებათ ქართველთა ერთგულება და რუსეთისათვის დაღვრილი მათი სისხლი, როგორ არ გახსნებოდათ თქვენივე თანამემამულეების - პუშკინის, ლერ-მონტოვის, ესენინის, გორკის, პასტერნაკის, ტიხონოვის და სხვა მოღვაწეთა სახელები, რომლებიც სიამოვნებით უმღეროდნენ სა-

ქართველოს და, ბევრ შემთხვევაში, თავიანთ შედევრებსაც ქმნიდნენ საქართველოში. როგორ არ გახსენდებათ მთაწმინდაზე, თავისი ანდერძის თანახმად დაქრძალული გრიბოედოვი და ყმაწვილქალობაში დაქვრივებული მისი ულამაზესი მეუღლე - ნინო ჭავჭავაძე, რომელმაც ყველა თხოვნისა და შემოთავაზების მიუხედავად (გრიგოლ ორბელიანისა, მაგალითად), სიკვდილამდე შეინარჩუნა თავისი ლეგენდად ქცეული ერთგულება ტრაგიკულად დაღუპული ქმრისადმი.

თუმცა, კეთილად გახსენებას ვინ დაეძებს. როგორც ადრე, ისე განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა კიდევ უფრო დიდი ძალით გააჩადეს ანტიქართული კამპანია, მტკიცნეული გამოხდომები საქართველოს წინააღმდეგ. ბოლო პერიოდის ვითარებაზე რომ არაფერი ვთქვათ, მახსენდება ტელევირანიდან „ნოვოსტის“ შოვინისტმა დიქტიორმა ასეთი რამ განაცხადა: ვინ იცის, უცხო ქვეყანაში, თბილისში მიიტანს კი ვინმე ერთ ყვავილს მაინც დიდი გრიბოედოვის საფლავზე? აფერუმ. ხომ ხედავთ როგორია იმპერიული, შოვინისტული აზროვნება, რომლის მიხედვითაც თურმე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ „გაუცხოებულ“ საქართველოში შეიცვლება ქართველთა დამოკიდებულება გრიბოედოვისადმი. მართლაც სასაცილოა ასეთი მსოფლმხედველობა, სატირალი რომ არ იყოს. არადა, თვით რუსეთშიც ხომ კარგად იციან, რომ საბჭოთა კავშირი ქართველთათვის არასოდეს ყოფილი ერთა დაახლოებისა და ჩახურების სასურველი პოლიტიკური კავშირი. უფრო პირიქით. იციან, მაგრამ ყველანაირ შემთხვევას იყენებენ შოვინისტური გესლის გადმოსანთხევად.

პირადად მე თითქმის ნახევარი საუკუნეა პერიოდულად დაგდივარ მთაწმინდაზე, ხან შვილებთან, ხან შვილიშვილებთან ერთად ვეწვევი ხოლმე პანთეონს. როგორც ადრე, ისე ახლაც, არცოუ ისე იშვიათად ვხედავ ყვავილებს გრიბოედოვისა და ნინო ჭავჭავაძის საფლავზე. ამ მხრივ არაფერი შეცვლილა. იმპერიულად მოაზროვნე ადამიანები კი კვლავ უმაღურად და უსაფუძვლოდ იქნინებიან. ფაქტობრივად, ისინი საბჭოთა კავშირს მისტირიან და სრულიადაც არ აწუხებთ მათ ცოცხალი თუ მკვდარი თანამემამულეების ბედი.

ისე კი, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ არც ქართველთა ინტელექტუალურად საამაყო სიძეს - გრიბოედოვს რეალურად არაფე-

რი გაუკეთებია საქართველოსათვის. იგი საქართველოზე კი არ ზრუნავდა, პირიქით, თავის საიდუმლო წერილებში რუსეთის იმპერატორს რჩევას აძლევდა, თუ კიდევ რაში შეიძლება გამოიყენოს რუსეთმა საქართველო, თუ საქართველოს რა მიმართულებით ეჭ-სპლუატაცია იქნება უფრო სასარგებლო რუსეთისათვის. ესეც რუსული უმადურობის სამაგალითო და მეტად მტკიცნეული გამოვლენა ჩვენი რუსი სიძებატონისაგან.

როდესაც ვლაპარაკობ რუსეთისა და საბჭოთა იმპერიის უმადურობაზე და ხისტ, არამეგობრულ, ხშირად მტრულ დამოკიდებულებაზე საქართველოსა და ქართველებისადმი, უნელიერ გვარენდება სკპ XX ერილობაზე ნ. ხრუშჩოვის მიერ დვარმდით წარმოთქმული სიტყვები სტალინისა და ქართველების მიმართ: „Вот вам „Великий сын“ великого народа“. პროფ. ი.ბიბილევიშვილის სამართლიანი შეფასებით, ირონიით გაფლენთილი ეს წინადადება იყითხება ასე: „არც სტალინი იყო დიდი პიროვნება და არც მისი მშობელი ხალხია დიდი“ (ბიბილევიშვილი, 2011:13). მართალია, სტალინი სხვა თემაა, მაგრამ კრემლის მესვეურებს ზომიერება და გონიერება მისი პიროვნების შეფასებაშიც უნდა გამოეჩინათ. რა თქმა უნდა, ასეთმა შოვინისტურმა დამოკიდებულებამ და ერის შეურაცხოფამ კანონიერად ააღელვა ქართველი ხალხი, რასაც ფაქტობრივად მოჰყვა 1956 წლის მარტის ტრაგიკული მოვლენები. ასევე, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გამო სასტიკად დასაჯეს ქართველები 1989 წლის აპრილში, მაგრამ ვერ ჩაკლეს მათი სულისკვეთება, რამაც საბოლოოდ მოიტანა კიდეც სასურველი შედეგი.

როგორც ვხედავთ, ერთმორწმუნეობამ და გეორგიევსკის ხელშეკრულებამ, საქართველოსა და ქართველი ხალხის უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით, ბევრი ვერაფერი მოიტანა, მოლოდინი ვერ გაამართდა, ვინაიდან თავისუფლებისმოყვარე ქართველებისადმი და თვით თავისუფლების იდეისადმი ცარისტული რუსეთის მტრობამ დაჩრდილა ყოველგვარი რელიგიური რწმენა და ხელშეკრულება. ცხადია, ბოლშევკიურ საბჭოთა იმპერიაში, რომელიც ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა როგორც რელიგიას, ისე ხალხთა თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ თავისუფლებისმოყვარე ერები. ასეც მოხდა საქართველოს მაგალითზე (თუმცა, ბოლშევი-

კური რუსული სისახტიკე არც რუსეთისათვის იყო უცხო). რატომ დაგვსაჯეს? ჩვენ ხომ სხვისი შევიწროვებისა და სხვისთვის თავისუფლების წართმევის ხარჯზე არ გვინდოდა და გვინდა თავისუფლება. ასეთი რამ იმპერიული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი. ჩვენი მიზანი ყოველთვის ნათელი იყო. ჩვენ ვიბრძოდით და დღესაც ვიბჭით საცუთარი თავისუფლებისათვის, იმისათვის, რომ ჩვენი თავის უფალი ჩვენვე ვიყოთ და ეს თავისუფლება იყოს შექცვადი. თავისუფლება ხომ თითოეული ადამიანის, ერისა და ქვეყნის წმიდათაწმიდა უფლება.

შინაგანად თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხი, თუნდაც თავისი ფსიქოლოგიდან გამომდინარე, რომ არცერთი რეეიმის პირობებში არ იმსახურებდა ასეთ, რბილად რომ ვთქათ, უმაღურ დამოკიდებულებას, რომ ქართველებს ყოველთვის პქონდათ თავიანთი დირსეული ადგილი სხვა ერებს შორის, რომ მათ დირსეულადვე მოიპოვეს ორჯერ დამოუკიდებლობა, რომ ეს დამოუკიდებლობა, მავანთა მტკიცების მიუხედავად, გარემოებათა ბუნებრივი შედეგი და ვინმეს ნობათი კი არ ყოფილა, არამედ ჩვენი ხალხის ისტორიული ნების, გონებისა და მოქმედების ნაყოფი გახლდათ, ეს სადად მოაზროვნეთათვის არასხოდეს გამხდარა საჭირო. ყველას კარგად გვახსნოვს წართმეული დამოუკიდებლობის ადგგნასთან დაკავშირებული მოვლენები. ეს შთაბეჭდილებები ჯერ კიდევ ცხოველმყოფელია. ამიტომ გავისსენოთ 1918-1921 წლების დემოკრატიული საქართველოს დამოუკიდებლობასთან მიმართებაში გამოთქმული განსაკუთრებით დამახასიათებელი შეფასებები:

მართალია, საღად მოაზროვნეთათვის საქართველოს დამოუკიდებლობის შემოქმედი თვითონ ქართველები იყვნენ, მაგრამ იყო განსხვავებული აზრიც. კერძოდ, 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს არსებობას ზოგიერთი მთლიანად უკავშირდდა რუსეთის 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას და შემდგები დიდ რევოლუციად წოდებულ ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალებას. დიდი ქართველი მწერალი გრიგოლ რობაქიძე კატეგორიულად უარყოფდა აღნიშნული ვითარების ასეთ ცალმხრივ გაგებას და ამ მოვლენების ცხელ კვალზე წერდა: „არას გზით ეს გაგება მისაღები არ არის. ჯერ ერთი რუსეთის რევოლუციის ავანგარდი იყო და არის საქართველო. რამდენი რაინდი რევოლუციონერი მისცა რუსეთს საქართველომ?!“

რუსეთის რევოლუციის ისტორია საქართველოს გამორიცხვით არას გზით არ დაიწერება... საქართველო რევოლუციის ცეცხლის შესანიშნავი კუთხეა და მაშასადამე „სხვისით“ არ არის ნაშობი მისი თავისუფლება“ (გაზ. „საქართველო“, 1918 წლის 21 ნოემბერი).

შესანიშნავი სიტყვებია, რომლის პათოსი ასეთია: მართალია, რუსეთის რევოლუციებს ჰქონდა თავისი მნიშვნელობა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ თვით რუსეთიც დავალებულია ქართველებისაგან, საქართველოსაგან. აბა ნახეთ რამდენი რაინდი რევოლუციონერი მისცა რუსეთს თავად საქართველომ - სიამაყით აცხადებდა გრიგოლ რობაქიძე. ჩვენ არ ვიცით კონკრეტულად ვის გულისხმობდა მწერალი ამ ქართველ რაინდებში, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ესენი იქნებოდნენ კარლო ჩხეიძე, კაკი წერეთელი, ნოე ქორდანია, იოსებ ჯუღაშვილი და მათი თანამებროლები. დიახ, თვით რუსეთმა უნდა გვითხრას თავისი წილი მადლობისა, მონარქიის უდელი რომ მოიშორა და ყოველივე ამან კეთილმყოფელი გავლენა თუ მოახდინა ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძლაზე, ამაში ლომის წილი ქართველებს მიუძღვით და „სხვისით“ არა არის ნაშობი საქართველოს თავისუფლება.

ცხადია, ეს ყველაფერი ასეა, ოდონდ ერთი ბუნებრივი შენობით: რა იცოდა მაშინ გრიგოლ რობაქიძემ, რომ შემდეგში განვითარებული სამწუხარო მოვლენებისა და უპევ მისთვის აშკარად ავად სახსენებლი ჯუღაშვილ-სტალინის გამოისობით, არათუ რუსეთის, არაედ მთელი მსოფლიოს ისტორიაც საქართველოს გამორიცხვით ვერ დაიწერებოდა.

ადსანიშნავია, რომ ქართველი ხალხისადმი ველიკოდერუსაცნული, შოვინისტური დამოკიდებულების და უმაღლერობის ფონზე, გრიგოლ რობაქიძის ზემოაღნიშნულ გამონათქვამს კარგად ეხმიანება ერთი მეტად საგულისხმო გამონაკლისი, რომელიც დაკავშირებულია რუსეთის ყოფილი დროებითი მთავრობის მეთაურის - კერენსკის სახელთან.

როგორც ცნობილია, 1926 წლის ივნისში, პარიზში, ემიგრაციაში გარდაიცვალა (თავი მოიკლა) საქართველოში და რუსეთის იმპერიაში კარგად ცნობილი პიროვნება - კარლო ჩხეიძე. ეს ის კარლო ჩხეიძეა, რომელმაც ქართველი კაცისა და ქართველი ერის დირსების დამამცირებელ რეპლიკაზე რეაქციონერ პურიშევიჩს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ერთ-ერთ სხდომაზე პირდა-

პირ მიახალა: „Когда ваши предки по лесам бродили, наши евангелие переводили“ (შარაძე, 1991:53); ეს ის კარლო ჩხეიძეა, რომელიც რუსეთის რევოლუციურ მასებში მოხვეჭილი დიდი ავტორიტეტის გამო აირჩიეს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს პირველ თაგმჯდომარედ და რომელიც 1917 წლის 3 აპრილს ფინეთის ვაგზალზე შეხვდა ევროპიდან რუსეთში ჩამოსულ ლენინს (რომელსაც, კონსპირაციის გარეშეც, გზაში არაფერი ემუქრებოდა, ვინაიდან, გასაგები მიზეზების გამო, რუსეთის მებრძოლმა გერმანიამ იგი უკნებდად, ფაქტობრივად დაცვით გამოატარა საკუთარ ტერიტორიაზე); ეს ის კარლო ჩხეიძეა, რომელიც იყო სრულიად რუსეთის ცაკის პირველი მოწვევის თაგძეომარე.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კარლო ჩხეიძე იყო ამიერკავკასიის სეიმის თაგმჯდომარე, ხოლო 1919-1921 წლებში - საქართველოს პარლამენტის (დამფუძნებელი კრების) თაგმჯდომარე.

კარლო ჩხეიძის დაკრძალვაზე პარიზში ჩამოვიდნენ სხვადასხვა ქვეყნის რჩეული წარმომადგენლები. მათ შორის იყო ერთ დროს რუსეთის დროებითი მთავრობის მეთაური - კერენსკი. თავის გამოსათხოვარ სიტყვაში კერენსკიმ საქვეწოდ განაცხადა: „განუსაზღვრელი და განსაცვიფრებელია კარლო ჩხეიძის მოღვაწეობა და დამსახურება მთელი რუსეთის მასშტაბით და ამიტომ გთხოვთ ქართველებს, კარლოს ცხედარი, საბოლოოდ მშობლიურ მიწაზე დაკრძალვამდე, უნდა გატარდეს რუსეთის დიდ ქალაქებში, რათა რუსის ხალხს მიეცეს საშუალება, რომ ნიშნად პატივისცემისა და სიყვარულისა თავი მოიხაროს დაუვიწყარ კარლოს კუბოს წინაშე“ (შარაძე, 1991:56).

დიახ, იყო მადლიერების გრძნობის გამოხატვის ასეთი იშვიათი გამონაკლისიც, რომელიც მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ იგი ეკუთვნის არა რიგით მოქალაქეს, არამედ საქმეში კარგად ჩახედულ, კარლო ჩხეიძის დიდ თანამედროვეს, რუსეთის დროებითი მთავრობის თაგმჯდომარეს - კერენსკის. მართლაც, ღირსეული სიტყვებია, ქართველი კაცის დამსახურების ღირსეული აღიარებაა, რომელიც შეიძლება განვაზოგადოთ მთელი ქართველი ერის დამსახურებაზეც რუსეთისა და საბჭოების წინაშე.

წვენი, ახლა უკვე, გამხელიდი ფიქრები გვინდა დავასრულოთ მიტროპოლიტ დიმიტრის შესანიშნავი ლექსით „სამშობლო“ (დიდაჭარობა, 2009:7)

სამშობლო სამი მცნებაა,
ღმერთი, მამული, მშობელი,
ოუ ვინმე მათ უღალატებს
გახდება თავის მგმობელი.
ღმერთს გული მივცეთ ზვარაკად,
მამულს მოვებურათ კრძალვითა,
მშობელს სიბერე დავუტკოთ,
ზეცა აგვავსებს მადლითა.
აღგზრდიდეთ ჩვენთა მემკვიდრეოთ,
ვეტყოდეთ ძველთა ქებასა.
ქვეყნისთვის დაღვრილ მათ სისხლსა,
ნუ მივცემთ დავიწყებასა.
მათ შეგვინახეს სამშობლო,
დღესაცა გვევანან მცველადა,
ჩვენს მამულს შემოერტყმიან,
ოდეს მოვუხმობთ შველადა.

ლიტერატურა:

1. ი.ბიბილეიშვილი, საქართველოსათვის, ბათ., 2011;
2. დიდაჭარობა, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2009;
3. ურნალი „ისტორიანი“, №7, 2011;
4. გაზეთი „საქართველო“, 21 ნოემბერი, 1917;
5. საქართველოს ისტორია, აკად. მ. ლორთქიფანიძის საერთო რედაქციით, ტ. IV, თბ., 2012;
6. გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, თბ., 1991.

Нодар Барамидзе

О болезненных эпизодах отношения к Грузии единоверной России и безбожного Советского союза (высказанные мысли)

В статье, в связи с поставленным вопросом, приведен не один характерный пример. Хотя и указывается, что царистский режим и русская большевистская жестокость одинаково коснулись всех.

Здесь же приведены высказывания известного грузинского писателя Григола Робакидзе и экс-главы Российского временного правительства Керенского о заслугах грузинских революционеров перед Россией. Эти заслуги, по мнению автора статьи, можно обобщить и посчитать за заслуги грузинского народа.

მზიანი დამ

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, თანამედროვე ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის სათჭეომცყრობელმა და ქართველი ერის სულიერმა მამამ იღია მეორემ თავისი მოღვაწეობის ხანას „მზიანი დამ“ უწოდა და დაამატა „ნუ გეშინიათ, მალე გათენდება“.

ბევრი იყო ამ დიდ და ღირსეულ გზაზე ამაღლებაც და განსაცდელიც. პატრიარქმა ნამდვილად უდიდესი საქვეყნო ტვირთით იცხოვრა და ღირსეულად, სიყვარულით აგრძელებს თავის მაღლმოსილ მოღვაწეობას. იგი მოთმინებით, რუდუნებით ატარებს ერის სულიერების მძიმე ჯვარს. დროის მდინარებამ მის დიდებულ მოღვაწეობას, მის მოძღვარებას, რომელშიც მოელი ეპოქის სუნთქვაა ჩადებული, კიდევ უფრო მეტი სიღრმე და ელვარება მიანიჭა.

კათალიკოს-პატრიარქი მთელ თავის მრავალმხრივ მოღვაწეობას ქართველი ერის სულიერი სრულყოფის, ქრისტიანული კაცომოყვარეობის სულისკვეთებით აღზრდის საქმეს ახმარს. მისი ნათელი დასტურია მისი „საშობაო და სააღდგომო ეპისტოლენი“-ის ორტომეული.

პატრიარქის „ეპისტოლენი“ მრავალმხრივი მნიშვნელობის ფასდაუდებელი განხია. იგი თანამედროვე საქართველოს უახლესი ისტორიის ობიექტური და პირუთვნელი მატიანეა. „ეპისტოლენი“ ქართველი ერის აზროვნების, ცოდნისა და ქრისტიანული მართლმადიდებელი სარწმუნოების განმზიცებას და გაძლიერებას ემსახურება. იგი შეიცავს უდიდეს ცხოვრებისეულ სიბრძნეს, ცხოვრებისეულ საგანძურს, რომელიც თანმიმდევრობით და მიზანდასახულად მიჰყვება წვენი ცხოვრების მდინარებას და მიზნად ისახავს რეალურად არსებული ქვეყნის პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას. მოძღვრებაში, რომელიც „ეპისტოლენის“ ამ დიდებულ ორტომეულშია ასახული, ბევრი მზე და სინათლეა.

ანალიტიკური, სახელმწიფო აზროვნებით გამოიჩინება პატრიარქის პოზიცია, როგორც მთელი „ეპისტოლენის“ შინაარსის, ასევე ეროვნული იდეოლოგიის შემუშავების აუცილებლობის მიმართულებით.

ტოტალიტარული რეჟიმის უარყოფას თან გაჰყვა მისივე იდეოლოგია. მის შემდგომ ქვეყანას არ გააჩნია მწყობრი, მსოფლიმედველობრივი სისტემა, რომელიც დაფუძნებული იქნება ეროვნულ დირებულებებსა და ფასეულობებზე. სამწუხაოდ, წარსულმა წლებმა ჩვენს აზროვნებას ფსიქოლოგიური რღვევის დადი დაასვა. მისი მიზანი იყო ადამიანის არსიდან დვოთის განდევნა და მისი ადგილის დაკავება. ამიტომ ყველაფერი, რაც აღნიშნულ პრინციპს არ ემორჩილებოდა, იდეოლოგიისათვის მიუღებელი იყო. არ სჭირდებოდა მას დემოკრატია, სიუკარული, თავისუფლება, ჰემისარიტება... რწმენის უარყოფამ განაპირობა მსოფლმხედველობისა და ზოგადადამიანური მრწამსის რღვევა. სულიერება ისე დაინთქა, ისე გაილია და გაფერმკრთალდა, ვერც კი ვიგრძენით, როდის დაგვარგვეთ იგი. საერთოდ, საზოგადოებას საფრთხე შეიძლება ორი უკიდურესობიდან დაემუქროს. ერთის მხრივ, ფანატიზმის, კარხაკეტილობის, იზოლაციისა და თვითდაჯერებულობის მდგრამარეობიდან, მეორეს მხრივ კი, პირიქით, თავისუფლების უგუნური გაგებიდან, ზემდეტი ლიბერალიზმისა და ყველაფრის ნებადართულობის პრინციპიდან. ჩვენს დღევანდელ ყოფაში შეიმჩნევა როგორც ერთის, ისე მეორე უკიდურესობის ნიშნები. თუ სახელმწიფოს არა აქეს სწორი რელიგიური და ეროვნული იდეოლოგია, ლიბერალიზმი აუცილებლად მტრების სასარგებლოდ იმუშავებს და შინაგანად მთლიანად დაანგრევს ქვეყანას, გააუფასურებს ეროვნულ დირქებულებებს („ეპისტოლენი“, II, 225).

როგორც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მიუთითებს „უგუნური ლიბერალიზმი სათავეა მრავალი ნეგატიური მოვლენის, მათ შორის კორუფციის, დანაშაულთა გამრავლების, საერთო მიშვებულობისა და განუეკითხეობისა, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ეკონომიკა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, კულტურა... აუცილებლად უნდა ეყრდნობოდეს და გამომდინარეობდეს ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან.“ მაშინადამე, მისი საფუძველი უნდა იყოს ეროვნული იდეოლოგია. სამწუხაოდ, ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს ასეთი იდეოლოგია, დასძენს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. ამიტომაც, უკიდურესობებში ვვარდებით და პრობლემებიც გვიათმაგდება. ყველაზე საშიში სულიერი კრიზისია, რადგან ავტორიტარულმა რეჟიმმა, ღრმა კვალი დაგვიტოვა – ურწმუნოება, სულიერების ნაკლებობა, ადამიანთა დამახინჯებული შინაგანი სამყარო...

უაღრესად დიდი სახელმწიფო გებრივი მნიშვნელობა აქვს ჰეშმარიტ თავისუფლებას, რომელიც ზეობრიობის საფუძველია. ნებისმიერი სახელმწიფო ამა თუ იმ მორალის მქონე საზოგადოებას ემყარება. მაღალზეობივი საზოგადოება ძლიერი და განვითარებული სახელმწიფოს საწინდარია.

სახელმწიფო უნდა განვითარდეს და მისი იდეოლოგიის განმსაზღვრელი უნდა იყოს არა გარე გეო-პოლიტიკური ფაქტორები, არამედ ეროვნული ინტერესები. ამ ინტერესებს უმნიშვნელოვანესად უნდა მიიჩნევდეს როგორც ხელისუფლება, ისე პარტიები, არასამითავრობო ორგანიზაციები და მასმედია. („ეპისტოლები, II, 434).

არ შეიძლება საზოგადოება უარყოფდეს თავის ისტორიულ ზეობრივ საფუძვლებს და ამავდროულად აშენებდეს წარმატებულ ქართულ სახელმწიფოს, რადგანაც ნებისმიერი სახელმწიფო მისი ისტორიიდან მომდინარეობს და საკუთარ ტრადიციებზეა დაფუძნებული.

აქედან გამომდინარე, პატრიარქი საერთო სახალხო დარბაზის შექმნის საკითხს აყენებს, რომელიც კველა ფენიდან შეკრებს ჯანსაღ, გონივრულ წინადადებებს და მასალას მოუმზადებს ხელისუფლებას ეროვნული იდეოლოგიის განსაზღვრისათვის.

„ეპისტოლები“ ორტომეულში ფართო ადგილი უჭირავს ერის სულიერი მამის, უწმინდესისა და უნეტარესის, თანამედროვე პედაგოგიური აზროვნების კლასიკოსის ილია მეორეს პედაგოგიკურ შეხედულებებს, რომელიც ადზრდისა და განათლების ოქორიაში ახალ პედაგოგიკურ კატეგორიებს შეიცავს.

პატრიარქი საუბრობს განათლების სისტემის გარდაქმნის, სასწავლო გეგმის დახვეწის, სწავლების შინაარსის სრულყოფისა და არსებული სტრუქტურის გაუმჯობესების საკითხებზე. სასწავლო პროგრამა თანდაოთან უნდა რთულდებოდეს ისე, რომ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მივიღოთ ანალიტიკურად, ღრმად მოაზროვნე ახალგაზრდები, ამიტომ საჭიროა მეცნიერთაგან შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც შემუშავებს პროგრამებსა და ცალკეულ საგნებში სახელმძღვანელოებს. პატრიარქი რეკომენდაციას გვაძლევს შემოდებული იქნას სასკოლო კურსი „ღრმა აზროვნების“, „საოჯახო ეთიკის“, „ესოფეტიკის“ სწავლებისათვის. ის ამავე ღროს კურადღებას ამახვილებს მასწავლებლის როლისა და დანიშნულების თაობაზე. მასწავლებლობა ერთ-ერთი კულტურული საპასუხისმგებლო და საპატიო პროფესია მთელ მსოფლიოში. ჩემი შეხედულებით,

ბრძანებს კათალიკოსი, ყველაზე დიდი ხელფასი, ნებისმიერი პროფესიის ადამიანებთან შედარებით, პედაგოგებს უნდა პქონდეთ, აქ უნდა მივიზიდოთ ყველაზე ნიჭიერი კადრები, რომელიც გამორჩეული იქნიან, როგორც ცოდნით, ასევე რწმენით, სიყვარულით, მოთმინებით, მაღალი სულიერებით, ზნეობით, კულტურით.

შევეხებით აღზრდის სამი გარემოს ახლებურ გააზრებას. როგორც ცნობილია, თეორიული პედაგოგიკა აღზრდის სამ გარემოში მოიაზრებს ოჯახს, სკოლასა და საზოგადოებას. აღზრდა სკოლასა და ოჯახში კარგად არის მეცნიერებაში დამუშავებული. რაც შევეხება აღზრდას „საზოგადოებაში“, დღემდე პედაგოგიკის სპეციალისტები ამ საკითხს გვერდს უვლიან, არავითარი კვლევა ამ მიმართულებით არ მიმდინარეობს. მაშასადამე, არც აღზრდის პროგრამა არ გაგვაჩნია. აქვდან გამომდინარე, კათალიკოს-პატრიარქმა სავსებით სამართლიანად და ობიექტურად „საზოგადოება“ ეკლესიით ჩანაცვლა. ჯერ ერთი, ეკლესიაში საზოგადოების ყველა სოციალური ფენაა წარმოდგენილი, (ღმერთს მადლობა საქართველოში ყველა ეკლესიაზადარი სავსეა მრევლით) სადაც საეკლესიო ცხოვრება, წირვა-ლოცვა აღზრდის მადალი ეფექტის შემცველი, შესანიშნავი სკოლაა. ამიტომაც პატრიარქის მიერ საზოგადოების ეკლესიით ჩანაცვლება უაღრესად საყურადღებო, საჭირო და აუცილებელი მოსაზრებაა, რასაც ფართო პედაგოგიური სპექტრი სამართლიანად უჭერს მხარს. ცალკე უნდა შეიქმნას აღზრდის პროგრამა, – მიუთითებს კათალიკოს – პატრიარქი, რაც გულისხმობს ურთიერთობების კულტურასა და ქცევების წესების შესწავლას. დღეს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ეს მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია მოისუსტებს და მისთვის მხოლოდ ოჯახი ზრუნავს. საჭიროა აღზრდის საერთო მეთოდით ხელმძღვანელობდეს და ურთიერთკავშირში იყოს ოჯახიც, ქალებიაც და სასწავლებელიც, ანუ გამთლიანდეს ის გარემო, სადაც მოზარდი ყალიბდება (2004 წ. II, 295).

პატრიარქის „ეპისტოლები“ სხვადასხვა ასპექტით ვხვდდებით შეფასებებს სულიერი ფასეულობების აღზრდის მიმართულებით. ქართული იდეა ორ უმთავრეს სვეტს ეყრნობა. ესაა სულიერი ღირებულებები, რაც გულისხმობს მართლმადიდებელ სარწმუნობას, მის წეს-ჩვეულებებს და ეროვნულ-კულტურული ფასეულობები, როთაც ასე მდიდარია ჩვენი ქვეყნა (2007 წ. II, 357).

„თუ არ აღვზრდით ჩვენში სულიერ ფასეულობებს – დათის რწმენასა და მისგან გამომავალ სიკეთეს, არ ექნება აზრი და მიზანი ჩვენს ფიზიკურ ძალას, ჯანმრთელობას, გონებრივ განვითარებასა და თვით სიყვარულის უნარსაც კი. აუცილებელია პიროვნების სულიერი და ფიზიკური მონაცემების პარმონიული განვითარება და არა მისი ცალკეული შესაძლებლობების წინ წამოწევა.

სულიერება ხალხში თავდაპირველად გზას იკვლევს ცალკეულ მადლოსილ პიროვნებათა წყალობით. შემდეგ კი ეს ნიჭი ეფინება მოელ ერს და ამაღლებს მას, ამიტომაც პიროვნების როლი ქვენის ცხოვრებაში უდიდესია (1993 წ. I, 357).

თუკი არსებობს სულიერი ფასეულობანი: რწმენა, იმედი, სიყვარული, ჰეშმარიტება, სიკეთე... მაშინ კაცობრიობის ისტორია ამ დირებულებათა ცხოვრებაში თანდათანობით განხორციელებას უნდა გვიჩვენებდეს, სინათლისა და სიკეთის მიერ ბოროტის და ბეჭლის დაძლევას ადასტურებდეს. ამ მეტად რთულ პროცესში უნდა მონაწილეობდეს დათავებრივი და ადამიანური ძალა, ამ ორი ძალის სინერგია. სულიერ ფასეულობას ვერავითარი შეცვლის - ბრძანებს პატრიარქი.

ეპისტოლეთა ორბომეულში გარკვეული ადგილი უჭირავს ერის სულიერი მამის – ილია მეორის შეხედულებას ქალის, დედის როლისა და დანიშნულების შესახებ. სწორად უთქამო – როგორიცაა ქალი, ისეთია ოჯახი, როგორიცაა ოჯახი, ისეთია სახელმწიფო. ქართველი ქალი, დედა, მუდამ ფუძე და საძირკველი იყო ქართული ოჯახისა, ქართული სახელმწიფოს. დღეს განსაკუთრებული მისია ეკისრებათ ქართველ დედებს, რომლებმაც უნდა შეძლონ ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში ეროვნული ლირებულებების დამკვიდრება. მათ უნდა ჩაუნერგონ შვილებს დათისა და მოყვასის სიყვარული, ერთგულების, თანაგრძობის უნარი... ჩვენს შვილებს უნდა შეეძლოთ მოთმინებაც, შენდობაც, გაზანაც. ეს იმას კი არ ნიშნავს, თითქოს მათ არ უნდა ვასწავლოთ ლირსების დაცვა. მაგრამ მათ ლირსება ლირსებულად უნდა დაიცვან – მიუთითებს კათალიკოს-პატრიარქი.

რა მაღალზნეობრივია ქალი, რომელიც გამოირჩევა დათისმოშიშობით, სინაზით, სათნოებით, პატიოსნებით, შრომისმოყვარეობით, სიფაქიზით, მზრუნველობით, კეთილგონიერებით. ასეთი ადამიანი სიკეთეს უხვად გასცემს და გარშემომყოფებზეც კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს (1998 წ., II, 143).

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ძლევამოსილი მეფის გვირგვინი ამშვენებდა ქართველ ქალს. რად ღირს დიდებული მეფეთმეფე თამარის სახელი, რომლის წინამდლოლობის პერიოდში საქართველო ერთიანი და ძლიერი იყო.

აი, რას ბრძანებს კათალიკოს-პატრიარქი „წმიდა თამარ იქმნა ის ბრწყინვალე, დაუგალი ვარსკვლავი, რომელიც მარად უნათებს საქართველოს და ათბობს ყოველი ქართველის გულს“ (1984 წ, I, 137).

სამაგალიოო შვილები ხშირად საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდნენ ერის ღირსებას და უდიდეს გავლენას ახდენდნენ ქვეყნის განვითარებაზე. გავისხვნოთ ოუნდაც ქეთევან წამებული. არა მარტო საქართველოს, შეა საუკუნეების მთელ ქრისტიანულ სამყაროს არ ჰყავს ასეთი დიდი მოწამე (2008წ. II, 386).

კათალიკოს-პატრიარქის „ესპიტოლენი“ შეიცავს უაღრესად საყურადღებო და საგულისხმო მასალებს – ცოდნისა და რწმენის, ცოდნისა და განათლების, კულტურის, რწმენისა და მეცნიერების სინთეზის, ეროვნული ცნობიერების, სახელმწიფო ებრვი აზროვნების და სხვა უამრავ ცხოვრებისეულ საკითხებზე, რომელიც მეცნიერთა მუდმივი კვლევის საგანი უნდა იყოს და თითოეული ქართველი ადამიანის ყოველდიური მოქმედების კრედო, ცხოვრების წესი.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის „ეპისტოლენის“ მთელი ორტომეული ქრისტიანული პედაგოგიის სახელმძღვანელოდ უნდა განვიხილოთ. მისი თითოეული ეპისტოლება, ეს უდიდესი საუნჯე და სიდიადე უნდა გახდეს სახელმწიფოს მართვის ძირითადი საფუძველი, ქვეყნის მოქალაქეთა, ქართველი ახალგაზოდობის აღზრდის ძირითადი პროგრამა და ორიენტირო.

06 ტერპულტურული განათლების რელიგიურ- ფილოსოფიური ასაკებები

ჩვენი ცხოვრება ინტერკულტურულ გარემოში მიმდინარებს, რაც სხვადასხვა კულტურული დირექტულებების ერთიან მსოფლიო კულტურად ჩამოყალიბებას გულისხმობს და თავის-თავად ითხოვს პასუხს კითხვაზე: როგორ ვიცხივროთ ერთად XXI საუკუნეში ისე, რომ შევინარჩუნოთ ეროვნული კულტურა და ეროვნული ცნობიერება. კულტურების სხვაობა კი გადარჩენის საჭიროებამ წარმოშვა, რომელიც თავის მხრივ განსხვავებული კლიმატისა და გეოგრაფიული გარემოს დამსახურებაა. ყველა ეროვნული კულტურა, გავრცელებული მოსაზრებების თანახმად, ერთნაირი პრობლემის წინაშე დგას და ეს პრობლემები მთელი მსოფლიოსთვის არის დამახასიათებელი. მოკლედ, მოცემული პრობლემების ჩამონათვალი ასეთ სურათს გვაძლევს: როგორი საზოგადოებრივი ურთიერთობები, აგრესია, კონფლიქტები, გაუცხოება,... შეიქმნა კულტურის “განზომილების” ცნება, რომელიც კულტურათა ურთიერთობებში ვლინდება და სოციალურმა მეცნიერებებმა განზომილებათა სახეების კვლევა დაიწყეს. მრავალი საინტერესო კვლევითი პროექტი განხორციელდა, გამოიკვეთა კულტურული განსხვავებანი რეგიონის, ეთნიკურობის, რელიგიის, გენდერის, თაობებისა და კლასების მიხედვით და აღინიშნა, რომ “კულტურა სოციალური თამაშის წესების წიგნია, რომლებსაც წევრები ახალმოსულებს გადასცემენ და ეს წიგნი მათ გონიერების იძულებს. ჩვენ ამ დაუწერები წესრიგის მთავარ თემებს აღვწერთ. ისინი ადამიანის სოციალური ცხოვრების მთავარ საკითხებს შექმნა.” (5. 40) ცხადია, “გადაცემა” თავისთავადი პროცესი არაა და “წიგნის გონიერაში დაბუღება” უმეტეს წილად საგანმანათლებლო სივრცეში უნდა მოხდეს. ამიტომაც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ყურადღების გამახვილება თვით უმცირეს დეტალებზეც კი, რაც თანამედროვე საგანმანათლებლო რეფორმას, საგანმანათლებლო სივრცის სრულყოფას და საზოგადოების სულიერი გაჯანსაღების პრობლემატიკას ეხება.

ინტერკულტურული განათლების გაუმჯობესება დროის გამოწვევაა, რომელიც პოლიტიკური, საგანმანათლებლო და სოციალური ცხოვრების წინა პლანზე რელიგიურ საკითხებს აყენებს. სწორედ ეს აზრი გამოიკვეთა ევროსაბჭოს მიერ

2002-2005 წლებში განხორციელებული პროექტის “ინტერკულტურული განათლების გამოწვევა დღეს: რელიგიური მრავალფეროვნება და დიალოგი ევროპაში” ფარგლებში, რომლის მიზანი იყო ის, რომ ხალხი და საზოგადოებები ეთნიკური, კულტურული და რელიგიური ნიშნით კიდევ უფრო არ დაყოფილიყო.

პროექტის მიზანს არა მხოლოდ რელიგიური განათლების და სასწავლო გეგმებში მისი როლის შესწავლა, არამედ ინტერკულტურული სწავლის მიმართ ისეთი მიღვოძის ჩამოყალიბება წარმოადგენს, რომელიც ხელს შეუწყობს დიალოგს, ურთირთვაგებას და თანაცხოვრებას. (4. 11)

უკროსაბჭომ შეიმუშავა კულტურათა შორისო კომპეტენციები, პრინციპები და უნარები იმ ბავშვებისათვის, რომლებიც ფართოდ განსხვავებულ სოციალურ, კულტურულ და ჯგუფებს განეკუთვნებიან:

— ფაქტზე დამოკიდებულება კულტურული, რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების საკითხის მიმართ;

— სხვებთან კომუნიკაციისა და დიალოგის გამართვის უნარი;

— ერთად ცხოვრების, ერთობლივი გუნდური მუშაობის, თანამგრძნობი ურთიერთობის, კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების უნარი;

— სხვადასხვა რელიგიების და კულტურებისათვის დამასასითვებელ რწმენების, სიმბოლოებისა და რიტუალების აღქმისა და გაგების, მგრძნობიარე და წინააღმდეგობრივ საკითხებზე მუშაობის და გადაჭრის უნარი;

— კრიტიკული და ინდივიდუალური აზროვნება.

საზოგადოების, სახელმწიფოსა და ცალკეული პიროვნების კულტურა განსაზღვრავს კაცობრიობის მომავალს: სიტყვა “კულტურა” საზოგადოებრივ მეცნიერებებსა, და განსაკუთრებით ისტორიაში, ორი აზრით იხმარება. პირველის მიხედვით კულტურაში უმთავრესად იგულისხმება განათლება.... კულტურის მეორე, გაცილებით ფართო გაგებას სქენს ყოფის მნიშვნელობა საერთოდ, ანუ შინაგანი მდგომარეობა... კულტურას ასე განყოფენ: მატერიალური... და სულიერი; მასში შედის: რელიგია, ენა, წევრულებანი, ზნეობა, ცოდნა, ლიტერატურა, ხელოვნება... და საზოგადოებრივი ფორმები და კანონები. (1. 184)

ინტერკულტურული განათლების რელიგიურ განზომილებას სამი ძირითადი ნიშანი აქვთ: შემწყნარებლობა, ურთიერთგაბება, სამოქალაქო თვითშეგნება.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II რჯულოშემწენა-რებლობის გამოვლენას მორწმუნე ადამიანისაგან დადებით მოვლენად მიიჩნევს, როდესაც იგი რწმენის სისავსიდან და უმაღლესი ზნეობრივი ძალის გაცნობიერებიდან მომდინარეობს, ხოლო რჯულითშეუმწენარებლობა მრწამსის არმქონე ადამიანისგან უღმერთობის კიდევ ერთ დასტურად მიიჩნევს. რელიგიური ინდივიურენტიზმი, — წერს ვლადიმერ სოლოვიოვი, — სრული უგულებელყოფაა გულის სითბოსი და სულიერებისა. ეს არის ზნეობრივი გაყინვის წერტილი, სიცივე სულიერი სიკვდილისა...

მიშელინ მილო განიხილავს შემწყნარებლობის “სუსტ” და “ძლიერ” მხარეებს. პირველი ნიშნავს შორიდან შეგუებას იმ ფაქტოან, რომ სხვა ადამიანებს შეუძლიათ იცხოვრონ ისე, როგორც მათ ეს სურთ და არ გაიზიარონ მათი ღირებულებები, ან მიუკუთხნებოდნენ სხვა რელიგიურ დაჯგუფებას. “ძლიერი” შემწყნარებლობა მოითხოვს არა მხოლოდ მოქალაქეთა მიერ სხვების უფლებების და თავისუფლების აღიარებას, იმ ფაქტის მიღებასაც, რომ სხვებისთვის სხვა ღირებულებები და პრინციპებია ჰეშმარიტი.

ურთიერთგაგება პატივისცემით მოპყრობასა და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებაზეა დაფუძნებული. ასეთი გაგება კანონით ვერ დარეგულირდება, იგი განათლების პროცესში უნდა ჩამოყალიბდეს. მ. მილო ამ პროცესის საწყის წერტილად სკოლის ეზოს მიიჩნევს, რადგან ეს არის სწორედ პირველი ადგილი, სადაც სხვების განსხვავებულობის აღიარება და მათ მიმართ პატივისცემა ბავშვს პრაქტიკულად შეუძლია გამოხატოს.

“ინტერცულტურულ” და “მულტიკულტურულ” საზოგადოებაში (აბსოლუტურად განსხვავებული და იზოლირებული კულტურების ერთ საზოგადოებაში თანაცხოვრება) განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საგანმანათლებლო სტრატეგიების ჩამოყალიბებას, რომლებიც აამაღლებს ცნობიერებას და სელს შეუწყობს დიალოგს, კომუნიკაციას, საერთო იდეების და ღირებულებების გამოვლენას, კულტურათშორის ურთიერთგაგებას”. ტერმინი “მულტიკულტურალიზმი” სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად 1957 წელს შევდეთში გამოჩნდა. 1960 წელს კანადაში ოფიციალურ სახელმწიფო პოლიტიკად გამოცხადდა და ნიშნავს კულტურულად განსხვავებული ჯგუფების აღიარებასა და პატივისცემას.

რაც შექება სამოქალაქო თვითშეგნებას, ამისათვის აუცილებელია თავისუფალი განსჯის უნარი და აზრის გამოხატვისას საკუთარი შეხედულებებისაგან და რწმენისაგან თავის შეკავება: რელიგიის, აღმსარებლობისა და გამოხატვის თავისუფლებას მუდმივად თან ახლავს გარკვეული შეზღუდვები, რადგან რელიგიური განცხადებების აბსოლუტური და უკიდურესი ხასიათი ხშირად აბრკოლებს სხვათა მიმართ პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბებას, რასაც მივყავართ არათანასწორ დამოკიდებულებამდე იმ ადამიანების მიმართ, ვინც არ იზიარებს ამ შეხედულებებს. (4. 26)

განათლება, როგორც პროცესი თავისთავში შეიცავს ადამიანურ თანაყოფნას ერთი მთავარი ფუნქციის რეალიზებით: თაობათა შეერთება ერთიან სივრცეში, რომლისთვისაც დამახასიათებელია თითოეულის ყოფიერებიდან საერთო თანაყოფნის აღმოცენება. განათლების პროცესში ინდივიდები სამყაროსთან ურთიერთობებით საკუთარ თავს შეიმუშავებენ და სოციალური ურთიერთობების სისტემაში დამკიდრებას ახერხებენ. ეს პროცესი განსაკუთრებით აქტიურდება და უდიდეს შესაძლებლობებს აღწევს, როცა ცოდნა რწმენის თანაზიარი ხდება: “რა არის განათლება თუ ადამიანისაგან არ მოდის ნათელი.... რწმენასთან თანაზიარი ცოდნა გვხდის უფლის მეგობრად”- წერს ილია II.

რწმენასთან თანაზიარი ცოდნა შეუძლებელია რელიგიური განათლების გარეშე, რომელიც გულისხმობს, ერთის მხრივ, განათლების მიღებას უშუალოდ სასულიერო სასწავლებელში, მეორეს მხრივ, საერთო განათლების სისტემაში რელიგიური სწავლების შინაარსისა და მეთოდიკის განსაზღვრას. მაგრამ მიზანს მხოლოდ იმ შემთხვევაში მივადწევთ, თუ ზღვარს გავაკლებთ ცოდნასა და განათლებას, ჰეშმარიტ ცოდნასა და ზერელე ცოდნას შორის. “წლების მანძილზე განათლებულობით ვამჟობდით, არადა გვაქვს მხოლოდ ზერელე ცოდნა და აქვდან გამომდინარე, ზერელე აღქმა საგნებისა და გარე სამყაროსი.... ამასთან ვერ ვხედავთ ზღვარს ცოდნასა და განათლებას შორის, ვერ ვგრძნობთ, რომ განათლება უფრო მეტის მომცემია, ვიდრე ცოდნა. მიტომაც ყველა მცოდნე ადამიანი განათლებული ვერ ხაითვლება. განათლება, ინტელექტი, უპირველეს ყოვლისა გულისხმობს მორალს, ზნეობას, რწმენას, სიყვარულს, სულიერებას... სწორი, რომელიც თანამედროვე საზოგადოების თითქმის ყველა ფენას ახასიათებს არის დაბალი სულიერება. (1. 344) ქართული ეროვნული ცნობიერება ქრისტია-

ნობისა და ფილოსოფიის ძირებზე აღმოცენდა. ერთსაც და მეორესაც XXI საუკუნეში მთავარი კითხვა აწყებებს: როგორ არის შესაძლებელი კონსენსუსი და თანაცხოვრება?

პატრიარქი სულიერების ამაღლების საქმეში მნიშვნელობას ანიჭებს რელიგიურ-ფილოსოფიურ განათლებას და აღნიშნავს, რომ სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში იკითხება საგანი, რომელსაც “ზენეობრივი დვოთისმეტველება” ეწოდება. თუ დვოთისმეტველება ჯერ კიდევ მიუღებელია ჩვენს სკოლებში, ზენეობა ხომ აუცილებელია. საგანს დავარქვათ “ზენეობრივი კულტურა” და შევიტანოთ იგი სკოლის პროგრამაში. (1. 30)

ფრანგი ფილოსოფოსის პიერ ადოს აზრით სულიერების ამაღლება სულიერების ვარჯიშებით არის შესაძლებელი, რაც ძლიერ უწყობს ხელს ვნებათაგან განკურნვას და ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებას. ვარჯიშები მოიცავს არა მარტო იმ საქმეს, რომელსაც აზრი ეწევა, არამედ ინდივიდის მთელ ფსიქიურ საქმეზე. პიერ ადო ერთმანეთს უკავშირებს სულის ვარჯიშს და ფილოსოფიას და აღნიშნავს, რომ “ფილოსოფია არის ვარჯიში”... ის ცხოვრების ხელოვნებაა.... ფილოსოფიური აქტი მხოლოდ ცოდნის წესი არ არის; ის “საქუთარი თვისა” და ყოფნის წესიცაა. ეს არის წინსვლა, რომელიც ჩვენს არსებობას რადაცას მატებს და ჩვენ უკეთესებად გვაჭვებს. (3. 31)

პიერ ადოს აზრით, ფილოსოფიას ადამიანი გამოჰყავს არანამდვილი ცხოვრების მდგომარეობიდან, რომელიც გაუცნობიერებლობით არის დაბინდული და დარღითად სავსე. ფილოსოფია ადამიანს მიუძღვება იმ ნამდვილი ცხოვრებისაკენ, რომელშიც ადამიანი მიაღწევს თვითგაცნობირებას, სამყაროს ზუსტ ხედვას, შინაგან სიმშიდესა და თავისუფლებას.

ფილოსოფოსები ადამიანის ტანჯვის, უწესრიგობის მიზეზად ყოველთვის ვნებებს ასახელებდნენ და ფილოსოფიას ვნებების თერაპიად წარმოგვიდგანდნენ. თერაპია ინდივიდის ხედვისა და არსებობის წესის გარდაქმნას უკავშირდება. სწორედ ასეთი გარდაქმნისათვისაა სტოელთა ფილოსოფიური სკოლა, სადაც ადამიანის მოედი უბედურება სიმდიდრის შენარჩუნების მცდელობიდან მოდის. ფილოსოფიამ ისე უნდა აღზარდოს ადამიანი, რომ იგი ეცადოს მხოლოდ იმ სიმდიდრეს მიაღწიოს, რომლის მოპოვება კეთილსინდისიერი გზით შეუძლია, აგრეთვე, ეცადოს თავიდან აიცილოს მხოლოდ ის უბედურება, რომლის თავიდან აცილება შეუძლია. ამ აზრით, პიერ ადო ადამიანს აფრთხილებს, რომ ამ პირობის შესრულება მხოლოდ

თავისუფალ ადამიანს ხელეწიფება და გადამწყვეტი ამ პირობა-ში ზეობრივი სიმდიდრე და ზეობრივი უბედურებაცაა. რაც არაა ადამიანზე დამოკიდებული ადამიანის თავისუფლების მიღმაა და ყველაფერი ისე უნდა მივიღოთ, როგორც ადამიანის ნება და ბუნების მეუფება: “ყოველდღე მაღლა ავფრინდეთ! თუნდაც ერთი წამით... გამოვიდეთ დროის დინებიდან, ვეცადოთ საკუთარი ვნებები და პატივმოქვარეობა დავიოკოთ... გავექცეთ ავსიტყვაობას, მოვიცილოთ სიბრალული და სიძულვილი, გვიყვარდეს ყველა თავისუფალი ადამიანი. საკუთარ თავზე ამაღლებულობით გავხდეთ მარადიულინი” – წერს პიერ ადო. (3. 28)

სიტყვა “რელიგია” ლათინურია და ნიშნავს იმის გამოლიანებას, რაც ერთხელ დარღვეული იქნა. დარღვეულის აღდენა და სულიერი წინსვლა შესაძლებელია წმინდა მამათა... და ყველთა სხვათა დიდთა მოძღვართა ცხოვრებისა და შრომების გაცნობით, იმის ცოდნით, თუ ადამიანი შინაგანი განვითარების რა პოტენციალს ფლობს და როგორ უნდა გამოვიყნოთ ეს პოტენციალი ისე, რომ არ შევზღუდოთ დვთის მიერ კაცისათვის მინიჭებული თავისუფალი ნება ისე, რომლის გარეშე როგორც მატერიალურ-ტექნიკური, ისე სულიერი წინსვლა ვერ განხორციელდება.

მულტიკულტურული და ინტერკულტურული განათლების რელიგიურ-ფილოსოფიური პრინციპების განხორციელებისათვის ხელსაყრელია დია სამოქალაქო საზოგადოების არსებობა.

მისი მთავარი ამოცანაა საზოგადოებაში უმრავლესობა-უმცირესობების ურთიერთობის მოწესრიგება, გაუცხოებისა და უნდობლობის სინდრომის დაძლევა, თითოეული მოქალაქის კულტურული სამყაროს გაფართოება, თითოეული ინდივიდის როგორც თანასწორუფლებინი აქტიური წევრის ჩართვა. მულტიკულტურალიზმი მოქალაქეებს აძლევს შანსს დაბრკოლების გარეშე შეინარჩუნოს, დაიცვას და გამოხატოს საკუთარი რელიგიური, ენობრივი, საწესჩვეულებო თავისუფლებები, ხელი შეუწყოს გლობალიზაციის პირობებში თანაცხოვრებას, “გლობალური ცოდნის” რეალურ არსებობას, რაც, ცხადია, შესაბამისი საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბების გარეშე განუხორციელებლად გვემვენება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II, ეპისტოლები წიგნი I, თბილისი, 2009.
2. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II, ეპისტოლები წიგნი II, თბილისი, 2009.
3. სერია ევროპული ძიებანი, სტატიების კრებული, 2008 ევროპული კულტურის ორი საფუძველი, თბილისი, 2008
4. რელიგიური მრავალფეროვნება და ინტერკულტურული განათლება: სახელმძღვანელო სკოლებისათვის, ევროსაბჭო, 2007.
5. გირგ პოფსტედე და გერტ იან პოფსტედე, ეულტურები და ორგანიზაციები, გონების პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერკულტურული თანამშრომლობა და მისი მნიშვნელობა მხარდარჩენისათვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2011.

ასმათ დიასამიბე

საზოგადოების ჰუმანიზაცია სკოლიდან იწყება

დემოკრატიული საზოგადოება უპირველეს ყოვლისა საზოგადოების გაპუმანურებას, ადამიანთა შორის ურთიერთპატივისცემას, თანაგრძნობასა და თანასწორობას გულისხმობს და ამ ღირებულებების ჩამოყალიბება ადამიანებში ბავშვობის ასაკიდან უნდა დაიწყოს. ამ საპასუხისმგებლო და აუცილებელი პროცესის მნიშვნელოვანი მიმართულებებაა ინკლუზიური განათლება.

ინკლუზიური განათლება ჩვენი საზოგადოების ყველაზე დაუცველი ნაწილის – განსხვავებული შესაძლებლობის მქონე პირების სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან დამოკიდებულების შეცვლის, მათთან ახლოს მისვლის, მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის რეალური გზა. ინკლუზიური განათლება ქართულ და პოსტსაბჭოურ სასწავლო-საგანმანათლებლო სივრცეში ბოლო ათწლეულში შემოვიდა. იგი განათლების რეფორმის ფუძემდებლური ღირებულებების (თანასწორობა) რეალურად განხორციელების ნიმუშია. მას საფუძვლად დაედო:

„გაეროს ბავშვის უფლებების კონვენცია”; „ჯომთენის (ტაილანდი) მსოფლიო კონფერენცია – განათლება ყველასათვის”; „სალამანჯის დეკლარაცია ინკლუზიური განათლების შესახებ”; გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ (2006წ); კანონი „ზოგადი განათლების შესახებ”.

ტერმინი „ინკლუზია” ჩართულობას ნიშნავს. ინკლუზიური განათლება კი არის მიღებომა, რომელიც ცდილობს სკოლის ასაგის ყველა ბავშვის ჩართვას სასწავლო პროცესში, მიუხედავად მისი შესაძლებლობისა ან სირთულეებისა სწავლის პროცესში.

განათლების მიღება ყველა ბავშვის უფლებაა. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს განათლების ხელმისაწვდომობა და თანაბარი შესაძლებლობები ყველა ბავშვისთვის, მიუხედავად მისი საჭიროებებისა, ეთნიკური, რელიგიური, თუ რასობრივი წარმომავლობისა. (სკოლის მართვის... 2006, 162-165; სწავლება და შეფასება... 2008, 150-160; ინკლუზიური განათლება... 2009)

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები ბოლო წლებამდე მკაცრად გამოყოფილნი იყვნენ საზოგადოების 150

დოქტისაგან და არ პქონდათ შესაძლებლობა მიეღოთ განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში თანატოლებთან ერთად.

ინკლუზიური განათლება კი მოითხოვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების არამარტო საკლასო ოთახში ყოფნას თანატოლებთან, არამედ სკოლების დაუდალავ შრომას იმისათვის, რომ გააძლიერონ და განავითარონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესაძლებლობები, გააუმჯობესონ მოსწავლის აკადემიური და სოციალური უნარ-ჩვევები, მოამზადონ მოსწავლე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, ხელი შეუწყონ მის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II თავის ერთ-ერთ ეპისტოლებში გვმოძღვრას: „ბავშვებს თავიდანვე უნდა გაეცდვიძოთ გრძნობა ადამიანის დირსების დანახვის და დაფასებისა, განვამტეცოთ რწმენა იმისა, რომ ყოველი ჩვენგანი ღვთისგან განსაკუთრებული ნიჭითა დაჯილდოებული, ოდონდ აუცილებელია ამ მადლის გამოვლენა. (ეპისტოლები I, 2011, 345).

უნარშეზღუდულებთან გეერდი-გეერდ ყოფნა დადებით გავლენას ახდენს კლასის სხვა მოსწავლეებზე. ერთი მასწავლებლის დაკვირვებით: „უნარშეზღუდული „ბავშვების გვერდით ყოფნით დანარჩენები უფრო კარგები ხდებიან, მათ უკვე იციან, რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ ადამიანების მიმართ, როგორ დაეხმარონ, თანაუგრძნონ, იზრუნონ. ასე სწავლობენ ცხოვრებას. როცა ექსკურსიაზე მივდივართ, მოელი კლასი იწყებს ზრუნვას, რომ ყველა პირობა შექმნას ირაკლის და მაიას წამოსაყვანად.“ (მ. რაზმაძე, 2011,51) - ამბობს იგი.

თუ ადრე სპეციალური საჭიროება ინდივიდის „ნაკლოვანებად“ ითვლებოდა და პედაგოგთა მთელი ძალისხმევა ასეთი მოსწავლეების რეაბილიტაციაზე – მათი ნაკლოვანებების აღმოფხერასა და „უნარების „აღდგენაზე“ იხარჯებოდა, დღეს მიღებოდა შეიცვალა. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალობა დაფასდეს და მათი განსხვავებული საჭიროებები დაკმაყოფილდეს. ამ მიზანს ემსახურება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემთხვება მათთვის, მის შემზავებასა და საერთოდ ინკლუზიური განათლების განხორციელებაში წამყვან როლს სპეციალური მასწავლებელი თამაშობს, რომელთა რაოდენობა ჯერჯერობით ცოტაა. 2010 წლისათვის საქართველოში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის სპეციალიზებული 13 სკოლა ფუნ-

ქციონირებდა. მათი გამოცდილების გამოყენების მიზნით, რეგიონებში ისინი ინკლუზიური განათლებისათვის სპეციალისტთა მომზადების ცენტრებად იქცევიან. (ზ. კნაჭაძე, 2010, 44-45).

ინკლუზიური სწავლების სამი ფორმაა: **სრული ჩართვა**, როცა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ყველა გაკვეთილს ესწრება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით; **ნაწილობრივი ჩართვა**, როცა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ესწრება მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე შერჩეულ გაკვეთილებს და **ინტერგირებული სწავლება**, როცა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები გაერთიანებული არიან ერთ კლასში და სწავლობენ მათვის განკუთვნილი პროგრამით.

ცელილებები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების განათლების სფეროში 1994 წლიდან დაიწოა არასამთავრობო სექტორის მიერ, თუმცა სახელმწიფოს, სხვადასხვა მიზეზების გამო, აღნიშნული საკითხი კვლავ ყურადღების მიღმა რჩებოდა. 1995 წლიდან საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ ადარ გამოიყენება ტერმინი „ინგალიდი“ და ჩანაცვლებულია ტერმინით „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების განათლება, როგორც პრიორიტეტი, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ იქნა 2004 წლიდან, როდესაც დაიწყო განათლების სისტემის რეფორმის უფრო ძარღიური გატარება. ინკლუზიური სწავლების დანერგვას საქართველოში მნიშვნელოვანი ფინანსური და მეთოდოლოგიური დახმარება ნორვეგიის მთავრობამ გაუწია. ცხადი გახდა, რომ სახელმწიფოს ესაჭიროება ერთიანი, შეთანხმებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა განათლების სფეროში, რომელიც უნდა ასახავდეს აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და მეთოდოლოგიურ ცვლილებებს.

სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვთა განათლების სფეროში ქვეყნები ხელმძღვანელობენ **UNESCO**-ს „განათლება ყველასათვის“ პროგრამით, რომლის მიზანია 2015 წლისათვის ყველა ბავშვს, მიუხედავად მისი საგანმანათლებლო საჭიროებისა, ჰქონდეს საშუალება:

- ისწავლოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში საცხოვრებელ ადგილთან ახლოს;

- მიიღოს ცოდნა მრავლფეროვანი, მოქნილი, აკადემიური და სოციალურ უნარებზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების მეშვეობით;
- ჩართული იყოს განათლების უწყვეტ პროცესში, სკოლამდელი განათლებიდან სახელობო და პროფესიული განათლებისა და უმაღლესი განათლების ჩათვლით;
- სრულფასოვანი მონაწილეობა მიიღოს სკოლისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ ასპექტში;
- იყოს თანასწორუფლებიანი მოსწავლე და მაქსიმალურად განავითაროს საკუთარი პოტენციალი.

2004 წელს, ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე რეფორმის კვალდაკვალ, ინკლუზიური განათლების დანერგვა/განვითარება სახელმწიფო პრიორიტეტიად იქნა აღიარებული. (შევიდა ცვლილება კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“ მუხლი 41). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, თავის გრძელვადიან მიზნად დაისახა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა განათლების სფეროში ერთიანი, შეთანხმებული სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომელიც უნდა ასახავდეს აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და მეთოდოლოგიურ ცვლილებებს ამ სფეროში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა განათლების სფეროში ერთიანი, შეთანხმებული სტრატეგიის ჩამოყალიბების მიზნით, 2008 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა და დაამტკიცა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა განათლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2009-2011 წლებისთვის.

იმისათვის, რომ კვალიფიციური კადრები მუშაობდნენ უნარ შეზღუდულ ბავშვებთან, როგორც უნივერსიტეტებში შეიქმნა განათლების ფაკულტეტები, სადაც ინკლუზიური განათლების თეორიასა და პრაქტიკას ასწავლიან. ეს პროგრამა 2007 წლიდან შემუშავდა მხოლოდ იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც პედაგოგიკისა და განათლების ფსიქოლოგიის ბაზისური ცოდნა აქვთ და სურთ, რომ ინკლუზიური განათლების სპეციალისტები გახდნენ. სასიამოვნო ფაქტია, რომ 2010 წლიდან ამ პროგრამაში ჩართულია შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამასთან ერთად სკოლები მომზადდა მატერიალურ - ტექნიკური თვალსაზრისით ინკლუზიური სწავლებისთვის, სტარატეგიით განისაზღვრა ინკლუზიური სწავლების საჭიროების მქონენიც:

- ვისაც ფიზიკური ან გონებრივი თვალსაზრისით გარკვეული პრობლემები აქვთ;
- ასევე ბავშვები, რომლებიც რაიმე სპეციალური უნარით არიან დაჯილდოებულნი. მაგალითად ისეთები, რომლებიც უფრო სწრაფად ძლიერებს პროგრამას;
- სხვა ეროვნების ბავშვები, რომლებსაც ენის ბარიერი აქვთ;
- ბავშვები, რომლებიც გარკვეული მიზეზების გამო რაიმე ემოციის ქვეშ იმყოფებიან. ასევე მოზარდები, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, ანდა სხვა მიზეზების გამო სასწავლო პროცესს საგრძნობლად ჩამორჩნენ.

განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში იმყოფება მულტიდისციპლინარული გუნდი, რომლის მოვალეობაც არის ამ ბავშვების საჭიროებების მიხედვით მოახდინოს იდენტიფიკაცია და შეძლებისდაგვარად დახმარება გაუწიოს მათ.

2008-2009 წლებიდან, კანონდმებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, ყველა სკოლა ვალდებულია მიიღოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი, ოუმცა დღემდე პრობლემად რჩება ამ ბავშვებისათვის განკუთვნილი გარემოს შექმნა. ეტლისათვის განკუთვნილი პანდუქები, მაგალითისათვის ბათუმში 2011 წლისათვის სულ 5 სკოლას აქვს დამონტაჟებული. შესაბამისად, სხვა სკოლებში ამ ბავშვების მიღება ვერ ხერხდება, რადგან მათი გადაადგილება შეუძლებელია.

ამ ეტაპზე განათლების სამინისტროში ინკლუზიური განათლების მოდელის შემუშავება ხდება, რომელიც ინკლუზიური სწავლების ზოგად წესებს განსაზღვრავს.

ეროვნული მოდელი გადაწყვეტს შეფასების კრიტერიუმებს და სკოლის მოსწავლეობის განკუთვნილი ვაუჩერის საკითხებს. განათლების სამინისტროს ეგიდით ხდება ინკლუზიური სწავლების დანერგვა საქართველოს რეგიონებში. თითოეულ რეგიონში მასწავლებლებს უბარდებათ სპეციალური ტრენინგები, მაგრამ ეს საქმარისი არ არის. საჭიროა:

- ადგილობრივი განათლების ორგანოების მომზადება და მათი პროექტში ჩართულობის უზრუნველყოფა;
- - სკოლებში შესაბამისი ფიზიკური გარემოს შექმნა;

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა იდენტიფიკაცია, ინდივიდუალური საწავლო გეგმებისა და შეფასების კრიტერიუმების შემუშავება;
- - სკოლის პედაგოგების, ადმინისტრაციისა და პროფესიონალთა (ფინანსობრივი, მეტყველების თერაპევტი) მომზადება;
- რეგიონებისთვის ინკლუზიური განათლების მხარდაჭერი გუნდების (რეგიონის კოორდინატორი, მულტიდისციპლინური გუნდის წევრები) ფორმირება და მომზადება;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;
- რეგიონისა და საჯარო სკოლების საზოგადოების მზაობისა და კეთილგანწყობილი გარემოს უზრუნველყოფა ინკლუზიური განთლებისათვის;

რა მდგომარეობაა ამ ოვალსაზრისით აჭარაში?

- გაეკეთდა ზუსტი აღრიცხვა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისა. უკვე 5 სკოლას აქვს სპეციალური ასასვლელი ბილიკები (პანდუსები), მოხდა გარკვეული რაოდენობის მასწავლებელთა გადამზადება, მზადდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, წარმოებს სპეციალური სასწავლო გარემოს მოწყობა (ავეჯი, აპარატურა), ამ პრობლემასთან დაკავშირებული საზოგადოების (მშობლები, მოსწავლეები...) ინფორმირება – მომზადება...

2011 წლისთვის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სასკოლო ასაკის 313 უნარშეზღუდული ბავშვია: ქ. ბათუმში 140; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში – 52; ქობულეთში – 83; ხულოს მუნიციპალიტეტში – 6; ქედის მუნიციპალიტეტში – 25, შუახევის მუნიციპალიტეტში – 7. მათგან 249 სკოლაში სწავლობს, 64 კი ბინაზე.

წარმოდგენილი მასალა, თუნდაც ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე (უნარშეზღუდული 313 მოსწავლე), აშეარას ხდის ინკლუზიური სწავლების აქტუალობას, რაც სკოლებსა და მათ ხელმძღვანელობას დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს, ხოლო განათლების სახელმწიფო ორგანოებს ავალებს, ინკლუზიური განათლების პროცესის დაჩქარების მიზნით, სკოლებს მიეცეთ სათანადო დაფინანსება შენობების ტექნიკური აღჭურვისა და საჭირო სასწავლო-მეთოდური პრობლემების გადასაწყვეტად.

ლიტერატურა:

1. იდია II – სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, ეპისტოლები, ტ. I, ობილისი 2011;
2. ვისწავლოთ ერთად – ინკლუზიური განათლება, ობილისი, 2011;
3. ინკლუზიური განათლება, გზამქვდევი მასწავლებლებისათვის, ობილისი, 2009;
4. ზ. კნაჭაძე, ინკლუზიური განათლება, ჟურნ. „მასწავლებელი”, №1, 2010;
5. გ. რაზმაძე, ბეჭინიერებაა, ოუ ხედები, რომ შენი ადგილი იპოვე. ჟურნ. „მასწავლებელი”, №1, 2010;
6. სკოლის მართვის სახელმძღვანელო, ობილისი, 2006;
7. სწავლება და შეფასება. დამსმარე სახელმძღვანელო, ინკლუზიური განათლება, II, ობილისი, 2008;
8. ო. ჭიათურაული, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე და ქცევის მართვის სტრატეგიები. ჟურნ. „მასწავლებელი”, №3, ობილისი, 2010.

Asmat Diasamidze

Humanization of society begins from the schools Resume

Democratic society means respect, compassion and equality among the people. These values should be formed from the childhood. The aim of Inclusive Education is to engage disabled children in teaching process, which is the most unprotected part of our society.

Represent the work which is about resolving the problem.

ჯემალ კარალიძე

საქართველოს მართლადიდებელი ეპლესია XIX საუკუნის პირველ ათწლეულებულებში

რუსეთის სახელმწიფომ მოხერხებულად გამოიყენა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე შექმნილი საერთაშორისო კორეგბა და საქართველოს დაპყრობა განახორციელა. 1801 წლის მანიფესტით ცარიზმა დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატით ნაკისრო ვალდებულება და ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია მოახდინა. რუსეთი ესწრაფოდა მთელი ამიერკავკასიის დაპყრობას და შავ ზღვაზე პოზიციების განმტკიცებას. ამრიგად ქართლ-კახეთის სამეფოს ბეჭი მოელოდა იმერეთის სამეფოსაც „სოლომონII კარგად იცოდა რუსეთის მთავრობის საბოლოო მიზანი რომ იმერეთის სამეფოს გაუქმება იყო, ამიტომ იგი არ ენდობოდა რუს მოხელეთა ტებილ სიტყვებს და დიდ სიფრთხილეს იჩენდა” (ბენდიანიშვილი, 1980, 51). შემდგომა მოვლენებმა ცხადყო სოლომონ-II შეშვიოცხის საფუძვლიანობა, თუმცა მისი აცილება შეუძლებელი აღმოჩნდა. რუსეთის თვითმპერობელობა იმთავითვე შეუდგა საქართველოში კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელთა იძულებით გასახლების პოლიტიკის გატარებას. ასეთი მოქმედების მიზეზი ძნელად მისახვედრი არ იყო. „ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულო ქართველი ხალხის აბსოლიტურ უმრავლესობას დამოუკიდებელი საქართველოს სიმბოლოდ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურად მიაჩნდა. სწორედ ამიტომ ცდილობდა ასე დაუინებით რუსული ხელისუფლება საქართველოს გაწმენდას სამეფო სახლის წარმომადგენლების, ბაგრატიონებისაგან, ყველა მათგანის რუსეთში გადასახლებასა და მაცრი კონტროლის ქვეშ მოქცევას” (საქართველოს ისტორია, IV, 2012, 16).

ცარიზმის უკიდურესად რეაქციულმა პოლიტიკამ საქართველოს მიმართ, დღის წესრიგში ქართველი ერის სულიერი და შემდგებ კი მისი ფიზიკური ყოფნა-არყოფნის საკითხი დააყენა.

საქართველოში არსებული სახელმწიფოებრივი წყობა და საეკლესიო მმართველობის სისტემა ცარიზმს ვერ გამოადგებოდა იმ პოლიტიკური მიზნების განხორციელებაში, რომელსაც ის საქართველოში ისახავდა; საუკუნეების მანილზე საქართველოს ეკლესია გამოდიოდა ქვეყნის გაერთიანების ინი-

ციატორად, იდეოლოგიურად აერთიანებდა საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენებს, მნიშვნელოვანი წვლილი შექმნდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში, სათავეში ედგა ერის კულტურულ ცხოვრებას,,ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის ნებისმიერ ეტაპზე ქრისტიანულ სარწმუნოებას უადრესად რთული, დროისათვის შესაფერისად საჭირო პოლიტიკურ-სამართლებრივი, კულტურულ-იდეოლოგიური ფუნქცია ეკისრებოდა, რაც მას კონკრეტულ სახეს აძლევდა და ჩამოყალიბებულ, დახვეწილ სტრუქტურას უქმნიდა”. (პავლიაშვილი, 1995:3). საქართველოში თავისი პოზიციების განმტკიცების მიზნით, ცარიზმი შეუდგა სახელმწიფო და სასულიერო მმართველობის სისტემის რეორგანიზაციას, რომელის დროულად გატარებასაც პირველხარისხოვან სახელმწიფო მნიშვნელობას ანიჭებდა. ამ ღონისძიებით თვითმეყრობელობა საქართველოში ნერგავდა ქართველებისათვის უცხო სახელმწიფო სისტემას, რაც საბოლოო ანგარიშში ითვალისწინებდა ისეთი ბიუროკრატიული აპარატის შექმნას, რომელიც დასტარებდა საქართველოს კოლონიად ქცევას და მისი ხალხის გარუსებას. ასეთი ამოცანის გადაწყვეტას კი მთავრობა ქართულ ეკლესიას ვერ მიანდობდა, რადგან თვლიდა, რომ ის თავისი სტრუქტურითა და სასულიერო პირთა შემადგენლობით ამ საქმისათვის არ გამოადგეოდა. მთავრობამ დაიწყო მზადება საქართველოს ეკლესიის მმართველობის რეორგანიზაციისათვის (ხუციშვილი, 1987:16).

საქართველოში დამკიდრებისთანავე ცარიზმი ცდილობდა, სასულიერო ცხოვრებაში მომხდარი ყოველგვარი წვრილანიც კი თავისი ავტორიტეტის ამაღლების სამსახურში ჩაეყინებინა. ამ მიზნით გამოიყენეს 1801 წ. პეტერბურგიდან თბილისში „სახაულმოქმედი“ ჯვრის (საუბარია დროს წმ. ნინოს ჯვარზე, რომელიც ჯერ ანანურში გადამალეს, შემდეგ კი რუსეთში წაიღეს) გადმოსვენების ცერემონიალი. მას დღით სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიენიჭა. გენერალ კორინგს ამის შესახებ მითითებებს აძლევდნენ, რომ ჯვრის გადმოსვენება, საქართველოს მკვიდრთა მიმართ, რუსეთის მეფის კეთილგანწყობისა და ზრუნვის გამოხატულება გამხდარიყო. ამ დღუსასწაულზე ქართველი ხალხისათვის საშუალება უნდა მიეცათ, რათა მას გამოემუდავნებინა თავისი კეთილი გრძნობები და სიყვარული იმპერატორისადმი. რუსული ხელისუფლება საქართველოში პირველი დღიდანვე შეეცადა სამღვდელოება თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინა. მაგრამ საქართველოს სასუ-

რიერო წოდების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თვითმპურობელობას საქართველოში დაუხვდა (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) ოპოზიციურად განწყობილი სამდვდელოება, რომელიც მიუხედავად ცალკეული ნაკლოვანი მხარეებისა, მოსახლეობაში დიდი გავლენით სარგებლობდა (წვერავა, 2003, 9). მთავრობისათვის ნათელი იყო, რომ ქართველი სამდვდელოება უცმაყოფილო იყო ცარიზმის მიერ გატარებული ღონისძიებებით, ამიტომ იგი არ გამოადგებოდა იმ პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომლის გატარებასაც ისახავდა მიზნად საქართველოში.

მთავრობამ დაიწყო მზადება საქართველოს ეკლესის რეფორმისათვის, რომლის უპირველესი ღონისძიება უნდა ყოფილიყო სასულიერო დიკასტერის დაარსება, საეკლესიო ქონების აღწერა და შემთხვევლის დაზუსტება, სასულიერო პირთა რაოდენობის დაგენა და სამრეწველოების მოწესრიგება, ავტოკეფალიის და კათალიკოსის თანამდებობის გაუქმება, სასულიერო განათლების ახლებურად ორგანიზაცია და სხვ. რეფორმის გატარებისათვის საჭირო ყოველგვარი ცნობების შეგროვება და მისი პროექტის შედგენა დაგვალა საქართველოს კათალიკოს პატრიარქს ანტონ II.

ცარიზმი აპირებდა საქართველოს ეკლესის გადარქმნას რუსული ეკლესის ყაიდაზე. საქართველოს ეკლესის მმართველობის წესი რუსულისაგან განსხვავდებოდა. მის სათავეში იდგა კათალიკოს პატრიარქი(უპირატესად ბაგრატიონთა საგარეულოდან), რომელიც დიდი უფლებით იყო აღჭურვილი... იგი ეკლესის განაგებდა თავისი შეხედულებისამებრ და მევე მის საქმეებში იშვიათად თუ ერეოდა. ქართული ეკლესია ეკონომიკურად დამოუკიდებელი იყო. საქართველოს ეკლესია ამ დროისთვის ფლობდა დიდიალ ქონებას, სახნაგათეს მიწებს, ტყეებს, სხვადასხვა ქარსანას, სათევზაო ადგილებს, წისქვილებს, შენობებსა და სხვა ქონებას. იგი იყო ეკონომიკურად დამოუკიდებელი ერთეული, ამით იგი მკვეთრად განსხვავდებოდა რუსული ეკლესისაგან, რომელიც იმ დროისათვის რუსეთის ხელისუფლების მიერ სახელმწიფოს ნაწილად იყო გადაქცეული და საერო ხელისუფლებისადმი დამორჩილებული (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 2009, 1093).

საქართველოში კი პირიქით სახელმწიფო ხელისუფლება არ იყოფოდა საერო და სასულიეროდ. ქვეყნის ხელისუფლების სათავეებთან იდგნენ ეკლესის უმაღლესი იერარქები, მაგალითად, სწორედ განსახილველი დროისთვის, იმერეთის სამე-

ფოში მართალია , მეფე უზენაესი ხელისუფალი იყო, მაგრამ იმერეთის სამეფოს საქმეებს იგი წარმართავდა „საბჭოს” დახმარებით, რომლის წევრები არა მარტო რჩევებში იღებდნენ მონაწილეობას, არამედ დიდმნიშვნელოვან თანამდებობებსაც ფლობდნენ. საბჭოში მონაწილეობდა ოთხი ეპისკოპოსი:ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეონი, გვლათელი მიტროპოლიტი ექვთიმე, ნოკორწმინდელი მიტროპოლიტი სოფრინიოსი, მთავარეპისკოპოსი ანტონი. ჩამოთვლილი მდვდელმთავრები საბჭოში დიდი უფლებებით სარგებლობდნენ, მათ შესედულებებსა და მოსაზრებებს მეფე უკველთვის გულმოდგინედ ისმენდა და დიდ ანგარიშს უწევდა.

რა თქმა უნდა ქართული ეკლესიის ასეთი სახით არსებობა ცარიზმს არ აწყობდა. მიტროპოტეტი ერთ-ერთი ძირითადი მიზანი, როგორც უკვე ითქვა, საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის ლიკვიდაცია იყო.

საეკლესიო რეფორმა ითვალისწინებდა სასულიერო დიკასტერიის მოწყობას.

ზრუნავდა რა სასულიერო უწყების ქონების დაზუსტებაზე, მთავრობას განზრახეული ჰქონდა მისი გამოყენება პოლიტიკური მიზნებისათვის. უპირველეს ყოვლისა, ეს ნიშნავდა საქართველოს ეკლესიის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოსპობასა და სახელმწიფოსადმი მის სრულ დამორჩილებას. დიგასტერიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო თვითმშერობელობის კრთული სასულიერო პირების აღზრდა, რისთვისაც მთავრობა თბილისში სასულიერო სემინარიის გახსნას გეგმავდა .სასულიერო სემინარიის დაარსებით მთავრობა აპირებდა მოქმზადებინა მონარქისტულ-კლერიკალურ იდეებზე აღზრდილი ახალგაზრდა სასულიერო წოდება, რომელიც მთავრობის პოლიტიკის ერთგული იქნებოდა. იქვე აღიზრდებოდნენ სასულიერო მისიონერებიც, რომელთა საქმიანობაზე დიდად იყო დამოუკიდებული კავკასიის მთიან რაიონებში ქრისტიანული სარწმუნოების აღდგენა-გავრცელება და კავკასიაში რუსეთის ავტორიტეტის განმტკიცება (აქტები, IV, 1870, 140).

რეფორმა, მართალია ეხებოდა საეკლესიო ცხოვრების ყველა მხარეს, მაგრამ არ ითვალისწინებდა სასულიერო წოდების განაწყენებას.პირიქით, მისი ძირითადი მიზანი იყო ეკლესიის პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამორჩილებასთან ერთად სასულიერო პირების გულის მოგება, მათი სახით ერთგული მსახურების გაჩენა (ხუციშვილი, 1987, 116).

1810 წლის 3 მარტს კათალიკოსი ანტონ მეორე თითქოს საქართველოს საქმეების მოწესრიგების მიზნით, პეტერბურგში გაიწვიეს. ერთი წლის შემდეგ სინოდის ობერ-პროკურორ გოლიცინისაგან მოვიდა შეტყობინება, რომელშიც ანტონის სამშობლოში დაბრუნების დაგვიანების მიზეზად მისი ავადმყოფობა იყო დასახელებული.

ანტონ II-ის პეტერბურგში გაწვევის შემდეგ საქართველოში დიკასტერიის მეთაურად, როგორც ნავარაუდევი იყო, ვარდამ ერისთავი დანიშნეს და საქართველოს ეგზარქოსის ტიტული უბოძეს. მას დაევალა რეფორმის განხორციელება. ვარდამმა საქართველოს მთავარმართებელ ტომასოვს წარუდგინა რეფორმის პროექტი, რომელიც თითქმის უცვლელად დამტკიცა რუსეთის წმინდა სინოდმა 1811 წლის 30 ივნისს.

საქართველოს ეკლესიამ დაკარგა ავტოკეფალია, ანუ გაუქმდა იგერიის უძველესი საკათალიკოსო. წნდება კითხვა, პქონდა თუ არ რუსეთის მართმადიდებლურ ეკლესიას ამის უფლება.

რა თქმა უნდა არა. რუსეთის სინოდმა საქრთველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით დაარღვია 30-ე და 35-ე მუხლი მოციქულთა კანონებისა, ასევე ანტიოქიის კრების 22-ე კანონი, რომლის მიხედვით რუსეთის ეკლესიას არ შეეძლო მასზე უძველეს საქართველოს ეკლესიაზე თავისი უფლება განხორციელებინა. ამისათვის საჭირო იყო კრთის მხრივ, თვით ქართველი ხალხის მიერ საკუთარი ავტოკეფალიის უარყოფა, ხოლო მეორე მხრივ, მსოფლიო კრების გადაწყვეტილება. რუსეთის ეკლესიამ კი არაკანონიერი გზით, თვითხებურად გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია (წვერავა, 2003, 11).

სასულიერო დიკასტერიამ საქართველოში 1814 წლამდე იარსება, ვიდრე მის ნაცვლად დაარსდებოდა საქართველო-მერეთის უწმინდესი მმართველობითი სინოდის კანტორა. მიუხედავად იმისა, რომ ვარდამი ენერგიულად ხელმძღვანელობდა საქართველოს ეკლესიის საქმეებს, თვითმკურობელობას ქართველის ამ თანამდებობაზე დატოვება მიზანშეწონილად არ მიაჩნდა და 1817 წელს ვარდამი გაიწვიეს რუსეთში. მის ადგილას კი დაინიშნა თეოფილაქტე რუსანოვი (1817-1821წ). ამ დროიდან საქართველოში ეგზარქოსებად მხოლოდ რუსი ეროვნების წარმომადგენლები ინიშნებოდნენ.

ჩამოსული მღვდელმთავრები გამოირჩეოდნენ თვითმცყრობელისადმი დიდი ერთგულებითა და მკაცრი ხასიათით, რომლებიც ყოველ დონეს ხმარობდნენ საქართველოში რუსული პოლიტიკის დასამკიდრებლად. ეგზარქოსების სამოქმედო პროგრამა კარგად იყო ჩამოყალიბებული შავრაზმელ მღვდელ ვოსტოგროვის სიტყვაში: „საქართველოს ეგზარქოს... უპირველეს ყოვლისა უნდა ახსოვდეს, რომ ვალდებულია მთელი თავისი ენერგია მოახმაროს ქართველის გარუსების საქმეს რელიგიურ საფუძველზე” (ხუციშვილი, 1987, 116).

თეოფილაქტე რუსანოვის დანიშნულ ქართული ეკლესიის მეთაურად ადაშფოთა როგორც ქართველი სამღვდელოება, ისე თავადაზნაურობა. რუსანოვმა სცადა, საქართველოს მთელი საეკლესიო მმართველობა რუსულ ყაიდაზე გარდაეჭმა. მას ქართულ ეკლესიაში შემოქონდა რუსული ენა, დასავლეთ საქართველოში 8 ეპარქიის (ქუთაისის, გელათის, რაჭის, ხონის, ჯუმათის, ჭყონდიდის, ცაიშის, ცაგერის) ნაცვლად ტოვდნდა 3 ეპარქიას. ეკლესიებისა და მღვდელომსახურების რიცხვი ორჯერ მცირდებოდა (გოგოლოაძე, 1971, 13).

1819 წ. მაისში თეოფილაქტე რუსანოვი პროკურორ ჭილაშვილის თანხლებით ჩავიდა იმერეთში და უშეალოდ ხელმძღვანელობდა რეფორმის გატარებას. იმერეთის მმართველის დახმარებით ეგზარქოსმა დაიწყო ცნობების შეგროვება იმერეთ-გურია-სამეგრელოს ეკლესიებზე, სამრევლოთა რაოდენობაზე, საეკლესიო მამულების შემოსავლის შესახებ. მაგრამ მყისვე წააწყდა მღვდელმთავრების, თავადაზნაურებისა და ხალხის წინააღმდეგობას. გზარქოსის მოხელეებს სოფლებშიაც კი არ უშვებდნენ (ბენდიანიშვილი, 1980.78). მოძრაობამ თანდათან მასობრივი ხასიათი მიიღო. 1819 წ. 2 ივლისს იმერეთის თავადაზნაურობა რაჭის თავადაზნაურობას სწერდა... განზრახვა აქვთ (იგულისხმება რუსანოვი-ჯ.კ.) ბევრი ჩვენი წმინდა ეკლესია დაანგრიონ, წმინდანთა ნაწილები და სახელგანთქმული ჯერები ჩამოგვართვან,ჩვენთვის მღლოველ არქიერებს და მღვდლებს გვართმევენ, საშუალებას გვისპობენ ვადიდოთ ქრისტე. თუ ხელშეუხებლად რჩება ებრაელთა, ხომეხთა და კათოლიკეთა რწმენა და ეკლესია, რატომ ჩვენ უნდა ვიყოთ გამონაკლისი? აგარიანთა ბატონობის დროს არ მოუყენებიათ ჩვენთვის ასეთი შეურაცხელოფა ... ნუ მისცემთ პასუხებს გამოგზავნილ აღმწერებს, გაისტუმრეთ უკან ისევე გაწბილებულნი, როგორც ჩვენ გავისტუმრეთ. თუ ისინი მოახერხებენ ზოგიერთთა მოტყუებას, ძალით ჩამოართვით შეგსებუ-

ლი ფურცლები. ნუ მიუშვებთ თეოფილაქტეს მოხელეებს ნურც მდვდლებამდე და ნურც ხალხამდე” (აქტები, გვ. VI, 1876, 391).

შექმნილ კითარებაში მთავარმართებელი ერმოლოვი ურჩევდა რუსანოვს დროებით ხელი აედო რეფორმის გატარებაზე. თუმცა ეგზარქოსმა არ შეისმინა. საეკლესიო რეფორმა დასავლეთ საქართველოში 1819-1820წწ. დიდი აჯანყების მიზეზი გახდა, რომლის ჩაქრობაც ხელისუფლებას ძვირი დაუჯდა.

აჯანყების შემდეგ მთავრობამ შეცვალა ტაქტიკა და რეფორმის ერთბაშად გატარებაზე უარი თქვა. თუმცა დროებით, 1821 წ. იმერეთში ერთი-ქუთაისის, ხოლო 1823 წლიდან სამეგრელოშიც ერთი-ჭყონდიდის ეპარქია შექმნეს.

ამრიგად, რუსეთის თვითმკურობელობამ საქართველოს დაპყრობის შემდეგ იერიში მიიტანა ქართველი ეკლესიის დამოუკიდებლობაზე. გააუქმა ავტოკეფალია, შეამცირა ეპარქიების და ღვთისმასახურების რაოდენიბა, აღწერა და მიიტაცა საეკლესიო ქონება. საქართველოს ეკლესიას მძიმე ჟამი დაუდგა. მძიმე მდგომარეობის მიუხედავად იგი ასრულებდა ერის სულიერ წინამდოლობას, უფრო მეტიც, თავის წიაღში აღზარდა თაობა, რომელმაც მომზადა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1.აქტები, ტომიIV, თბილისი, 1870
- 2.აქტები, ტომიVI, თბილისი, 1876
- 3.ბენდინიშვილი ალ., ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921წწ., თბილისი, 1980

4. გოგოლაძე დ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანდებულებები ხანაში; თბილისი, 1971

5.მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქლო ეკლესიის ისტორია; თბილისი2009

6.საქართველოს ისტორია XIX-XX საუკუნეებში, ტომი IV თბილისი, 2012

7.ბავლიაშვილი ქ., საქართველოს საეგზარქოს 1900-1917წწ., თბილისი, 1995

8.ხუციშვილი მ., საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX საუკუნეებში, თბილისი1987

9.წვერავა ვლ., საქართველოს საეგზარქოს სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნეში, ქუთაისი2003

Jemal karalidze

Georgian orthodox church in XIX century

Summary

Russian rulers used the convenient international situation created at the edge of XVIII-XIX centuries breached the treaty of Georgievsk and annexed Georgia. Tsarism started to abolish Georgian state institutions which were inappropriate for its farreaching conquering aims.

Georgian orthodox church played an important mission in the history of Georgia , that's why those who intended to assimilate Georgia attacked Georgian church. Tsarism tried to control Georgian spiritual life.

In 1811, through abrogating autocephalia and conforming to Russian synod, Russia tried to establish its own ideological basis by assuming church property.

**ქრისტიანული სათხოება და ალგერტ შვეიცერის
შემოქმედება**

ალბერტ შვეიცერმა თავისი მოღვაწეობით განსაკუთრებული სულიერი ზეგავლენა მოახდინა თანამედროვე ეპროპულ ცივილიზაციაზე (2,212;6). ამასთანავე, ქრისტიანული პრინციპების განმასახიერებელი თავისი უთიკური მოძღვრების შესაბამისად მან შეძლო უარის თქმა – „არმატებაზე, დიდებაზე, ცუცუნებაზე და ა.შ. ამიტომ შვეიცერს სათხოების რაინდს უწოდებენ. მაგრამ ცნობილია ისიც, რომ ამგვარი უარის თქმა – „განდგომა“ ყველა შემთხვევაში არ აღიქმება სათხოებად. ამის ნათელი მსატვრული მაგალითია ი. ჭავჭავაძის „განდეგილი“ რეალურ ფაქტად კი შეიძლება დავასახელოთ არაერთი საყოველთაოდ ცნობილი პიროვნების მოღვაწეობა. მაგ. – ლევ ტოლსტოისა, როცა ის შემოქმედებისა თუ დიდების მწვერვალზე უარს ამბობს ყველაფერზე – უგვირგვინო მეფობაზე, გრაფობაზე და მწერლობაზეც კი, მიატოვებს ოჯახს და ცდილობს უგზო-უკელოდ „გადაპარგვას.“ ამ საქციელს მისი შემოქმედებისგან განსხვავებით, ჩვეულებივ, არ აღიქვამენ სათხოებად (5). აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: რა შემთხვევაში ითვლება განდგომა სათხოებად?

პირველყოფილია. გავიხსენოთ ამ მოაზროვნეთა მოღვაწეობის ძირითადი მომენტები, სათხოების რაობა და შემდეგ მათი ურთიერთშედარებით ვცადოთ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა. ბაგშვილიდანვე ზენობრივი მიღრეკილებებითა და ნებისყოფით გამორჩეული შვეიცერი დაიბადა 1875 წ. ზემო ელზასში, სასულიერო პირის ოჯახში. ის აღიზარდა მოსიყვარულე, მაგრამ მკაცრი მშობლების გარემოცვაში. ასეთ პირობებში გამოწრობილმა შრომისმოყვარეობამ და ნებისყოფამ ხელი შეუწყო მისი განათლებისა და კარიერის წარმატებულ წინსვლას. ის ამთავრებს გიმნაზიას, შემდეგ სტრასბურგის უნივერსიტეტს, სადაც სწავლობდა თეოლოგიასა და ფილოსოფიას. მუსიკისა და ფილოსოფიის შესწავლა მან განაგრძო პარიზში. 30 წლის ასაკში ის უპეე იყო აღიარებული თეოლოგი, დიდი იმედის მომცემი ფილოსოფოსი, მუსიკათმცოდნე, ორდანისტი და ორდანწყობის ოსტატი. ბახის შესახებ წიგნმა მას ეპროპული აღიარება მოუტანა. მაგრამ „დიდების მწვერვალზე ასასვლელთან ის უცებ ჩერდება.“ ფიქრობს, რომ ასეთ წარმატებასა და ბედ-

ნიერებას უნდა „სამაგიეროს გადახდა” და გადაწყვეტს უკლაფრის შეცვლას – ცივილიზაციას ცვლის შემწენარებლურ ქრისტიანულ სიყვარულზე და მიემგზავრება აფრიკაში. გამგზავრებამდე მას, რა თქმა უნდა, მოუხდა დიდი წინააღმდეგობის გადალახვა, მიუხედავად იმისა, რომ ეს გადაწყვეტილება უცემა არ მიუღია. ის ერთი წლის განმავლობაში ფიქრობდა მასზე და აანალიზებდა: შესწევდა თუ არა ძალა მის განსახორციელებლად.

1905 წ. პარიზში საფოსტო უუთში ის აგდებს წერილებს. ერთში იუწყებოდა, რომ ისსნიდა წმინდა თომას სემინარიის ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებლობას. მეორეთი კი თავის მშობლებსა და ახლობლებს აცნობებდა, რომ აპირებდა ამაგე სასწავლებელში სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტად ჩარიცხვას, რადგან მისი დამთავრების შემდეგ უნდოდა ექიმად აფრიკაში გამგზავრება. ამ ინფორმაციამ ა. შვეიცერის მშობლებსა და ახლობლებში დიდი აღშფოთება და მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რაც ხშირად აქტიური წინააღმდეგობის გაწევაში გადადიოდა. ზოგიერთმა ისიც კი დაუშვა, რომ ის „მსუბუქად შეირყაჭკუიდან.” მაგრამ ასეთი წინააღმდეგობანი კიდევ უფრო ამყარებდა მის გადაწყვეტილებას.

შვეიცერი შეუდგა მისი სპეციალობისგან სავსებით განსხვავებული საკმაოდ „მმიმე ხელობის” – მედიცინის შესწავლას. დაამთავრა სამედიცინო ფაკულტეტი. გაიარა პრაქტიკა, დაიცვა დისერტაცია ამ დარგში და 1913 წ. მეულლესთან ერთად გაემგზავრა აფრიკაში, დაბა ლამბარენში, რომელიც მისი ჩასვლის შემდეგ გადაიქცა საყოველთაოდ ცნობილ დასახლებად. ის ჩასვლისთანავე შეუდგა სამედიცინო პრაქტიკას, თავისი ხელით ააშენა საავადმყოფო, მკურნალობდა კეთროვნებსაც კი და ამ არჩევანის ერთგული დარჩა სიცოცხლის ბოლომდე. ჩამოდიოდა ეკროპაში, რჩებოდა რამდენიმე წლითაც, მაგრამ პირველყოვლისა იმისთვის, რომ ეშვივა სახსრები მისი აფრიკული საავადმყოფოსთვის. ეს დაწესებულება შემოგარენით თანდათან გადაიქცა მოზრდილ სამედიცინო ქალაქად და არსებობს დღესაც, ანუ მას შემდეგ რაც 1965 წ. გარდაიცვალა შვეიცერი. ის დაასაფლავეს იქვე – ლამბარენში. საავადმყოფო კი დღესაც განაგრძობს მუშაობას მისი მეგობრებისა და მიმდევრების წევალობით.

სამედიცინო პრაქტიკის ერთად შვეიცერი აქტიურად მონაწილეობდა ატომური იარაღის აკრძალვისა და მისი გამოცდის შეწყვეტისთვის. ამიტომ ის 1952 წ. დაჯილდოვდა ნობელის

პრემიით. მან კი ეს თანხა მოახმარა აფრიკაში დაარსებულ სა-ავადმყოფოს. შვეიცერი მისიონერობის პირობებში ახერხებდა მუსიკალურ და ფილოსოფიურ მოღვაწეობასაც. მისი ეთიკური მოღვაწეების „დედააზრი” სწორედ იქ დაიბადა (2,15). რა კავ-შირშია შვეიცერისეული „განდგომა” მის ფილოსოფიურ კონ-ცეპტიასთან?

ის თვლიდა, რომ ევროპული კულტურა ღრმა კრიზისშია. მისი ამ მდგომარეობიდან გამოყვანა კი შესაძლებელია მხო-ლოდ „მტკიცედ” დაფუძნებული ზნეობრივი პრინციპებით და მასზე დამყარებული მსოფლმხედველობის წყალობით (6,2,213), ანუ ისეთი ქრისტიანული მორალით, რომელსაც დაემყარება საერთოდ ცივილიზაცია. ის ევროპული კულტურის კრიზისის გამოვლენის ძირითად ნიშანად თვლიდა, მატერიალურის ბატო-ნობას სულიერზე, საზოგადოებისა – ინდივიდზე. ამ ეპოქაში მატერიალური პროგრესი აღარ სულდგმულობდა ამაღლებული გონიერივი იდეალებით, ხოლო საზოგადოებამ ინდივიდუალო-ბადაკარგული და დემორალიზებული ადამიანი დაიმორჩილა თავისი „ბორკილებით” – ინსტიტუტებით. სწორედ ამის შედე-გად მივიღეთ ორი მსოფლიო ომი – სიცოცხლის გამანადგურე-ბელი კველაზე დიდი უბედურება. ასე რომ ცივილიზაცია საფ-რთხედ მოგვევლინა, რადგან მან დაკარგა სიღრმე და ჭეშმა-რიტი შინაარსი, ანუ ადამიანის ზნეობრივი და სულიერი ამაღ-ლებისაკენ სწრაფვის ხელშეწყობა. ამით მან დაკარგა პოზიტი-ური დედააზრი – ის ორიგინირი, რომელიც ევროპული სამყა-როს პროგრესისაკენ სწრაფვას ყოველთვის ახასიათებდა, გან-საკუთრებით – აღორძინების ეპოქაში. რა იყო ამის მიზეზი?

შვეიცერის აზრით, ეს მოხდა იმიტომ, რომ ეთიკური იდეალი ახალ ეპოქაში დაფუძნდა ზედაპირულდად (2,214). ამო-ცანა მდგომარეობდა ამ ნაკლის გადალახვაში, ანუ იმის დამ-ტკიცებაში, რომ მსოფლმხედველობა და მასზე დამყარებული კულტურა უნდა ეფუძნებოდეს ეთიკას. შესაბამისად, შვეიცერმა სცადა ამის განხორციელება, მაგრამ – არა განყენებული, არა-მედ ყველაზე ცხადი რეალობის – სიცოცხლის საფუძველზე. ის თვლიდა, რომ ცივილიზაცია უნდა ემყარებოდეს არა აბ-სტრაქტულ დებულებებს, არამედ ყველას სიცოცხლისადმი თაყვანისცემას (იქვე215), თუ მას სურს პოზიტიური შინაარსი შეიძინოს და ადამიანს ემსახუროს. აქედან გამომდინარე, შვეი-ცერი ცდილობს რენტ დეკარტის განვენებული დებულების: „გაზროგნებ, მაშასადამე ვარსებობ,” შეცვლას და ადამიანის აზრის ტყვეობიდან გამოყვანას.

ის თვლის, რომ აზრი ყოველთვის მიმართულია რაღაც ობიექტზე. ხოლო ასეთ ყველაზე ელემენტარულ, უშუალო და მუდამ არსებულ ფაქტად გვევლინება არა აზრი, არამედ სიცოცხლის ნება. „მე ვარ სიცოცხლე სხვა სიცოცხლეთა შორის, რომელიც მიისწრავვის სიცოცხლისაკენ.” ასეთია შვეიცერის დეკარტისგნ განსხვავებული აქსიომა (იქვე-216). ამით მან ფაქტიურად გადაატრიალა მისი დებულება და ადამიანური თვითი-დენტიფიკაციის საფუძვლად აღიარა არა აზრი, არამედ არსებობა. შვეიცერის პრინციპი დეკარტის ტერმინოლოგიით შეიძლება გადმოიცეს შემდეგნაირად: „მე ვარსებობ, მაშასადამე, ვაზროვნებ.” შვეიცერი თვლიდა, რომ სწორედ სიცოცხლისადმი მისწრავების შემეცნებას მივყავართ მისდამი მოწიწების აუცილებლობის წვდომისა და სულიერი ამაღლებისაკენ. ამის შემდეგ პი ადამიანი იქცევა ეთიკურ პიროვნებად, ხოლო მისი მისწრავება სიცოცხლისადმი გადაიქცევა ზნეობრივ პრინციპად და ამოცანად: ის თაყვანს სცემს არა მხოლოდ საკუთარ, არამედ ყველას მისწრავებას სიცოცხლისადმი. ეს უნდა იყოს, შვეიცერის აზრით, ეთიკის, მასზე დამყარებული მსოფლებლებისა და კულტურის ძირითადი ამოსავალი პრინციპი (იქვე-217).

ასეთია ძირითადად შვეიცერის მოძღვრება და ის, როგორც ვხედავთ, განასახიერებს არა მხოლოდ ქრისტიანულ, არამედ ბედიზმისა თუ სხვა რელიგიის ზნეობრივ პრინციპებს. ამასთანავე, ის არსებითად გმოხვევა ეთიკური აზროვნების ისტორიაში სიკეთისა და ბოროტების შესახებ საყოველთაოდ მიღებულ პლატონურ, ნეოპლატონურსა თუ არეოპაგიტულ დებულებას (1,83-126): სიკეთედ ითვლება ის, რაც საკეთოლდევოა ადამიანისათვის, ხოლო – ბოროტებად ის, რაც ვნებს მას (4,35;2,217). როცა იგივე რეალობის სხვა სიტყვებით გამოთქმა სურთ, აღნიშნავენ, რომ ბოროტება არის ყველაფერი ის, რაც მიმართულია სიცოცხლის საპირისპიროდ, ხოლო სიკეთე – ის, რაც უზრუნველყოფს სიცოცხლეს და მის განვითარებას (4,21-22). აუცილებელია დავაზუსტოთ ისიც, რომ სიკეთედ ითვლება არა საკუთარ, არამედ სხის სიცოცხლეზე ზრუნვა. სწორედ ამიტომ და არა შემთხვევით ევროპული კულტურის კრიზისის გან გამოსაყვანად შვეიცერი მოითხოვდა: ყველას სიცოცხლის გარევული ნაწილი „მიეცა” გაჭირვებაში მყოფ ადამიანთათვის მათი სიცოცხლის „გასაკეთოლ შობილებდად” (2,211).

გვიქრობთ, უპვე გასაგები უნდა იყოს, რომ განხილული მსოფლმხედველობის ავტორი მხოლოდ მოძღვრების შექმნით

ვერ შემოიფარგლებოდა. მით უმეტეს, – ისეთ პირობებში, როცა თვლიდა, რომ ეთიკა შესაძლებელია არა როგორც ცოდნა, არამედ როგორც მოქმედება, ინივიდუალური არჩევანი, ქცევა. „ჰემმარიტი ეთიკა იწყება იქ, სადაც წყდება სიტყვების გამოყენება. სიტყვით იბადება მეცნიერული ცოდნა, ეთიკა კი სიტყვებით კვდება – ის მასში ისევე იყინება, როგორც მაგმა მთის მაღაროში. ეთიკა უნდა იბადებოდეს მისტიკიდან. მისტიკა კი არის მიწიერის შედწევა არამიწიერში, დროებითისა – მარადიულში. ეს მარადიული კი შეუძლებელია გამოითქვას სიტყვით, რადგან ის მხოლოდ ამქვენიური წარმაგალი რეალობის გამომხატველია” (2,218).

სწორედ ამ მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, შვეიცერი უარს ამბობს „აუკავებული ეპროპელის” ცხოვრებაზე და მას ცვლის აფრიკაზე, პროცესიულ შრომას – გაჭირვებულთა დახმარებაზე, მეცნიერისა და მუსიკოსის ბრწყინვალე კარიერას – ექიმის მოკრძალებულ ხევდრზე, ნათელ და წარმატებულ მომავალს – გაურკვეველ ცხოვრების ფულ პერსპექტივაზე. სახელდობრ, – ისეთზე, რომელიც უკავშირდებოდა დიდ სიძნელებს და გაუთვალისწინებელ საშიშროებას. როგორც ვხდავთ, შვეიცერი პირადი ინტერესების ან რაიმე სხვა გაურკვეველი უქმაყოფილების გამო კი არ „განუდგა” ცივილიზაციას, არამედ იმიტომ, რომ სურდა თავისი სიცოცხლის წყალობით თავად ამ „დაავადებული ცივილიზაციის და სხვათა სიცოცხლის გაჯანსხადება-გადარჩენა.” ეს კი სხვა არაფერია, თუ არა სიკეთე, რადგან აღინიშნა, რომ ის არსებითად არის საკუთარი სიცოცხლის „გაცემა” სხვის საკეთილდღეოდ. ამიტომ ითვლება შვეიცერი „სათხოების რაინდად”.

რა თქმა უნდა, მსგავს მიზნებს ემსახურება ლევ ტოლსტოის, ანუ ლიტერატურის გენიად წოდებული მწერლის შემოქმედება და ეს საყოველთაოდაა აღიარებული. მაგრამ ამისა-გან განსხვავებით მის „განდგომას” სხავადასხვაგვარ გაუგებრობას და ტრაგედიასაც კი უწოდებენ (5), მიუხედავად იმისა თუ რა ინტერესები ამორავებდა მას სიცოცხლის ბოლო წლებში. რა არის ამის მიზეზი? რატომ აღიქმება ტოლსტოის საქციელი შვეიცერის „განდგომისგან” განსხვავებულ მოვლენად? მიზეზი, რა თქმა უნდა, სხვადასხვაა და ის ამ მოაზროვნეთა ტემპერამენტსა თუ ასტროლოგიურ ნიშნებზეც კია დამოკიდებული, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე არსებითის შესახებ უკვე შეიძლება დავასკვნათ განსხილული საკითხების საფუძველზე: ტოლსტოის „განდგომა” იმიტომ აღიქმება არასათხოებად, რომ

სიკეთის არსი სხვის სიცოცხლეზე ზრუნვაა და სწორედ ეს არ „ჩანს“ ამ „განდგომაში“ მისი შემოქმედებისგან განსხვავებით. შესაბამისად, შემოქმედება აღიქმება პოზიტიურ, ანუ სიკეთის განმასახიერებელ მოვლენად, განდგომა კი არა.

ეგებ ტოლსტოი ისევ სათხოების ინტერსებიდან გამომდინარე განუდგა საზოგადოებას, რადგან იმედგაცრუებულს კვლავ ძალა მოვეკრიბა და უკეთესად აღესრულებინა საკუთარი მისია? განდგომის ჰეშმარიტი დედააზრი ხომ ისევ ადამიანზე ლოცვა და მასზე ზრუნვაა? ამის არაერთი მაგალითია ცნობილი ქრისტიან წმინდანთა ისტორიიდან თუ სხვა რელიგიებიდან. წმინდა სერაფიმე საროველი ხომ ისევ ადამიანებზე ზრუნავდა? ბუდა განდგომის პროცესში მიღწეული ნირვანის შემდეგ ხომ ბრუნდება ხალხში სანსარისა და ტანჯისაგან მათ გამოსახსელად. ეგებ ტოლსტოის მსგავსი რამ სურდა და არ დასცალდა – გარდაიცვალდ? ამის დაშვება, რა თქმა უნდა, სავსებით ლოგიკურია ქრისტიანული სათხოების განმასახიერებელი მისი გენიალური შემოქმედებიდან გამომდინარე. ამასთანავე, – იმის მიხედვითაც, რომ ის კარგად იცნობდა არა მხოლოდ ქრისტიანულ, არამედ აღმოსავლურ ფილოსოფიას, რელიგიასა და მისტიკას (5). მაგრამ ფაქტია მხოლოდ ის, რომ ეს ვერ მოახერხა და არ ჩანს მის „განდგომაში.“ კანონზომიერადვე, ის ვერ აღიქმება სათხოებად, მიუხედავად იმისა თუ რა დამსახურება აქვს მის შემოქმედებას.

როგორც ეხვდავთ, ადამიანური არსებობა იმართება რელიგიური, მისტიკური თუ კოსმიური შინაარსის მქონე ზეობრივი პრინციპებით: ქრისტეს საქციელის მსგავსად ის მოითხოვს სხვისთვის საკუთარი სიცოცხლის გარკვეულ ნაწილზე უარის თქმას და ამ კანონზომიერებას ვერ ცვლის პიროვნების გენიალური შემოქმედებაც კი. ამას ნათლად ადასტურებს არა მხოლოდ შვეიცერისა და ტოლსტოის მოღვაწეობა, არამედ კველასი და განსაკუთრებით ევროპული ფილოსოფიის ისტორია. ის იქმნებოდა გამორჩეული გონებრივი პოტენციალის მქონე მოაზროვნეთა მიერ და მათი რიცხვი საქმაოდ დიდია. მაგრამ ძალიან ცოტაა ისეთი ფილოსოფოსი, რომელის შემოქმედება და არსებობის ფორმა ერთმანეთს ემთხვევა, ანუ განასახიერებს ისეთ სათხოებას, რომელსაც მისი ფილოსოფია „ქადაგებს.“ ეს შესაბამისობა, რა თქმა უნდა, განისაზღვრება ფილოსოფოსის მთელი ცხოვრებით და ყველაზე მეტად კრიტიკული მომენტებით, ანუ ისეთი სიტუაციებით, როცა ყველაზე „მკაცრი გამოცდით ვერიფიცირდება“ ის. მაგ. ითვლება, რომ სოკრატე არსე-

ბობდა ისე, როგორც „ასწავლიდა.” ისმის კითხვა: მასთან ერთად რატომ არ ასახელებენ გენიოსად აღიარებულ არისტოტელებს, ან სხვა მრავალს. განხილული საკითხების საფუძველზე ერთ-ერთ ძირითად მიზეზად შეიძლება დავასახელოთ შემდეგი ფაქტი: ათენელების მიერ უდანაშაულოდ სიკვდილმისჯილი სოკრატე არ გაურბის სასჯელს – თავისი ხელით სვამს ჯალათის მიერ მიწოდებულ საწამლავს. სიცოცხლეზე საერთოდ უარის თქმით კი საბოლოოდ ამტკიცებს თავის უდანაშაულობასა და ზნეობრივ სისპეჩაპეს. არისტოტელე კი გაიქცევა, როცა ათენელები მას სასიკვდილო განაჩენს გამოუტანენ საბერძნეთის დამპყრობელი ა. მაკედონელის აღზრდის გამო. ის იტყვის, სასჯელს თავი ავარიდე იმისთვის, რომ ბერძნებს მეორედ არ ჩაედინათ ცოდვა ფილოსოფიის წინაშე. მაგრამ ამით არსებითად არაფერი იცვლება, რადგან სათნოება მხოლოდ სიტყვის კი არა სიცოცხლის „გაცემასაც” საჭიროებს და ეს ვერ მოახერხა მან. ამიტომ არისტოტელეს ვერ თვლიან სოკრატეს მსგავსი ზნეობის მატარებლად.

ამრიგად, სიკეთის არსებითი ატრიბუტი არის ჩვენი სიცოცხლის სხვისი სიცოცხლისა და კეთილდღეობისთვის „გაცემა”. თუ ადამიანური არსებობა და „განდგომაც” კი განასახიერებს ამ კანონზომიერებას, მაშინ ის აღიქმება სათნოებად. მაგრამ თუ ის ვერ განასახიერებს მას, მაშინ ის არ ითვლება სათნოებად პიროვნების გენიალურობის შემთხვევაშიც კი. ამ კანონზომიერებას ემყრება შვეიცერისა და სოკრატეს მოღაწეობა გარკვეული განსხვავების მიუხედავად. ამიტომ შვეიცერს „სათნოების რაინდის” უწოდებენ, სოკრატეს კი არა მხოლოდ ბრძენად ჩათვლიან, არამედ „წმინდანადაც.” მაგრამ არ გამოვლენილა რა სიკეთის კანონზომიერი შინაარსი არისტოტელეს „გაქცევაში” და ტოლსტოის „განდგომაში,” ისინი არ აღიქმება სათნოებად.

MIKHEIL KHALVASHI

A B S T R A C T

ALBERT SHVEICER AND THE PROBLAM OF VIRTUE

Essential attribute of goodness is giving of our life for others happiness and life. In the article it is stated, that if the human behaviour personifies this regularity of goodness, it is considered as virtue. But if it doesn't coincides to it human creativity isn't considered as virtue in the case of personal jeniusness. In spite of some difference Shveicer's and Sokrat's life is based on above-mentioned regularity, so Shveicer is called as the night of virtue and Sokrat is recognized not only as wise man, but saint as well. Regular content of kindness was not realized in Aristotelian "escape" and Tolstoy's "hermitation," so they are not considered as virtue.

ლიტერატურა

1. მახარაძე გ., არგობაგიტიკა, ინტელექტი, თბ., 2011.
2. Гусейнов А.А., Апресян Р.Г., Этика, Гардарики, Мос. 2005.
3. Платон, Сочинения в трёх томах, Мысль, М., 1968.
- 4.Фром Э., Психоанализ и этика, АСТ-ЛПД, М., 1994.
5. [htt // www. Men A.](http://www.Men.A/), История Русской религиозной мысли, Л. Н. Толстой.
6. [htt // www. Швецер A.](http://www. Швецер A.), Культура и этика.

6060 პიღურამე, გურამ ლორთიშვილის

ადრესრისტიანული (III-IV ს.ს.) სამარხები პიჰვინიაში

პიტიუს-პიტიუნტი, ქართული წყაროების ბიჭვინტა მდებარეობს ისტორიული კოლხეთ-ეგრისის ჩრდილო-დასავლეთ, ბიჭვინთის კონცხებ (სურ. 1), აფხაზებთში. მისი გეოგრაფიული კოორდინატებია, ჩრდილოეთის განედის $43^{\circ} 10'$, აღმოსავლეთი გრძედის $40^{\circ} 21'$. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილია ას. წ. I-VI ს.ს. ციხე-ქალაქი²² (სურ. 2). მიუხედავად იმისა, რომ რომის იმპერიის (ბიზანტიის), აღმოსავლეურ პროვინცია კაპადოკიის უკიდურესმა ფორპოსტმა 256/257 წწ. გამანადგურებელი დარტყმა განიცადა ჩრდილოეთ კავკასიონან შემოჭრილ ბორანთა ტომებისაგან, მას შემდგომშიაც არ დაუკარგავს თავისი სტრატეგიული მნიშვნელობა.²³ ის გარემოება, რომ პიტიუნტი IV საუკუნის დასაწყისში ქალაქის სტატუსს ინარჩუნებდა, მტკიცდება აქ საეპისკოპოსო კათედრის არსებობით. როგორც ცნობილია, საეპისკოპოები ამ დროს მხოლოდ ქალაქებში არსებობდა, ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობები ამ ქრისტიანული ოქმის ადრეული ეტაპის შესახებ.²⁴ ვიცით მხოლოდ, რომ პიტიუნტი იმპერიის დევნისტური ქრისტიანების გადასახლების ადგილს, ბოლო თავშესაფარს წარმოადგენდა. აქ რომ ფარულ ქრისტიანებს ნამდვილად უცხოვრიათ მოწმობს ბიჭვინთის სამარვანუებული გვრცელებული საფლავის ქვა სტელა, რკინის ჯვრის საიდუმლო სამალავით²⁵. როგორც ჩნას, III საუკუნეში აქ დაბანაკებულ დაეგიონერებს შორის ქრისტიანებიც ყოფილან. ქალაქში ქრისტიანების რიცხვი თანდათანობით იზრდებოდა, რადგან საჭირო გამხდარა ქვის, კაპიტალური ბაზილიკის ტიპის დარბაზული ეკლესიის აშენება. ეს ბიჭვინთის ადრექრისტიანული ოქმის ორგანიზაციული განმტკიცების, მისი მატერიალური შესაძლებლობების ზრდის მაჩვენებელია. ისევე როგორც ამ კათედრის საჭირობების ავტორიტეტისა. ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე მონაწილეობს 325 წლის ნი-

²² აფაქიძე ა., „დიდი პიტიუნტი“ – არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში. დიდი პიტიუნტი I თბ., 1975. გვ. 13-18.

²³ ლორთქიფანიძე გ., ბიჭვინტის ნაქალაქარი, თბ., 1991.

²⁴ დაწვ. იხ. მშვილდაძე მ., ადრეული ქრისტიანობის ისტორია, თბ., 2009.

²⁵ ლორთქიფანიძე გ., ადრექრისტიანული სტელა ბიჭვინთის სამარვინიდან. კრ. „ჩვენი სულიერების ბალაგარი“, II, თბ., 2010, გვ. 7-9.

კეის პირველი საეკლესიო ქრების მუშაობაში²⁶. ტრაპეზნის შემდეგ ეს ერთადერთი საეპისკოპოსო კათედრაა მთელ აღმოსავლეთ შავი და დასპირებული. რატომდაც საეკლესიო იერარქების ამ თავმრილობაში სინოპის ეპისკოპოსი არ მონაწილეობს.

ბიჭვინთის კანაბეში აგებული მოზაიქურ იატაკიან ბაზილიკას ჩვენ კონკრეტულად კონსტანტინე დიდის (306-337 წწ.) ეპოქას უკავშირებო, ხოლო ის რომ დარბაზული ბაზილიკა უშუალოდ ქალაქში გალავნის კედელთან შენდება, მისი უსაფრთხოებაზე ზრუნვით არის განპირობებული (ხუროთმოძღვარი იძულებული გამხდარა ბაზილიკის სამხრეთი ნავი, ჩრდილოეთ ნავთან შედარებით უფრო ვიწრო გაეკეთებინა, ის უშუალოდ ებჯინებოდა კანაბეს გალავანს). ამ ქალაქის პირველ ტაძარს მთავარი შესახლებული ჩრდილოეთის მხრიდან აქვს. ქალაქში შესახლებული, აქვე გალავანში, მცირე (ხუთკუთხა კოშების ჩრდილოეთი) კარია. საშიშროების შემთხვევაში, ისევე როგორც დამო, ჩვენ მიერ გამოვლენილი ეს „კუტი კარი“ იყენებოდა. რიგორც ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ქრისტიანობა ოფიციალური, სახელმწიფო რელიგიაა, გალენია უსაფრთხოების მიზნით გადავით დაცულ, ქალაქის ტერიტორიაზე იგება. მის გარშემო, ისევე რიგორც თავად ტაძარში სამარხები არ არის მიკვლეული (მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მკვლევარი ნაქალაქრის ამ ადრეულ ბაზილიკას მორგარიუმად მიიჩნევს²⁷).

ქრისტიანების სამარხები, ეკლესიებსა და მათ მიმდებარე ბიჭვინთის კონცხზე ძვ. წ. V-VII სს. ჩნდება. ბიჭვინთის ნაქალაქარზე 1984-1990 წწ. ჩატარებულა არქეოლოგიურმა გათხრებმა გვიჩვენა: III-IV სს. წარმართები და ქრისტიანები ერთ საქალაქო სასაფლაოზე იკრძალებორნენ, მათთვის გამოყოფილ უბნებზე. ჩვენს მიერ გათხარა 447 სამარხი. სამაროვანი მდგრადიებს რომაული სიმაგრის, კასტელუმის სამხრეთ-დასავლეთით, სწორ ველზე. მისი ფართობი 3,5 ჰექტარია. სამარხეული ორმოები გაჭრილია კოდროვან და 40 სმ სისქის მოშავო მიწის ფენაში და მის მომდევნო ზღვიური წარმოშობის ქვიშანარზი. გრუნტული მიწისქვეშა წელების (0,80 მ -1 მ). სამარხის წამყვანი ჯგუფი რომოსამარხებია. ჩვენს მიერ გათხარა ამ ტიპის 218 სამარხი, აქვდან 114 ინვენტარიანია, 104 უინვენტარო. მიცვალებულების დიდი უმეტესობა ზურგზე დაუწევიათ, გაშოტილ მდგრმარეობაში. დამხრობა ქვეყნის მხარეების მიხედვით ასეთ სურათს იძლევა: დასავლეთი – 37; აღმოსავლეთი – 11; ჩრდილოეთი – 10, სამხრეთი – 11; ჩანს, რომ ქრის-

²⁶ გეორგია, I, ბიზანტიული მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I ტექსტები ქართული თრგმნითურთ გამოსცა, კომენტარები დაურთო ს. ყაუხეჩიშვილმა, თბ., 1961, გვ. 6, 7.

²⁷ Леквинадзе В., О древнейшей базилике Питиунта и ее мозайках., Вестник древней истории., М., 1976, №2, с. 189.

ტიანული დაქრძალვის წესი ჯერ მკაცრად არ არის კანონიზირებული. ამაზევე მეტყველებს გულტე ხელვის დაქრეფის წესი (სურ. 3,4).

ნიშანდობლივია III-IV სა-ის სამარხებში დასაკრძალავი ონგენ-ტარის მკვეთრი შემცირების წესი. ქრისტიანებს აღარ ატანენ მინისა და თიხის ჭურჭელს. სამარხებში გვხვდება ტანსაცმელთან დაკავშირებული საგნები: საკინძები, დილგბი, საქამრე ბალთები, აბზინდები, მძივები. №330 სამარხეში აღმოჩნდა რენის ნაჭელი ჯვარი, ჭურჭლის ფრაგმენტები; გულმკერდის არეში ნაპოვნია ვეცხლის მონეტის ფრაგმენტები. სამარხების უმრავლესობა საქალაქო მოსახლეობის დაბალი ფენის წარმოადგენდებს უნდა ეკუთვნოდნენ. ისინი ხის კუბოში იკრძლა ებოდნენ, რომლებიც მსხვილი რენის ლურსმნებით ყოფილა შეჭედილი. შედარებით შეძლებული ფენის წარმომადგენდებს შეიძლება მივაკუთვნოთ კირსენარის სქელი ფენით დაფარული სამარხები. არქეოლოგიური მონაცემების თანახმად მეცუთე საუკუნის 70-იან წლებში ქალაქი პიტიუნი დანგრეული და გადამწვარია პუნების მიერ. დანგრეულია კანაბეში განლაგებული საეკლესიო ნაგებობები. საეკლესიო ცხოვრების აღორძინება შეინიშნება VI-VII სს.

Nino Kiguradze, Guram Lortkipanidze

Early Christian Age (II-IV c. A. D.) Burials in Bichvinta

Pitius-Pitiunti, according to Georgian sources, Bichvinta is located at the northern-western part of historical Kolkheti-Egrisi, at Bichvinta cape (Picture 1), i. e. in a modern Abkhazia. Its geographic coordinates are the following ones: the northern latitude - 43°, 10', the eastern longitude - 40°, 21'. As a result of archeological excavations, there were detected a fortress of I-VI cc. A.D. (Picture 2). Despite the fact that this remote outpost of Cappadocia, the eastern province of the Rome Empire (Byzantium), suffered from destructive impact made by the borans' tribes invaded from the northern Caucasus in 256-257 A. D., it further managed to maintain its strategic importance. The circumstance that Pitium had a town status in the beginning of IV century, is confirmed by existence of a bishop's diocese. As it is known, at those times episcopacies were established in towns only. We have not got data about early period of the abovementioned Christian community existence. We are just aware that Pitium constituted the final shelter for persecuted Christians of the Empire. The fact that escaped Christians lived there indeed is confirmed by the stone obelisk with the crypt, containing an iron cross detected in a vertical grave of Bichvinta burial. It seems that some of legionaries who made camp there in III century were Christians. Number of Christians living in the town had been gradually increasing as it was necessary construction of a stone hall church of a capital basilica type. It was exponent of Bichvinta Christian community organizational establishment as well as index of its financial capabilities improvement. Besides, it testified authority of Bichvinta diocese chief. Bichvinta episcopate Stratofile participated in Nikea First Church Council, which was

held in 325. Besides, Trabzon episcopacy, Bichvinta diocese is the only one in the whole eastern coast of the Black Sea. By unidentified reason Synope episcopate did not participate in this meeting of ecclesiastic hierarchs.


We consider that the mosaic floored basilica laid in Bichvinta canabe was created during the Constantine Great emperorship (306-337); the fact that a hall basilica was constructed directly within the town fencing walls (Picture 3) was substantiated by taking care for its safety (a chief architect had to make southern wing of the basilica narrower than the northern one. It directly bordered with the canabe fence). The first temple of the town had the main entrance located northward. There was also located a small entrance door (northward from a pentagonal tower) in the fencing. We revealed that this door could be locked at night or when it arose some or another threat. It is evident that despite the fact that at those times Christianity was an official state religion, the church was built within the town territory defended with fencing, which was done for a safety purpose. Burials around it as well as those in the temple itself have not been investigated yet (despite the fact that some researchers considered the basilica of this former town a shrine).

Christian burials and churches founded out at Bichvinta cape and at the adjoining territory are dated by V-VII centuries A. D. The archeological excavations carried out at Bichvinta ruins in 1984-1990 showed that in III-IV centuries pagans and Christians were buried at the same cemeteries, in separate sectors of those. We have excavated 447 graves. Burials are located at the southern-western direction from the castle, on an even valley. Its area makes up 3.5 hectares. Burial pits are dug in the blackish ground layer, which is 40 cm thick and further in the sandstone of the sea origin. Main part of ground subsoil waters (0.80 m - 1 m) burials constitutes burials of a pit form. We have excavated 218 graves of the abovementioned kind, 114 of which were furnished with various accessories, while 104 others were not. Almost all dead are put on their backs, with their bodies straightened. Positioning towards the cardinal points are the following ones: westward – 37, eastward – 11, northward – 10, southward – 11; it is obvious that the Christian funeral order was not strictly established at that time yet, the same is testified by the habit to fold hands of the dead at their chests (Pictures 4,5).

It is noteworthy that in III-IV centuries it has been observed tendency for significant decrease of the burial accessories number. There were not put glass and clay dishes in Christian graves any more. We have founded the things related to clothes in the burials: pins, buttons, belts, plates, beads, etc. There were found a forged cross and dish fragments in a grave #330; there were also found silver coin fragments in the chest area. We may deduce that most part of the graves were intended for the town inhabitants of socially low level. They were buried in wooden coffins, fixed with large iron nails. We may appraise as representatives of relatively well-off inhabitants' strata those who were buried in the graves covered with thick layer of limestone. According to archeological data, the city of Pitium was destroyed and burnt by Huns in 70-ies of the fifth century. Church buildings located in the canabe were also demolished. Renaissance of the ecclesiastic life had been observed in VI-VII centuries.



სურათი № 1



სურათი № 2

რომისაბანებები ინდუსტრიალური - მიცვალებულოւა პრიზა												რომისაბანებები ურბანური - მიცვალებულოւა პრიზა											
0 25	0 13	0 8	0 4	0 3	0 	0 13	0 5	0 8	0 9	0 3	0 1	0 1	0 1	0 1	0 1	0 1	0 1	0 1	0 1	0 1	0 1	0 1	
0 1	0 1	0 1	0 1	0 4	0 2	0 4	0 1	0 1	0 1	0 3	0 1	0 1	0 1	0 1	0 1	0 1	0 1	0 1	0 1	0 1	0 1	0 1	
0 1	0 1	0 4	0 4	0 1	0 3	0 1	0 1	0 1	0 1	0 2	0 1	0 1	0 1	0 1	0 1	0 1	0 1	0 1	0 1	0 1	0 1	0 1	
0 1	—	0 1	0 1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—

სურათი № 3

სურათი № 4

ლომის სიმბოლოს განსაზღვრისათვის
ბანტიადის სტელაზე

ადრეკერისტიანული პერიოდის საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ერთ-ერთ ელემენტს წარმოდგენს V-VIII სს. საქართველოში გაფრცელებული სტელები, რომლებიც, მეცნიერთა თვალსაზრისით, საკულტო-მემორიალური ძეგლები გახდათ. მათ პირვენება ან ოჯახი აღმართავდა ეკლესიასან დამოუკიდებლად, წმინდა ადგილას, ზოგჯერ მის სიახლოებებისაც და პირველ ხანებში მათთან წარმოებდა დვოისმსახურება²⁸ (მაჩაბელი 1998: 318; ჯავახიშვილი 1998: 5; ჩუბინაშვილი 1972: 34-35). მეორე მხრივ, კ. მაჩაბლის მოსაზრებით, სტელა „საქართველოს ფეოდალური წრეების – აზნაურთა სოციალუ-

²⁸ ასეთი სალოცავი ჯვრების აღმართვის პირველი შემთხვევები საქართველოში „ნინოს ცხოვრების“ დანახმად, წმინდა ნინოს ქართლში საგანმანათლებლო საქმიანობას უკავშირდება. მაგრამ, ზოგადად სტელების, როგორც საკულტო-მემორიალური ძეგლების გამოყენება ცნობილი უნდა ყოფილიყო მახლობელი აღმოსავლეთის ხალხებში უკვე დიდი ხნით ადრე, რისი საინტერესო მითოება ბიბლიაშიც მოიპოვება. მაგალითად, საინტერესოა იაკობთან დაკავშირებული ამბავი: ხარანში მიმავალ იაკობს გზად ჩაძინების დროს „ესიზმრა მიწაზე კიბე დგას და თავი ცას სწვდება. უფლის ანგელოზები ადინამოდიან კიბეზე. აპა, უფალი დგას კიბეზე და ეუბნება: მე ვარ უფალი, ღმერთი აბრაამისა, მამაშენისა, და ღმერთი ისააკისა. ეს მიწა, რომელზედაც წევხარ, შენთვისა და შენი შთამომავლობისთვის მომიცია. . . აპა, შენთანა ვარ და ყველგან დაგიფარავ, სადაც კი წახვალ. . . გამოიფხილა იაკობმა ძილისაგან და თქვა: ნამდვილად უფალი ყოფილა ამ ადგილას, მე კი არ ვიცოდი! შეშინდა და თქვა: რა საშიში ყოფილა ეს ადგილი! სხეს რა უნდა იყოს, თუ არა უფლის სახლი; ეს ცათა კარიბჭეა! ადგა დილადრიან იაკობი, აიღო ლოდი სასოფლაო რომ ედო, აღმართა სვეტად და ზედ ზეთი დაღვარა. უწოდა სახელად იმ ადგილს ბეთელი (სახლი დვოისა)“ (დაბადება 28:12-19).

რი და კულტურული ძეგლების შესანიშნავ იღუსტრაციას“ წარმოადგენდა (მაჩაბელი 1998: 318).

შეცნიერთა მიერ საქართველოში გამოყენილი სტელების დათარიღების მიხედვით, მათი გავრცელება V საუკუნიდან იწყება და დამასასიათებელია შიდა და ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთი-სათვის, თუმცადა, ცალკეული სახით გვხვდება ძახოშიც (მაგალითად, სოფ. ჭერემის წევრო დაბალის ეკლესია (Чубинашвили 1972: ჯავახიშვილი 1998: 25, გამ.I,1-4) და დავით-გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის სტელები (VI-VII სს.) (Чубинашвили 1972: 90, თაბ.64-67)). ისინი შედგებოდა ქვის ბაზისა და სვეტისაგან, რომელიც ჯვრის გამოსახულებით ბოლოვდებოდა. შეცნიერთა კვლევებმა დაადასტურა, რომ ქვასევებების ოთხივე წახნაგი გაიაზრებიდა ერთიან კომპოზიციურ მოლიანობად, რომლის ყოველი ელემენტი მნიშვნელოვანი იყო რელიეფურ სახეთა ასამბლეში. ამ გააზრებული კომპოზიციის არც ერთი დაწალი არ იყო შემთხვევით და თოთოველი ემსახურებოდა რელიეფური ცნებების ასახვას (მაჩაბელი 1991: 86-87). ამ კომპოზიციებსა და დაწალებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აღვილი ეკავა სიმბოლოს, რომელთა სწორი გააზრება საუკუნეთა შემდეგ სტელაზე ასახული თეოლოგიური ხედვის შეცნობის ერთ-ერთი გასაძებია.

განთიადის სტელა 2003 წელს აღმოჩნდა სოფლის გზის ნაპირას (ტომონიმ ნაგზაურთან) გათხრილ სატაძრო კომპლექსში შემავალი, მცირე ზომის, ტაძრის ინტერიერში.

წითელი ტუფისგან გაკეთებული სტელა, რომელიც სიმაღლეში 110 სმ-ია, ხოლო თითოეული წახნაგის სიგანე 20-25 სმ მერყეობს, ორი ნაწილისაგან შედგება: სტელის სვეტისა და კაპიტელისგან, რომელსაც ზედა მხრიდან, შუაში გაკეთებული აქვს კვადრატული ფოსო ქაჯვარის ჩასაძგმელად.

სტელის ოთხივე გვერდი დამუშავებულია და მათზე შემდგენი თანმიმდევრობითაა სიუჟეტები ამოკეთილი: კაპიტელის დასავლეთ წახნაგზე მოცემულია ტახტზე დაბრძანებული დვითსმშობელი, რომელსაც კალთაში მიწოლილი ჰყავს პატარა იქსო. წახნაგის სამხრეთ ფასადზე მოცემულია ორი საერო პირის ფრონტალური გამოსახულება, რომელთაგან ერთს აღმართულ ხელში ჯვარი უკავია, ხოლო მეორეს, ასევე აღმართულ მარჯვენაში, – შროშანი (სურ.1). კაპიტელის ჩრდილოეთ წახნაგზე ლომია გამოსახული, ხოლო აღმოსავლეთისაზე – ფარშევანგი (სურ.2). სტელის სვეტის დასავლეთი წახნაგი სამ ნაწილადადა გაყიფილი და მასზე შემდეგი თანმიმდევრობითაა სიუჟეტები წარმოდგენილი: სულ ზემოთ ნათლისძება, მის ქვემოთ ორი პიროვნება, რომელთა გინაბადა გაურკვეველია რელიეფის დაზიანებულობის გამო, ხოლო სულ ქვემოთ მოცემულია ასევე ორი პიროვნების ფრონტალური გამოსახულება, რომელთაც მათ ზემოთ წარმოდგენილი პირების მსგავსი ტანისამოსია აცვიათ. არის მოსაზრება, რომ ისინი მკურნალები კოზმა და დამიანე უნდა იყვნენ (მაჩაბელი 2007: 36-37) (სურ.1). სვეტის სამხრეთი ფასადი პალმებური ორნამენტითაა დაფარული, ჩრდილოეთი წახნაგის მთველ სიგრძეზე მოცემულია ვარდულთა მედა-

ლიონების მწერივი, ხოლო აღმოსავლეთი ფასადი სადაა. სტელა შესწავლილი და გამოქვეყნებული აქტს კ. მაჩაბელს, რომელიც მას VI ს. დასასრულით ათარიღებს (მაჩაბელი 2007: 42).

განთიადის სტელა ღრმა თეოლოგიური ცოდნის შედეგია, რომელშიც თითოეული უმცირესი დეტალიც კი დიდი სიმბოლიზმითაა დატვირთული და აძლენად, ცალკე პლატანის მოითხოვს. ამჯერად გვსურს, სტელაზე მოცემული სიმბოლოებიდან ერთ-ერთზე – ლომზე – შევაჩეროთ ყურადღება.

ლომის სტელის კაიბერელის ჩრდილოეთ წახნაგზე გამოსახული მარჯვენა პროფილში, მწოდიარე, თავი უკან აქტს მიბრუნებული (სურ.3). ცხოველს ოვალურ ჭრილში ჩასმული წერტილით გადმოცემული თვალი, მრგვალი დრუნხი, გახსინდ კილებში გადმოგდებული ენა და პატარა აცქვეტილი ყური ახასიათებს. ყურიდან ყელამდე შემოსდევს ორ კონცენტრულ ზოლში ჩაწერილი დახრილ ხაზიანი ორნამენტი (თოკისებურ გრეხილი მედალიონის ნახევარი), რომლიყანაც გამოიშლება აქტის ნახევარმთვარისებრი სხივი – ფაფარის მინიშნება. სხივები თანმიმდევრულად ზრდადია ზემოდან ქვემოთ და თითოეული გოფრირებულია (4-დან 10 გოფრამდე). საერთო ჯამში, ფაფარი ნახევარმთვარის ცორმის სხივებით გადმოცემული მზის შთაბეჭდილებას ქმნის. ცხოველს ოთხივე ფეხის ჩლიქი უნდა ჰქონოდა გამოკვეთილი, მაგრამ ამჟამად, ფასადის დაზიანებულობის გამო, მხოლოდ წინა ერთ თათზე აქტს შემორჩენილია. კუდი გავას შორისაა მოქცეული, მარჯვენა, უკანა ფეხს წინიდან უკლის და პალმეტისებური ბოლოთი ფერდზე ამომართება. ლომის ფიგურის თავზე, კაპიტელის ამ გვერდის მთლიან კიდეს ცერადგვეთილი სამკუთხედების ორნამენტი გასდევს. ცხოველის ფეხებს შორის, კაპიტელის ქვედა კიდეში შემორჩენილია სომხური წარწერა, რომელსაც ზ. ალექსიძე კითხულობს როგორც: „მე, სარგის, მონა დმრთისა“ წარწერა მოგვიანო, IX ს., მინაწერს წარმოადგენს, რომელიც ქართულ წარწერაზე გადაუწერიათ. ამჟამად, ქართული გრაფიკების ამოკითხვა ჭირს, რის გამოც, მისი შინაარსიც უცნობია (დმანისური სტელა 2003: 66).

ლომის გამოსახულების ქვემოთ მთელ ფასადზე ჩაჭრილ დაბალ ფონზე მოცემულია სამმაგი ლილების ურთიერთგრეხვით შექმნილი ხეთი მედალიონი, რომლებშიც ჩასმულია ვარდულები, მათგან კიდებში მდებარე ვარდულები რვაფურცლოვანია, ცენტრში მდებარე – 6, ხოლო დანარჩენი ორი 7 და 8 ფურცლოვანი. მედალიონებს შორის დარჩენილი სივრცე შეესილია პალმისებური ორნამენტით.

ლომის სახე აღრექრისტიანული ხანის ქართულ ძეგლებზე რამდენიმეა ცნობილი. ის მოცემულია ზემო თმოგვისა და უსანეოს სტელებზე (VIII-IX სს.) ბიბლიური სიუკეტის – „დანიელი ლომების ხართში“ – გადმოცემისას (მაჩაბელი: 2008: 9; ცუბინაშვილი 1972: თაბ.88). ლომი წარმოდგენილია ბოლნისის სიონის და წოფის კაპიტელებზე, ანაკოფის, ხოსუმის გორისა და ქსნის არმაზის რელიეფებზე (ცუბინაშვილი 1940: 155, რიც. 91; ცეიტიშვილი 1960: 89-90; ხრუშკოვა 1980:

28-31; ყიფიანი 2000: 93). მაგრამ განთიადის სტელის ლომი სტილისტურად ძლიერ განსხვავებულია მათგან. მხოლოდ დრუნჩის, თვალის, გავისა და უკანა ფეხის ერთგვარი მსგავსება აახლოვებს მას ბოლნისის სიონის კაპიტელის ლომებთან. განსხვავებული უნდა იყოს მისი სემანტიკაც.

ქრისტიანულ სიმბოლიკაში ლომი რამდენიმე დატვირთვის მატარებელია. მისი, როგორც დკოსტიტუტივი ბუნების მატარებელ ცხოველად მჩნევა, უპირველეს ყოვლისა, მის ძალასთან იყო ასოცირებული, კანის ფერმა კი იგი მზესთან დააკავშირო (Encyclopédies . . . 1998: 365-367).

ძველ აღმოსავლეთში, ჩათალ-ჰუკის ნამოსახლარიდან მოყოლებული, იგი ქალღვთაების, ხაყოფიერების დავთაების წმინდა ცხოველია (მაგ. იშტარი). საბერძნეთსა და ფრიგიაში მას უკავშირებდნენ ქალღმერთ კაბელას – ღმერთების დიდ დედას. სპარსეთში ლომები, როგორც მცველები, უძველესი დროიდან გამოისახებოდნენ ტაძრებისა და სახლების შესასვლელთან. გარდა ამისა, ფართოდ იყო გავრცელებული ლომის ბრძოლის სიუჟეტები სხვა ცხოველებთან (ირამთან, ხართან), რაც აისხებოდა როგორც სინათლისა და სიბნელის ბრძოლა, ან მარადიული განახლების გამოხატულება. იმავე დროს, ლომი იყო მითრას სიმბოლოც (Encyclopédies . . . 1998: 365-367; ბორისოვ. . . 1963: 34; ლორთქიფანიძე 1972: 10-11,37; ყიფიანი 1995: 10-21).

მისი კულტის არსებობა საქართველოშიც ფიქსირდება, როგორც არქეოლოგიური მასალით (ოქროს ლომის ქანდაკება წნორის ყორდანიდან (ჯაფარიძე 1998: 121), ქვ. IX-VII სს. ბრინჯაოს სარტყელი ტაკიას სამაროვნიდან (ხიდაშელი 1982: 18-24), კოლხეური ოთორი (ლორთქიფანიძე 2002: 196-197)), ისე წერილობითი წყაროთიც: ფლავიუს არიანეს განცხადებით ფაზისის ქალღვთაება ფაზიანე, რომლის ქანდაკება ქალაქის შესასვლელში იდგა და ნაყოფიერების დიდ დედას პეგაზდა, ორი მცველი ლომით იყო წარმოდგენილი (ფლავიუს არიანე 1961: 39,68).

ლომის სიმბოლო უცხო არ იყო ებრაული სამყაროსთვისაც, სადაც იგი, ერთი მხრივ ძალის, ძლიერების, სიბრძნის განსახიერებას წარმოადგენდა (იგი იუდას შთამომავალთა გამოხატულებაა), მეორეს მხრივ კი იმათი მეტოქე იყო, ვისაც ღმერთი მფარგველობდა (დანიელი) (დაბ. 49:9; გამოც. 5:5; დაბ. 6:17,23).

ქრისტიანული სიმბოლოების შესწავლისას XIX ს. მეორე ნახევრასა და XX ს. დასაწყისში მკვდევარები ა. ფონ ფრიკენი და ა. უვაროვი შენიშვნებინან, რომ ლომის წარმართული სიმბოლიკა თითქმის დავიწყებული იქნა პირველი ქრისტიანების მიერ და ქრისტიანობაში იგი ებრაულებიდან შევიდა, როგორც ძლიერი და ყერადღების მცველის გამოხატულება. საფუძვლად კი უნდა დასდებოდა ბიბლიაში დაცული ცხობა, რომლის თანახმადაც, სოლომონმა მამის რჩვით ლომების ოქროსა და ვერცხლის სკულპტურები უფლის ტაძარში დაადგმევინა (3 მეტეთა 7:29,36). ამ მნიშვნელობის გამომხატველი უნდა იყოს მათი გამოჩენა ადრექრისტიანულ სარკოფაგებზეც (Фрикен 1877: 86-88;

Уваров 2001: 243-244). ოუმცა, უკვე II საუკუნიდან, როგორც ამას ტერ-ტულიანებს სიტყვებიც მოწმობს (იგი მამაც ეპისკოპოსებს მშვიდობის დროს ლომებს უწოდებს, ხოლო ბრძოლაში – ირმებს: „მე ვცან ისინი – მშვიდობაში დომინი და ბრძოლაში ირმები“ (Уваров 2001: 243-244)), ქრისტიანობაში დომის თანდათან უნდა შეეძინა სხვა დატვირთვაც და დაკავშირებოდა იმ წარმართების სახელს, რომელთა მოქცევა ჰქეშმარიტ რჯულზე იქსო ქრისტემ თავისი ქადაგებითა და სასწაულებით მოახერხა.

ადრექრისტიანული ხანის მახლობელი აღმოსავლეთის ხელოვნებაში ფართოდ ვრცელდება ლომის გამოსახულებიანი სიუკეტები, რომელშიც ლომები ირმისნაირთა და ძროხისნაირებოთან დაპირისპირებულ არსებებად გვევლინებიან (Olszewski 1995: 25-26; Balty 1991: 34-35). მსგავსი სიუკეტები, რომლებიც სასანური ირანის გავლენის გამოძახილადაა მიჩნეული, საქართველოშიც გვხვდება. კერძოდ, იგი წარმოდგენილია ბოლნისის სიონისა და წოფის კაპიტელებზე, რომლებზეც ლომის სიმბოლო, სასანური კულტურის გავლენით აისხიება და მცველის რანგში განიხილება (მაჩაბელი 2007: 29). პირველ შემთხვევაში უკანა თაოებზე ჩარჩქილ ორ ლომს მომწერლებული ყავს ირმისნაირთა ოჯახის ცხოველი, რომლის ზურგს უკან ფოთლოვანი ხეა მოცემული. წოფის რელიეფზე კი ორი გააფთრებული ლომი ირმებს მისდევს, რომლებიც სიცოცხლის ხისკენ გარჩიან. თუ თვალს გავადევნებთ ორივე რელიეფის სიუკეტს (სიცოცხლის ხე, რომელსაც წარმართულ ქართულ პანთეონში ნაყოფიერების ძალა მიეწერებოდა (ჩიტაია 1941: 139), ირმის ოჯახის ცხოველები, რომელთა რქები ნაყოფიერების ხედ აღიქმებოდა და ამიტომ, ხშირად ცვლიდნენ ხეებს (ფანცხავა 1988: 41; სურგულაძე 1986: 107)), მაშინ მათზე გამოსახული ლომები შესაძლოა გაგებულ იქნეს, როგორც სიცოცხლის ხის ორივე მხარეს გამოსახული ანტიპოდებიც (დიდმელაშვილი 2010: 104-105). ერთი შეხედვით, განთიადის ლომი ბოლნისის სიონისა და წოფის ლომების მსგავსი სემანტიკის მატარებლად მოჩანს, თუნდაც მათთან ცალკეული დეტალების მსგავსების გამო (უკანა ფეხებზე დაყრდნობილი, კბილებდაკრეჭილი და ენაგადმოგდებული), მაგრამ მისი სიმბოლოს განსაზღვრისათვის, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია კიდევ ერთი განმარტება.

კერძოდ, ქრისტიანულ სიმბოლიკაში ლომის სიმბოლოს ფორმირებაზე დიდი გავლენა იქმნია ფიზიოლოგიამ – ცხოველთა თვისებებზე შედგენილმა წიგნმა, რომელსაც მეცნიერები პარალელებს უქმნიან კლემენტი ალექსანდრიილის სწავლებებთან და ფართოდ გაგრცელებული გახლდათ ქრისტიანულ სამყაროში (ზუსტი თარიღი როდის შეიქმნა ეს წიგნი არა ცხობილი. ვარა უდინებენ, რომ იგი II-IV სს. მონაცემში ეგვიპტის ალექსანდრიიდაში უნდა დაწერილიყო ბერძნულად, ხოლო იმავე IV საუკუნიდან თარგმნილიყო ლათინურად. ამჟამად, ყველაზე მველი ხელნაწერი, რომელიც ლათინურენოვანია, X ს. თარიღდება) (Physiologos 2004: 10-16). ამ წიგნის თანახმად, ლომი, თავისი თვისებების გამო, ქრისტეს სიმბოლოდ გვევლინება: ლომს შეუძლია ეძონოს და მაინც ხედავდეს. როგორც იქსო ქრისტეს, სულიერ ლომს,

რომლის სხეულმაც მიიძინა ჯვარზე, ხოლო დეთაებრიობა ფხიზლობს მამის გვერდით. „როცა დომი შობს ბოკერის, - ნათქვამია ტექსტში, - ბოკერი მევდრად შობილია. და დომი დარაჯობს მას, ვიდრე მესამე დღეს არ მოვა ხვადი, არ შთაბერავს სუნთქვას და არ გააცოცხლებს ბოკერს. ასევე ყოვლისშემდეგ დმერთიც, რომელიც მესამე დღეს მკვდრეოთ ადაგენს თავის ძეს, უფალს ჩვენსას იქსო ქრისტეს, კაცობრიობის მხსნელს“ (Physiologos 2004: 53-55). იქნია თუ არა აღნიშნულმა წიგნმა გავლენა ამ სტელის შექმნაზე, მნელი სათქმელია. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ქრისტიანობის აპოლოგებრია სწავლებები ადრეფერალური ხანის ქართულ ხასულიერო ძეგლებზე გამოძახილს პოულობს (მაგალითად, ბიჭვინთის მოზაიკა) (დიღმელაშვილი 2010: 94-98). მეორე მხრივ, სტელაზე გამოსახულ ლომში უფლის სიმბოლოს დანახვა, შესაძლოა არ იქნა აზრს მოკლებული, რადგან თემატურად იგი ზუსტად მიესადაგება სტელის კაპიტელის დანარჩენ სიუკეტებს: ერთი მხრივ დვორისმშობლის ყრმით, მეორეს მხრივ აღდგომის მოზემშე თუ მაუწყებელ ქტიტორთა და ადგილის თავმიბრუნებული, შესაძლოა ლომის უფალოან და ადგიგმასთან სიმბოლურ კავშირზე მიუთითებდეს. ამ მოსაზრების სასიკეთოდ უნდა მეტყველებდეს ლომის გამოსახულების თავზე, კაპიტელის კიდეზე მოცემული სამკუთხედების ლილვი, რომელიც აღრეკრისტიანული ხანის ქართულ რელიეფებზე ბოლნური მედალიონების ერთ-ერთი მახასიათებელი გახდავთ. წვეულებრივ, ქრისტიანობაში სამკუთხედი სამების გამოხატულებას წარმოადგენს (Апостолос-Каппадона 2000: 218) და მისი გამოსახვა განთიადის სტელაზე მაიცვდამაინც კაპიტელის იმ წახნაზე, სადაც ლომია მოცემული, კვიქრობთ, ხაზს უნდა უსვამდეს ლომის სწორედ მასთან კავშირს. ამავე ნიშნით გამოვყოფით ლომის კისრის წინა მხარეს მოცემულ თოკისებურად გრეხილი მედალიონის ნაწილს, რომლიდანაც მზის სხივისებურად ლომის ფაფარი იშლება. თავისი ორნამენტით იგი პირდაპირ პარალელს პოულობს ბოლნური ჯვრის მედალიონებთან (მაგალითად, ბოლნისის სიონის, სამწევრისის, ბალიჭის სტელების, უკანგორის რელიეფის ბოლნური ჯვრები და სხვ. (ჯავახიშვილი 1998: 10,17; ჯაფარიძე 1982: ტაბ.XXXI,XLVIII), რაც, კვიქრობთ, იმის მინიშნება უნდა იქოს, რომ ოსტატი ლომის ჯვართან კავშირზე მიანიშნებდა.

ამ სემანტიკურ ძიებებში ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ სტელის რელიეფში აშკარაა ერთი მხრივ, სასანური კულტურის გავლენა (მაგალითად, იგივე აფრიკალებული ბაფთა ფარშევნების ყელზე, რაც სასანური კულტურის ერთ-ერთ სახასიათო დეტალს წარმოადგენდა), ხოლო მეორე მხრივ წარმართული რელიეფიური აზროვნების ანარეპლი. ამასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ ლომის მზის სხივისებურად გაღმოცემული ფაფარი, რაც მის მზესთან კავშირზე უსვამს ხაზს. მეორე მხრივ კი, შეგვიძლია დაგასახელოთ ლომის ქვემოთ მოცემული ვარდულები. როგორც ცნობილია, ქართულ წარმართულ რწმენა-წარმოდგენებში, ცხოველის (და არა მხოლოდ

ლომის, არამედ ირმის, ვერძისა და სხვა ცხოველების) ლოთაქბასთან კაგშირის, მისი წილიანობის აღსანიშნავად ცხოველს გავაზუ ან წინა მსართან ასტრალური ნიშნით დადგასმულს გამოსახავდნენ. ოუმცა, არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ეს წილიანობა ცხოველთან გამოსახული ვარდულით იკითხება. ასეთ შემთხვევაში დავასახელებდით სოხუმის გორის რელიეფს (Хрущкова 1980: таб.XVIII₂), სადაც ჯვრის მარჯვნივ და მარცხნივ გამოსახულია ლომი და ხარი, და სადაც ლომის წილიანობა მის თავზე მოცემული ვარდულით არის მინიშნებული. განთიადის სტელის შემთხვევაში, ვფიქრობთ, ცხოველის წილიანობა მის ქვემოთ მოცემული ხუთი ვარდულით უნდა განისაზღვროს, რომლებიც, იმავე დროს, ბორცური მედალიონების სახეცველას უნდა წარმოადგენდნენ. ეს საფიქრებელია იმ თვალსაზრისითაც, რომ სტელაზე ბოლნური მედალიონი საერთოდ არ გვხვდება. მეორე მხრივ, აღნიშნული ვარდულები და თავად ცხოველის ფაფარი, რომელიც მზის სტილიზებულ სხივებს წარმოადგენს, ზემოთაღნიშნულ გარემოებებთან ერთად, შესაძლო, კიდევ ერთი მინიშნება იყოს ლომის უცალთან სიმბოლური კავშირისა.

ამდენად, განთიადის სტელის კაპიტელზე გამოსახული ლომის სიმბოლო ადრევეოდალური ხანის რელიეფების შეტად საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს. იგი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თავისი სტილიზერი ნიშნებით, არამედ თავისი სემანტიკითაც, რაც მას გამორჩეულობას სძენს თანადროულ ქართულ ქეგლებს შორის.

ლიტერატურა:

1. დამანისური სტელა. 2003: ინტერვიუ ჯუმბერ კოპალიანთან. ქ. ომეგა. №4.
2. დიდმელაშვილი ქ. 2010: *ქრისტიანული სიმბოლიკა I-VI სს. ხაჯართველოში. დისერტაცია* წარმოდგენილი ისტორიის დოქტორის ხარისხის მოსამართებლად. იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
3. ლორთქიფანიქ თ. 1972: განის ხაჯალაქარი. ვანი. I. თბილისი: გამომცემლობა „ქცევრება“.
4. ლორთქიფანიქ თ. 2002: ძველი ქართული ციფილიზაციის ხათვეებთან. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
5. მაჩაბელი კ. 1998: ქართული ქაჯარები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
6. მაჩაბელი კ. 1991: ძველი ქრისტიანული სიმბოლიკა ადრეული შეა საუკუნეების ქართულ რელიეფებზე (ჯვარი მედალიონში). ქ. ლი-ბერატურა და ხელოვნება. 6.
7. მაჩაბელი კ. 2007: დამანისის ახლადაღმოჩენილი ქვაჯარი. ქ. საქართველოს სიმკერვენი. გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კალევის ეროვნული ცენტრის უწერნალი. №10.
8. მაჩაბელი კ. 2008: ადრეული შეა საუკუნეების ქართული ქვაჯარები. თბილისი.

9. სურგულაძე ი. 1986: *ქართული ხალხური მრნამენტის ხიმბოლის*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
10. ფანცხვავა ლ. 1998: *კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
11. ფლავიუს არიანე. 1961: მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომეტარები და რეკა ნ. კეჭალმაძისა. თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამბ-ბა და სტამბა.
12. ყიფიანი გ. 1995: *ახტითური გამოსახულებანი*. ქ. ნარკვევები. საქართველოს შ. ამირანაშვილის სახელობის სელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ქურნალი, I.
13. ყიფიანი გ. 2000: *კოლხეთისა და იძერის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული სურთმოძღვრების წარმოშობის ხაკოთებები*. თბილისი: საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.
14. ჩიგაია გ. 1941: *სიცოცხლის ხის მოტივი დაზურ მრნამენტში*. ქ. მთამბე. აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ქურნალი, X.
15. ჩუბინაშვილი ნ. 1972: *ქვემო ქართლის სტელა-ჯვრები*. ქ. ძეგლის მეცნიერება, თბილისი, 30.
16. ცემბიშვილი გ. 1960: *წოვი (ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი)*. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. I. თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამბ-ბა და სტამბა.
17. ხიდაშვილი მ. 1982: *ცემბრალური ამიურკავკასიის ვრაფიული ხელოვნება ადრეული რინის ხანაში*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
18. ჯავახიშვილი გ. 1998: *ადრეფეოდალური ხანის ქართული სტელები*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
19. ჯავახიშვილ თ. 1998: *ქართველი ტომბის ეთნოკულტურული ისტორიისათვის ძვ. წ. III ათასწლეულში*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
20. Апостолос-Каппадона Д. 2000: *Словарь христианского искусства*. Перевод с английского А. Ивановой. Издательство «Урал Л.Т.Д.».
21. Борисов А.Я., Луконин В.Т. 1963: *Сасанидские геммы*. Ленинград: Издательство Государственного Эрмитажа.
22. Уваров А.С. 2001: *Христианская символика*. ч. I. (дополненное и переработанное издание). Москва-Санкт-Петербург: Издательство «Алетейя».
23. Фон Фрикен А. 1877: *Римские катакомбы и памятники первоначального христианского искусства*. ч. II. Москва: Издание К. Т. Солдатенкова.
24. Хрущкова Л. 1980: *Скульптура раннесредневековой Абхазии V-X вв.* Тбилиси: Издательство «Мецниереба».
25. Чубинашвили Н. 1972: *Хандиси*. Тбилиси: Издательство «Мецниереба».
26. Чубинашвили Г. 1940: *Болниеский Сион*. ქ. მთამბე. აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ქურნალი. IX.

27. Balty Janine. 1991: *La mosaïque romaine et byzantine en Syrie du Nord*. Revue du monde musulman et de la Méditerranée. Volume 62, №1.
28. *Encyclopédies des symboles*. 1998: München: Librairie générale Française.
29. Olszewski Marek-Titien. 1995: *L'image et sa fonction dans la mosaïque byzantine des premières basiliques en Orient*. Cahiers Archéologiques. 43. Picard.
30. *Physiologos: le bestiaire des bestiaires*. 2004: Texte traduit du grec, établi et commenté par Arnaud Zucker. Edition Jérôme Millon, Grenoble. Le site:<http://books.google.ge/books?id=Z8hwbggnprkC&lpg=PP1&pg=PA54#v=onepage&q&f=false>

სურათების აღწერილობა:

1. სტელის დასავლეთი და სამხრეთი ფასადები, დვოისმშობლის ყრმა იქნეთ, ნათლისდების სცენის, კოზმა და დამიანებ და ქტიტორების გამოსახულებით.
2. სტელის აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი ფასადები ფარშევანგის, ლომისა და ვარდულების გამოსახულებით.
3. სტელის კაპიტელის ჩრდილოეთი ფასადი ლომის გამოსახულებით.


Ketevan Dighmelashvili

On Definition of the Lion Symbol on the Gantiadi Stele

Summary

The present article deals with the lion symbol depicted on the capital of the stele discovered at the village of Gantiadi (Dmanisi district), which is a very interesting example of the early feudal period reliefs. It is remarkable not only for its stylistic characteristics, but also its semantics.

In Christian symbolism lion carries several meanings. Of these, one of the most widespread in the early Christian period was the representation of a lion, as a strong and vigilant guardian. On the other hand, the formation of the lion symbol in Christian symbolism was also greatly influenced by physiology – by the book written in the 2nd-4th cc. about animals' features, on the basis of which, a lion, due to its features, appears as a symbol of Christ. The lion on the Gantiadi stele, according to its details, finds a greater connection with the latter meaning of the lion semantics. In particular, taking into consideration, on the other hand, the context of the images of the stele capital, and, on the other one, the triangles shown above the lion's head (a symbol of the Trinity), the lion's sun-like mane, the rosettes depicted under the animal – representations of the cross, and a number of other details, the author thinks that in the lion the master may have conveyed the symbolic image of the Lord.



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3

თამარ ჭხალაძე, დაგით მალაზონია

თვითმაყრობელური რუსეთის ბრძოლა ქართული საეპლესიო მნის წინააღმდეგ (XIX საუკუნის II ნახევარში)

ქართული სახელმწიფოს ფორმირებისა და განვითარების როცელ პროცესში უდაორ მართლმადიდებლური ეკლესიის როლი. მასშე უდიდესი ისტორიული გამოცდილება აქვთ ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლებისა და საზოგადოების ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალვის საქმეში.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ეკლესია ამ ძირული ეროვნული ფუნქციების დაპარგვის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. თვითმკურობელობისათვის ნათელი იყო, რომ თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური პოზიციების განმტკიცებას ვერ მოახერხებდა ეკლესის რეორგანიზაციის გარეშე, რადგან ქართული ეპლებისა ვერც თავის სტრუქტურითა და ვერც სასულიერო პირთა შემადგენლობით ცარიზმის სათანადო სამსახურს ვერ გაუწევდა. სწორედ ამიტომ საქართველოს დაპყრობისთანავე, თვითმკურობელობა შეუდგა საეკლესიო რეფორმის გატარებას – რუსულ ყაიდაზე მის მოსახურებად. ხელისუფლების შესაბამისი პოზიცია იკვეთება, ჯერ კიდევ, მთავარმართებელ ციკანონგის მოთხოვნაში (1803 წ.), რომლითაც გენერალი კათალიკოს ანტონ მეორეს მოუწოდებდა ეპარქიების შემცირებისა და რიგ მადალ სასულიერო იერარქთა დათხოვნისაკენ. საქართველოში ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკის დაგვირგვინებად იქცა 1811 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და 1815 წელს „საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის“ შექმნა.

საქართველოს საგზარქოსოს მიერ გატარებული საეკლესიო პოლიტიკა, პირველ რიგში, ცარიზმის რუსიფიკაციორული კურსის გაძლიერებას ემსახურებოდა. ამ მიზნის მისაღწევად ხელისუფლება და მისი მორჩილი წმინდა სინოდი ეგზარქოსებად ქართველი ერისა და მისი მრავალსაუკუნოვანი კულტურისადმი მტრულად განწყობილ პირებს ამწევდებდა.

ამ მტრული ძალისხმეულის შედეგად არაერთი ეკლესია-მონასტერი გაუქმდა, დაიხურა სასულიერო და საერო სასწავლებლები, რომლებშიც იმ დროის მოწინავე პედაგოგიური ტრადიციების შესაბამისად მიმდინარეობდა საგანმანათლებლო პროცესი. ხელისუფლება ადგილობრივი სამდვდელმთავრო კათედრების მოშლის პარალელურად, არც ქართველი ხალხისათვის ტრადიციული დვოისმსახურებისა და საეკლესიო სიწმინდეთა (ფრესკები, ხატები, რიტუალური დანიშნულების საეკლესიო ნივთები) ხელადებით შეურაცხეოფას ერიდებოდა, რომ არაფერი გოქვათ ქართული ენის ამოსაძირკვად გამიზნულ დონისძიებებზე.

თვითმპურობელობის ერთგულებით გამორჩეულ ეგზარქოსთა საქმიანობის დედაბრი მთელი სიცხადით იკითხება შავრაზმელი მღვდელის ითანე ვოსტორგოვის პროგრამული ხასიათის მქონე გამნათქვამში – „საქართველოს ეგზარქოსს, უძირველეს ყოვლისა, უნდა ახსოვდეს, რომ ის ვალდებულია მთელი თავის ენერგია მოახმაროს ქართველთა გარეუსების საქმეს რელიგიურ საფუძველზე“ (2, 20). რუსეთის იმპერიისათვის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ამოცანა ეგზარქოს უნდა განეხორციელებინა აქრძალვის, ჩახშობისა და აღქვეთის უხეში საშუალებებით, სახელმწიფო ორგანოებთან კავშირში და, რა თქმა უნდა, მათი შეხედულებებისამგბრ.

თვითმპურობელობის მხაგრეულურმა კურსბა, რაც საბოლოო ჯამში, ქართველი ხალხის ასიმილაციას გულისხმობდა, ყველაზე მკაფიოდ, სახელმწიფო, საეკლესიო და საგანმანათლებლო უწყებებიდან მშობლიური ენის განვითარების დამგვიდრებულ პრაქტიკაში ინინა თავი. ეკლესია-მორასტრებში დვითისმსახურების უცხო (რუსულ) ენაზე წარმოებამ, სასულიერო იერარქიის ტრადიციელი აპარატის მოშლამ, პუნქტრივია, ნეგატიურად იმოქმედა ეკლესიის ავტორიტეტზე – შესუსტდა სარწმუნოების გავლენა მასაზე, მორწმუნეთა ნაწილი ჩამომორდა მას.

თვითმპურობელობის პოლიტიკით გამოწვეული ქართველი ერის სარწმუნოებრივ – ზენობრივი შევიწროება აღუნიშნავი არ დარჩენილა იმდროინდელ პერიოდულ გამოცემებში, რომლებიც ცენზურის უმტკიცესი მეთვალყერობის პორტეტშიც, სერიოზული რისკის ფასად, ახერხებდა ცარიზმის ანტიეროვნული პოლიტიკის სააშკარაოზე გამოტანას. აღნიშნული კი ქართველი საზოგადოების უკურვაქციას იწვევდა, რადგან დვითისმსახურების რუსულ ენაზე ძალდატანებით წარმოების მიმებ შედეგები მოჰყვა – ხალხი თანდათანობით დასცილდა ეკლესიას – თვით საეპარქიო ტაძრებიც საეკლესიო დღესასწაულებს მრევლის გარეშე ხვდებოდნენ (12, №207); საქართველოს ეგზარქოსს ესევის იმერქონის ეპარქიის დათვალიერებისას, ფაქტიურად, დაცარიელებულ ეკლესიებში უხდებოდა საზეიმო წირვა-ლოცვის გამართვა; მოგვიანებით, 90-იან წლებში, ამავე პრობლემაზე ამახილებდა ფურად-დებას ეგზარქოსი კლადიმირიც (50, 6) – „ხალხი აღარ დაიარება ეკლესიებში წირვა-ლოცვის მოსასმენად, გაუგრილდა მას გული ეკლესიებში ხიარეულზედ; ვიდას ნახავთ ბატონო ეკლესიებში კვირა-უქმ დღე-ებში?“ (5, №18,1) – მსგავსი პუბლიკაციებით აღსავსეა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პრესა.

საეკლესიო ხელისუფლებისადმი კრიტიკულმა წერილებმა საეგზარქოსოს შეზფოთება გამოიწვია. ცენზურისადმი მიმართვაში კეით-სულობთ, რომ გაზეთებში: „დროება“, „ივერია“, „კავკაზი“... და სხვ. გამოქვეყნებული პუბლიკაციები გამიზნულად ახდენდნენ უმაღლეს სამდვდელო პირთა დისკრედიტაციას; ხელისუფლებისათვის შემაშფოთებელი იყო ე. წ. „ცილისმამებლური“ ხასიათის წერილების ეროვნული მიმართულება (16, 1).

ასეთი არასასურველი პრეცენდენტის გამოსარიცხად საეგზარქოსო მზადყოფნას გამოოქვამდა მჭიდროდ ეთანაბაშრომდა ცეზურასთან. მეტი სიფრთხილისათვის იგი შესაბამისი შინაარსის წერილების გამოქვეყნების უფლებას, ამიერიდან სასულიერო უწყების დაცებითი დასკანების საფუძველზე გასცემდა (16, 3).

ქართველი სამდგენლოების სამართლიან შეშფოთებას იწვევდა საზოგადოებაში ფეხმოკოდებული სარწმუნოებრივი ინდიფერენციაში, რომლის აღმოფხერასაც „კარგად დაწყობილ საეკლესიო გალობას და საეკლესიო წიგნების კარგად და გაგებით კითხვას“ უკავშირებდნენ (5, №18, 1). სიტყვა „კარგად“-ში ქართველი სამდგენლოება ეროვნულ ელემების მოიაზრებდა, რომლის დასტურიც არის ქართველი ხალხის ეროვნული დათისმსახურებისადმი დიდი იტერესი – იმ ეკლესიებში, სადაც წირვა დოცვა ქართულად ტარდებოდა ხალხი შესაშურ სარწმუნოებრივ გულმოდგინებას ამჟღავნებდა (12, №25).

ცარი ზმის საეკლესიო პოლიტიკის უკიდურეს დამბიძეების ნიმუში იყო გაზ. „კავკაზში“ გამოქვეყნებული ცირკულარი (1897წ. 1 ოქტემბერი) : „...იმ ეკლესიებს, რომლებსაც მოვპოვებოთ საღვთისმსახურო წიგნები სლავინურ ენაზე, ან მრვვლი ფლობს რუსულ ენას, დათისმსახურება შესრულდეს საეკლესიო-სლავინურ ენაზე“ (15, №253). აღნიშნულისადმი ქართველი ხალხის მწვავე რეაქციამ გაზ. „კავკაზის“ რედაქციას, მთავრობასთან შუამდგომლობისაკენ უბიძგა და მმართველობას შემდგვი კომპრომისი შესათვაზა; იქ, სადაც ქართველი მრევლი მრავალრიცხოვანია წირვა შშიტლიურ ენაზე უნდა ჩატარებულიყო, ხოლო მათი სიმცირის პირობებში მდგდელმსახურება რუსულ-სლავინურად უნდა წარმართულიყო (15, №253). ამრიგად, საკითხი უნდა გადატრილიყო ეთნიკური კუთვნილების სტატისტიკის მიხედვით. შიო უფრო, რომ სახარება დათისმსახურებაში უშვებს ნებისმიერი ენის გამოყენების უფლებას და ამ სახის შესწოდვები ვერასრდეს წაადგებოდა ეკლესის ავტორიტეტის გაზრდისა და რწმენის განმტკიცების საქმეს. ამავე საკითხის სწორ გააზრებას კვედებით ჟურნალ „გვალის“ ჰუბლიკაციაში (14, №18, 1-2), სადაც აღნიშნულია, რომ ქრისტიანული საღვთისმსახურო ტრადიციები თავიდანვე ნაციონალურ საფუძველზე ყალიბდებოდა და მოცემული მრავალფეროვნება პოზიტიურად მოქმედებდა რწმენის სიმტკიცეზე იმით, რომ ეროვნულ-კულტურულ გარემოსთან სარწმუნოებრივი პრინციპების შერწყმას უწყობდა ხელს.

რუსულ-სლავინური გალობა უცხო იყო ქართველი საზოგადოებისათვის არა მარტო ლექსიკით, არამედ თავისი მელოდიურობითაც – „ქართულ წირვა-ლოცვას მხოლოდ ქართული გალობა აქვს შესისხლხორცებული, მხოლოდ ასეთი წირვა-ლოცვა და გალობა მოპერის გაციებულ გულს სასოებას და სხვა კი ვერა“ (13, №26, 7-8). ქართული საეკლესიო გალობის დაცემას კი, უურნალის რედაქცია, გარდა ოფიციალური ამკრძალველი კურსისა, ქართული ენის დევნა-შევიწროებასა და, ზოგადად, ქართული კულტურული და ლიტერატურული ტრადიციების გაუცხოებასაც უკავშირებდა (13, №26, 7-8).

ქართულ საეკლესიო გალობას უძველესი ისტორიული ტრადიცია ძვეს. საქართველოს ეზარქოსთა წაქეზებით უწმინდესმა სინოდმა სასულიერო სასწავლებელში ჯერ შეამცირა მისთვის განკუთვნილი გაპვეთილები, ხოლო შემდეგ რესული გალობის შესწავლით ჩაანაცვლა. რესულის უცოდინარობის გამო, აღსაზრდელთ ქართულ ენაზე რესული ნოტებით ასწავლიდნენ გალობას. ასეთი პრაქტიკით მასინ ჯდებოდა და საერთოდ ისპონოდა ქართული საეკლესიო ბგერები, დაუნდობლად იდევნებოდა მშობლიური ენა, ეკლესია კარგავდა ეროვნულ ხასიათს (1, 191). არადა, დეკანოზ და დამბაშიძის განმარტებით, ქართულ გალობას განსაკუთრებული სიფრთხილით და სიყვარულით ეყრდნობოდა ხალხი, მონიტორინგით სწავლობდა მას და კარგი შესრულებით თაგმომწონეობდა კიდევც: „იყო დრო, როდესაც საქართველოში დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული საეკლესიო გალობაზე მდვდელ-საც და ერსაც, დიდსა და პატარას, თავადსა და გლეხს საქებრად მოახნიათ საეკლესიო გალობის ცოდნა, მაგრამ დღეს ჩვენმა ქართველებმა ამ საგნის შესახებ იცვალეს ფერი“ (5, №18,1). და ეს, არც იყო მოუღლონდენა – სახალხო სკოლებში საეკლესიო გალობისათვის განკუთვნილი საათები, რესული სამხედრო მარშების გაუაზრებელ დაზუთხებას ეომობოდა (8, №207).

ქართული გალობის დახვეწილობა და მრავალხმიანობა, მსმენელზე მისი გამაკევლებილებული გავლენის მნიშვნელობა კარგად ესმოდა ქართველ სამღვდელოებას და ყოველი ღონისძიებით, ხელისუფლების აშერა წინააღმდეგობის მიუხედავდა, ცლილობდა დვოის-მსახურების მშობლიურ ენაზე ჩატარებას. ასეთ შემთხვევაში ეკლესიები აღარ განიცდიდა მორწმუნეთა ნაკლებობას, ქართულ წირვა-ლოცვასა და გალობას მონაცრებული საზოგადოება, როდესაც მისი მოსმენის საშუალება ეძლეოდა, გულმოღინებდ მონაწილეობდა საღვთისმსახურო პროცესში – „1893 წლის 10 ივნისს მოაწმინდის მამა დავითის ეკლესიაში ჩატარებულ იქნა წირვა-ლოცვა და გალობა ქართულ ენაზე“ (13, №26, 7-8). – რასაც ქართველი საზოგადოების ფართო წარმომადგენლობა დასწრებია.

XIX საუკუნეში ქართულ დვთისმასახურებას და გალობას განადგურების საფრთხე დაემუქრა: „მეტყველება დაცუა, წიგნები გვიობდება და ახლანდელი ქართული გალობაც რიდასიც აჩრდილს წარმოადგენს“ (13, №26, 7-8). საუკუნების მანილზე შესისხლხორცებული და გათავისებული ქართული წირვა-ლოცვა, დეკანოზ ისევე სასურველია ხალხისათვის, როგორც, ძევლად, თოთოვეული მამულიშვილის სურვილია: „მშობლიური მეტყველება – გალობა უმაღლეს ხარისხამდე ასულიყვეს და ერს წინამდგრად გასხვომოდეს, თორემ სარწმუნოებრივთა გრძნობათა დამახინჯება ერის გადაგვარებას ნიშნავს“ (13, №26, 7-8).

უკიდურესად შეზღუდული შეხედულებების მიუხედავად პერიოდული გამოცემები მაინც ახერხებენ ჩვენში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობის ასახვას, ქართული ეკლესის განადგურების პროცესისადმი საკუთარი უარყოფითი დამოკიდებულების დაფიქსირებას.

აღნიშნული პრობლემატიკისადმი არაერთგვაროვანია რუსულენოვანი პრობლემისტიკის მიღვმძა. მდგრელმსახურებისას ქართულად წირვა-ლოცვის უგულველყოფის ვაქტებზე საუბარია რუსულ განხეთში „სოვერემენის იზვესტიას“ გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში. ავტორი გულახდილად საუბრობს ასეთი პრაქტიკის ავბედით შედეგზე – ხალხსა და ეკლესიას შორის კავშირის გაწვეტიაზე. სტატიაში ასევე გამომზეურებულია სასწავლო დაწესებულებებიდან ქართული ენის დავნის ფაქტები: „არც ერთი სემინარის კურსის საგანს არ ასწავლიან ქართულს ენაზე: ქართული ენისათვის არ არის საპუთარი კათედრა. ქართული ენის დაიბერატურის სწავლება, როგორც სასულიეროსი, აგრეთვე სახორციელოს სრულდება რუსულ ენაზე“ (11, №17).

განსხვავებულია შერნალ „ცერკოვნო ობშესტვენი ვესტინი“-ის, პუბლიცისტის პოზიცია. იგი „ნოვო თბოზრენიე“-ში გამოქვეყნებული ვინძებ ბ. სოლიანის თვალსაზრისხე დაყრდნობით დასაბამითობა ქართველთა მცირედმორწმუნერის აქცენტს და ამით ციფლობს ასენას სახორციელოების სარწმუნოებრივი გულგრილობა (4, №15, 10). პუბლიციაში ტენდენციურადაა გაშუქებული ქართული ეკლესიის თანამედროვე ვითარება: ამასთან, იგი შეიცავს ჩვენი წარსულის დამძირებულ მსჯელობას – ავტორი გვარწმუნებს, რომ გაუნათლებელ მდგომარეობაში მყოფია ქართველობა კერ შეიოვისა ქრისტეს მოძღვრება, ვერ ჩასწვდა მის არსეს და, რომ, თოთქოსა, ქრისტიანობას ჩვენი ისტორიული ყოფისათვის მნიშვნელოვანი კვალი არც კი დაუჩენია....

ცარიშმას მორიგ მიზანს შეადგენდა სამეგრელოში, აფხაზეთსა და სვანეთში მღვდელმსახურების ადგილობრივ ენებზე წარმოება. გამოწვენ ისეთი „წმინდა მამებიც“, რომლებმაც იისირეს მეგრულად საღვთო წიგნების თარგმანა, მაგრამ თარგმანი დათისმსახურებისათვის შეუფერებელი გამოიდგა. ამის შესახებ კურნალ „მწევმსში“ ვკითხულობთ, რომ „ზოგიერთმა ვაჭაბონძა განიზრახეს თავის გამოწენა და შეუდგნენ ქართული ენიდან მეგრულს ენაზე ლოცვების და ლვოისმსახურების გადათარგმნას. მათ კიდევ სცადეს ზოგიერთ ეკლესიებში დათისმსახურების შესრულება მეგრულს ენაზე. მაგრამ მლოცველები წმევა-კრულვით სტოკებდნენ ტაძრებს, გარბოლენენ ეკლესიებიდან და ლანდღვა-გინებით იხსენიებდნენ მეგრულს ენაზე ლოცვების და დათისმსახურების მთარგმნელთ“ (7, №22, 3).

თვითმკრთხელობა საქმის გაადვილების მიზნით უკვე გამზადებულ სლავურ საეკლესიო ენაზე შესრულებულ წიგნებს სთავაზობდა სამეგრელო- სვანეთის და აფხაზეთის მცხოვრებთ. ამრიგად, ამ კუთხებში ქართული ეკლესია უნდა მოსპობილიყო და გაბატონებულიყო რუსული ეკლესია (10, №196) (6, №20, 2).

ქართველი სამდველეოება იმთავითვე გმობდა მეგრულად წირვა-ლოცვის შემოღებას, რადგან ეს გაუმართლებელი იყო როგორც ეროვნული, ისე საეკლესიო თვალსაზრისით. გარდა ამისა, მეგრული ენა არ იძლეოდა საღვთო წერილის შინაარსის სრულფასოვნად გადმოცემის საშუალებას. ამ საბუთით 1889 წლის 18 აპრილს ახალ-სენაკში ჩატარებულ გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამდველეოების კრებას

ერთხმად (42 წევრით) გადაუწყვეტის შეჩერებულიყო წამოწყებული კამპანია (9, №89). სამეცნიელოს ეკლესია-მონასტრებში ქართული წირვა-დოკვის ხანგრძლივობასა და მისი შეცვლის მიზანშეწონილობაზე საუბარია წერილში „მეგრულ ენაზე დოკვების და წირვის წესის გადათარგმნის გამო“ (6, №9, I). წერილში ასევე აღნიშნულია, რომ ქართული ეკლესის ერთობას საფრთხე სახელმწიფოს დაშლისა და კუთხური განკვრთობის ისტორიულ გარეშებშიაც არ შექმნია.

მიუხედავად ასეთი ისტორიული რეალობისა, ხელისუფლება საკუთარი ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყანად ცდას არ იშურებდა. ცარიზმის აგენტები ცდილობდნენ ქუთხური სეპარაციზმის გადავიგებას, მოსახლეობის დარწმუნებას – თითქოს მეგრული ხალხი არაქართული ეონიური წარმომაგლობისა იყო და, რომ ქართული სახელმწიფო მეგრელთა ასიმილაციას მიმართავდა, როდესაც მათ მეგრულის მაგიერ მშობლიურ ენად ქართულს სთავაზობდა.

ისტორიული სინამდვილის ასეთი დამასინჯება ჩვენი საზოგადოების აღკატეტურ რეაქციას იწვევდა. ქართული კუბლიცისტიკა და საბუთებულად აბათილებდა ავისმოსურნეთა უბადრუპ მოსაზრებებს და მკითხველთ როული რეალობის შესხენებით სიფხოზლისაკენ მოუწოდებდა: „შეფელების დროიდან მოყოლებული კერავითარმა ისტორიულმა შევიწროებამ და უბედურებამ კერ შესძლო ქართული ენის მოსპობა სამეცნიეროში და დღეს, მეცხრმეტე საუკუნის დამლევს რა საჭიროება არის ისეთი, რომ სურთ ქართული ენა გააძეონ არა თუ მარტო სკოლებიდან, არამედ ეკლესია-მონასტრებიდან. და სურთ შემოიღონ მეგრული, რომელზედაც არ სწარმოებდა და ვთისმსახურება ეპკლესიებში და არც სკოლებში ასწავლიდნენ მას“ (7, №20, 2).

ქართული ენის აღკვეთის კამპანიის გაგრძელებად იქცა 1892 წლის სამეცნიელოს ეპარქიის სამდვდელოების კრება, სადაც სასულიერო პირებს წინადადება მისცეს განეხილათ მეგრულად თარგმნილი ლოცვები საღმრთო სჯულის სასწავლებლად. სამდვდელოება იმდენად გააკირვა ასეთმა წინადადებამ, რომ მათ სრულიად უკურადღებოდ დატოვეს ეს მოთხოვნა და მწარედ დააფიქრა არსებულმა რეალობამ – „მაშ, ვის სურს, რომ დათისმსახურება და ლოცვები, რომლებიც ქველი დროიდან სრულდება სამეცნიელოში ქართულს ენაზე, დღეს შესრულებულ იქმნეს მეგრულს ენაზე? ...ამ ახალი წესწყობილების მოთავე პირები სულ რამოდენიმე კაცია... რომლებიც თავგამოიდებით ცდილობენ, რომ სამეცნიელოს სახალხო სკოლებიდან სრულებით გამოამდევონ ქართული ენის სწავლება და მის მაგიერ შემოიღონ მეგრული ენა... საჭიროდ მიაჩნიათ მეგრულს ენაზე შემოიღონ და ვთისმსახურების შესრულება“ (7, №20, 2).

ნიშანდობლივია, რომ თვითმპურობელობის მხარდამჭერად ქართველი სამდვდელოების ერთი ნაწილიც გამოიღოდა. ისინი ენერგიულად შეუდგნენ სასულიერო წიგნების მეგრულად თარგმნას და მოსახლეობაში მათ გავრცელებას – „ზოგიერთი უმეცარი და მეტიარა ჩვენი სასულიერო მამების წყალობით ნელ-ნელა, აშკარათ იცვლება ის ეპკლესიური წესი და ჩვეულება, რომელიც ასე დიდი ხნის განმავ-

ლობაში ყოფილი დამყარებული და დაცული ჩვენს ქვეყნაში, რომელ-საც ათასი წლობით შეჩვევია და შეთვისებია ჩვენი ხალხი! – არა თუ ქალაქებში სოფლებშიც კი შემოიღეს ამ ბოლოს დროს ხალხისათვის უცხო ენაზე წირვა-ლოცვა!“ (14, №27,3).

აფხაზეთის საქართველოდან ჩამოცილება - გადაგვარების სა-კითხი ყველაზე უცილობელ და მტკიცნეულ საკითხად იდგა ცარიზმის პოლიტიკაში. სასურველი მიზნების განხორციელებაში მნიშვნელოვანი დატვირთვა გააჩნდა უშუალოდ აფხაზურ ენაზე საეკლესიო ლიტერა-ტურის თარგმნასა და წირვა-ლოცვის აფხაზურად წარმოებას. ცარიზ-მი მხარის რესიფიკაციის შედარებით გამარტივებულ მოდელს იმუშა-ვებდა – ხოხუმის გაარქიიდან ქართველი სამდვდელოების გაძევებასა და საეკლესიო მსახურების რუსულ ენაზე წარმოებას – „და არავი-თარ შემთხვევაში ქართულად“ (3.25). თვითმპერობელობა ამ შემთხვე-ვაშიც ცდილობს მცირეულიცხოვანი ხალხების ეროვნული ინტერესების დამცველის როლი ითამაშოს - აფხაზებს არ ესმით ქართული ლოცვა, ქართველი სამდვდელოებაც ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე; ნაც-კლად იმისა, რომ მან ხალხის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი მდგომარე-ობის ამაღლებაზე იზრუნოს, ეკლესიას მთით გაქართველების იარა-დად იყენებს... ხელისუფლება ამ არგუმენტებით ცდილობდა დაესაბუ-თებინა ხოხუმის გაარქის საქართველოს საეგზარქოსოდან გამოყოფა და წმინდა სინოდისადმი მისი დაქვემდებარების აუცილებლობა. სწო-რედ ამგვარ სულისკვეთებას ნერგავს აფხაზ ხალხში ფ. გერშემა-ნი; „ჩვენ აუცილებლად ვთვლით იმ სახის გადამჭრელი ღონისძიებე-ბის გატარებას, რომელიც ხოხუმის ოლქის ეკლესიას დაიცავს საქარ-თველის გავლენისაგან, რაც ოლქის მცხოვრებთა გაქართველებამდე მიგიყვანს: ამისათვის საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ხოხუმის გაარქის სა-თავეში ედგას რუსი ეპისკოპოსი და რუსული სამდვდელოება და საეკ-ლესიო მსახურება მიმდინარეობდეს მხოლოდ რუსულ ენაზე“ (3, 26).

ამრიგად, სასწავლო დაწესებულებების რუსიფიკაციის პარალე-ლურად ხელისუფლება დაუინებით ცდილობდა მრავალსაუკუნოვანი ქართული ეკლესიისათვის ეროვნული შინაარსის გამოცდას. ცარიზმი ქართულ ენაზე წირვა-ლოცვისა და გალობის აკრძალვით, აგრეთვე, სამეცნიერებლო-სკანეთის ეკლესიებში დათისმსახურების ადგილობრივ ენებზე დანერგვით ესწრაფოდა ჩვენში ასიმილატორული პოლიტიკის დაჩქარებას, მაგრამ ეს გეგმა განმანთავისუფლებელი მოძრაობის გააქ-ტიურებისა და ქართველი სამდვდელოების თავდადებული ბრძოლის შედეგად ვერ განხორციელდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პავლიაშვილი ქ., საქართველოს საეგზარქოს 1900—1917წლებში, თბ., 1996
2. ხუციშვილი მ., საქართველოს ეკლესიის ხოციალურ —პოლიტიკური პოზიცია XIX-XX საუკუნეებში, თბ., 1987
3. გერშელიძე ფ., პრიჩინი ნეურდიშ ნა კავკაზ, ცნ. 1908
4. ჯურ. მწევისი, 1884
5. ჯურ. მწევისი, 1887
6. ჯურ. მწევისი, 1889
7. ჯურ. მწევისი, 1892
8. გაზ. დროება, 1882
9. გაზ. ივერია, 1889
10. გაზ. ივერია, 1892
11. გაზ. ივერია, 1894
12. გაზ. ივერია, 1895
13. გაზ. კვალი, 1893
14. გაზ. კვალი, 1895
15. გაზ. კავკაზ, 1898
16. ფ. 480, აღწ. 3, საქმე 108

Tamar Pkhaladze, Davit Malazonia

Fight of autocratic Russia against Georgian church language (in the 2nd half of the XIX century)

Autocracy declared the uncompromising struggle against the Georgian church. With the purpose of national content eradication it had prohibited the use of Georgian language during sacred service, and every progressively thinking person, public spirited clergy had been relentlessly persecuted. Antinational activity of the department of religious affairs, that created a real danger of loss of the basic church functions, and naturally caused the certain alienation of Georgian people from the Church. And that fact should be explained by the opposition of the Georgian society against reactionary and Russification-oriented church policy, and not by the strengthening of spiritual indifferentism among the people.

The campaign of translation of prayers into Megrelian-Svan languages, that represented the ineffective attempt of these regions' removal from the common national body, was aimed at the demolition of the Georgian church. The firm national attitude of Georgian intelligence, clergy and first of all, of Samegrelo and Svaneti population itself causes the overwhelming defeat of the Autocracy.

00მერი ბასილაშვილი, სულხან პუარაშვილი

სასულიერო განათლების ისტორიიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრის აზხაზეთში

საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ იმპერიისათვის განათლების სისტემაში რუსიფიკაციის პოლიტიკის გატარება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა. იქნა გამომდინარე, რომ XIX საუკუნის უმეტეს ხანაში განათლება ძირითადად სასულიერო ხასიათს ატარებდა, საიმპერიო ხელისუფლებამ განათლების ეს მიმართულება საკუთარი უმკაცრესი კონტროლის ქვეშ აიყვანა. ორივე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით (1811, 1814წ.) და საქართველოს ეკლესიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნით ქართველი სასულიერო მოღვაწეების წილი განათლების საკითხებში მინიმუმადე დავიდა. ამან განსაკუთრებით სავალადო შედგები საქართველოს განაპირო მხარეში – აფხაზეთში მოიტანა.

1810 წელს აფხაზეთის მთავრის მოძღვარმა დეკანოზმა იოანე იოსელიანმა მთავრის მხარდაჭერით, შეიმუშავა პროექტი, რომლითაც აფხაზეთის მთავრის რეზიდენციასთან, სიცელ ლიხნში უნდა გახსნილიყო აფხაზი ბაგჟვებისათვის სასულიერო სასწავლებელი. სასწავლებელში პროექტის მიხედვით სწავლება უნდა წარმართულიყო აფხაზურ ენაზე. რუსეთის მეცის ხელისუფლებამ უარი განაცხადა აფხაზეთში სასულიერო სასწავლებლის გახსნაზე, რადგან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ (1811 წ. ცილიობდა ეკლესიებში დამოუკიდებლივ ქართველი სამართლებრივი მინისტრის მიხედვით) მინიმუმადე დავიდა. ამან განსაკუთრებით სავალადო შედგები საქართველოს განაპირო მხარეში – აფხაზეთში მოიტანა.

მრიგად, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში აფხაზეთში არ არსებობდა ოფიციალური სასწავლო – საგანმანათლებლო დაწესებულება, რაც ნიშნავდა იმას, რომ ამ კუთხეში სწავლა – განათლებას ძირითადად საოჯახო ხასიათი პქონდა.

1850 წელს საქართველოს გეზარქოსმა ჯერ დიაკონის, შემდეგ მღვდლის ხარისხში აკურთხეს და სამურზავანოს ბლადოზინად დანიშნეს დავით მაჭავარიანი. მან 1843 წელს დამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად, ხოლო 1844 წლიდან სამეცნიერო სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველია. დავით მაჭავარიანს პედაგოგიური მუშაობის დიდმა გამოცდილებამ მისცა საშუალება 1851 წელს სოფელ ტექმში გაეხსნა აფხაზეთის მასშტაბით პირველი საეკლესიო – სამრევლო სკოლა.

1851 წლის ზაფხულში უწმინდესი სინოდის ბრძანებითა და გადაწევებილებით სოფელ ლიხნში გაიხსნა აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელი. სასწავლებლის ზედამხედველად დაინიშნა მომავალში გამო-

ჩენილი სასულიერო მოდგაწევა ალექსანდრე ოქროპირიძე. სასწავლებელი თოხედლასიანი იქო და მის დასაფინანსებლად წლიურად გამოიყო 1525 მანეთი.

ჩვენამდე მოდწეულია ალექსანდრე ოქროპირიძის მიერ შედგენილი სასწავლო პროგრამა. სასწავლებელში ისწავლებოდა შემდეგი საგნები: „საღმრთო რჯული, რუსული ენა, ქართული ენა (ხუცური და მხედრული წერა), სუფთა წერა რუსულსა და ქართულ ენებში, არითმეტიკა, რუსული და ქართული ენების გრამატიკა, საეკლესიო გალობა, გეოგრაფია და პრატიკული ვარჯიში აფხაზურ ენაში”¹ (1. გვ. 11-15). 1853 წლისათვის სასწავლებელში სწავლობდა 11 მოსწავლე. სასწავლებელმა იარსება 1855 წლის ოქტომბრამდე, როცა თურქებმა ომერ – ფაშას სარდლობით სამეგრელო დაიკავეს.

ალექსანდრე ოქროპირიძის ინიციატივით სოფელ ილორში გაიხსნა საეკლესიო-სამრევლო სკოლა, რომლის ხელმძღვანელიც თვითონ იქო, რისთვისაც 1852 წელს დააჯილდოეს სამხრეულით.

ღრმად განათლებული ალექსანდრე ოქროპირიძე ქართველი ერის გაძლიერებისა და გულტურული ამაღლების მთავარ საშუალებად თვლიდა სარწმუნოებრივ-ეროვნულ თვითშეგნებაზე დაფუძნებული სწავლა-განათლების მიღებას. მან განსაკუთრებული დვაწლი დასდო ეპლესია-მონასტრების აღდგენა განახლების საქმეს. მეუფე ალექსანდრემ აღმშენებლობით საქმე აფხაზეთიდან დაიწყოთავისი დავაწლითა და შეწევნით სოხუმში ადადგინა თრი ეკლესიაში ზრუნვითა და ხელდასხმით აღიზარდნენ პირველი აფხაზი ქრისტიანი სასულიერო პირები: „ივანე(იოანე) გვია, იოანე არგუნი, პეტრე ფილია და სხვანი”¹ (გვ. 11-15).

წარმოდგენილი ფაქტებით შეიძლება დაგასკვნათ, რომ სასულიერო განათლების საქმეს აფხაზთა შორის ალექსანდრე ოქროპირიძემ ჩაუყარა საფუძველი.

ყორიმის ომის დასრულების შემდეგ აფხაზეთში არსებობდა ოქუმის ორკლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლა. 1860 წლიდან აფხაზეთსა და სამურზააყანოში არსებულ ეკლესიებთან გაიხსნა რამდენიმე საეკლესიო სამრევლო სკოლა. არსებულ ეკლესიების ენას და დამწერლობას მიუხედავად რუსეთის იმპერიის მცდელობისა ქართული ინარჩუნებდა თავის მდგომარეობას. პირველად აფხაზური ანბანი 1862 წელს შექმნა ცნობილმა მეცნიერმა უსლარმა რუსული გრაფიკის საფუძველზე. რადგან რუსული გრაფიკით აფხაზური ბგერების გამომოცემა ძალიან როგორი იქო, რამდენჯერმე სცადეს ამ ანბანის გამარტივება და დახვეწა.

1862 წელს „კავკასიაში მართილმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენმა საზოგადოებაში” თბილისში შექმნა კომისია აფხაზეთში არსებული საეკლესიო-სამრევლო სკოლებისათვის პირველი აფხაზური საანბანო სახელმძღვანელოს შესადგენად. კომისიას თავმჯდომარეობდა გენერალი ი. ბარტლომეი. წიგნი დაიბეჭდა თბილისში 1865 წელს. მასში აფხაზური საკითხები მასალა თარგმნილია რუსულ და ქართულ ენებზე. 1892 წელს პეტერბურგში კ. დ. მაჭავარიანმა და მისმა მოწაფემ დიმიტრი გულიაშვილი

შადგინეს ახალი აფხაზური ანბანი ქართული გრაფიკის საფუძველზე, შემდეგ ნიკო მარმა სცადა აფხაზური ანბანის ლატინური გრაფიკის საფუძველზე შექმნა, მაგრამ მისმა ცდამ სახურაველი შედეგი ვერ გამოიღო. 1954 წელს აფხაზური ანბანი ხელახლა შემუშავდა ისევ რუსული გრაფიკის საფუძველზე.

1866 წელს აფხაზური სოფლის საეკლესიო—სამრევლო სკოლებში შემოდგებული იქნა სწავლება აფხაზურ ენაზე. 1868 „ავგასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდენმა საზოგადოების“ საბჭომ აფხაზური აღიარა „ჩილდ და განუვითარებელ“ ენადა ამიტომ წმინდა წერილის სწავლება აფხაზურ ენაზე გაუქმდა. (2. გვ.460). ჩვენი აზრით, ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც 1866 – 1867 წლების მოვლენებს და აფხაზეთის საეკლესიო – სამრევლო სკოლების გაუქმებას უკავშირდებოდა. 1884 წელს კი მეფის რუსეთის ხელისუფლებამ საერთოდ აკრძალა აფხაზურ ენაზე სწავლება და შემოიღო მხოლოდ რუსულ ენაზე სწავლება.

1868 წლისათვის ქართველი მისიონერების ძალისხმევით სამურზაყანოს მთელი მოსახლეობა მართლმადიდებლობას აღიარებდა. განსხვავებული სურათი იყო დანარჩენ აფხაზეთში. აյ მუსლიმთა და წარმართოთ დიდი რაოდენობა არსებობდა. მათი რიცხვი 28 127 შეადგენდა. ეპლებითა რაოდენობამ იმ პერიოდისათვის აფხაზეთში შეადგინა – 16, სამურზაყანოში – 15. ვფიქრობთ, რომ ეკლესიების რიცხვის ასეთი ზრდა ქართველი სამღვდელოების სერიოზული წარმატება იყო.

ქრისტიანობის გავრცელება, ეკლესია – მონასტრების აღმშენებლობა, ახალი საეკლესიო – სამრევლო სკოლების დაარსება, განსაპურებით გაძლიერდა 1869 – 1885 წლებში, როდესაც აფხაზეთის საეპისკოპოსო იმერეთის ეპარქიას მიუჟროეს. იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელ ქიქოძემ (1825–1896 წწ.) რამდენჯერმე იმოგზაურა აფხაზეთში-გაუცხო ადგილზე რა მდგრომარეობას, მრავალი აფხაზი მონათლა – გააქრისტიანი, მრავალი ეკლესია-მონასტერი და საეკლესიო სამრევლო სკოლა აღადგინა და დაარსა. გაბრიელმა აფხაზეთის უფროსი ბლალოჩინის თანამდებობაზე დამაჭავარიანის კანდიდატურა წამოაუნა და მაღალი შეფასება მისცა აფხაზეთ – სამურზაყანოს სამღვდელოების მოღვაწეობას, რომელთა უმრავლესობამ აფხაზური ენა იცოდა.

მართლმადიდებლობის გავრცელების საქმეში დიდი მნიშვნელობა სკოლას ენიჭებოდა. 1868 წელს როდესაც გაბრიელ ეპისკოპოსმა აფხაზეთში პირველად მოინახულა სკოლები, ისინი მხოლოდ სამურზაყანოში აღმოჩნდა, ხადაც სწავლების დონე არცოუ ისე მაღალი იყო. მთვლს დანარჩენ აფხაზეთში ერთ საეკლესიო – სამრევლო სკოლაც არ არსებობდა. მხოლოდ სოხუმში ფუნქციონირებდა 1863 წელს დაარსებული მთიელთა სკოლა. გაბრიელ ეპისკოპოსი საქართველოს ეგზარქოსის სახელზე გაგზნილ ანგარიშებში ითხოვდა აფხაზეთში საეკლესი სკოლებისა და სასულიერო სახაზელებლის გახსნას. მეფის მოხელეები კი აფხაზეთში ქართველი სამღვდელოების გაბატონების გამო გამოთქვამდნენ უკმაყოფი-

ლეგბას და აცხადებდნენ რუსი მისიონერების მეშვეობით უნდ მომხდარიყო აფხაზთა გაქრისტიანება და გარუსება-გაბრიელ ეპისკოპოსის დიდმა ავტორიტეტმა ხელი შეუშალა რუს მისიონერების სრულად განეხორციელებულ განვითარებინათ თავისი გეგმა-მთლიანად გაბრიელის ეპისკოპოსის პერიოდში 18 ათასი აფხაზი მოინათლა. მან აფხაზეთში მოდვაწე მღვდლებს ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად ხალხში განათლების შეტანა დაუსახა მიზნად. ამ მხრივ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1870 წელს ლიხნის საეკლესიო სკოლის გახსნა. 1870 წელს სოხუმში ქალთა სასწავლებლის ბაზაზე იხსნება ქალთა პროგიმნაზია. 1872 წელს სკოლა გაიხსნა ოჩამჩირეში. 1875 წელს -გუვში. 1876 წელს - ჭლოუში. მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში „კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენმა საზოგადოების“ შეფასებით გამორჩეული მასწავლებლები იყვნენ: ჯინჯიხაძე, საყვარელიძე, იოსელიანი, ემხევარი, შერგაშიძე ხოლო საუკეთესო სასწავლებელად სოხუმის მთიელთა სკოლა ითვლებოდა, სადაც 1874 წლისათვის 80 ბავშვი სწავლობდა. 1875 წელს სკოლის ხელმძღვანელად დაინიშნა კდ. მაჭავარიანია.

1877-1878 წლების რუსეთ - თურქეთის ომის დროს თურქების ხელით განადგურდა აფხაზეთის 16 კლესია, 26 კლესიაში დაწვეს საგადლების წიგნები და დოკუმენტები, მიწასთან გაასწორეს სოხუმის მთიელთა სკოლა, ქალთა პროგიმნაზია; კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების 10 სკოლიდან თოხი დაიწვა. ოქუმის ცნობილი საკლებიო - სამრევლო სკოლა პოსპიტალად გადაკეთდა და იქ სწავლა 1979 წელს განახლდა. არ დაზარალებულა სამურზაყანოს თოხი სკოლა: დიხა ზურგის, საბერიოს, ბერისა და გუდაგის. თურქებმა აფხაზთა დიდი ნაწილის გადასახლება შეძლეს თურქეთში. ისე როგორც 1867 წელს, ამჯერადაც ის რეგიონები დაცარიელდა, სადაც ქართველ მისიონერების არ მიეცათ მუშაობის საშუალება.

1881 წლის ზაფხულში გაბრიელ ეპისკოპოსმა კვლავ იმოგზაურა აფხაზეთში. დაიწყო ახალი ეკლესიების მშენებლობა და დანგრეულის აღდენა. ნელ - ნელა ფეხზე დააყენა მოშლილი განათლების სისტემა-კლავ გაანახლა საქმიანობა სოხუმის მთიელთა სკოლამ, ქალთა პროგიმნაზიაშ და ახალი ათონის სკოლამ. 1880 წლის მონაცემებით, აფხაზეთის სკოლებში 190 ქართველი (მეგრელი) და 36 აფხაზი სწავლობდა.

1885 წელს მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების სკოლები საეკლესიო - სამრევლო სკოლებად გადაკეთდნენ. შემუშავდა და დამტკიცდა ახალი სასწავლო გეგმები, რომლითაც საეკლესიო-სამრევლო სკოლებში მხოლოდ რუსულ ენაზი იქნა სწავლება შემოღებული.

1885 წლის 12 ივნისის იმპერატორის ბრძანებით და უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით აღსდგა აფხაზეთის ეპარქია. ამ პერიოდში ცარისმა დაიწყო საგანგებო ღონისძიებების გატარება, რომელიც მიმართული იყო ქართველი და აფხაზი ხალხის ეროვნული თვითშეგნების, მისი კულტურის, ისტორიის და მშობლიური ენის მოსპობისაკენ. რეაქციის გაძლიერებამ ღია მეცნიერებლების მოვინისტურმა იდეოლოგიამ და რუსიფი-

გატორულმა პოლიტიკამ განსაკუთრებით იჩინა თავი სკოლებსა და სასულიერო სასწავლებლებში გატარებულ ღონისძიებებში.

გამოიყელ ეპისკოპოსი მეფის ხელისუფლებამ, როგორც ჩანს მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ჩამოაშორეს აფხაზეთის ეპარქიას, როგორც რუსული კოლონიზაციული პოლიტიკის მოწინააღმდეგ ეროვნული მოდვაწე.

ჩეენ საგსებით ვეთანხმებით, ბატონ ჯემალ გამახარიას დასკვნას, რომ „1886 წლის შემოდგომაზე აფხაზეთს მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიაში დიდი და მნიშვნელოვანი ეპოქა დასრულდა.XIX საუკუნის დასაწყისიდან ქართველმა სასულიერო პირებმა წარმოუდგენლად მმიმე ვითარებაში— რუსული მმართველობის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლების, კავკასიელ ტანამომქმეთა გენოციდის, რუსეთ თურქთის დაპყრობითი ომების, პოლიტიზირებული ისლამის მოზალების, მაჭადიანობასა და მართლმადიდებლობას შორის მკაფიო იდეოლოგიური დაპირისპირების, ხალხის ნების წინააღმდეგ აფხაზეთის სამთავროს გაუქმების, აფხაზთა ეროვნულ — გამანთავისუფლებელი გამოსვლების, მასობრივი მაპაჯირობის, ინტენსიური კოლონიზაციის პირობებში— ამ უმცვლეს ქართულ მიწაზე ქრისტიანობის გავრცელება — აღდგენა მოახერხეს და ამთი ხელი შეუწყვეს აფხაზი(აფხსუ) ერის გადარჩენას, მის ხსნას სრული კატასტროფისაგან, ერთიანად თურქეთში გადასახლებისაგან.” (2, გვ.529).

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში, განათლების სფერომ და სკოლამ მთელს იმპერიაში ადგილობრივი ერების გადაგვარებისა და გარუსების მისია იყისრა. სკოლა უნდა გამხდარიყო რუსული ცივილიზაციის გამავრცელებელი ორგანიზმი. ამავე პერიოდში, პერიფერიებში განსაკუთრებული ექრადდება სასულიერო განათლებას მიექცა.

მეცხრამეტე საუკუნის 90—იანი წლებიდან წარმატებულ სასწავლებლად აფხაზეთში კვლავ სოხუმის მთიელთა სკოლა ითვლებოდა. მას სოხუმის ქალთა პროგიმნაზიასთან ერთად კარგი მატერიალურ — გექნიერი ბაზა პქონდა. სასწავლებლების ძირითად კატეგორიას აფხაზეთის ეპარქეაში საეკლესიო სამრევლო სკოლები შეადგენდნენ, რომლებიც უწმინდესს სინოდს ემორჩილებოდნენ. 1899 წლისათვის სოხუმის(აფხაზეთის) ეპარქიის 45 სკოლაში 1165 ვაჟი და 459 გოგონა სწავლობდა. მოელი სასწავლო პროცესი კი რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.(3, გვ.216 – 217)

საინტერესო, რას წარმოადგენდა ამ პერიოდში აფხაზეთის ეპარქია. საქართველოს საეგზარხოს 5 ეპარქიიდან იგი ყველაზე პატარა იყო და მის განმგებლობაში მხოლოდ 1 მონასტერი და 46 ეკლესია შედიოდა. შედარებისათვის გურია-სამეგრელოს ეპარქია 5 მონასტერს და 407 ეკლესიას მოიცავდა. (რუსული კოლონიალიზმი საქართველოში; თბილისი 2008)

1891 წლიდან ელემენტარული განათლების მიღების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სოხუმის ეპარქიაში უწმინდესმა სინოდმა გახსნა ეკლესიებთან წერა — კითხვის სკოლები. 1899 წლისათვის სოხუმ

მის ეპარქიაში იყო 26 ასეთი სკოლა, სადაც 565 ვაჟი და 151 გოგონა სწავლობდა (3, გვ.216 – 217).

აფხაზეთში სასკოლო განათლების ერთ-ერთ ამოცანას მაპშადი-ანობასთან დაპირისპირება წარმოადგენდა. ოურქეთიდან დაბრუნებული მუჭაჯირობის წყალობით ისლამშა დრმა ფესვები გაიდგა. ოურქეთიდან ბევრი მოლა დაბრუნდა.ისინი ხსნიდნენ მეჩეთებს და მაპშადიანურ სკოლებს. ამას თან ერთვოდა დეკანოზ ვოსტორგოვის იმპერიული პოლიტიკა. მისთვის ხომ მთავარი იყო ქართულის გამოღვენება აფხაზეთიდან და რუსულის სრული გაბატონება.რისიფიკატორი იდეოლოგები მიზნად ისახავდნენ აფხაზი ხალხის მოწვევებას ქართული კულტურული სივრცისგან. ისინი ასახელებდნენ რამდენიმე მიზეზს, რომელთა გამოც შეუძლებელი იყო აფხაზურ ენაზე განათლების დანერგვა: 1. აფხაზურ ენაზე საერო და სასულიერო განათლების ორგანიზება შეუძლებელია, რადგან ამ ენაზე არ არსებობს სასწავლო ლიტერატურა; 2. აფხაზები არ არიან ქართველები, რის გამოც მათთვის ქართულ ენაზე სწავლებისა და ქრისტიანული დათისმასახურების გაგრძელება დაუშევებელია; 3. აფხაზებმა იმ დონეზე უნდა ისწავლონ რუსული ენა, რომ საბოლოოდ დაივიწყონ დედაენა და გარუსიზნენ. ამრიგად რუსეთის კოლონიზაციონული პოლიტიკის განმორციელებებს მიაჩნდათ, რომ ეკლესიისა და სკოლის საშუალებით მოესპორ აფხაზური ენა და ქართული, როგორც სახელმწიფო ენა რუსული შეეცვალათ.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის დამოკიდებულება და ზრუნვა აფხაზურ ენაზე სწავლების გასაუმჯობესებლად. 1907 წელს იაკობ გოგებაშვილი წერდა: „აფხაზურ ენას, როგორც დამოუკიდებელ ენას, უდავოდ აქვს უფლება თავის დათისმასახურებაზე, თავის დამწერლობაზე, თავის ხალხურ ლიტერატურაზე” (5. გვ.200). იგი გმობდა აფხაზურ სკოლებში აფხაზურ ენაზე სწავლების ნაცვლად რუსების მიერ კ.წ. მუნჯური მეთოდის დანერგვას, რაც მოსწავლეთა გონებრივ დამახინჯებას და დაჩიდუნებას იწვევდა. იაკობი აფხაზეთში მოღაწე ქართველებს და აფხაზებს მოუწოდებდა ერთობლივი ძალებით შეედგინათ და დაეგებქდათ აფხაზური დედაენა. დედაენის დაბეჭდვას და გამოცემას, კი თავის ხარჯებით კისრულობდა ქართველთა შორის წერა – კოსტის გამაფრცელებელი საზოგადოება.

1908 წელს თბილისში ავტორთა ჯგუფმა გამოხცა „ აფხაზური წიგნი აფხაზთა სკოლებისათვის”, რომლის მიზანი იყო, რომ ამ წიგნის საშუალებით აფხაზური ენის სწავლება შესაძლებელი ყოფილიყო არა რუსულ სკოლებში არამედ აფხაზურ ეროვნულ სკოლებში.

1909 წელს აფხაზმა განმანათლებელმა „ანდრეი ჭოჭუაშ გამოსცა იაკობ გოგებაშვილის მიერ შემუშავებული პედაგოგიური პრინციპების საფუძვლზე შედგენილი „ აფხაზური ანბანი”, რომელშიც ორიგინალური აფხაზური საბავშვო ტექსტების გვერდით შეტანილი იყო ი.გოგებაშვილის „რუსესკოე სლოვო”–დან თარგმნილი რამდენიმე მოთხოვბა.”(4. გვ.85). ამ წიგნის დირსება ის იყო, როგორც თეიმურაზ გვანცელაძე აღნიშნავს, რომ

იყო აგებული იყო იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური პრინციპების მიხედვით, სხვა ენა უნდა ისწავლებოდეს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსწავლეს საფუძვლიანი ცოდნა ექნება დღიურისა და უცხო ენის გავლენა ვეღარ გადააჯიშებს მას.

ამრიგად, მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებიდან ქართველი სასულიერო მოღვაწეების აქტიური ჩარევით, აფხაზურ სოფლებში სამრევლო და საერო სკოლების დაარსება უქმდებოდა პროგრესული მოვლენა იყო, სადაც აფხაზ ბაგშვებს ჰქონდათ შესაძლებლობა მიეღოთ დაწყებითი განათლება რუსულ ენაზე, ქართული და აფხაზური ენის დახმარებით. მათი ზრუნვის საგანს არა მხოლოდ ქართველი, არამედ აფხაზი მოსახლეობის თვითმყოფადობის, ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნებაც წარმოადგენდა. რუსეთის პოლიტიკა, კი აფხაზეთის სრულ ასიმილაციას ითვალისწინებდა. XIX საუკუნის 80 – იანი წლებიდან რუსიფიკაციის იდეოლოგებმა მიზნად დაისახეს აფხაზი ხალხის მოწყვეტა ქართული საგანმანათლებლო აულტურული სივრცისგან, რამაც გამოიწვია აფხაზეთში არსებულ სკოლებში, მხოლოდ რუსულ ენაზე სწავლების შემთხვება, რუსული ენისადმი მიღრეკილება, აფხაზ ბაგშვებში ეროვნული ცნობიერების დაჭვეთიერა, მართლმადიდებლობის პოზიციების დასუსტება, ქართველი და აფხაზი ერის გახლების დასაწყისი, წარმართობისა და მაპმადიანობის აღორძინება.

საქართველოს ჩამოშორებამ აფხაზები კატასტროფამდე მიიყვანა, მოზრდილი თემის ნაცვლად ერთ მუჭა თემად იქცა, რომელსაც გაქრობა ემუქრება, თუ პოლიტიკოსებმა გააცალკავეს, გაიმარტოვეს და მოსწავიტეს საქრთველოს. გაწყვეტილი ისტორიული კავშირის აღდგენა კი წელში გამართავს აფხაზებს, ზურგის გაუმაგრებს, ძალასა და ღონეს მისცემს და კარგის მომავლის იმედით აღავხებს". (5, გვ.175).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე(ოქროპირიძე) და აფხაზეთი. კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბილისი, 2006 წ.
2. გამახარიამ, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, თბილისი, 2005 წ.
3. Киринон, Краткий очерк истории Грузинской церкви, 1902 г.
4. გაანცელაძე, თ., აფხაზური ენის ფუნქციონირება განათლების სფეროში, „სპეცალი“ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეკონსირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი.
5. გოგებაშვილი, თხულებათა ტ. 4., თბილისი, 1955 წ.

- 6.ბასილაძე ი., გამრიელ ეპისკოპოსის(გერასიმე ქიქოძის) ქრისტიანული პედაგოგიკა, ქუთაისი, 2000 წ.
- 7.ბასილაძე ი., მოწენიდე ქ., კუპრაშვილი ს., სახულიერო განათლება და პედაგოგიური აზროვნება XIX საუკუნის იმერეთის ეპარქიაში, ქუთაისი, 2006 წ.
- 8.ბენდიანიშვილი ა. დაუშვილი ა. სამსონაძე მ. ქოქრაშვილი ხ. ჭუმბურიძე დ. ჯანელიძე ო. რესული კოლონიალიზმი საქართველოში, თბილისი 2008 წ.

Imeri Basiladze
Sulkhan Kuprashvili

Spiritual Education in the second half of XIX century in Abkhazia Rezume

In the first half of 19 centure there was no official educational institution in Abkhazia, and the family was the only source for aducation.

In 1851, archpriest David Machavariani opened the first parochial school in village Okhumi. In summer 1851 another school was opened in village Linkhi, decisionn was made by Saint Synod.

From 19 centure, Georgian eleasiatic public men's active mite conditioned a fast, that Abkhazian children had an opportunity to get an elementary school education in Russian, with help of Georgian and Abkhazian languages. They cared not only for Georgians, but also for independence of Abkhazia.

Simle last years of 19 centure. Russian ideologists had an foran object, to separate Abkhazian people from Georgian education system. Outcome would be the teaching only in Russian, lowering the national consciousness of Abkhazian children and weakening orthodoxy positions.

მამის ფარავა

ქაგლისა და მიმნაბორის ეტიმოლოგიისათვის

„ქართააღმწერელი „ასწლოვან მატიანეში” წერს: ოეგულაძე ას, „ესმა რა სიდიდე უდაბნოსა ოპიზისა და შემქობა მისი პატიოსნითა ხატითა, და კანდელთა მიერ აღსავეობა, ინება წარმოდგება მისი, და წარმოავლინა ვითარ ათასი მგელარი, რათა მოაოჭროს. ხოლო წარვიდეს მთისა გზასა, რომელი მივაკარჩხალთა კერძო... და დადგეს მთისა მის ძირსა, რომელსაც ეწოდების ძეგლი, რომელსაც ზედა შენ არს ეკლესია წმიდისა გიორგისი, რომელ არს [შორის] ოპიზისა და მიძნაძორესა” (ქართლის ახლოება, II, 1959:259-260).

მოყვანილ ამონარიდში რამდენიმე საინტერესო ცნობაა:

8. የଓଡ଼ିଆରେ ମହାକାଵ୍ୟାଳୁଙ୍କାର ମିଥିଗାଲୀ ମଧ୍ୟରେ ଆତମକାତ୍ତିଷ୍ଠାନିକ ଲାଶ୍କାରୀ ଦାଙ୍ଗା ମନୋର ଦର୍ଶନ, „ରମ୍ୟକଲ୍ପା ଗ୍ରନ୍ଥରେ ଉପରେ ଉପରେ” ବା-
ଦାତା ଅଶ୍ରୁନ୍ଦାତ୍ତିଷ୍ଠାନିକ ପାତାରେ ପାତାରେ ପାତାରେ ପାତାରେ ପାତାରେ ପାତାରେ

ბ. ძეგლი მდებარეობს ოპიზასა და მიმნაბორს შორის.

2011 წლის ექსპედიციის დროს ჩვენ მივაკვლიერ ძეგლს და წმინდა გორგას სახელობის აკლასის ნაშთაბს.

ყურადღებას იქვევს ტოპონიმები ძველი და მიძნაძორი.

1. პირველ რიგში შევასხოთ ძეგლის ეტიმოლოგიას.

ძეგლის ქართულში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს.
საბა წერს: „ძეგლი – სამდგვარივო, წერით და ძეგლი ორონად ითქმის“ (ს.ს. ორბელიანი 1948). ხოლო ორონის ასე განმარტებას ლექსიკოგრაფი: „ორონ, რომელ ითარგმნების ძეგლად წერილსა და საზღურად სტყვსა საღმრთოება მოქალაქობას.“

როგორც ვხედავთ, საბას განმარტებაში მთლად ნათელი არაა ძეგლის მნიშვნელობა, თუმცა ჩანს, რომ იგი უკავშირდება საზოგადოებრივი მართვის მიმდევარის მიერ.

6. ჩუბინაშვილი: „მეგლი, დიდი სკოტი მარტოდ დადგნილი ნაშენათ. ანუ სამძღვანოა” (ნ. წაბინაშვილი 1961).

ამდენას, 6. წუბინაშეიღოთან, ძეგლი სვეტია „სამძღვრად და და აწილი”, თოთქმის იმპავა ამზობქ დ წუბინაშვილი;

საბივე ღერძისი დამატებული განვითარება სანოტექნიკო, მაგრამ ამავრობ წესის სისტემაზე და ასაშერებლოვთ ერთ.

ძეგლი ძველ ქართულში ადნიშნავს: გამოსახულება, ქანდაკება, კერპი: ქმნა ძეგლ მარილის წე დაბ. 19,26; ...დაამჯუნეს უკველნი ძეგლი ბაალისნი 0, IV, 10,27... (იღ. აბულაძე 1973).

იღ. აბულაძის მიერ მოყვანილ მეორე მაგალითში, ძეგლს კერპის მნიშვნელობა აქვს. ვფიქრობთ, სწორედ ამ სემანტიკას უნდა უაგშირდებოდეს საკლევი ფუძე, – ძეგლი. ჩვენი გარაული ემყარება შემდეგს: ძეგლის მთის ძირში, იქ სადაც წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია, არის ზიარეთიც, „შეიძის საფლავი”, სალოცავი, სადაც დღესაც მიდიან მოსალოცად და დამის სათვეად. დასაშვებია, აქ უძმელესი დროიდან კერპი, ძეგლი იყო აღმართული, მანამდე, ვიღრე აქ ქრისტიანული სამლოცველო აშენდებოდა. წარმართული „კერპის მსხვრევის” შემდეგ აქ ააგეს ქრისტიანული სამლოცველო, ტაძარი. ხალხის მეხსიერებას კი შემორჩა ხსოვნა ძეგლი კერპისა... ამ ადგილას ზიარეთის არსებობა სწორედ ძეგლი კერპის მნიშვნელობის ტრანსფორმაციის შედეგი უნდა იყოს. აქ შეიძის (მუსლიმანური წმინდანის) საფლავის არსებობა, მეორეული მოვლენა ჩანს...

ამდენად, ტომონიმი ძეგლი მნიშვნელობით კერპს უკავშირდება. აქვე ვიტვით, რომ სამხრულ კილოებში ძეგლი მეტსახელს, ლადაბასაც ადნიშნავს. მაგრამ, ვფიქრობთ, იგი არ უნდა უკავშირდებოდეს ჩვენთვის საინტერესო ტომონიმს.

2. **მიძნაძორი** მდებარეობს კარხალის ხეობაში, მდინარი-პირა დაბლობზე. მონასტრიდან დღეს ერთი კედელიდა გადარჩენილა, დანარჩენი დროისა და ადამიანთა ხელით საძირკვლამდე მორდვეულა. გამეშეთელი მუსტაფა გამეშის ცნობით, 1964 წელს აქ გავიარეთ და ტაძარი გადახურული იყოო.

მიძნაძორის ადგილობრივები გამოთქვამენ როგორც **მიზნაზოლი**. პ: მონაცემელობა ჩვეულებრივია სამხრული კილოებისათვის. ამ შემთხვევაში ფონეტიკური მოვლენა თურქულის გაფლენით უნდა აიხსნას, თუმცა იგივე მონაცემელი ძეგლ ქართულშიც დასტურდება: ძროხაზროხა. თურქულის გავლენით მეოქი იმიტომ ვამბობ, რომ **მიძნაძორი** სხვა ფორმით (მიზნაზოლი) ქართული ენის ძეგლებში არ დასტურდება.

13 აგვისტოს (1904 წელი) მიძნაძორი მოინახულა 6. მარმა, აღწერა ტაძარი და კომენტარი გააკეთა ფუძის წარმომავლობაზეც. **მიძნაძორი** ფუძე მკვლევარმა დაუკავშირა სომხურ **მიჯნაძორი**, რაც ნიშნავს შეა ხეობისა (срединно-ущельнуюю) (Н.Я. Mapp 1911,182). 6. მარი სქოლიორში შენიშნავს, რომ „სახელწოდება შესაძლოა წარმოიშვა იქედან, რომ მონასტერს უჭირავს შეა ადგილი მერეს, პორტას, ხანძთასა და წყა-

როსთავს შორის; მონასტერთა დამაკავშირებელი გზა მასზე გაივლის” (იქვე, სქ. 2).

6. მარის ეს დაკვირვება ეჭვს თითქოს არ იწვევს, რამდენადც მიძნაძორი სწორედ დასახელებულ მონასტერთა შორის მდებარეობს და მათ შორის დამაკავშირებელი გზაც მასზე გადის. თუმცა გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: მიძნაძორის შემოგარენის ტოპონიმია მთლიანად ქართულია, რადა მაინდამაინც მიძნაძორია სომხური? (მიუხედავად იმისა, რომ სომხურ კვალს ამ რეგიონში ვერ გამოვრიცხავთ). ხომ არ შეიძლება რაიმე სხვა ასენა მოექცეოს აღნიშნულ ფუძეს?

„ქამთააღმწერლის” შრომის სხვადასხვა რედაქციაში მიძნაძორი განსხვავებული ფორმითაა ნახმარი, კერძოდ: **მიძნაჯვარი** (Mm), **მიძნაძორი** (Dc), **მიძნაძორა** (cet). მოყვანილ ფორმათაგან ყურადღებას იქცევს პირველი – **მიძნა-ჯვარი** (თუ იგი მიძნაძორის გადამწერისეული გადააზრება არა). თუ ამოსავლად ამ ფორმას მივიჩნევთ, დასაშვებია მსჯელობა: **მიძნა-ჯვარი<მიჯნა-ჯვარი>**საგან (ჯ-ჯ>ძ-ჯ’ს ხშულთა დისიმილაციის საფუძველზე), ხოლო შემდეგ პროცესი ასე განვითარდა: **მიძნა-ჯვარი>მიძნა-ჯორი** (ვა>ო გავრცელებული მოვლენა ქართულში) > მიძნაძორი (ძ-ჯ>ძ-ძ ხშულთა პროგრესული ასმილაციით.

ამდენად, მიძნაძორი რაღაცის მიჯნასთან მდებარე ჯვარს უნდა ნიშავდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ქამთააღმწერელი 1959 – ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ.

ს.ს. ორბელიანი 1948 – ს.ს. ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული..., თბ.

ილ. აბულაძე 1973 – ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ.

6. ჩუბინაშვილი 1961 – 6. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რესული თარგმანითურთ, თბ.

დ. ჩუბინაშვილი 1984 – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ.

Н.Я. Mapp 1911 - Н.Я. Mapp, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию. ТРПАГФ, т. 7. СПБ

Мамия Пагава

К этимологии „დევლი” и „მიძნაძორი”

Резюме

Автор данной работы пытается разъяснить смысл двух топонимов. Основа „დევლი” в грузинском языке употребляется в нескольких значениях (изображение, скульптура, идол). По мнению автора, топоним „დევლი” связан с „კურბი” и обозначает место, где идол был воздвигнут.

„მიძნაძორი” один из двенадцати святых монастырей, находится в Карчхальском ущелье. В картвелологии существует несколько объяснений „მიძნაძორი”.

По мнению Н.Я. Марра „მიძნაძორი” происходит от армянского „Миджнадзор”, и означает среднее ущелье.

Автор данной работы считает, что „მიძნაძორი” – грузинское слово, образованное от „მიჯნა-ჯვარი” (>მიძნაჯვარი>მიძნაჯორი>მიძნაძორი) и означает крест у предела, границы чего-то.

პიგლიზმები ილიას აუგლიცისტიკაში

ბიბლეიზმები თავიანთი ხატოვანებითა და დრმა სემანტიკით სრულიადაც არ წარმოადგენს მოქველებულ, არქაულ სიტყვათშენაერთებს. ზნეობრიობის შემცველი და ამასთან, ესთეტიკურად ღირებული ბიბლიური ფრაზები მრავალგზის მეორდებოდა საეკლესიო დათისმსახურების დროს; მათი ციტირება ამაღლებდა მთქმელის, ავტორის ავტორიტეტს, რადგან ისინი ყველაზე ექსპრესიულად გადმოგვცემდა სათქმელს, წარმოადგენდა დარწმუნების საუკეთესო საშუალებას. დროთა განმავლობაში ისინი ფრაზეოლოგიზმებად იქცა. ბიბლეიზმი ექსპრესიულიცაა და ლაკონიურიც. არაიშვიათად ისინი ოკაზიურადაც გამოიყენება, რაც „რაღაც დამატებითი ინფორმაციის მიწოდებასაც გულისხმობს. ამ ხერხების ინფორმაციულობისა და პრაგმატიკული ეფექტურობის დონე პირდაპირად დამოკიდებული ნორმიდან გადახრის ხარისხზე...“ (შადრინი, 1991, 143). რაც უფრო მოულოდნელია მისი ოკაზიური მნიშვნელობა, მთ უფრო ძლიერია „გაცრუებული მოლოდინის ეფექტი“ (ჩხვიმიანი, 2004, 87).

ნ. ლ. შადრინი ფრაზეოლოგიზმის ოკაზიური ხმარების ორ ძირითად ფორმას გამოყოფს: 1. „როცა იგი ხვდება მისთვის უჩვეულო კონტექსტში, მაგრამ ინარჩუნებს სემანტიკურ და სტრუქტურულ მთლიანობას; 2. ხოლო თუკი კლინდება ფრაზეოლოგიზმის კომპონენტების სემანტიკური თუ სტრუქტურული თავისებურებანი, მაშინ საქმე გვაქსს ინდივიდუალურ-ავტორისეულ გარდაქმნასთან“ (შადრინი, იქვე, 145-146).

ილიას პეტლიცისტიკაში მეტწილად კი ინდივიდუალურ-საავტორო გარდაქმნის ნიმუშებს ვხვდებით. საეკლესიო-წიგნური ფრაზეოლოგია კომპონენტური და გრამატიკული სტრუქტურით ხშირად განსხვავდება შესაბამისი ბიბლეიზმისაგან. ენობრივი ნორმიდან გადახრის სწრაფვა ძირითადად მხატვრული ენისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა შესანიშნავად მიესადაგება პეტლიცისტური ტექსტების მიზანსაც: მიაღწიოს ექსპრესიულობას, ზეგავლენა მოახდინოს სოციუმზე, დაარწმუნოს ნათქმამის ჭეშმარიტებაში, აამაღლოს იგი ზნეობრივად. შეიძლება ითქვას, ყველაზე სრულყოფილად აღნიშნული ფუნქცია სწორედ პეტლიცისტურ ტექსტში რეალიზდება, მით უფრო, თუკი საამისოდ ბიბლეიზმი გამოიყენება. ამ ნიშნით ბიბლეიზმების დენოტაციურ-კონოტაციური ასპექტები, სტრუქტურა და სტილისტიკური ფუნქციები საგანგებო შესწავლის

დირსია. ქვეყნის აფ-კარგზე ჩაფიქრებული მამულიშვილი დაუინგბით ცდილობდა საკუთარი იდეების გავრცელებას, საზოგადოებრივი ცნობიერების გარდაქმნას, საამისოდ კი მან სწორედ ბიბლიაზე გააკეთა შეუცდომელი არჩევანი. მისი განუმეორებელი შემოქმედებითი ნიჭის დასტურია ბიბლიების გამოყენების თავისებურებანი, კერძოდ, აქ იკვეთება ორმდენიმე შემთხვევა; 1. ბიბლიებიზე უცვლელედა გამოყენებული მაგ: „ის ჯერ არაყვავებული მმობა, ერთობა, თავისუფლობა, თანასწორობა ადამის ჟამის ჰეშმარიტებანი არიან” („ხსარტულა”, 3, 197); „მოვა დღე კრიტიკის განკითხვისა და...დაუნდობელი სიმართლე გაგგზავნით თავის დაუნდობელ ჯოჯოხეთში” („აასუხი” 3, 51); „ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი” („რა გითხრათ, რით გაგახაროთ?” 1, 12); [შდრ. ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას” (მ. 16,17-18)]; ტყეულად მყიფრალი სააღილმამულო ბანკების წინააღმდეგ, ვარნებ, სიხარულით ხელებს იფშვნებენ, მაგრამ ჩვენ უფალსა ვსთხოვთ, მიუტეოს მათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან” (1, 311) [შდრ. „და იქსუ თქუა: მამაო, მოუტმვი მაგათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან (ლ. 23, 34)]; „ამ აზრით ქცევა ასე, რომ სომებს ამისთანაებში ხელს აპანინებს, მითამდა ქართველები არიან ასეთი ბრიყვნი და ავის ზნისანი და სომხებიკი არაო” („ქვათა დადადი”, 2,39);

„ვითა მამა ზეცისა, იყავნ შენც სრული- აი, თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა (შინაური მიმოხილვა XXIX, 1, 342.) წმდრ. ვით მამა ზეცისა, იყავნ შენც სრული: იყენით სრულ, ვოთარცა მამავ თქუენი ცათა შინა სრულ არს (მ. 5,48). გავისხვნოთ, როგორ ესაუბრება „კაცია-ადამიანში?! თავისსავე გმირს ავტორი ზნეობრივი სრულყოფილების შესახებ: შენ იმისთვის ცხოვრობ, რომ ჭამო და სვა და არა იმისათვის, რომ რომ ჰავაშ და სვამ, იცხოვრო ე. ი. ეცადო, რომ ვითა მამა ზეცის იყო შენ სრული.” აღნიშნულ კონტექსტში ბიბლიური ფრაზა სარკასტულად გამოყენება, რომ ლუარსაბს არასწორად აქვს გაგებული ბიბლიური სიბრძნე.

სათქმელის ექსპრესიულად გადმოცემად, კერძოდ, კი თვითხებობის და უტიფრობის გასაკრიტიკებლად ზოგჯერ ილია მიმართავს ბიბლეიზმის გრამატიკულ ტრანსფორმაციას- კუთვნილებითი ნაცვალსახელის მეორე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმას ცვლის პირველი პირის მხოლობითი რიცხვისათი: „მეორე დღესაო, იმავე თავმჯდომარებ გამოუცხადა ყრილობას, - ბრძანებს ბ-ნი ყიფიანი: იყავ ნება თქვენი, თითონ ჩვენ დაგინიშნავთ კამისიასო; რამ გამოიწვია? ნეოთუ იმან, რომ „იყავ ნება

ჩემიო! (შინაური მიმოხილვა XXIII, 1, 266). [შდრ. მოვედინ სუფე-
გად შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყა-
ნასა ზედა (მ. 6, 10)].

ილია ბიბლეიზმებს ყოველთვის არ იყენებს, როგორც
მზა ფრაზებს, მათ მოხდენილად აქსოვს წინადადებაში და აკის-
რებს მთავარი წევრის ფუნქციას: „დღესაო, ილიამ თუ მე არ
ვიქნებიო, ქვა ქვაზე ნუ იქნებათ” (შინაური მიმოხილვა XXI, 1,
243); აღა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამსეს, ქვა-ქვაზედ არ დაგ-
ვიყენეს, მოგვსრნეს, მოგველიტეს და მაინც ფეხზე წამოვდევით”
(„რა ვითხრაო, რით გაგხაროთ?”, I, 11). [არა დაშოეს ქვად ქვასა
ზედა, რომელი არა დაირღუეს (მ. ახ. 2)]. ან კიდევ: „ბ-ნ ყიფი-
ანს ბეწვი დაუნახავს და ძელი კი არა (შინაური მიმოხილვა
XXIII, 1, 378). [შდრ. ანუ ვითარ ხელ-გეწიფვების თქუმად ძმისა
შენისა: „ძმაო, მიტევე და აღმოგილო წუელი თუალისაგან შენი-
სა, და დირესა თუალისა შენისასა არა ჰქედავ? ორგულო, აღმო-
ილე პირელად დირე თუალისაგან შენისა და მერმე იხილო
აღმოღებად წუელი თუალისაგან ძმისა შენისა (ლ. 6, 42)].

ქვეყანას კი აინუშიაც არ მოსდის ამ საწყლის ხაგრულ-
ყოფა. მიდის-მოდის ხალხი დაამ გათახსირებულს გლახაქს არა-
ვისგან საქმაო ნუგეში არ ეძლევა და სჩივის: მე პურს ვსთხოვო,
ის ქვას მიღებს ხელშიო. თუმცა ჰქედავს თავის გარშემო ამისთა-
ნა გულქაობას, რომ გლახა პურს ითხოვს და ქვას აწვდიან
ხელში, მაგრამ ჩვენი პოეტი მაინც საწყლის გულში ბოროტს არ
ატრიალებს („წერილები ქართულ დაიტერატურაზე”, 3, 547). [შდრ.
ანუ ვინ არს თქუნგანი კაცი, რომელი სთხოვდეს ძე მისი პურსა,
ნუ ქვად მისცეს მას?”, 7, 7]. ან: „მაინც კიდევ სიკვდილია იმის-
თვის, რომ ვისთვისაც ჭირშია, ვისთვისაც იბრძვის, ვისთვისაც
იტანჯება, ის პირელი ესვრის ქვას სხეათა შორის (604)”

აღნიშნული ფუნქციით გამოიყენება ძველი აღთქმის ფრა-
ზებიც. ზეთისხილის რტო სუბსტანტიური ბიბლეიზმია, მაგრამ
ილიამ მისგან შექმნა ზმური ფრაზეოლოგიზმი: მაგ.: მაშინ გა-
მოვიდნენ ასპარეზზედ შეილები, რომელთაც უარყვეს და დაჰ-
გმეს მამათა საქმენი და ზეთისხილის ყლორტით მოფრინდნენ
(„წერილები გადაღმითვან”, 3, 303).

გამოთქმა „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა” გვხვდება
როგორც ესაია წინასწარმეტყველთან (40,3), ასევე ძველ აღ-
თქმაში, მათეს (7,16) და მარკოზის (1,3) და ლუკას სახარებებში
(ლ. 3,4): [შდრ., ვითარცა წერილ არს წიგნსა სიტყუათა ესაია წი-
ნასწარმეტყველისათა: წმად მღაღადებლისად უდაბნოსა ზე-
და” (ლ. 3,4).

ილიასთან ეს ფრაზეოლოგიზმი უცვლელადაც გვხვდება და ტრანსფორმირებულიც: „განა მარტო აქაურის ბანკების ხმა დარჩა სმაღლდადებლად უდაბნოში?” (შინაური მიმოხილვა XXIII, 1, 265). „ის კრიტიკა ... დაღადებაა უდაბნოში, ეს საჭიროება თავგამეტებისა, ეს ამაოება დაღადებისა განა არ უნდა უშლიდე სკრიტიკის მოვლენას!” („კრიტიკა სანათურია დიტერატურისა”, 3, 578-579).

„დაღადება უდაბნოში”, - აქ ამოვარდნილია ერთი კომპონენტი (ხმა); მეტი ექსპრესიულობის მისაღწევად წინადაღებაში გვხვდება მისი იდეოგრაფიული სინონიმიც „ამაოება დაღადებისა”, რომელიც გამჭვირვალე სამანტიკისაა.

სპეციალურ დიტერატურაში მთითებულია, რომ საეკლესიო-წიგნური ფრაზეოლოგის, არქაული გამოთქმების გამოყენება ამძაფრებდა ილიას პუბლიცისტური წერილების პოლემიკურ კილოს. „არქაული გამოთქმები ორგანულად არის ჩაქსოვილი ძირითად ტექსტთან და ძველი ქართული ორნამენტებივით ამჟღვნებს მას” (შადამბერიძე, 1966, 274). ბუნებრივა, ამ გამოთქმებს ილია არქაზაციისთვის იყენებს, თუმცა ისინი პირველ რიგში გამოიყენება (როცა უცვლელი სახითაა დამოწმებული), რომორც უვალაზე მტკიცე, სარწმუნო არგუმენტები, შემდეგ კი უნდა ვიმსჯელოთ მათ სტილისტიკურ ნიუანსებზე.

ილია შემოქმედებითად უდგება ბიბლეიზმებს. ზოგჯერ იგი ამოკლებს მას და ცვლის რომელიმე კომპონენტის ბრუნვის ფორმას (სემანტიკა უცვლელია) მაგრა სიცილი და გლოვა გითომ და-ძმანი არ არიან? ვითომ ხელისხელგაყრილნი არ დაიარებიან იმ მუშტი-კრიკში, რომელიც არსებითის პურისთვის [შდრ. პური ჩუენი არსობისა] დღენიადაგ გამართულია?” („აარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია?”, 3, 174);

ზოგჯერ ბიბლეიზმი ერთდროულად შეკვეცილიცაა და გავრცობილიც: „აქ იქნება ღრმენა კბილთა და ხორცის გლეჯა” („ასეუხი”, 3, 51); [შდრ. „მუნ იყოს ტირილი და ღრმენა კბილთად (ლ, 13, 28)].

გამოთქმა ხე ნაყოფით იცნობა (ანუ ადამიანი თავისი საქმეებით იცნობა) გვხვდება ახალ აღთქმაში [შდრ. რამეთუ თითოეული ხე თვისისაგან ნაყოფისა საცნაურ არს; რამეთუ არა ეკალთაგან შეკრიბიან ლექვა, არცა მაყუალთაგან მოისოულნიან ყურძენი (ლ, 6, 44); (ლ, 7, 16)]. ილიასთან: „ნაყოფისაგან იცნობების ხე იგიო, ნათქვამია (VIII, 81); „სიტყვამან შენმან გამოგაჩინოს შენ”, - ამაზეა ნათქვამი, თუ სხვა რაზედმე? (59); დასასრულ, არ დაგივიწყებო შენ იმიტომ, რომ შენი საქმენი ჩვენზედ უკეთესად

პლატადებენ შენს დაუციწყრობას, შენს საუკუნოდ ხსენებას („დ. ბაქრაძის გარდაცვალების გამო”, 481); რად გინდა კაცმა სოქვას მე ასეთი ვარო,.... „სიტყვამან შენმან გამოგაჩინოს შენ” (იქვე, 105); „ხე ხილისაგან, ხილი ხისგან ნათქვამია, –იცნობებაო” („ქვათა დაღადი”, 2, 21); უკანასკნელ მაგალითში ბიბლიუს გახალხურებულია, მომდევნოში კი გათანამედოროვებული: ადამიანი და მეტწილად ერი, არა მარტო პურითა ერთითა ცოცხალ არს” (შინაური მიმოხილვა XXIX, 1, 342.). [შდრ. „არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი” (მ. 4, 4)]

ბიბლიუს მების გამოყენების მეტ დინამიზმულ მიგვითოთებს ბიბლიური სიტყვებისა და სიუჟეტების ქვევა ტექსტის ორგანულ ნაწილად. მათ გაგებაში ბიბლიური სიუჟეტების ცოდნა ვეხმარება: „აქ სულ ერთია, თქმაა ეს დვაწლი თუ ქმნა, დიას, მქმნელია იგი და მთქმელიცა... („დ. ბაქრაძის გარდაცვალების გამო”, 3, 353-354)

„ლაფი ჩამოვირეცხოთ, ჭუჭყი მოვიშოროთ, რომ მხოლოდ მარგალიტები დაგვრჩეუს ჩვენის ცხოვრების სასახელოდ” („საქართველოს მომბეჭდი”). [შდრ. ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლთა, ნუცა დაუფენოთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ლორთა, ნუშავე დასთრგუნონ იგი ფერხითა მათითა მოიქცენ და განგხევთქნენ თქუენ (მ. 7, 6).]

„მაგ სალაროში შედიან ხოლმე აღმორჩეულნი პირნი, რომელნიც ყველგან ცოტანი არიან, მხოლოდ მაგათა აქვთ იმათი კარის გასაღები, მხოლოდ იგინი სარგებლობენ, დაისაკუთრებენ იმათ საუნჯესა მაშინ, როდესაც იმათი განმანათლებელი სხივები ყველასთვის საჭირონი არიან, როგორც არსებითი პური” („საქართველოს მომბეჭდი”, 3, 126). [შდრ. მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი-რჩეულ (ლ. 14, 24)].

არა სჯობს, რომ თვითონ ამსახავს მისცე დარიგება და მართალს სამართალი მისცე? ამასთანავე არ შეიძლება კაცმა ერთ მხარეს არ მიჰკერძოს („სპირიდონის და თადეოზის ბაასი”, 3, 60-61); „ყოველის კაცის მართალი ის არის, რაც გულით მიაჩნია მართლად და არა თვალდებით (იქვე) [ნუ სჯით თუალ-ღებით, არამედ მართალი სამართალი საჯეთ” ი. 7, 24].

მომმეთა სიყვარულს, ურთიერთგატანას ილია უფლის უმთავრესი მცნების ძალას ანიჭებდა: „გიყვარდეს მომმე შენიო, ვოთარ თავი შენი, თავგანწირვით გიყვარდეს სამშობლო” (3, 203) [შდრ. შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თქსი” (მ. 23, 39)].

ილია ბიბლიუს მების ხათაურადაც: „ვის ნათესა ვმკით?, „რას ვემიებდით და რა ვპოვეთ?” აგვარი კითხვითი სათა-

ურებით იგი ადრესატს ან უზნეობაში სდებს ბრალს, ან კიდევ რაღაც შეუსაბამობაზე მიუთითებს.

ამრიგად, ბიბლიიზმები იღიას პუბლიცისტიკაში გამოიყენება სათაურის ასაგებად, მწერლის იდეური მრწამსის დასასაბუთებლად, სტილური ელფერის შესაქმნელად და ახალი ფრაზეოლოგიური ერთეულების საწარმოებლადაც.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. იღია ჭავჭავაძე, თხზულებათა კრებული ათ ტომად, ტ.V. პინგოროვას რედაქტორობით, თბ, 1955.
2. იღია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები 5 ტომად, ტ.V. პუბლიცისტური წერილები, თბ, 1987;
3. იღია ჭავჭავაძე, პუბლიცისტური წერილები, V. თბ, 1991;
4. შალამბერიძე 1966 - გ. შალამბერიძე, იღია ჭავჭავაძის ენა, თბ.
5. შადრინი, 1991- შადრინ ნ. ლ. „Перевод фразеологических единиц и сопоставительная стилистика”, М. 1991.
6. ჩხვიმიანი, 2004- ს. ჩხვიმიანი, ფრაზეოლოგიზმების ტრანსპოზიციის პრობლემა მხატვრულ თარგანში, საქათმეცნიერო ძიებანი, XVI, თბ.

Nana Tsetskhadze

Biblical Expressions in Ilya Chavchavadze's Social
and Political Essays

Resume

Biblical Expressions in Ilya Chavchavadze's Social and Political Essays are examples of individual transformations performed by the author. Phraseological units with modified structure ("amaoeba gagadebisa", "ikavn neba chemi", "arsebiti puri", zetishilis klortit moprena", "grchena kbiltada hortsis gleja") serve to express special purposes of the author and they have stylistic colouring (satire, sarcasm). They are often used as titles. Some of them have become part of folklore; some have become modern expressions. The original biblical expressions serve as arguments in text.

04ოლდა გელთაძე

აზხაზეთის ფინდა სალოცავი-კამანის მკლესია

ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის შედეგად, აფხაზეთი და იქ არსებული წმინდა ქართული სალოცავები დარჩა საქართველოსაგან მოწყვეტილი, რომელთა პატრონიბა და მოვლა სამწუხაროდ დღეს შეუძლებელია. აფხაზეთის წმინდა სალოცავების ისტორიაზე და მათ მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილება მეტად აქტუალურია, ვინაიდან ის ხელს შეუწყობს ისტორიული ფაქტების სინამდვილის სათანადო დადასტურებას ქართულ ცნობიერებაში.

საკუთრივ აფხაზეთში ე.წ. ეგრისწყლისა და კილასურის იქით მდებარე ტერიტორიაზე, ქართულ წერილობით კულტურას ხანგრძლივი ისტორია ჰქონია ჯერ კიდევ ქართული მიწების გაერთიანებისათვის მოძრაობის დაწყების აღრეულ ეტაპზე. დასავლეთ საქართველო ანუ აფხაზეთი არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეთნიკურადაც ქართული ქვეყანა იყო. (მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, 1998, გვ.114)

აფხაზეთში დარჩა ჩვენი სულიერი საგანძურები: ბიჭვინთის საეპისკოპოსო ტაძარი(Xს),ანაკოფიის წმინდა სიმონ კანანელის ეკლესია (IX-X სს), ახალი ათონის წმინდა პანტელეიმონის ტაძარი (IX ს), ბერის ტაძარი (X-XI სს), ლიხნის ეკლესია (X-XI სს), მოქვის ტაძარი(X ს), დრანდის ტაძარი(VIII ს), ილორის წმ. გიორგის ეკლესია (XI ს), ბზიფის ციხის ეკლესია(X ს), ძველი გაგრის ეკლესია(IV ს), კამანის წმ. იოანე ოქროპირის მონასტერი (XI-XII სს)

ჩვენ შევჩერდებით კამანის წმინდა სალოცავზე, რომელიც მდებარეობს სოხუმის რაიონის სოფ. შრომის ტერიტორიაზე. მისი აშენების თარიღიდან XI- XII სს. ითვლება. შემდეგ ტაძარი დაუზნევავით და აღუდგენიათ, რის შესახებაც გვექნება საუბარი ქვემოთ.

როგორც ცნობილია, პირველ საუკუნეში პონტიფიციამდე ქრისტიანობა გაავრცელეს ანდრია მოციქულმა და სიმონ კანანელმა. ისიც ცნობილია, რომ ანდრია პირველწოდებულს სიმონ კანანელი საქართველოს შავიზდვისპირეთში დაუტოვებია. შესაძლებელია სოფლის და ტაძრის სახელი კამანი (კომანი)- თავად სიმონ კანანელის (კანანი-ქანანი- კანანელი- ქანანელი) სახელთან იყოს დაკავშირებული. (თ. ცაგარეიშვილი. 2008, 26-29).

აფხაზეთის საექსკურსიო ობიექტების პროგრამის-„აფხაზეთის წმინდა ადგილები“, ნესხაში შეტანილია სოფელი კამანი, სადაც მითითებულია იოანე ოქროპირის მონასტერი და მოწამე ვასილისკას საფლავი. გაჩერება სოფელი იაშთუხა (ანუ სოფელი მიხაილოვსკი) (http://www.akva-abaza.ru/index.php?option=com_content&view=article&id=33).

ადნოშნული მისამართი არ შეეფერება სიმართლეს. იგი არასწორად არის მითითებული. სინამდვილეში სოფელი იაშთუხა მდებარეობს სულ სხვა მხარეს, კერძოდ ბარათაშვილის ქუჩის ზე-მოო მარცხნივ აღმართულ გორაბზე. ხოლო სოფელი მიხაილოვსკი, (როგორც ეხლა აქვთ მითითებული) არის სოფელი თავისუფლება. ეს სოფელი მდგბარეობს სწორედ კამანისაკენ მიმავალ გზაზე. ასე, რომ სოფელი იაშთუხა სულ სხვა მიმართულებით მდებარეობს და არაფერი საერთო აქვს კამანისაკენ მიმავალ გზასთან.

დღეს კამანში ფუნქციონირებს ორი ტაძარი: წმინდა იოანე თქროპირის და მოწამე ბასილისკას. აფხაზებთან ომის დროს 1992-1993 წლებში ფრონტის წინა ხაზი კამანზე გადიოდა. აქ უამრავი ჭურვი აფეთქდა, მაგრამ არცერთი არ მოხვედრია ტაძარს. ეს ალბათ უფლის ხება იყო. ტაძართან მიმავალი გზა დღესაც არ არის განაღმული, ამიტომ იქ მისვლა მხოლოდ საცალფეხო ბილიკით შეიძლება. ტაძრის წინამდღვარია მამა დოროთე, ხოლო მონასტერში ბინადრობს მხოლოდ ხუთი კაცი.

კამანში მოწამებრივად აღესრულა: რომაელი ქრისტიანი მეომარი ბასილისკა,(308წ), ასი წლის შემდეგ იოანე თქროპირი(407წ), 1993 წლის 5 ივლისს გმირულად დაიღუპა კამანის იოანე თქროპირის ეკლესიის წინამდღვარი მამა ანდრია (27 წლის) და ასევე აქ აფხაზებმა წამებით მოკლეს ეკლესიის აღმდგენელი ოჩამხირელი, ეროვნებით აფხაზი, მაგრამ ქართველი ხალხის ძმა და მეგობარი გიორგი (იური) ანუა. ცნობილია ისიც, რომ გიორგი აფხაზებს საშინლად უწამებიათ ბასილისკას წყაროსთან.

ბავშვობაში ჩემი თვალით მაქვს ნანასი წყაროს წინ გამდინარე წყალში ქვები, რომელზედაც წითელი ლაქები იყო გამოსახული. იქ მყოფმა ერთ-ერთმა მონაზონმა ამისსნა, რომ ეს წითელი ლაქა იყო წამებულის სისხლი. მაშინ ვერც კი გავაცნობიერე რას ნიშნავდა ეს და ვინ იყო ის წამებული. ეხლა ჩემთვის ნათელია,

რომ საუბარი შექხებოდა მოწამე ბასილისკას, რომელიც აღესრულა აქ კამანში.

ბასილისკა წარმოშობით რომაელი, ყოფილი ნათესავი წმინდა თედორე ტირონის (17 თებერვალი მისი ხსენების დღე). აგრიპას მმართველობის დროს ქალაქ ამასიაში დაწებული ქრისტიანთა დევნა. ბასილისკას სიზმარში გამოცხადებია ღმერთი, რომელიც პირდებოდა დახმარებას და უწინასწარმეტყველებდა წამებით სიცოცხლის დასრულებას კამანში. ბასილისკას უთხოვია დაცისთვის, რომ გაეჭვათ ის სახლში, რათა ოჯახს გამომჟვიდობებოდა. აგრიპას როცა ეს შეუტყვია, განრისხებულს დარაჯები საპურობილები ჩაუსვამს, ხოლო ბასილისკას მოსაყვანად ჯარისკაცები გაუგზავნია. მისთვის ბორკილები დაუდვიათ, ფეხზე სპოლების ჩექმები ჩაუცვამთ, რომლის ძირებზე ლურსმნები ყოფილა ჩაჭედებული და გაუგზავნიათ კამანში.

მიუღწევიათ რა სოფლისათვის, ჯარისკაცები შუადგისას შეჩერებულან მოსახვენებლად, ხოლო ბასილისკა მიუბამთ გამარტინის ხეზე, დაუტოვებიათ მცხუნვარე მზის ქვეშ, რომელიც სიცხითა და წყურვილით იტანჯებოდა. წამებული ღმერთს შველას ევედრებოდა. მოულოდნელად ზემოდან შემოეხმა ხმა: “ნუ გეშინია, მე შენთან ვარ“. ამის შემდეგ მიწა შეირყა, ხე შეიმოსა მწვანედ და კლდიდან ამოხეთქა წყალმა. მიწისძვრითა და ნანახით შეშინებულმა ჯარისკაცებმა ბასილისკა გაანთავისუფლეს. მისი ლოცვით ავადმყოფები განიკურნა. როდესაც წამებული წარსდგა აგრიპას წინაშე, მაც მოსთხოვეს მსხვერპლის გადება წარმართი ღმერთების მიმართ. ბასილისკას უთქვამს: “მე ყოველთვის მადლობას და დიდებას გწირავდი ღმერთს“. აგრიპას ბრძანებით ის გაუგზავნიათ კამანში, თავი მოუკევთავთ, ხოლო სხეული ჩაუგდიათ მდინარეში. ქრისტიანებს მალე გამოუსყიდიათ წამებულის წმინდა ნაწილი და დამით დაუკრძალავთ ბორცვზე. რამდენიმე ხნის შემდეგ აქ აშენებულა ეკლესია წმინდა ბასილისკას სახელზე.(მისი ხსენების დღე 5 აგვისტო). (<http://abkhazia-turoperator.ru/excursions\Sukhumi\Kamanski monastery.php>).

კამანის ტაძრის მეორე წამებული გახდდათ იოანე ოქროპირი. ის დაიბადა 344 ან 347 წელს ანტიოქიაში. ქრისტიანული ღვთისმოსაობის პირველი გაკვეთილები დედისაგან მიიღო და მთელი ცხოვრების განმავლობაში გაჰყვა. მან გულდასმით დაიწყო

წმინდა წერილების შესწავლა. ის ანტიოქიის მახლობლად ერთ სა-
განეზი ბერად აღიკვეცა. მონასტერში ყოფნისას იოანეს ჰქონდა
ჩვენება: მას წმინდა მოციქულები იოანე და პეტრე გამოეცხადნენ
და უთხრეს-„ნუ დამალავ ნიჭსა, რომელიც ღმერთმა კაცთა განსა-
ნათ ლებლად გიბოძა, გაბედულად იღადადე სიტყვა ღმრთისა... სი-
მართლისათვის ბევრ მწუხარებასა და დევნას დაითმენ, მაგრამ ყო-
ველივე მხენედ გადაიტანე“.

386 წელს ის ანტიოქიის საეპისკოპოსო კათედრაზე
მღვდლად ეკურთხა, სადაც 12 წელი დაჟყო. 397 წელს, როდესაც
კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსი ნექტარიოსი გარდაიცვა-
ლა მის მემკვიდრედ იოანე მიიწვიეს. მისი სახელი მთელ აღმოსავ-
ლეთში იყო ცნობილი. მაგრამ მას აღმოუჩნდა მტრები, დედოფა-
ლი ევდოქსიას სახით, რომლის გავლენით სუსტი ნებისყოფის მქო-
ნე იმპერატორმა არქადიუსმა დაადასტურა 407 წლის კრების უკა-
ნონო გადაწყვეტილება მისი ქალაქიდან გაძევების შესახებ.

მეორე დღეს საღამოს წმინდა სოფიის ტაძარში იოანე ოქრო-
პირმა წარმოთქვა სიტყვა, რომელიც ისტორიამ შემოგვინახა. ვუიქ-
რობთ ის მეტად საინტერესოა და ამიტომ მოვიტანთ ნაწყვეტს ამ
სიტყვიდან:“ ჩვენ არაფერი მოგვიტანია ამ ქვეყნიდან და ცხადია
მისგანაც ვერაფერს წავიღებთ. მე არად ვაგდებ შიშს ამა სოფლისა
და მისი სიკეთენი სასაცილოდაც არ მყოფნის, არ მეშინია სიკვდი-
ლისა და არ მსურს სიცოცხლე, უკეთუ მხედველობაში ჩვენს წარ-
მატებას არ მივიღებთ...დაჟ, იყოს ნებაი შენი, უფალო, არა ისე, რო-
გორც ამას და იმას სურს, არამედ ისე, როგორც შენ გნებავს. აი, ჩე-
მი სიმტკიცე აი, ჩემი უძრავი კლდე, აი, ჩემი ლერწამი ურყევი! დაე
იყოს ის, რაც ღმერთს ესათხოება. თუ მას აქ ჩემი დარჩენა ესათხო-
ება, მადლობას ვუძღვინ, ხოლო თუ აქედან წაყვანა სურს, კვლავ
მისი მადლობელი ვრჩები“ (ქრისტიანული ეკლესიის ისტო-
რია., 2009 .238-239).

იოანეს მტრებს ის მეორედ გაუსახლებიათ ქალაქიდან. იოა-
ნე, როგორც პირველად, ეხლაც ფარულად გასულა და ნავსადგუ-
რისაკენ წასულა. ამ დროს ამოვარდნილა საშინელი ქარიშხალი,
ხოლო შუაღამისას წმინდა სოფიის ტაძარში სანდარი გაჩენილა,
რომელსაც არა მხოლოდ ტაძარი, არამედ სენატის შენობა, მდი-
დართა სახლები გადაუწვავს და მეფის სასახლესაც შექმნია სა-

შიშროება. დილისათვის ტაძრიდან მხოლოდ პატარა ნაგებობადა გადარჩენილა, რომელშიც საგანძურო ინახებოდა.

წმინდა მღვდელმთავარი ნიკაში დიდხანს არ გაუჩერებიათ. ერთი თვის შემდეგ იგი ბევრად შორეულ და მკაცრ ადგილას, პატარა ქალაქ კუკუსოში გადაუსახლებიათ, რომელიც არმენიის მოებზე მდებარეობდა. 70-დღიანი მგზავრობის მანძილზე იოანეს მრავალი ტანჯვა და საფრთხე გადაუტანია.

ერთი წლის შემდეგ ის უფრო შორს, ჩრდილოეთ არმენიაში გადაუსახლებიათ. სამწუხაროდ, არკადიუსს სინანულის სურვილი არ გასხენია და ძველებურად ყურს იმათ რჩევებს უგდებდა, რომელიც წმინდა მამის დაუძინებელი მტრები იყვნენ. იმპერატორი დაარწმუნეს, რომ იგი კიდევ უფრო შორს, საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროზე, ბიჭვინთაში გადაესახლებინა.

სამი თვის მოგზაურობის შემდეგ მათ კამანში ჩაადწიეს. წმინდა მამას ძალა სრულიად გამოიცდილი ჰქონდა. დამით მას წმინდა მოწამე ბასილისკა გამოეცხადა, რომელიც კამანში იყო დაკრძალული და უთხრა: “ ნე იდარდებ მათ იოანე ხვალ ერთად ვიქებით ” (ქრისტიანული ეკლესიის... თბ., 2009, 244).

მეორე დღეს ამაოდ თხოვდა იოანე თავის მცველებს ცოტა ხნით კამანში დარჩენილიყვნენ, რათა ძალა მოეკრიბა. მათ გზა მაიც ვააგრძელეს, მაგრამ იძულებული გახდნენ მალევე უკან მობრუნებულიყვნენ, რადგან დარწმუნდნენ, რომ წმინდა მამას გზის გაგრძელების ძალა აღარ ჰქონდა. იგრძნო რა აღსასრულის მოახლოება, იოანე ოქროპირი ეზიარა. მისი უკანასკნელი სიტყვები სამადლობელო ლოცვა იყო დმრთის სახელზე აღვნელნილი: “ დიდებაი შენდა უფალო, ყოველთა ზედა ყოვლისათვის ” . (ქრისტიანული ეკლესიის... თბ., 2009, 245).

იგი ჯვართამაღლებას 407 წლის 14 სექტემბერს გარდაიცვალა და კამანში წმინდა ბასილისკას გვერდით დამარხეს.

1884 წელს კამანში იმყოფებოდა ბერძენი არქეოლოგი გ. ვრიზისი. მისი მტკიცებით ერთ-ერთ ეკროპულ ბიბლიოთეკაში, უძველეს პერგამენტის ხელნაწერში ამოიკითხა კამანი, სადაც პიტიუნების (ბიჭვინთის) გზაზე გარდაიცვალა იოანე ოქროპირი . (<http://www.abkhazian-chuches.ru\Kamany.htm>)

მისი მტკიცებით ძველი აფხაზური სახელწოდება გუმბა და-კავშირებულია კამანთან, სადაც დაასაფლავეს წმინდა ანდრია ოქ-

როპირი. ამის შემდეგ სოფ. კამანი გამხდარა მლოცველთა მნიშვნელოვანი აღგილი (http://abkhazia-turoperator\ excursions \sukhum\kamanski monastery.php.)

სამრეკლოს მშენებლობის დროს იპოვეს სარკოფაგი, რომელშიც გადმოცემის მიხედვით უნდა ყოფილიყო იოანე თქროპირის წმინდა ნაწილები, რომელიც ინახებოდა კამანის მონასტერში. გარდაცვალების შემდეგ მისი ნეშტი იმყოფებოდა კამანში 30 წელი. 438 წლის 27 იანვარს მოხდა მისი ნეშტის გადასვენება კონსტანტინებოლში (დღეგანდელი სტამბული). 1204 წელს ჯვაროსნებმა გადაასვენეს რომში. ხოლო 2004 წელს წმინდა იოანე თქროპირის წმინდა ნაწილები საზემოდ დაუბრუნა პაამა იოანე პავლე მეორემ კონსტანტინებოლის პატრიარქს ბართოლომეო პირველს. დღეს წმინდა ნაწილები განისვენებს წმინდა გიორგის ეკლესიაში სტამბულში.

წმინდა იოანეს სარკოფაგთან დაკავშირებით საინტერესოა უწმინდესის და უნეტარესის ცნობა. უწმინდესი წერდა:“იმ დროს, როდესაც მე აფხაზეთის მღვდელმთავარი ვიყავი, კამანის მონასტერი მაშინ, რა თქმა უნდა, მოქმედი არ იყო. ჩვენ გვეშინოდა, არ დანგრეულიყო ეს სარკოფაგი და ამიტომ იგი სოხუმის საკათედრო ტაძარში გადმოვაბრძანეთ და იქ ვლოცულობდით ამ სარკოფაგის წინაშე”(patriarqi\gadagebebi\26-11-2006.htm.)

ეს სარკოფაგი, ჩვენი ვარაუდით, ეხლა უნდა იყოს კამანის ეკლესიაში, ვინაიდან აფხაზეთთან ომის წინ იქ ეკლესია მოქმედებდა, რომლის წინამდღვარი ყოფილა მამა ანდრია. საინტერესოა მისი მოწამებრივი ცხოვრება.

მამა ანდრია(პაატა ყურაშვილი) დაბადებულა 1966 წლის 3 აპრილს ქ.ბაღდადადში. ის ყოფილა ფიზიკურად გამორჩეული, ჩემპიონი კარატესა და ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ მას გაუჩნდა ქრისტიანული სარწმუნებისადმი დიდი ინტერესი. 1991 წელს ის მოინათლა. იმავე წელს დიდ მარხევაში პაატა პირველად ეწვია წმინდა ანდრია მოციქულის მონაცემს სხალთაში(აჭარა).1992 წლის 3 აპრილს, დაბადების დღეზე პაატა ბერად აღკვეცეს და ანდრია პირველწოდებულის პატივსაცემად ანდრია უწოდეს. იმავე წლის აგვისტოში მდვდელ-მონაზნად აკურთხეს და მონასტრის წინამდგრად დანიშნეს. ამის შემდეგ მამა ანდრია ასკეტურად ცხოვრობდა, ფსალმუნებს ყოველდღე კითხულობდა, 219დღეში 200 მეტანიას ასრულებდა, ყოვ-

ლაწმინდა დვოთისმშობელს დაუჯდომელს უკითხავდა და ჯანმრთელობის პარაკლისს წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხატოან იხდიდა, თითქმის არაფერს ჭამდა, საწოლის ნაცვლად ფიცარზე ეძინა. არც ფიზიკურ შრომას ერიდებოდა, მიწას ამუშავებდა, პურსა და სეფისკერს თვითონ აცხობდა. დიდოვგლობას არ შეშინებია და სხალთაში ჩარჩენილმა 5 თვე მონასტერში მარტომ გააგრარა. მალე მეუფე დანიკელმა მამა ანდრია სამოღვაწეოდ აფხაზეთში გადაიყვანა და მისი უწმინდესობის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის დოცვა კურთხევით სოხუმიდან 15 კილომეტრით დაშორებულ კამანში წმინდა იოანე ოქროპირის ეპლესის წინამდღვრად დანიშნა. მის დანიშვნამდე ეკლესიაში მდგდლმსახურება არ ტარდებოდა.

აფხაზეთის ომის დროს მრევლს ხშირად სახოწარკვეთო-ლება და შიში იპყრობდა, მაგრამ მოძღვარის მოკრძალებული დიმილი, უწყინარი საუბარი და სიმშვიდე ნუგეშით ავსებდა და ათბობდა ომისგან გატანჯულ ხალხს.

1993 წლის 5 ივნისს კამანი ჩაიკეტა. აფხაზებმა სოფელი ალეაში მოაქციეს. კამანის ინვალიდთა სახლის მოხუცები დახმარებას ითხოვდნენ. მამა ანდრია არ შეშინდა და ტყვიების წევმაში მოხუცებისაკენ გაეშურა. ლამის 5-ის ნახევარზე ისინი ალეაში მოაქციეს. მამა ანდრიას კურთხევით ეკლესიის აღმდგენელმა გიორგი ანუამ, რომლის გმირობაზე ქვემოთ გვექნება საუბარი, მტერს კარი გაუდო. მამა ანდრიაც გაიყვანეს ტაძრიდან. ის მუხლებზე დადგა და ლოცვა დაიწყო. კისერში ესროლეს. მისი სხეული უხრწევდი დარჩა. გვამს ჭრილობიდან სისხლი ისევ სდიოდა და მკვლელობის ადგილას დაღვრილიც არ დედდებოდა. ამ სასწაულს აფხაზებიც შეესწრენ. 7 ივნისს მამა ანდრიას სხეული წმინდა იოანე ნათლისმცემლის შობის დღესასწაულზე, კამანში ეკლესიასთან ახლოს დაკრძალეს. საფლავზე ხის ჯვარი აღმართეს. ასე გმირულად შეეგება სიკვდილს სრულიად ახალგაზრდა, 27 წლის მოძღვარი მამა ანდრია.

შემდეგში ცნობილი გახდა, რომ მამა ანდრიას მკვლელი ნაღმზე აფეთქებულა.

ტრაგიკულია ასევე წმინდა იოანე ოქროპირის ტაძრის აღმდგენელის, დიდი ქველმოქმედის, ეროვნებით აფხაზი მოქალაქის

გიორგი ანუას სიცოცხლე, რომელიც სახტიკად აწამეს აფხაზებმა სწორედ კამანის წმინდა ბასილისეპოს წყაროსთან.

ტაძარი, სადაც წმინდა ოთანე ოქროპირის სარკოფაგი იყო დასვენებული, მთლიანად დანგრეული იყო . აქ რევოლუციამდე დედათა მონასტერი მოქმედებდა, სადაც 1500 მონაზონი მოღვაწეობდა. რევოლუციის შემდეგ ეს მონასტერი დაიხურა. ხოლო მონასტრის სხვა შენობაში განათავსეს მოხუცებულები და ეწოდა მოხუცებულთა სახლი. გიორგი ანუამ ტაძარი აღადგინა. ფაქტიურად ხელახლა ააშენა, რისთვისაც მისმა უწმინდესობაშ იგი წმინდა და გიორგის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა.

იმ მიზნით, რომ მორწმუნებებს ვერ შეძლებოდათ წმინდა ბასილისკოს წყაროსთან მისვლა, კომუნისტებმა მასთან ახლოს ააშენეს ოევზსაჭერი, მაგრამ ვერ აამოქმედეს. ეს ამოთხრილი უზარმაზარი აუზი დაჭაობდა და ქვეწარმავლები გაჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ საშიში იყო წყაროსთან მისვლა, მორწმუნებები მაინც დადიოდნენ. სწორედ გიორგი ანუამ ამოავსო აუზი მიწით და ეს ადგილი კეთილმოაწყო. ხოლო ის ადგილი, სადაც წმინდა ბასილისკო იყო დასაფლავებული, ექუთვნოდა ერთ-ერთ იქ მცხოვრებს, რომელიც მორწმუნებებს ამ წმინდა ადგილას არ უშვებდა. ამიტომ გიორგი ანუას მთლიანად შეუსყიდია მისი სახლი და ბაღი, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ამ სიწმინდეების თაყვანისცემა. მას ასევე განზრაბული ჰქონია წმინდა ბასილისკოს წყაროზე ტაძრის აშენება, მაგრამ აღარ დასცალდა. აფხაზების მიერ კამანის აღების დროს ის ტყვედ ჩაუვარდა მათ. ის ჯერ ფეხებში დაჭრეს შემდეგ წმინდა ბასილისკოს წყაროსთან აწამეს. გადმოცემით ის დაკრძალული უნდა იყოს მამა ანდრიას გვერდით. (გაზეთი „საპატ-რიარქოს უწყებანი“ №28(236)2003).

აქვთ უნდა აღინიშნოს, რომ მისი ოჯახის წევრები: მორჩილი მარიამი (მანანა) და მონაზონი ზოია ანუები აფხაზი მღვდელის ბესარიონ ფილიას დახმარებით გადაიყვანეს თბილისში, სადაც მათ დახვდა უწმინდესი და უნეტარესი. 1999 წლიდან მანანა ანუა მისი უწმინდესობის ლოცვა- კურთხევით საპატრიარქოს ექიმად მუშაობს დღემდე.

ამრიგად, კამანში მოწამებრივად აღსრულებულითა წმინდა იოთანე ოქროპირის, წმინდა მოწამე ბასილისკას, კამანის კალესიის წინამდგარის მამა ანდრიას და ეკლესიის აღმდგენელის გი-

ორგი ანუას ცხოვრების გაცნობა და მისი სამზეოზე გამოტანა უდავოდ საინტერესოა. მათი მოწამებრივი სიცოცხლე კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სოფელი კამანი და იქ არსებული წმინდა ადგილები მართლაც მნიშვნელოვანი უნდა იყოს ყოველი მორწმუნისათვის.

ჩვენი მიზანი კი ერთია, რომ მსოფლიო საზოგადოებას ვუთხრათ, აფხაზეთი-საქართველოა, საქართველოს ძირმველი კუთხეა- ქართველების სამკვიდროა, მამა-პაპისაგან მემკვიდრეობით გადმოცემული მამული. აფხაზეთში დარჩენილი წმინდა სალოცავები ჩვენ გველოდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მთავარებისკოპოსი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. ტ. II. გამომცემლობა მერანი. 1998.
2. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებაზი“ №28(236)2003).
3. ო. ცაგარევიშვილი. ქვათა დადადი აფხაზეთში. უკრნალი კარიბჭე, 2008, №14.
4. ქრისტიანული ეკლესიის ისტორია. ობ., 2009.
5. <http://www.abkhazian-chuches.ru/Kamany.htm>
6. [patriarqi.gadagebebi/26-11-2006.htm.\)](http://patriarqi.gadagebebi/26-11-2006.htm)
7. [http://abkhazia-turoperator/excursions/sukhumi/kamanski_monastery.php.\)](http://abkhazia-turoperator/excursions/sukhumi/kamanski_monastery.php.)
8. (http://www.akva-abaza.ru/index.php?option=com_content&view=article&id=33).

For us Sacred place – Kaman Church of Abkhazia

Resume

One of the sacred places of Abkhazia -Kaman Church is located in the village Shroma, in Sokhumi region. The date of building this church is considered to be XI-XII centuries. A Roman Christian warrior Basilica died in martyrdom in Kaman (308 year) and a hundred years later Ioane Okropiri (407 hear). On 3rd of March, 1993 during the war against Abkhazians 27 year old confessor of Kaman- Father Andria died heroically. Abkhazians tortured the restorer of the church Giorgi (Iura) Anua, who was from Ochamchire with Abkhaz origin but was a brother and a friend of Georgians. It is known that he was brutally tortured near Basilica spring.

Lives of martyrs at Kamani church once again prove that the village Kamani and the sacred places of it must be of significant importance for every believer and for all Georgian people.

Abkhazian sacred places are waiting.

შორენა მახაჭაძე

ემიგრანტი რუსთველოლოგები რუსთაველის თეოსოფიის შესახებ

ქართველი ემიგრანტი რუსთველოლოგებისთვის „გეფხის-ტყაოსანი“ არ იყო მხოლოდ წმინდა მეცნიერებლი ინტერესების საგანი. ის მათვის იყო უსაშეელო ნოსტალგიის – ქართული სიტყვის, ქართული მიწის, ქართული მზის მონაცრების დაძლევის საშუალებაც. მათ „შეეყარათ“ რუსთაველის „მიჯნურობა“ და უცხოეთის ცის ქვეშ არა ერთი და ორი დამეგ გაათენეს შოთას იგავმიუწვდენელი მშეენების სტრიქონების „განჩხრეკაში“. მათვის ერთნაირად საინტერესო იყო პოემის პრობლემატიკა და მისი მხატვრული ხორცშესხივისა თუ პოეტის მსოფლემხედველობის საკითხები. განსაკუთრებული სიჭრელით გამოიჩინება მათი შეხედულებები, როცა საქმე რუსთაველის თეოსოფიას ეხება. ეს არცაა გასაკვირი, რადგან საძირქებელ პრობლემაზე მკვლევართა შორის არსებობდა აზრთა საოცარი სხვადასხვაობა. სწორედ ამის გამოა დიდი ქართველი რუსთველოლოგის, ვიქტორ ნოზაძის, ტონი ასეთი ირონიული, როცა ის აჯამებს პრობლემის ირგვლივ არსებულ მოსაზრებებს. „გეფხისტყაოსნის“ ღმრთისმეტყველებაში“ ის წერს: „.... ამ მიმოხილვით გავიგვით, რომ „გეფხისტყაოსნის“ რელიგია ყოფილა თურმე ქრისტიანული; ბიბლიურ-ქრისტიანული; ასტრალური; სოლარული; მზიური და პოეტური ერთად; წარმართული კულტი მზისა; ღმერთიც და მზეც ქართული; წარმართულ-ააგანური; ჰელინისტურ-ელინური; ნეოპლატონური; წარმართულ-ფილოსოფიური; წარმართულ-სეფასიანური; დუალისტური – კეთილისა და ბოროტის ღმერთი; აბსოლუტური კეთილის რწმენა; მანიქეური; ერეტიკოსულ-მისტიკოსური; მამადიანურ-მუსულმანური; სუფისტური; არაბულ-არისტოტელებრივი; დეისტური; თეისტური; ათეიისტური, მატერიალისტური; სტრიკური, პანთეიისტური და ა.შ.“ ბოლოს მკვლევარი კითხულობს: „განა შესაძლებელია შოთა რუსთაველი და მისი „გეფხისტყაოსანი“ ამდენი სხვადასხვა მსოფლემხედველობის მატარებლად დაისახოს?“ მეცნიერის აზრით, ამ საპირისპირო მოსაზრებათა არსებობის მიზეზი არის პოემის არა გამოწვლილვითი ანალიზი, არამედ მისი ზერელე განხილვა (ნოზაძე 1963:33).

თავად ენციკლოპედიური განათლების მქონე ვიქტორ ნოზაძე, რომელიც თავისუფლად ფლობდა რამდენიმე ეპროპულ ენას, (შესაბამისად, მისთვის ხელმისაწვდომი იყო ორიგინალებში ამ ენებზე არსებული სპეციალური ლიტერატურა), საქმის ცოდნით განიხილავს რუსთაველის რელიგიური მსოფლმხედველობის კონცეპციებს. მისი აზრით, პოემის ტექსტიდან ამოგლეჯილი ცალკეული სტროფებით ამ პრობლემაზე მსჯელობა არ შეიძლება. საჭიროა ყველა შაირის გამოკვლევა და მხოლოდ ამის შემდეგ გამოტანა დასკვნებისა. თავად სწორედ ასე იქცევა და თითოეული ფრაზის, ცნების დონეზე აანალიზებს პოეტის თეოსოფიურ შეხედულებებს.

თავის ექვსივე მონოგრაფიულ ნაშრომში და აგრეთვე ცალკეულ ნარკვევებში ვიქტორ ნოზაძე იმ აზრს ავითარებს, რომ შოთა რუსთაველის აღმსარებლობა ქრისტიანობაა.

დავიწყოთ იქედან, რომ ვიქტორ ნოზაძის ყველა რუსთველოლოგიურ ნაშრომს თავიდან ბოლომდე მსჭვალავს მაღალი და წმინდა ეროვნული, ქართული სულისკვეთება. „მიჯნურომეტყველებაში“ ერთგან განზოგადებულად აცხადებს: „ვეფხისტეაოსნის“ ქვექნები, თუმცა გარეგნულად ისლამური არიან, მათი ზნეწევებია და ცხოვრების წესი არ არის ისლამური. აქ არსად ისლამური ცივილიზაციის ნიშნები არ ჩანს. იგი ქართულ-ქრისტიანულია“ (ნოზაძე 1975:370–371).

ვიქტორ ნოზაძის მოსაზრებათა თანახმად, „ვეფხისტეაოსნის“ რელიგიურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობა სავსებით ემყარება დიონისე არეოპაგელის „ბრძენი დივნოსის“ ქრისტოლოგიურ თეოლოგიას. ამაზე მიგვანიშნებს შაირი: „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს.“ შალვა ნუცუბიძისგან განსხვავებით, ვიქტორ ნოზაძე თვლის, რომ არეოპაგელს არ გადაუხვევია ქრისტიანული მოძღვრებიდან და იგი ერეტიკოსად ვერ ჩაითვლება. არც ქართულ ეპლესიას განუკვეთია იგი, პირიქით, წმინდანად შერაცხა.

ვიქტორ ნოზაძემ დაძებნა პარალელები ძველი და ახალი აღთქმისა და „ვეფხისტეაოსნის“ ტექსტებს შორის, საინტერესო ინტერპრეტაცია მისცა ისეთ გამოთქმებს, როგორებიცაა „ერთარსებისა ერთისა“, „მზიანი დამზე“ და ა.შ. ის სამართლიანად შენიშნავს, რომ „ვეფხისტეაოსნის“ კვლევისას ხშირად ხდება: მკვლევარი თავისი წარმოდგენით გატაცებულია და ამ თავის აზრს ეძებს იქ, სა-

დაც მას არ შეუძლია იგი მიაგნოს და ამიტომ იძულებულია თვით პოემის გასარჩევ ადგილს თავისი საკუთარი აზრი მოახვიოს, ან სულ მარტივად: თავის ფანტაზიას ფართო ასპარეზი დაუთმოს. ამის შედეგია ლექსის წვალება და წამება. მეცნიერი, ასევე, აღნიშნავს: „სრულებითაც არ არის გასაკიცხი და ქოქოლადასაყრელი ორიოდე სასულიერო პირი და ისიც ბერ-მონაზონი, თუ რუსთაველს უარყოფდა და პემობდა“ (ნოზაძე 1963:14). ამის შემდეგ მკვლევარი ამბობს: „შოთა რუსთაველმა და მისმა ქმნილებამ, ვეფხისტეაოსანმა, ამ განუზომელმა და უღრმესმა ქართულმა სიბრძნემ – მე-12 საუკუნის ქრისტიანული სამშობლოს წინაშე უძვირფასესი და უმდიდრესი ქრისტიანული ხარგი გადაიხადა“ (ნოზაძე 1963:436).

საინტერესოა ვიქტორ ნოზაძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართული „იაგნანაც“ სიყვარულის დიაცდმერთია. „ვეფხისტეაოსანში“ კი სიყვარულის ღმერთი ქრისტიანული ღმერთია. ავთანდილი უფალს ევედრება:

„ღმერთო, ღმერთო, გეაჯები, რომელი პფლობ ქვენათ ზესა,
შენ დაპირებული მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა,
მე სოფელმან მომაშორვა უკეთესსა ჩემსა მზესა,
ნუ აღმოფხვრი სიყვარულსა მისგან ჩემთვის დანათესსა.“

მკვლევრის აზრით, აქ რუსთაველმა დაძლია ღმერთსა და ქვეყანას შორის დაპირისპირება. აქაა პარმონია მათ შორის. ესაა „ვეფხისტეაოსნის“ ფილოსოფია. ავთანდილის ლოცვა შეიძოთა მნათობთადმი კი არის სიყვარულის სიმღონია-საგალობელი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვიქტორ ნოზაძის რწმენით, რუსთაველის მსოფლმხედველობის საფუძველთა საფუძველია ქრისტიანული აღმსარებლობა და მაღალ ზნეობრივი, ქართულ, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული ყოვლისმომცველი თავისუფალი სიყვარული. ის თვლის, რომ „ვეფხისტეაოსანი“ არის „მიჯნურობა-სიყვარულის პოემა-რომანი“ (ნოზაძე 1975:412).

ვფიქრობთ, ვიქტორ ნოზაძის ზოგიერთი მტკიცება წინააღმდეგობრივია, ასე მაგალითად: თუ „ვეფხისტეაოსნის“ ღმრთის-მეტყველებაში“ ის ამტკიცებდა – „რუსთაველი აღიარებს სამონასტრო პოეზიას, რომელიც სამებელია აგრეთვე გამგები საერო საზოგადოებისათვის“ (ნოზაძე 1963:432), „მიჯნურომეტყველებაში“ ეს თვალსაზრისი არსებითად შეცვლილია, აქ ნათქვამია: „ვეფხის-

ტყაოსნის საზოგადოება არის ქრისტიანული თავისი ზექ-ჩვეულებით, მაგრამ არა ბერმონაზვნური, ასკეტური ცხოვრებით, არამედ თავისუფალი, ჩვეულებრივი, ზოგადქრისტიანული ზნით წარმოდგენილი“ (ნოზაძე 1975:371).

საყურადღებოა ვიქტორ ნოზაძის ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის“ მზისმეტყველება“, რომელშიც ის აღნიშნავს, რომ ქრისტიან ფილოსოფოსთა სწავლაში ღმერთი წარმოდგენილია ვითარცა ნათელი უხილავი და მიუწვდომელი, ხოლო მზე კი არის ამ ნათელის მარტოოდენ ხატი. ის, რაც ღმერთი არის საიქო, გონების მხარეში, სააქარ ქეყანაში არის მისი ხატი – მზე: „თვით ღმერთიც იწოდება: მზე, გარნა ეს მზე არის არა ხილული მზე, არა მნათობი ვარსკვლავი, არამედ უხილავი ნათელი – მზე–ღმერთი მიუწვდომელი, საიქო–ში. ღმერთი არის ერთი, განუყოფელი სამება; ნათელი უქმნელი; სახიერება (ერთი) არის ღმერთი და ამ ერთის ხატი არის მზე. მზის ნათელი არის ღვთის მხოლოდ სიმბოლო“ (ნოზაძე 1957:65).

მიმოიხილავს რა მზეს მწერლობაში, ვიქტორ ნოზაძე ასკვნის, რომ ქრისტიანულ მწერლობაში უდავოა, მზე არ არის ღმერთი. მზე და ცანი სამკაულებითურთ ყოვლად შემოქმედმა ერთმა ღმერთმა შეჰქმნა. ყველაფერი არის მხოლოდ ღვთის შემოქმედების ნაყოფი და მზე, ვარსკვლავნი არიან დიდებულნი, შესანიშნავნი, ვით მთელი ბუნება.

ქრისტიანულ მწერლობაში მზე გამოყენებულია, ვითარცა პოეტური შესამკობელი და მზით დასურათებულია ბრწყინვალება, შვენება, სიმართლე, ჭეშმარიტი ბედნიერება, შეუცვალებლობა, კეთილობა, თანასწორობა და ღმერთს პირდაპირაც ეწოდება მზე (და ფარი): „მზეს შეედარება ქრისტე, წმინდა სამება. თვითონ ქრისტე არის მზე, თვით სამება არის მზე. ამ პოეტურ და თეოლოგიურ შედარებათა გარდა ამქანენიური მზე ქრისტიანულ მწერლობაში იგივეა, რაც არის ღმერთი გონების მხარეში, მზე–ღმერთი–გონება; ღმერთი – გონებრივი მზე; ხატი ღმრთისა – მზე მიუწვდომელი ნათელი; მზე – ხატი ღვთიურობისა; მზე – სიმბოლო ღმერთისა“ (ნოზაძე 1957: 82).

დროთა განმავლობაში მზეს უკვე დაეცარგა თავისი წარმართული რელიგიური მნიშვნელობა, ქრისტიანობამ მნათობთა თაყვანისცემას საძირკველი გამოუთხარა და მზე თვითონ შეითვისა, რასაკვირველია, არა როგორც სათაყვანებელი არსება, არამედ ვი-

თარცა შედარება და განსამარტებელი ცნება მწერლობაში, ხოლო თეოლოგიურ ფილოსოფიაში, როგორც სიმბოლო. ღმერთი არის მიუწვდომელი ნათელი, მზე-გონიერი, მზე არის ხატი დვოთისა. ქრისტე გამოცხადდა მსოფლიო მზედ და მზე გაქრისტიანდა, ამიტომ სასულიერო მწერლობაში ყველგან და მათ შორის, საქართველოშიც მზეს ხშირად ვხვდებით. სასულიერო მწერლობაში, კერძოდ, მარტვილობაში მზე არის ნათელი და გამოყენებულია როგორც თეოლოგიური, ისე ესთეტიკური დანიშნულებით.

„ვეფხისტყაოსნის“ მზისმეტყველებაში“ ვიქტორ ნოზაძე განიხილავს პავლე ინგორეფვას შეხედულებას რუსთაველის მანიქერისტურ-პანთეისტური მსოფლმხედველობის შესახებ, მისი სოლარიზმის თეორიას და ავითარებს შემდეგ მოსაზრებებს: „ვეფხისტყაოსანში“ ღმერთი მზე არ არის და პირიქით: მზე ღმერთი არ არის. მზე დვოთის შექმნილია. ის არის მხოლოდ ხატი დვოთისა ანუ ერთარსებისა ერთისა – ეს კი არის ქრისტიანული თეოლოგიის ფილოსოფიური დებულება.

ვიქტორ ნოზაძის აზრით, „მზიანი დამე“ არის სახელი მიუწევნელი, ჩვენთვის წყვდიადში მყოფი ნათელი ღმერთისა და ჩვენი მზე კი არის ამ ნათელი ღმერთის ანუ „მზიანისა დამისა“ ხატი.

უნდა აღინიშნოს, რომ ვიქტორ ნოზაძე ერთგვარად აზვიადებს „ვეფხისტყაოსნის“ თეოლოგიურ მხარეებს. უმრავლეს შემთხვევაში, მისი ხააზრევის მიხედვით, რუსთაველი გამოიყურება მართლმადიდებლური ქრისტოლოგიის ორთოდოქს-დოგმატიკოსად, რაც, ვიქტორობთ, რეალობას არ შეესაბამება. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენთვის უფრო მისაღებია კიდევ ერთი ემიგრანტი რუსთაველოლოგის, ზურაბ ავალიშვილის, მოსაზრება. ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის“ საკითხები“, (რომელიც ოთხი ნარკვევისაგან შედგება: შვიდ მნათობთა ლექსი; შოთა მანიქერელი; გველი და მთვარე; მიჯნურობისათვის), ის წერს: „შოთა რუსთაველი ცნობს არა ერთ ღმერთს რომელიმე ერისა და სარწმუნოებისას, არამედ მთელი მსოფლიოს შემოქმედს... რომელიმე სარწმუნოებრივი ტენდენციის ძიება „ვეფხისტყაოსანში“ თავიდანვე შემცდარი საქმეა“ (ავალიშვილი 1931: 147).

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, ქართველი ემიგრანტი რუსთაველოლოგები შესაშერი გატაცებით, ცოდნითა და სიდრმით აშუქებენ რუსთაველის თეოსოფიის საკითხებს.

გამოყენებული ლიტერატურა
ავალიშვილი 1931: „გეფხისტებისნის“
საკითხები“, პარიზი;
ნოზაძე 1957: ნოზაძე ვიქტორ, „გეფხისტებისნის“ მზისმეტ-
ეგელება“, სანქტიაგო დე ჩილქ;
ნოზაძე 1963: ნოზაძე ვიქტორ, „გეფხისტებისნის“ ღმრთის-
მეტეგელება“, პარიზი;
ნოზაძე 1975: ნოზაძე ვიქტორ, „გეფხისტებისნის“ მიჯნურ-
ომეტეგელება“, პარიზი.

Shorena Makhachadze

Emigrant Rustvelologists about Rustaveli's Theosophy

S u m m a r y

“The Knight in the Panther’s Skin” was not only the subject of pure scientific interests for Georgian Rustvelologists. It was also for them the way to overcome the irresistible nostalgia. Viktor Nozadze, Zurab Avalishvili cleared questions of Rustaveli’s theosophy with great knowledge, fascination and depth.

In Viktor Nozadze’s opinion Christianity is the basis of Rustaveli’s standpoint, but Zurab Avalishvili considers that it is incorrect to search any religious tendencies in “The Knight In the Panther’s Skin”.

თატიანა კოპალეიშვილი

ბათუმის ეპარქიურ-ლუთერანული ეკლესიის ისტორიიდან

საქართველო მრავალკონფესიური ქვეყანაა და ბათუმი ამის ნათელი მაგალითია. ტრადიციული რელიგიების ისტორია აქ მეტ-ნაკლებად შესწავლილია, თუმცა არსებობს ნაკლებად ცნობილი მიმდინარეობებიც. სწორედ ასეთად გვესახება ლუთერანული ეკლესიის ისტორია ბათუმში, რომლის გაშუქებასაც ემსახურება წინამდებარე სტატია.

საქართველში ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის აღმოცენება XIX საუკუნის დამდეგს კავკასიაში გერმანელების ჩამოსახლებას უძავშირდება. 1817-1818 წლებში ვიურტემბერგიდან, შვაბიიდან აღმოსავლეთისაკენ წამოსული 500-მდე ოჯახი საქართველოში დასახლდა (რელიგიები საქართველოში, 2008:245). 1818 წელს ამიერკავკასიაში დაარსდა გერმანელთა 10-მდე კოლონია. საუკუნის ბოლოსათვის ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა (სოხუმის მახლობლად - ნოიდორფი, გნადებერგი, ლინდაუ და სხვა).

1885 წლისათვის კავკასიაში მოთვლიდნებ ლუთერანული აღმსარებლობის 16 ათას ადამიანს (აქვდან 1100 სამხედრო პირი იყო): ამიერკავკასიის 7 კოლონიაში 4168 სულს, თბილისში 2086 და ჩრდილოეთ კავკასიაში 9 ათასამდე (Кавказский Календарь за 1885 г., 1885:83). ლუთერანები და რეფორმატები ცხოვრობდნენ სოხუმში, ქუთაისში, ფოთში, ზუგდიდში, ოზურგეთში, ოჩამჩირეში, ქობულეთში, ზეგელდაში, სამტრედიაში, სუფსაში, გუმის, აკაფას, ლინდაუს, ესტონსკოეს, გნადებერგის და ნოიდორფის (სოხუმის მახლობლად) კოლონიებში. სულ 1895 წლის აღრიცხვით 1,159 ადამიანი (Bericht des Batumer Evangelisch-Lutherischen Kirchenraths für das Jahr 1896, 1896:20). 1895 წლის მონაცემებით ბათუმში იყო 111 ლუთერანობის აღმსარებელი (82 მამაკაცი (უმეტესობა ჯარისკაცი) და 29 ქალი) (Кавказский Календарь за 1895 г. 1896:41). ბათუმში ლუთერანული საკრებულოს 1896 წლის ანგარიშის მიხედვით კი მონაცემები თდნავ განსხვავდება - 1895 წლისათვის ბათუმში ცხოვრობს

108 ლუთერანი (65 მამაკაცი და 43 ქალი) და 50 რეფორმატი²⁹ (35 მამაკაცი და 15 ქალი), სულ 168 ადამიანი. ამათგან 46 სამხედრო, 10 სკოლის ასაკის ბავშვი. აქვე შითითებულია, რომ რაოდენობის ზუსტი დადგენა შეუძლებელია (Bericht des Batumer Evangelisch-Lutherischen Kirchenraths fur das Jahr 1896, 1896:19).

1878 წლამდე ბათუმი მოწყვეტილი იყო საქართველოში მიმდინარე პროცესებს. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ ბათუმი და მთლიანად ეს ოლქი იწყებს ინტეგრირებას დანარჩენ საქართველოსა და რუსეთის იმპერიაში მიმდინარე პროცესებში.

მართალია, აქ გერმანული კოლონია არ დაარსებულა, თუმცა არსებობდა ევანგელურ-ლუთერანული საკრებულო. პირველი ცნობა ბათუმში გერმანული საკრებულოს არსებობის შესახებ მოკლე ჩანაწერის სახით წნდება 1896 წელს გარდაცვლილი აფთიაქარის - ვილჰელმ კაიზერის მოკლე ნეკროლოგში. იგი, როგორც ირკვევა, იყო საკრებულოს სათათბიროს თავმჯდომარე 1889-1895 წლებში (Кавказский Календарь за 1893, 1894:302).

იქვე ირკვევა, რომ ქალაქში უავე არსებობდა საკრებულო, თავისი კარგად ჩამოყალიბებული სტრუქტურითა და მმართველობის სისტემით. საკრებულოს ჰყავდა სათათბირო 8 კაცის შემადგენლობით (პააგერი, პაასი, დიცმანი, პანზერი, რაუ, რეიპი, შნაიდერი და სათათბიროს თავმჯდომარე ალექსანდერი) (Bericht des Batumer Evangelisch-Lutherischen Kirchenraths fur das Jahr 1896, 1896:14).

ეკლესიას მეთაურობდა პასტორი. “კავკასიის კადენდრის” მიხედვით, 1893 წლიდან პასტორად მოხსენიებულია ვილჰელმ ჰეინკ, რომელიც სადივიზიო პასტორ ადიუქტად გვევლინება

1. **რეფორმატები** (ლათ. *reformo* — გარდაქმნა, გამოსწორება) — XVI საუკუნეში რეფორმაციის შედეგად წარმოშობილი კალვინისტური ეკლესიები, კონტინენტურ ევროპაში (უმეტეს წილად საფრანგეთა და ნიდერლანდებში). საფრანგეთში რეფორმატებს ჰუგენოტებს ეძახდნენ, ინგლისში რეფორმატებთან ეკვლაზე მეტ სიახლოვეს პრესბიტერიანელები იჩნდნენ.

ქუთაისსა და ბათუმში. სადივიზიო პასტორის (ან მქადაგებლის) თანამდებობის შემოღება საჭირო გახდა XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან, მას შემდეგ რაც გერმანელი კოლონისტების გარდა კავკასიაში მომრავლდა ლუთერანული აღმსარებლობის ჯარში მომსახურე, ბიზნესით ან დიპლომატიური სამსახურით დაკავებული ადამიანები. სადივიზიო პასტორს ევალებოდა მოგზაურობა და თავისი მრევლის მონახულება, სასულიერო საჭიროების (ზიარება, კონფირმაცია³⁰, ნათლობა, ჯვრისწერა და ა.შ.) აღსრულება. პასტორ-ადიუნქტი ითვლებოდა საქართველოს კოლონიების ობერ-ასტორის თანაშემწედ და ინიშნებოდა მოსკოვის ევანგელურ-ლუთერანული კონსისტორიის³¹ მიერ.

1897 წლიდან 1911 წლამდე ვილჰელმ ჰეინე ჩაანაცვლა პასტორ-ადიუნქტმა არტურ ბერნგოფმა (Кавказский Календарь за 1897, 1898:383). ბერნგოფი პასუხისმგებელი იყო დასავლეთ საქართველოს ყველა ლუთერანულ საკრებულოზე. დასავლეთ საქართველოს პასტორ-ადიუნქტისთვის აღმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა ბათუმი.

საინგერესოა, აგრეთვე თვალის გადევნება ეკლესიის ყოველდღიური ცხოვრებისათვის. 1896 წლის ანგარიშის მიხედვით ჩანს, რომ ლვილისმასახურება ტარდებოდა ყოველ კვირა დღეს და აგრეთვე სახელმწიფო და საეკლესიო დღესასწაულებზე. მსახურებას მუდმივად ესწრებოდა 25-მდე წევრი. თუ პასტორი ქალაქში არ იყო მსახურება არ ტარდებოდა, რადგან არ იყო საკითხავის მსახურების შემსრულებელი პირი. ეკლესიას გააჩნდა საკუთარი მუსიკალური ინსტრუმენტი - ფისგარმონია, რომელზეც მსახურების დროს უკრავდნენ პასტორ ბერნგოფის მეუღლე და ვინძე ფრონილინ მ. ბიურგერი. არსებობდა აგრეთვე, საბავშვო მსახურებაც: კვირაში ორჯერ ტარდებოდა დღის სჯულის გაკვეთილები. ტარდებოდა მეცადინეობები მათვის, ვინც კონფირმაციისთვის ემზადებოდა გერმანულ, ესტონურ და რუსულ ენებზე.

³⁰ კონფირმაცია – (confirmatio - დამტკიცება) პროტესტანტებში ეკლესიის მრევლის წევრებად ახალგაზრდა ქალებისა და ვაჟების მიღების წესი

³¹ კონსისტორია – (ამ შემთხვევაში) ევანგელურ-ლუთერანული აღმსარებლობის ქრისტიანების მაკორდინირებელი ორგანო რესეკტის იმპერიის ფარგლებში.

საეკლესიო საიდუმლოებებიდან სრულდებოდა ნათლობა, ზიარება, კონფირმაცია და ჯვრისწერა. საინტერესოა რომ, ჯვრისწერა ბათუმის ეკლესიაში ხდებოდა არა მარტო ლუთერანული აღმსარებლობის პირებს შორის. უხვად არის მაგალითები, როცა უდლდებოდნენ ერთის მხრივ ლუთერანი (ქალი ან მამაკაცი) და მეორეს მხრივ - მართლმადიდებელი, რომის-კათოლიკე, ბერძენ კათოლიკე, სომებს-გრიგორიანელი, რეფორმატი, აუგსბერგის აღსარების ევანგელისტი, მენონიტი, მეთოდისტი, რასკოლნიკები, იუდეველი და მუსლიმანიც კი. როგორც ჩანს მთავარი პირობა იყო, რომ ერთ-ერთი მაინც ყოფილიყო ევანგელურ-ლუთერანული აღმსარებლობის. ოუმცა გვხდება გამონაკლისიც, როცა არტურ ბერნგოფმა 1903 წელს შეაუდლა რეფორმატი იოპან ჭავარის აღოლფ ფონ შმიდტი და კათოლიკე ტერეზა რონბახი. ჯვრისწერის ცერემონიალი ჩატარდა ვინმე ექიმ გილლერტის ბინაში (სხვა, ფ. 1732, ს. 23, გვ.24).

გერმანული სიზუსტით არის აღრიცხული ეკლესიის ბუდალტერიაც. ანგარიში იწყებოდა იმ ადამიანთა ჩამოთვლით, რომლებმაც ფულადი ძღვენი მიართვეს ეკლესიას. შემოწირულობები მერყეობდა 1-დან - 500 მანეთმდე. კველაზე ხელგაშლილიად სწირავდნენ ეკლესიას საქართველოში მოღვაწე გერმანელი კონსულები. შემოსული თანხა ნაწილდებოდა ეკლესიის სხვა და სხვა საჭიროებებზე. მაგალითად: ეკლესიის პასტორი არტურ ბერნგოფი - საეკლესიო კმაყოფაზე იყო. მისი ხელფასი შეადგენდა 600 რუბლს წელიწადში. დიდი ყურადღება ეთმობოდა ქველმოქმედებას: ეკლესია ურიცხავდა თანხას “წითელ ჯვარს”, “ობოლოთა სალაროს”, “მისიას წარმართებისთვის” და სხვა ორგანიზაციებს.

შენობის საკითხები:

მოპოვებული საარქივო მასალა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის მრგვლის შეკრების ადგილი: თავიდან მსახურებები ტარდებოდა კერძო ნაქირავებ ბინაში ვინმე არხიბოვის სახლში ვლადიკავკაზის ქუჩაზე (ახ. მელიქშვილი) (Bericht, 1896:18). ქირა წელიწადში შეადგენდა 850 რუბლს (600 რუბლი - დარბაზისთვის და 250 პასტორის ბინისთვის) (Bericht 1896:7). დროთა განმავლობაში დადგა საკუთარი საეკლესიო შენობის აშენების საკითხი. ამ საკითხის წამოწევის ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ბათუმში 1896 წლისათვის უკვე არსებობდა მუდმივი მრევლი, მოქმედებდა შემოწირულობების ინსტიტუტი და არსებობდა საეკლესიო

საბჭო, რომელსაც შეეძლო ემართა ეკლესია და მიეღო გადაწყვეტილებები.

ეკლესის შშენებლობა დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ბუნებრივია ასეთი პატარა საკრებულოსთვის შეუძლებელი იქნებოდა მხოლოდ საკუთარი შემოწირულობებით დაეწყოთ ფიქრი შენობაზე. იმედი გაჩნდა მაშინ, როდესაც მოსკოვის ეგანგელურ-ლუთერანული ეკლესის კონსისტორია, რომელსაც უშუალოდ ექვემდებარებოდა პასტორ-ადიუნქტი ბერნგოფი, 1897 წელს დაპირდა ბათუმის სამრევლოს 4000 რუბლის გამოყოფას. მომდევნო წლის ანგარიშიდან ჩანს, რომ კონსისტორიამ აგრეთვე დაავალა ეკლესის მაღლევე მოექებნათ მიწის ნაკვეთი, გამოესყიდათ და მოეგვარებინათ კველა ბიუროკრატიული საკითხი მის გაფორმებასთან დაკავშირებით. ბათუმში შეუძლებულობა და დანიშნულობა სიის ჩანაწერებიდან (1897-1908): ჯვრისწერის რიტუალის ჩატარება არხიპოვის სახლში ბოლოვერ მოხსენიებულია 1897 წლის 30 დეკემბერს. 1898 წლის 14 ნოემბერს უკვე წნდება ჩანაწერი რომ ჯვრისწერა ჩატარდა ლუთერანული მრევლის ბათუმის სამლოცველო სახლში.³² თუმცა მომდევნო წლების საარქივო მასალებიდან, კერძოდ კი ბათუმის სათათბიროს ოქმებიდან ჩანს, რომ “სამლოცველო სახლის” სენება არ ნიშნავდა იმას, რომ ლუთერანულ მრევლს უკვე ცალკე ეკლესის შენობა პქონდა;

ხანგრძლივი ძიების შემდეგ მოიძებნა პირველი შესაფერისი ადგილი. ნაკვეთი ეკუთვნილდა ვინმე ჟერ შავდეს და მდებარეობდა ოდესისა და შერემეტიევის (ახ. ლ. ასათიანი) ქარების გადაკვეთაზე და საკმარისად დიდი იყო საეკლესიო დარბაზისათვის, სეოლის და პასტორის ბინის ასაშენებლად. (Bericht 1896:13). საეკლესიო საბჭომ მოიწვია არქიტექტორიც, რომელმაც შექმნა 150 კაცზე გათვლილი ეკლესის პროექტი და დაითვალა დანახარჯები. ყველა სამუშაოების შესრულებისთვის

³² Венчаны 14 Ноября месяца 1898 года в Молитвенном доме Лютеранского прихода в Батуме Пастором А. Бернгофом. Сочетались поселенец-собственник Вильгельм Рейнгард Вагнер сын умершего колониста Иогана Фридриха Августа, с поселянкой Фредерикой Зейбольде, дочь поселенца собственника Иогана Зейбольде. (სეცა, ფ.1732, ბ. 23 Список обруч. Оглаш. и Браком сочетавшихся, Батум 1897-1908).

საჭირო იყო ორჯერ მეტი თანხა, ვიდრე კონსისტორიუმი გაიღებდა. მაგრამ მიუხედავად თანხის უქმარისობისა, ეკლესიის მშენებლობა მაიც გადაწყდა, დმერთისა და ერთგული შემომწირველების მქონით, რომელთა შორის ქალბატონები გამოიჩინდნენ განსაკუთრებული აქტიურობით (Bericht 1896:14).

შემდგებ ჩნდება (ცნობა, რომ ლუთერანულ მრევლს გამოუყვეს ეკლესიის აშენებისთვის ალექსანდრეს ბაზის (დღ. ბულგარი) დასავლეთი ნაწილი 400 კვ.საჟენის ფართობი. დადგენილება შეცვალა საქალაქო საქმეების საგუბერნიო წარმომადგენლობამ. 1899 წლის 19 მაისის სათათბიროს სხდომაზე ბათუმის ლუთერანულ-ევანგელისტურ საეკლესიო საბჭოს მიეცა თანხმობა კოზნესენსკის ქ. (ახ. მელიქშვილის ქ.) და გურიის შესახვევის (ჯინგარაძის ქ.) კვეთაში ეკლესიის აგებისა და შესაბამისად მიწის ნაკვეთის გადაცემის თაობაზე. სათათბირო ხაზს უსვამს, რომ აღნიშნული ადგილი ძალზედ ფასეულია ქალაქისათვის. აღნიშნავს რომ მრევლი ითხოვდა მხოლოდ 70 საჟენის, ამიტომ 100 საჟენის გამოყოფაც საკმარისზე მეტი იქნება. თუმცა გრძელი დისკუსიის შედეგად მრევლის თხოვნა უარყვას, მიზეზად დასახელდა ქ. ბათუმში თავისუფალი მიწის ნაკვეთის სიმწირე (აცსა, ფ. ი-7, ს.320, ფ.15-16).

1899 წლის 15 ნოემბერს ჩატარებულ კრებაზე ისევ იდგა დღის წესრიგში ლუთერანულ-ევანგელისტური საეკლესიო საბჭოს განცხადება მრევლისათვის ბათუმში პეტერბურგისა (ახ. ი. ჭავჭავაძის ქ.) და თბილისის (ახ. წერეთლის ქ.) ქუჩებს შორის ეკლესიის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის გამოყოფაზე. ამ ქუჩების შეერთებაზე წარმოიქმნა 251.3 კვ.საჟენის მოედანი (დღევანდელი თბილისის მოედანი). აქ შენობების ასაგებად სათათბიროს ერთდროულად მიმართა ლუთერანულმა მრევლმა და საჯარო ბიბლიოთეკის აგების ინიციატორებმა. სათათბირომ მიიჩნია, რომ ამ ტერიტორიაზე შენობების აგება ესთეტიურად დაარღვევს ქალაქის იერსახეს. თვითმმართველობამ მიიჩნია, რომ აღნიშნული შენობებისათვის მიწის ნაკვეთი გამოიყოს იქ, სადაც ადრე სამჭედლოები იყო განთავსებული და ახლა ელექტროგანათების სადგური შენდება. ეს გეგმა მოიწონეს (ფ. ი-7, ს. 330, ფ.7-8). თუმცა, 1902 წლის 8 აპრილის სხდომაზე – ისევ ისმინება ქალქის თავის მოხსენება ლუთერანული მრევლისათვის ეკლესიის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის გამოყოფის თაობაზე. დაადგინეს, ლუთერანულ საზოგადოებას გამოეყოს ქალაქში მიწის ნაკვეთი 320 კვ. საჟენის ოდენობით მდინარე ანგისის მიდამოების შემდეგ საზღვრებში: სამხრეთით – ბარია-

ტინსკის (ახლ. გორგასალი), ჩრდილოეთით – ბებუთოვის (ფარნავაზ მეფის), დასავლეთით – პუშკინის ქუჩები (ექვთიმე თაყაიშვილის ქ.). მიწის ნაკვეთი გადავიდოდა საეკლესიო სარგებლობაში. ფუნქციონირების შეწყვეტის შემთხვევაში კი უსასყიდლოდ დაუბრუნდებოდა ქალაქს იმ პერიოდისთვის არსებული შენობა-ნაგებობით.

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი ცნობებიდან პირდაპირი მითოება მშენებლობის დასრულების და შენობის ადგილმდებარეობის შესახებ არ გაგვაჩნია. სამსრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევებში მითოებულია რომ ბათუმში ზოგიერთ ეთნიკურ უმცირესობას ჰქონდა საკუთარი სამლოცველო. სხვა და სხვა ეკლესიებს შორის მოხსენიებულია ესტონელთა და გერმანელთა ლუთერანული ეკლესია (ნ. მგელაძე, თ. ფუტკარაძე, 2008:88). კიდევ ერთი დეტალი, რომელიც ვარაუდს ბადებს ეკლესიის შენობის არსებობაზე გახლავთ პოლიცმეისტერის პატაკი ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის მიმართ რომლიდანაც ირკვევა რომ, 1911 წლის 1 აპრილიდან აქამდე არსებული ლუთერანული ეკლესია /კირხა/ დაკეტილია. რის მიზეზადაც ასახელებს პასტორის არტურ ბერნგოფის გადაყვანას ქ. ტამბოვში. ქალქაში დარჩენილი ლუთერანული აღმსარებლობის მოსახლეობისთვის კი ქ. ნოვოროსიისკიდან ჩამოდის პასტორი 3-4 დღით და სასულიერო საჭიროებების აღსრულებისთანავე მიემგზავრება (აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 516).

1915 წელს რუსეთის იმპერიაშ გამოაცხადა რუსეთის იმპერიაში გერმანული მიწათმფლობელობის გაუქმების შესახებ (ბ. კოპალეიშვილი, 2012:36). გერმანელ კოლონისტებს მოელი იმპერიის მასშტაბით ჩამოერვათ უფლება მიწის მფლობელობაზე. რეპრესიების მეორე ტალღამ გერმანელებს გადაუარა უკვე მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში, როდესაც მოხდა გერმანული მოსახლეობის მასობრივი გადასახლება. საქართველოში არსებული ყველა უკანგელურ-ლუთერანული ეკლესია დაიკარა ან დაინგრა.

ლიტერატურა:

1. სცხა, ვ. 1732, ს. 23, Список обруч. Оглашенных и Браком сочетавшихся, Батум 1897-1908;
2. აცხა, ვ. 1, ან. 1, ს. 516; ვ. ი-7, ს. 320,
3. რელიგიური საქართველოში, თბ. 2008;
4. Bericht des Batumer Evangelisch-Lutherischen Kirchenraths fur das Jahr 1896, თბ. 1896;
5. Кавказский Календарь за 1885 г., Тиф., 1885;
6. Кавказский Календарь за 1895 г., Тиф., 1896;
7. Кавказский Календарь за 1897 г., Тиф., 1898;
8. ბ. მგელაძე, თ. ვებგარაძე, მოსახლეობის დინამიკა, ეთნოგრაფიული და სოციალური სტრუქტურა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვენები, III, ბათ. 2008.
9. ტ. კოპალეიშვილი, პირველი მხოლოდი თმი და გერმანელთა საკითხი საქართველოში, არხოონი, ბათ. 2011.
10. Г. Аугст, Немцы, <http://www.pmmg.org.ge/home.php?option=communities&lang=ru>;
11. <http://www.batumionline.net/index.php?act=streets>;

Tatiana Kopaleishvili

For the Lutheran Church history in Batumi

Based on the archive documents the author in the article describes some of the lesser-known facts about the Lutheran Church in Batumi during the turn of the XIX-XX centuries. The author tries to reconstruct the facts about everyday life and structure of the Church. Her article tells how congregation was searching for a place to build the church building. Although there was plan for the building and number of addresses had been suggested by city hall, the direct note about the Church building construction is absent.

ელზა ფშტყარაძე

„ჩვენიგურის“ თვალით დანახულ-ბაცდილი „ბაზმა გამლეჭეთი“

ისტორიულმა ბედუკუღმართობამ საქართველოს ჩამოაშორა სამხრეთ საქართველო. მიუხედავად ამისა, იქ არ ჩამკვდარა ქართული სული, არ მიძინებულა ქართული სისხლის ყივილი, არ დავიწყებიათ ქართული ენა. „გამდა მემლექეთში“ დარჩენილებს უსაზღვრო გულისტყივილი, სამშობლოს მონაცემების გრძნობა სიტყვისთვის გაუნდვიათ. ერთ-ერთი ასეთი არის ის-მაილ ყარა-შავიშვილი.

ისმაილ ყარა-შავიშვილი 1945 წელს ისტორიული იმერხევის სოფელ შოლტისხევში დაბადებულა. მისი წინაპრები შავიშვილები იყვნენ. ჯერ შავშეთში სწავლობდა, დაწყებითი განათლება წყალისმერში მიიღო, შემდგე დაბა შავშეთში დამთავრა რვაწლიანი სკოლა, ბოლოს—დუზჯეს ლიცეუმი. შემდეგ შედის ანკარის ეკონომიკურ ორწლიან კურსებზე. დამთავრების შემდეგ ქალაქ რიზეს, ხოლო მერე ყარადერეს რაიონის ეკონომისტად მუშაობდა. 1984 წლიდან ქალაქ ინგოლში გადავიდა საცხოვრებლადაც და სამუშაოდაც. მან ეს ქალაქი მუდმივ საცხოვრებლად აირჩია, რადგან იქ შედარებით მეტი იყვნენ მისი თანამემამულე ქართველები: „ბედინერი ვარ,—წერს ისმაილ ყარა, რომ ენა ქართულად ავიდგი“ (საბჭ. აჭარა, 1989, 9 აგვისტო).

ისმაილ ყარა-შავიშვილი იმთავითვე მოწოდებული იყო სამწერლო მოღაწეულობისათვის. ლიტერატურული მოღვაწეობა მან 1965 წლიდან დაიწყო. პირველი წერილი გამოაქვეყნა ბურსაში გამომავალ გაზეთ „მარმარაში“. ეს იყო მასალა ართვინულ ფოლკლორზე, ხოლო პირველი წიგნი 1985 წელს გამოიცა ბურსის გამომცემლობაში. ეს არის რომანი იმერხეველი გლეხ-კაცის ცხოვრებაზე და „მაჭახლის უღელტეხილი“ ჰქვია. არის დექსების, მოთხოვნების, რომანების ავტორი, რომელიც ჯერ ისევ მთარგმნელს ელოდება.

ის სისტემატურად აგროვებდა შავშეთის, იმერხევისა და ლივანის ხეობის ხალხურ შემოქმედებას, ზღაპრებს, ლეგენდებს, სიმღერებს, შელოცვებს, ძველ ქართულ ლექსიკას, ტოპონიმიას. ვიდეოფირებზე აღბეჭდა და შემოგვინახა იქაური ხალხური ცეკვები და სიმღერები. გადაიღო ვიდეოფილი იმერ-

ხევისა და ბორჩხის სოფლებზე და საჩუქრად ჩამოიტანა საქართველოში.

„ჩვენი საეკარელი სამშობლო-საქართველო ლამაზია, ჩვენი სიხარულის საფუძველია, მაგრამ უკეთესობისაკენ სწრაფვა ღმერთმა ნუ მოგვიშალოს“ –წერდა ისმაილ ყარა. სწორედ აღნიშნული სიყვარულისა და სიხარულის უდიდესი გრძნობა ჩანს მშობლიურ საქართველოში ავტორის მოგზაურობის შთაბეჭდილებებში. მოგზაურობის შთაბეჭდილებანი დართული აქვს მის სათავგადასავლო რომანს „მაჭახლის უდელტეხილს“. ეს შთაბეჭდილებანი ცრემლის მომგვრელია. მისი გაცნობისას მკითხველს თვალწინ წარმოუდგება თვალცრემლიანი, ხმათროლებული, მშობლიურ მემლექეთზე უსახლვროდ შეუვარებული მწერლის სახე. სახე მწერლისა, რომლის სისხლის ყოველი წევთი სამშობლოს მონაცრების გრძნობითაა გაუდენილი. შესაბამისად კი, შთაბეჭდილებანი ემოციური და გადამდებია.

წლების მანილზე ნალოდიავები მოწვევა მიუვიდა ისმაილს, ეძახდა მშობლიური მემლექეთი და მიუხედავად იმისა, რომ მისი გულით ავადმყოფობის გამო ხანგრძლივი მოგზაურობა შეუძლებელი იყო, მრავალი წლის უნახავი თანამომმების ნახის სურვილმა თავისი გაიტანა. ხოლო ის ემოცია, ის გულში დაგროვილი შთაბეჭდილებანი მთელი ცხოვრების სამყოფი საგზალი აღმოჩნდა მწერლისათვის.

მშობლიური, მადლიანი მიწა-წყალი სამოთხეა, ხოლო „დიდ მემლექეთისაკენ“ მომავალი ნანაცრი გზა აღთქმულ მიწაზე დაბრუნების ტოლფასია მისთვის: „ბავშვობის დროიდან მიზიდავდა და მიხმობდა დიდი მემლექეთის აღთქმული მიწა-წყალი, მაინტერესებდა მისი ნახვა, მწყურდა თუნდაც ერთხელ თვალი შექმევლო და აი, პირველად ამიხდა ნატერა“. სწორედ ამ ბავშვობისდროინდელმა ინტერესმა, ახლობლების მონახულების წყურვილმა მოიყვანა აქ 1989 წლის აგვისტოში ისმაილ-ყარა შავიშვილი.

ისმაილ ყარა-შავიშვილის მოგზაურობის შთაბეჭდილებებიდან ჩანს, რომ მისთვის დიდ მემლექეთში სტუმრობისას ყველაზე საპატიო, განსაკუთრებული და საინტერესო იყო შეხვედრა ქართველ მწერლებთან ბათუმში, მწერალთა სახლში. „განგებამ მარგუნა-წერს ისმაილ ყარა-ახლოს მენახა რუსთაველის, ბარათაშვილის, აკაგის, ილიას ენაზე გაზრდილი იმათი შორეული და შორეულზე-შორეული მემკვიდრეები“ (1:143). სწორედ აქ შეხვედრისას თქა მისი გულისტყივილი მწერალმა: „არ ვიცი, როგორ გამომივიდა, მაგრამ მჯერა, მართალი ვიყავი,

როცა ვუთხარი: თურქეთში გამობრძანებული სტუმრები უმაღ გეზს დიდი ქადაქებისა და უფრო ქვეყნის დიდი ცენტრებისკენ იდებთ-მეთქი. პროვინციებს უფრო ცოტას, ან სულაც არ სტუმრობთ-მეთქი. მე ამაში უაირატესად ჩემს ისტორიულ ტაო-კლარჯეთის კუთხეებს იმერხევს, ართვინს, შავშეთს და მის ქართულ სოფლებს ვგულისხმობდი. რა უნდა იყოს იმაზე ძირიფასი და სანუკარი თურქეთში მცხოვრები ქართველებისათვის, თუ დიდი მემლექეთის გურჯი მწერალი მურდულში, ბაგაში, სახულში, ჭილაურში, მარადიდში, მაჭახელში, წყალსიმერში, წეთილეთში, სვირევანში, უბეში, ტბეთში, აგარაში, მაჩხანეთში, მანატბაში, ხოლევში, შოლტისხევში, ბზათაში, დიობაბანში, ივეთში, იფხერევლში, ქოქლიეთში, სევრილში, გოოსში, ჩიხტაში, დაბაწვრილში, ჯინალში, ჩიხორში, გადაღმითში, სხლობანში, ზაქარეთში, მიქელეთში მივა და იქ ქართულ სალამს, ქართულ სიტყვას, ქართულ ენას და ცეცხლს მიიტანს. ეს მარტო ნახვა ან მონახულება კი არ იქნება, არამედ ზოგან უკვე გაპარულ-დანელებულ, ზოგან კიდევ სამწუხაროდ, ჩამქრალი ქართული სუნთქვის, ქართული სულის გაღვივება და ხელმეორედ აღორძინება“ (1:144).

მწერლის გულისტაკივილი თუ საყვედური ობიექტურია. მათ ცნობიერებაში ჩამარტულ-ჩაკირული ქართული სულის, ქართული ენის განედლება ხომ უდაოდ საშური, მოსახტრები საქმეა. ცნობილია, რის ფასად, როგორი ტანჯვითა და წამებით მოიტანეს და გადაარჩინეს ქართული სისხლის ყვილი, როგორი კრძალვით ელოლიავებოდნენ, ეფერებოდნენ „დიდი ნენეც“ უბით გადამალულ ქართულ სიტყვას, ქართულ ენას. შეუძლებელია ემოციისა და ცრებლის გარეშე წაიკითხო მწერლის შთაბეჭდილებიდან შემდეგი მონაკვეთი: „ელოოდა აქაური კაცი დიდ მემლექეთიდან გზის გახსნას, იქიდან მოსულ საიმედო სიტყვასა თუ ამბავს, ელოოდა და მერე როგორ ელოოდ! ჰველებისგან შემონახულ ენას და ქართულ სულს უბერავდა, ათბობდა, უბეში ინახავდა, დროის ქარტეხილებს უმაღავდა და საამდღეისოდ ამზადებდა, რომ მემლექეთიდან მოსული კაცისათვის დაეხვედრებინა, მისთვის ჩვენებური გულით და ენამზებით ეთქვა: მობრძანდით, სტუმარი დვთისაა, ოჯახი ძმისაა და როცა ასეთი დრო დადგა, თითო-ოროლა სიტყვის თქმის მადლით კაცი სარფის ჭიშკარს რომ გამოსცდება, გეზს მაშინვე ქვეების სიღრმისაკენ იდებს... ისტორიულ შავშეთ-იმერხევის სოფლებში მოხუცებიდა დარჩენილან. ვინძლო თქვენმა მოსკლამ ახალგაზრდებს თვალი აუხილოს და შეაგნებინოს, რომ

ამ კუთხებს პატრონი სჭირდება, რომ ყველაფერი თავისრჩენითა და საშოგარით არ აიწონება, რომ მამაპაპური საფლავები უპატრონოდ, ბედის ანბარა არ დაიგდება და ბოლოს, რომ ჩვენი ხვალინდელი მომავალი ამ მხარის ასე მიტოვების პასუხ-საც მოგვკითხავს“ (1:144–146).

ისმაილ ყარა-შავილმა ბევრი იღვაწა უცხოეთში მყოფი ჩვენებურების ზეპირსიტყვიერი მასალის შესაკრებად. დაგვიტოვა ბევრი საინტერესო ძევლი ამბავი. აი, თუნდაც ერთი: „თურქეთში ჩვენებურები იტყვიან: „ჭოროხი ჩქარი მდინარეა“, „ჭოროხი ჩქარა მიდისა“. მე ეს ვათხე მოხუცებს, რატომ იტყვიან ამას მეტე. მითხვეს: „ჭოროხი იმიტომ მიდის ჩქარა, რომ მასში ჩვენი სულია, ჩვენს სულს კიდევ გურჯისტანში უნდა ჩასვლა და იქაური მმების მონახულებაო, ამიტომაც მიდის ჩქარა ჭოროხი, რომ ჩვენი სულები გურჯისტანში წაიყოლოთ-სო“ (1:148).

მოგზაურობის შთაბეჭდილებათა ერთი პატარა მონაკვეთისათვის მწერალს „მკვდრეოთით აღმდგარი ნათესაობა“ დაურქმევია. მას მოსვენებას არ აძლევდა წინაპრების მიერ გადმოცემული ამბავი, რომ წარსულში მათი სანათესაოს ფესვები აქეთ დარჩენილა. ბაგშვილიდან მოყოლებული გულით დაატარებდა საწუხაოს, რომ დიდ მემლექეთში ნათესავები პყოლია. თვალი და გული სულ აქეთ მოურბოდა. სისხლის ყივილი ეძახდა მწერალს და ეს დაუდგრომელი სისხლი არ ასვენებდა, მოსვენებას აკარგვინებდა. არ იგიწყებდა წინაპრების ნაამბობს, რომ აჭარაში, შუახევში, ოლადაურში, უჩამბასა და მარეთის ხეობაში ნათესავები პყოლია. ხელიდან შემთხვევას არ უშვებდა, რომ გაერკვია, მიგნო ახლობლებისათვის. უამრავ წერილს აგზავნიდა. მხოლოდ 1989 წელს მოახერხა ბაგშვილისდროინდელი ნატვრის ასრულება და დაიწყო უამთა უკუდმართობის გამო აბნეული სანათესაო გორგალის გახსნა. ბაგშვილაში სიზრად-ცხადად გაგონილ სოფელ ოლადაურს ესტუმრა: „გალამი ვერ აღწერს იმას, რაც იქ მოხდა–მოგვითხრობს მწერალი–დიდი ხნის უნახავი ნათესავები, შთამომავლობით გადმოცემული ნათესაობა რამდენიმე წამში ჩვენს თვალწინ ხელმეორედ დაიბადა, გაჩნდა, გაცოცხლდა, გაიზარდა, გაძლიერდა. ერთ დიდი მუხის ხედ იქცა, უამრავი მძლავრი ფესვები გამოისხა, უთვალავი ძლიერი ტოტები ამოიყარა და მიწიდან უცბეჭდად ამოზრდილ სიცოცხლესავით აგუგუნდა. ამ ხის ფესვები მიწაში იწვენ და მშვიდად ეძინათ, ზოგს ისევ აქა, აჭარაში, ზოგს კიდევ იქა, ართვინში. ტოტები და კვირტები კი ჩვენ, ცოცხლები, მათი

ახლანდელი შთამომავლები ვიყავით. აგერ ისინიც, ჩვენი დიდ-მემლექეობელი სისხლი და ხორცი, ისინი, ვისი ნახვისა და მოსიყვარულების წეურვილთა წეურვილით და ნატვრით დახუჭეს თვალები ჩემმა წინაპრებმა, ისინი ვისთანაც აუწყავ-აუწონელი სალამი და მოფერება დამაბარეს ჩვენიანებმა... მისაროდა, რომ მერგო წილად გაგვეთბო გაცივებული ურთიერთობა, ხელმეორედ გაგვეხარებინა და კვირტნედლად მოგვევლო ფეს-გმაგარ და ტოტებძლიერი ჩვენი დიდი სანათესაოს ხისთვის, რომელიც დვოის წყალობით ამიერიდან ახალ, უფრო მძლავრ სიცოცხლეს იწყებდა“ (1:152).

ისმაილ-ყარა შაგიშვილმა ერთი თვე დაჟყო დიდ მემლექეთში. ყოველი დღე კი ფიქრებით, იმედებით, ოცნებებით იყო სავსე. ეს ყოველდღიურობა მის ცნობიერებაში ლაგდებოდა, რომელიც შემდეგ მოგზაურობის შთაბეჭდილებათა სახით მოიტანა მკითხველამდე: „შთაბეჭდილება, რომელიც გულში დაგროვდა, არათუ მოკლე დღიურების თქმად, არამედ მთელი ცხოვრების სამყოფ საგზლად გამყვება ამიერიდან. მე ამ საგზალს ვერ დავხარჯავ ერთპირად და ერთბაშად. იგი ნელ-ნელა უნდა ვხარჯო, ნელ-ნელა უნდა გავინათო მისით ჩემი ცხოვრების დარჩენილი დღები, უნდა გამოვიზოვო, ისე როგორც კვარს გამოიზოგავენ ხოლმე დიდ ზამთარში, რათა მარაგი არ გათავდეს და სულ უცეცხლოდ არ დარჩენ, ან როგორც სანთელს გამოზოგავდნენ ხოლმე გრძელ, ბნელ დამეებში, რომ ერთბაშად არ ჩაიწეას და უაუნში არ ჩაინთქას დამის წილად მოსული სიცოცხლე“ (1:161).

საქართველოში გატარებული ერთ თვე და ის შთაბეჭდილებანი ცხოვრების ძირფასი საგზლის, სულის საგზლის ტოლფასი აღმოჩნდა მწერლისათვის. ეს არ არის უბრალო შეფასება, არ არის შემთხვევით ამოსროლილი სიტყვა. ეს მწერლისათვის განძია, გულის მაღამრა, სისხლის ყვილის განედლებაა, მის გულში დანთხებული დიდი ჩირადღანია, ის ნათებაა, რომელსაც მოაქვს მშობლიური ფესვების, მშობლიური მიწის, მშობლიური ენის ძალა და მაღლი: „საქართველოში გატარებული ერთი თვით, იქ დაგროვილი ცოდნით და შთაბეჭდილებებით მე უნდა ვიცოცხლო მთელი ჩემი დარჩენილი სიცოცხლე, უნდა ვიცხოვრო მთელი ჩემი დარჩენილი ცხოვრება, ვინ იცის ჩავალ თუ არა კიდევ ოდესმე იქ, ვნახავ თუ არა ოდესმე კიდევ მას... კეთილმა თვალმა არ შეიძლება არ შენიშნოს ერთგული გურჯის გულისტკივილი საფიცრამდე, სალოცავამდე ამაღლებული მიწა მამულისადმი, რომელსაც ჩვენ იქ ორადორი სიტ-

ყვით „დიდი მემლექეთით“ გამოვხატავთ. კეთილმა გულმა არ შეიძლება იქ იმ გულის ფეთქვაც არ შენიშნოს, რომლის დაუცხ-ხრომლობამაც ყველაფერი დამაყრევინა, ყველა საქმე არასაქ-მედ ჩამაგდებინა და აქ მომიყვანა. სხვა არის მცირე მემლექე-თიდან დიდ მემლექეთში მოსული გურჯის საფიქრალი, უფრო სხვა არის ეს ფიქრი, როცა უკან მიმავალი ისევ სარფის კარს „უახლოვდება“ (1:161).

ჩვენდა საბეჭინიეროდ, ისმაილ ყარა-შავიშვილი ერთი არ არის „გაღმა საქართველოში“ დარჩენილთა შორის, ვინც ანა-ლოგიურად ფიქრობს, ვისი გულიც ფეთქვს მშობლიური მიწა-წყლის სიყვარულის გრძნობით. სწორედ ამისთანა შემართებამა და მამულიშვილობამ სიმტკიცე შექმატა ჩვენს სულიერები-სა და ამ სულიერების ძლიერებისა.

გამოქვეყნებული ლიტერატურა:

1. ისმაილ ყარა-შავიშვილი, „მაჭახლის უდელტეხილი“, ობ., 1990.
2. „საბჭოთა აჭარა“, 9.09. 1989 წელი.

Elza Putkaradze

„Chveneburi's“ vision „of the other side of memlekhet“

summary

Due to unfortunate fate the south part of Georgia was separated from the homeland. However, the Georgian spirit has not been killed or destroyed and the native language has not been forgotten either. The feeling of longing for Motherland has been whispered out in words. Ismail Kara-Shavishvili is one of the representatives expressing the pain of separation with great sense of nostalgia.

Ismail Kara-Shavishvili was born to write poems, short stories, novels, which have been waiting for being translated since their creation.

"Our beloved homeland – Georgia is very beautiful. This is the source of our happiness and fun, but we should do our best to advance to the better conditions by the bless of God" – he wrote. The greatest sense of love and joy can be noticed in his impressions got after traveling in Georgia. These affectionate feelings are added to the novel "Machakhela Pass". The work considers these very sensitive impressions got during travelling round the Machakhela Gorge. The face of the writer – infinitely enamoured of the Motherland with a trembling voice – can be clearly imagined while getting to know these affects. The emotion and tender feelings caused by visiting fellow countrymen followed him all his lifetime.

აბესალომ ასლანიძე

არამუსლიმურ ქვეყნებში მუსლიმთა ინტერესების დაცვის ბზების შესახებ

საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდგრადებით მუსლიმური ქვეყნების გარემოცვაშია მოქცეული. ამას ემატება თვით საქართველოში მცხოვრები ნახევარ მილიონამდე ქართველი და არაქართველი მუსლიმი, რომლებსაც თავიანთი რელიგიური აღმსარებლობის გარდა, სხვა ინტერესებიც შეიძლება გააჩნდეთ. აღნიშნული გარემოება აუცილებელს ხდის ვიცოდეთ ცალკეული მუსლიმური ქვეყნების, პოლიტიკური ჯგუფებისა თუ სასულიერო ლიდერების მისწრაფებები, როგორ დაიცვან არამუსლიმურ ქვეყნებში მუსლიმთა ინტერესები. წინამდებარე ხატატიაში ხწორებდ ამ კუთხითა განხილული ისლამური პარტიები არამუსლიმურ ქვეყნებში.

მე-7 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ახალი რელიგიის - ისლამის ირგვლივ გაერთიანებული მომთაბარე არაბული ტომები გამოვიდნენ მსოფლიო ისტორიულ არენაზე. მათ შეძლეს შევქმნათ უზარმაზარი სახელმწიფო - ხალიფატის სახით და გაავრცელეს ისლამი არამარტო დაპყრობილ ტერიტორიებზე, არამედ თავიანთი სახელმწიფოს საზღვრებს გარეთაც. მას შემდეგ ისლამი გახდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ კულტურულ პროცესების განმსაზღავრელი სისტემის სახის მიმცემი მთავარი ფაქტორი, არამარტო ახლო აღმოსავლეთში, არამედ სხვა რეგიონებშიც, მათ შორის დასავლეთ ევროპაში. დღეისთვის, ისლამი სამიდან ერთ-ერთი მსოფლიო რელიგიაა, რომელიც მეორეა მიმდევართა რაოდენობით.

მიგრაციულმა, დემოგრაფიულმა, დააგრეთვე ინტეგრაციულმა პროცესებმა ბოლო ათწლეულებში მსოფლიოში ისლამის პოლიტიკური როლის მკვეთრი ზრდა განაპირობა. ამან კი თავის მხრივ გაზარდა მეცნიერთა, პოლიტიკოსთა, უცრნალისტთა და რიგითი მოქალაქეების მხრიდან ინტერესი ისლამისა და ისლამური კულტურის მიმართ. თანამედროვე ეტაპზე დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში არის მუსლიმური დიასპორები, რომლებიც ცდილობენ დაიცვან თავიანთი ინტერესები და გავლენა მოახდინონ იმ ქვეყნების პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებ-

ბაზე, რომლებშიც მათ უხდებათ ცხოვრობა (დაწვრილებით იხ: 6). სამწუხაოროდ, ადგილობრივი ეკროპელებისა და მუსლიმების ინტერესთა შეჯახებას, ზოგჯერ სერიოზული კონფლიქტებიც მოხდებს, რის გამოც ადგილობრივ მცხოვრებთა მხრიდან ისლამის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება ჩამოყალიბდა. ეს კი, თავის მხრივ, მოსახლეობის ფართო ფეხებში ისლამის შესახებ ობიექტური ინფორმაციის გავრცელებას უშლის ხელს. ამიტომაცაა, რომ მხოლოდ სპეციალისტებმა თუ იციან დასავლეთ ეკროპულ და მუსლიმურ კულტურათა დიდი ხნის ისტორია და ამ ურთიერთობათა ნაყოფიერი შედეგი.

„ბი-ბი-სის“ 2008 წლის მონაცემებით, ყველაზე მრავალრიცხოვანი მუსლიმური დიასპორები ცხოვრობენ საფრანგეთში - 7%, ნიდერლანდებში - 6%, შვეიცარიაში - 4,3%, ავსტრიაში - 4,2, შვეციაში - 3,9%, გერმანიაში - 3,6%, ბელგიაში - 3,4%, დიდ ბრიტანეთში - 2,7%, ნორვეგიაში - 2,5%. მუსლიმები ასევე ცხოვრობენ იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, ირლანდიაში, ფილლანდიაში, და ლუქსემბურგში. თუმცა ეს ციფრები ძალიან მიახლოებითა, რამდენადაც ეკროპაში ემიგრანტ-მუსლიმთა ზუსტი რიცხვი უცნობია (6, გვ. 5). ერთი რამ ფაქტია, რომ სხვადასხვა ფაქტორების გამო (მუსლიმთა შორის შობადობის მაღალი დონე, მუსლიმური ქვეყნებიდან სამუშაოს ძიებისათვის ეკროპულ ქვეყნებში მუსლიმთა მიგრაცია...) მუსლიმთა რიცხვი არამუსლიმურ ქვეყნებში სწრაფი ტემპებით იზრდება.

მუსლიმთა რაოდენობის ზრდა არამუსლიმურ ქვეყნებში, როგორც ზემოთ აღინიშნა ზრდის მათ ინტერესებსაც მოახდინონ გავლენა იმ ქვეყნების პოლიტიკაზე, რომელ ქვეყნებშიც ისინი ცხოვრობენ. თავიანთი მიზნების განხორციელებას კი ისინი ცდილობენ სხვადასხვა სახის ორგანიზაციების მეშვეობით, არის ისლამური პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბების მცდელობაც, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში ამგვარი პოლიტიკური პარტიის შექმნა ცალკეული პოლიტიკური ძალების მხრიდან ექსტრემიზმის გამოვლინებადაც ითვლება (მაგ., რუსთის ფედერაცია). მუსლიმ სწავლულთა (ულემები) მხრიდან კი ამგვარი პოლიტიკური პარტიების შექმნა ითვლება არა მხოლოდ ნებადართულად, არამედ მუსლიმთათვის საფალდებულოდ, რადგანაც მათივე აზრით, მუსლიმებს სხვა საშუალება არ აქვთ დაიცვან თავიანთი ინტერესები არამუსლიმურ ქვეყანაში.

ულემთა მხრიდან ასეთი „ნებადართულობა“ ეფუძნება იმ გარემოებას, რომ დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკური მოწყობა, რომლებშიც ცხოვრობენ მუსლიმები, დამყარებულია მრავალპარტიულ სისტემაზე და პარტიათა უმრავლესობა იცავს საზოგადოების სხვადასხვა ფენების უფლებებსა და ინტერესებს. ისლამში ადამიანის უფლებები და თავისუფლებები ერთ-ერთი უუძმდებულერი და აუცილებელი კატეგორია, რომელზეც აშენებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობების მუსლიმური სისტემები. ისლამში ხომ ეს უფლებები და თავისუფლებები ხელშეუხებლობის (ჰარამი) დონეზეა. ამგვარად, შარიათის პრინციპის თანახმად, „რის გარეშეც შეუძლებელია აუცილებელის რეალიზება, თვითონ გადაიქცევა აუცილებლად“, კველაფერი რაც დააგვშირებულია მუსლიმთათვის ამ აუცილებელი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციისთვის, ასევე იქცევა აუცილებლად. აქედან დასკვნა, რომ მუსლიმთათვის, რომლებიც ცხოვრობენ უმცირესობებად, არამარტო ნებადართულია, არამედ ზოგჯერ ვალდებულიც არიან თავისთვის შექმნან პოლიტიკური პარტია თავიანთი უფლებების დასაცავად (7). აქ უნდა აღინიშნოს მნიშვნელოვანი მომენტი, რომ მსგავს მოწოდებებსა თუ სტატიებში მითითებული არ არის, რომელი ქვეყნის უმაღლესი სასულიერო პირები დებულობენ ამგვარ გადაწყვეტილებებს, არ სახელდება არც მათი გვარები და სადაურობა.

თანამედროვე უზბეკი რელიგიური მოღვაწე, შეის მუჭამედ სადიკის აზრით, მთელ მსოფლიოზე თავსდატეხილ უბედურებებზე დამნაშავეები არიან ისინიც,, ვისაც გადაჭარბებული ამბიცია აქვთ მუსლიმობაზე (5, გვ., 271). მუსლიმების მხრიდან ისლამური მოძღვრების არცოდნამ, უდიდესი ზიანი მიაყენა არამარტო მათ, არამედ მთელ კაცობრიობას, ამიტომაც მუსლიმთათვის უპირველესი ამოცანაა ამ მწარე ჭეშმარიტების გაცნობიერება (იქვე, გვ., 272).

არამუსლიმურ ქვეყნებში მუსლიმური პარტიების შექმნის მომხრენი იმოწმებენ აიას ყურანიდან, სადაც ნათქვამია: ”და იყოს ოქენებან თემი, რომელიც სიკეთისაკენ მოუწოდებს, და ბრძანებს სასურველს და კრძალავს საძულველს. და ნეტარნი ესენი არიან“ (1, 3:104) და აქვე განმარტავენ, რომ მუსლიმებზე დაკისრებული მოვალეობა შეუძლებელია გაერთიანებების გარეშე. კოლექტიურ,

ორგანიზებულ ზეწოლას შეიძლება და აუცილებელია ვუპასუხოთ მხოლოდ ამგვარადვე კოლექტიური და ორგანიზებული დაცვით (7) და ასეთი ქმედების გასამართლებისთვის იმოწმებენ ყურანის აიას: ”და განამზადეთ მათ წინააღმდეგ, რაც შეგეძლებათ, ძალა და ლა-გამამოღებული ცხენები - შიშს მოპგვრით ამით ალლაპის მჩერს და თქვენს მტერს და, ამათ გარდა, სხვებსაც, რომელნიც არ იცით თქვენ და იცის რომელნიც ალლაპმა” (2, 8:60). თვით ამ აიას შინა-არსიდანაც კარგად ჩანს, რომ აქ რაიმე პოლიტიკური ერთობის შექმნაზე საუბარი არაა და ის წინასწარმეტყველ მუპამადს კონ-კრეტული ბრძოლის წინ ეუწყა ალლაპისგან.

არამუსლიმურ ქვეყნებში პოლიტიკური პარტიების შექმნის მსურველები ხმირად იმოწმებენ ყურანისა და სუნას იმ ტექსტებს, სადაც არაერთგზის ნახესენებია სიტყვა ”განახლება”. ასევე ხში-რად იმოწმებენ წინასწარმეტყველ მუპამადის სიყტვებს: ”ყოველი ასწლეულის დასაწყისში ალლაპი უგზავნის მუსლიმებს ადამიანს, რომელიც განახახლებს მის რელიგიას”. არც თუ იშვიათია შემ-თხვევები, როდესაც ამგვარ მისიაზე პრეტენზია აქვთ ხწორედ პო-ლიტიკური პარტიის ლიდერების. ამ მხრივ საინტერესოა ეგვიპტის უმაღლესი მუფტის, ალი გომას აზრი, რომლის თანახმადაც, ისლა-მური შარიათის მიხედვით განახლება ითვლება ალაპის მოწყალე-ბად. უფრო მეტიც, განახლება აუცილებელია. ის ითვლება დვითის წყალობად ისლამური ნაციის მიმართ... თუმცა სიტყვა ”განახლე-ბა”, არის ყურანსა და წინასწარმეტყველის (მშვიდობა მას) სუნაში, და ნიშნავს ”გზავნილს”, ”აღორძინებას”, ”აღდგომას” და არა ”შექ-მნას” ან ”ქმნილებას” (8).

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური პარტიების შექმნა რელიგიური ნიშნით ყველა ქვეყნისთვის პრობლემურია, როგორც მუსლიმური(დაწვრილებით იხ: 3, გვ., 171-226), ასევე არა-მუსლიმური ქვეყნებისთვის და ამას ადასტურებს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პორცესები, მით უფრო, თუ ამგვარი პარ-ტიები მონაწილეობენ სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. ისლამისთვის, და საერთოდ მუსლიმური ქვეყნე-ბისთვის გაცილებით მომგებიანი იქნებოდა, თუ ამ ქვეყნების ლი-დერები და სასულიერო პირები საერთაშორისო ურთიერთობებისა არ მოახდენენ აპელირებას ისლამშე და ეს ქვეყნები საერთაშორი-სო სარბიელზე წარდგებოდნენ, როგორც სეკულარული სახელ-მწიფოები. როდესაც ესა თუ ის მუსლიმური ქვეყანა თავის პოლი-

ტიკას (ხშირად დასავლეთის ქვეყნებისთვის მიუდებელს...) წარმართავს როგორც მუსლიმური ქვეყანა და ხდება მუსლიმური ღორებულებებით სპეცულირება, ბუნებრივია დასავლეთის ქვეყნების მხრიდან ზეწოლაც ისლამზე მოდის. ამით იმის თქმა გვსურს, რომ ისლამი მსოფლიოს ნომერ პირველ მტრად აქცია თვით ისლამმა და მუსლიმურმა სახელმწიფოებმა. მუსლიმური სახელმწიფოების მხრიდან გონიგრული პოლიტიკის გატარებით, დასავლეთის მხრიდან ისლამზე, როგორც რელიგიაზე ზეწოლა მოიხსნება. თუმცა ამის მიღწევა არც თუ ისე იოლი იქნება და ამას ათწლეულები დასჭირდება. მთავარი კი ის არის, რომ თვით მუსლიმ სასულიერო პირებს საფუძველი გამოიცდებათ ამტკიცონ დასავლეთის ბრალეულობა ისლამის, როგორც რელიგიის მტრად გამოცხადების საქმეში (დაწვ. იხ.: 9).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ყურანი. თარგმანი არაბულიდან და კომენტარები აპოლონ სილაგაძისა. თბ., 2009.
2. ყურანი. თარგმანი არაბულიდან და კომენტარები აპოლონ სილაგაძისა. თბ., 2010.
3. Ближний Восток: война и политика. М., 2010
4. Коран. Перевод и комментарий И. Ю. Крачковского. М., 1986.
5. Садик Мухаммад Йусуф Мухаммад. Права Человека в Исламе. М., 2008.
6. Садыхова А. А. Проблемы этноконфессиональных отношений в западноевропейской арабской публицистике. Санкт-П. 2009.
7. <http://ansar.ru/person/2011/12/15/25115>
8. <http://golosislama.ru/news.php?id=4604>
9. <http://golosislama.ru/news.php?id=4427>

მერაბ მებრელიშვილი

გათუმის ძრისტიანული ეკლესიები

XX საუკუნის დასაწყისში გურია-სამეგრელოს ეპარქიას ეკუთვნოდა ბათუმში არსებული ქრისტიანული ეკლესიები, რომლებსაც განაგებდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე. მისი რეზიდენცია იყო ქალაქ ფოთში. მას ექვემდებარებოდნენ ბათუმის ოლქის მღვდელმთავრები არსებ თოხაძე და კონსტანტინე ცანძეკოვი. ამ პერიოდში ბათუმში არსებოდა მართლმადიდებლური აღმსარებლობის შემდეგი ეკლესიები: ალექსანდრე ნეველის სახელობის რუსული მართლმადიდებლური ეკლესია, რომელსაც საფუძველი ჩაეკარა 1888 წლის 25 სექტემბერს.¹ აღნიშნული ტაძარი ექვემდებარებოდა სამხედრო უწყებას. ტაძრის მშენებლობას ხელმძღვანელობდნენ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი სმიაგინი და მისი მოადგილე პოლკოვნიკი დრიაგინი. აღნიშნული ტაძრის დეკანოზი იყო ა. ა. რალცევინი. სააღმშენებლო საქმიანობას ხელმძღვანელობდა სამოქალაქო ინჟინერი პ. ა. აპოშკოვი. ტაძარი განთავსებული იყო დღევანდელი სახტუმრო „ინტურისტის“ ადგილას.

წმინდა მიხეილის სახელობის ტაძარი მდებარეობდა ყოფილი მარინის, დღევანდელი მემედ აბაშიძის ქუჩისა და თავისუფლების მოვდნის კუთხეში. ეკვდერი აგებული იყო წმინდანების დაგითისა და კონსტანტინეს სახელზე. ტაძრის წინამდგარი იყო ა. რალცევინი, ხოლო მღვდლები ს. თოთიბაძე, ა. ივანიცია, მთავარი დიაკონი ი. ნადირაძე, მამასახლისი ი. ზ. გეღვანიშვილი.

სასაფლაოს წმინდა სამების ეკლესიის წინამდგარი იყო მხხილევაძე.

დვოისმშობლის ეკლესია განთავსებული იყო ყოფილი სამეგრელოვის და შეპელევის ქუჩების კუთხეში, დღევანდელი წმინდა ბარბარეს ეკლესიასთან. მისი წინამდგარი იყო გრ. ხახუტოვი.

წმინდა ალექსანდრე ნეველის ეკლესია განთავსებული იყო გოროდოვაში, რომელიც სამხედრო უწყებას ექვემდებარებოდა, რაზედაც მიუთითებს მისი დამატებითი სახელწოდება „ბატალიონი“. ეკლესიის წინამდგარი იყო მღვდელი ა. ლუბომუდროვი.

XX საუკუნის დასაწყისში ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში მოღვაწეობდა ცნობილი ბულგარელი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ნ.ს. დერევავინი, რომელმაც შეისწავლა ბათუმში არსებული ქრისტიანული ეკლესიები.

წმინდა ბარბარეს კერძო ეკლესია არსებობდა სასაფლაოს ტერიტორიაზე. მთავარდიაკონი ისიდორე ნადირაძე.

ოჯახის მფარველი ეკლესია, განთავსებული ბათუმის სახელოსნო სახწავლებელში.

წმინდა ნიკოლოზის ბერძნული ეკლესია, ყოფილი მიხაილოვის და ბერძნის ქუჩების კუთხეში, დღევანდველი ფარნავაზის ქუჩა, წინამდღვარი კონსტანტინე ცანძეკოვი, მდვდელი ნიკოლოზ კონსტანტინიდი, მეფესალმუნჯ მდვდელი მათე მანოსი, მამასახლისი ა.დიმიტრიადი.²

სომების გრიგორიანების ეკლესია დაარსდა 1885 წელს. აჭარის ცაკის 1923 წლის 18 აპრილის დადგენილების საფუძველზე სომების გრიგორიანებს ჩამოართვეს ეკლესია და გადასცეს მეტყველა კაგშირს. 1959 წლიდან ეკლესიის შენობაში განათავსეს პლახეტარიუმი. 1992 წელს სომების გრიგორიანებს დაუბრუნეს ეკლესიის შენობა. დღეს ამ ეკლესიას მფარველობს საქვემდებრების საზოგადოება „კორსაკოვუნდ“. ეკლესია მდებარეობს ყოფილი დონდუკორ კორსაკოვის და ლორის მელიქოვის, დღევანდველი ხოე ქორდანიას ქუჩაზე.³

სომხურ-კათოლიკური ეკლესია, დონდუკორ კორსაკოვის და კათოლიკური ქუჩების კუთხე, დღევანდველი გახტანგ გორგასლის ქუჩა, წინამდღვარი ტერ გრიკორ პუხინიანი.

1898 წლის 14 მარტს რომაულ-კათოლიკური აღმსარებლობის მოწმუნენი ბათუმის თვითმმართველობისაგან ითხოვდნენ მიწის ნაკვეთს ეკლესიის ასაშენებლად, კერძოდ კი ბათუმელი ვაჭარის ნიკოლოზ ანგონის-ძე საბაევის (მისი კუთვნილებას წარმოადგენს კვამსახურდიას ქუჩაზე არსებული ყოფილი პროკურატურის შენობა) მიერ არენდით გაცემულ მიწას, რომელიც მდებარეობდა ყოფილი თბილისის, გეორგიევსკის, კომაროვის ქუჩების კუთხეში, რაზედაც თვითმმართველობამ მისცა ნებართვა 1903 წელს ეკლესიის წინამდღვარი იყო პატრიარქის მდებრიშვილი და მდვდელმსახური ა.ამირხანოვი.⁴

ევანგელიკურ-ლუთერანული სამლოცველო სახლი არსებობდა ყოფილი კომაროვის და ფეფულოვის ქუჩების კუთხეში, რომლის პატრიარქი იყო ბერნგოფი.⁵

ბათუმის ეკლესიებთან არსებობდა სკოლები, კერძოდ, ბათუმის საეკლესიო სკოლა ყოფილი აზიზიეს, დღევანდველი

თავისუფლების მოედანზე საეკლესიო სკოლას განაგებდა დეკანოზი ა.რადუევიჩი. აღნიშნულ სკოლას ემსახურებოდნენ ცნობილი მასწავლებლები ნიკოლოზ ზალსკი და ეკატერინე ნაუმოვა.

ბათუმის ქალთა ბერძნული საეკლესიო სკოლის გამგე იყო მდგდელი კონსტანტინე ცანდეკოვი, მასწავლებლები ნინა პეტრეს ასული ნაიტაკი და ელენე დერება.

სომხურ-კათოლიკური საეკლესიო სკოლა, არსებული კათოლიკის, დღევანდელი სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩაზე. სკოლის გამგე იყო ტერ გრიგორ პუხინიანი, მასწავლებლები ეგგმინა სოგოროვა და სკლადბიში.⁶

დამოწმებული ლიტერატურა

1. „რელიგიური დაწესებულებები აჭარაში” (დოკუმენტების კრებული) ბათ.2010;
2. ნ.ს. დერეავინი „ბათუმის ოლქის ისტორიული ნარკვევი” ბათუმი 1902;
3. აცსა ფონდი რ-4 აღწ.1. საქმე 31;
4. აცსა ფონდი ი-6 აღწ.1 საქმე 177;
5. ნ.ს. დერეავინი „ბათუმის ოლქის ისტორიული ნარკვევი” ბათუმი 1902;
6. ნ.ს. დერეავინი „ბათუმის ოლქის ისტორიული ნარკვევი” ბათუმი 1902;

თამილა ლომთათიბე

მყლის სიმბოლური გააზრება მრისტიანობასა და ეთნობრაზიშლ ყოფაში

ქრისტიანობასა და ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მრავლადაა დადასტურებული წყლის ღვთაებრივი ძალის რწმენაზე დაფუძნებული მრავალფეროვანი მასალა. წყლის სიმბოლიკა, ძირითადად, ბიბლიურ სიუჟეტებს უკავშირდება. ქრისტიანული სწავლებით წყალი არის ქვეყნიერების დასაბამი, ღვთაებრივი ენერგიის მატარებელი, “ცხოველსმყოფელი” სტიქია. ქრისტიანული კოსმოგონიით სხვა სტიქიების შექმნამდე შეიქმნა წყალი: “მიწა იყო უსახო და უდაბური, ბნელი იდო უფსკრულზე და სული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ” (ბიბლიია, 1989, დაბ.1:2). სწორედ სული ღვთისას ნებით მიეცა წყალს სასიცოცხლო ძალა და “აიგსო წყალი ცოცხალი არსებებით” (ბიბლიია, დაბ.1:20) სიცოცხლის წყლიდან წარმოშობის რწმენა ხალხურმა აზროვნებამაც შემოგვინახა. აჭარაში გავრცელებულია შეხედულება, რომ “ადამიანი თევზიდან გაშენებულა”, “ორაგულის დაჭერა ცოდვაა, იქიდან ადამიანი გაშენდა და ამიტომ იგი არ იგმება” (თანდილავა, 1965:100).

ეთნოგრაფიულ ყოფაში წყალს მრავალგვარი ფუნქცია აკისრია. იგი არის ნაყოფიერებისა და სიუხვის მომნიჭებელი, ადამიანის ბედ-იღბლის წარმმართველი, ჯანმრთელობისა და სიმრავლის გამნენაზღვრელი, ცოდვებისაგან განმწენდი და სხვ. ამიტომაც, ფართოდ იყო გავრცელებული წყლისათვის იღბლის შეთხოვის, საქონლის წყალზე გავგანის, ახალი წლის დილას უბრად წყლის მოტანისა და სხვა ჩვეულებები. გაერცელებული იყო წყლით გურნალობის ტრადიციაც. წმინდა წყლებით განკურნების პრაქტიკა ქრისტიანობისთვისაც არ იყო უცხო. ქრისტიანული რწმენით წმინდა წყაროებსა თუ წყლებს სულიერ და ხორციელ სენთაგან განკურნების უნარი გააჩნიათ. ამგვარი წყაროები საქართველოში დაცულია წმინობასა და დავით გარეჯის მონასტრებში. ქართულ ტრადიციაში წყლისათვის მსხვერპლის შეწირვის ჩვეულებაც არსებობდა.

წყლის ერთ-ერთ უმთავრესი ფუნქცია “გამწენდი” ფუნქციაა. წყლით “გაწმენდის” წესი მსოფლიოს მრავალი ხალხის ყოფაში ოდითგან წყალში “ჩაფვდის”, ჩაყვინთვის, გზით ხდებოდა. ნათლობის წყალი ადამიანს უფლის ნებით წმენდს და ასუფთავებს სულიერი ჭუჭყისაგან. ნათლობით ადამიანი ხე-

ლახლა იბადება სულიერად და ეს ხორციელდება წყალში “დაფვლით”, მაგრამ ქრისტიანული სწავლებით განწმენდა არ შეეძლო უბრალო წყალს. „ნათლისძებისას წყლებს თავისთავად არ შეეძლოთ ვინმეს განწმედა (რამეთუ ჩვეულებრივი წყალი იყო), თუ ამ წყლებს არ შეეხებოდა სხეული ქრისტე იესუსი და არ განწმენდდა მათ. გარდამოვიდა მაცხოვარი წყლებზე იორდანისა და ამგვარად აკურთხა წყლები, წყაროს თვალი და უფსერული (ანუ საერთოდ წყლის სტიქია)“ („ქადაგებანი და თარგმანებანი“, 1997) წყლით განათვლა არის ადამიანისათვის განწმენდის წესი. წმინდა იოანე ნათვლისას აკი ჟუბნებოდა ხალხს, რომ: „მე უპვე ნათვლებცემ თქუენ წყლითა“. მაგრამ, როგორც იოანეს სახარებაშია ნათვამი, იესუ ქრისტე ნათვლს სცემს არა მარტო წყლით, არა მედ წყლითა და სულითა წმიდითა (იოანე, 3:22). ამგვარად, წყალს ცოდვათა მიტევების უნარი მიენიჭა იმ მადლით, რომელიც მასში დანერგა მტრების სახით ზეციდან გარდამოსულმა სულიწმინდამ. ჩვეულებრივი წყალი მნელად ინახება რამდენიმე დღითაც კი, ნაკურთხი წყალი კი შეიძლება შევინახოთ წლობით და ისეთივე წმინდა იქნება, როგორც იყო კურთხევის წინ. ამიტომაც არის დამოწმებული მთელ მსოფლიოში ჩვეულება, რომ ნათლისძებას, შუალამისას, გადიოდნენ მორწმუნები და წყაროებიდან თუ მდინარეებიდან ამოღებდნენ წყალს შესანახად და ზოგი შევიღოდება კიდევ წყალში, რაღაც სჯეროდათ, რომ ნათლისძებას ქრისტეს მიერ ისევე კურთხება წყალი მორწმუნეთათვის, კვლავ ხდება დიდი სახსრაული, უბრალო წყალი გახდება განსაკუთრებული წყალი, რომელსაც ვერას დააკლებს დრო და უამი.

რწმენა იმისა, რომ ნათლისძებას ყველა მდინარის, წყაროსა თუ ტბის წყალს ისეთივე მადლი ეძლეოდა, იორდანეს რომ მიეცა მაცხოვრის ნათლისძებისას, მთელ საქართველოში იყო გავრცელებული. ამიტომაც საქართველოში ტრადიციადაა ქცეული წყალში მასიური ბანობა ნათლისძების დამეს. ბუნებრივია, მხავასი ჩვეულება აჭარაშიც სრულდებოდა ნათლისძების, მაგრამ ისლამის ზეგავლენით, დროთა განმავლობაში, ეს ჩვეულება დავიწყებას მიეცა, თუმცა წყალში მასიური “განათვლის” ანარეკლი, ფრაგმენტების სახით, სხვადასხვა დღესასწაულმა შემოგეინახა.

წყალში განათვლის კვალი იკვეთება აჭარაში შუამთობის დღესასწაულის ერთ-ერთ ისეთ ელემენტში, როგორიცაა მადალ მთებში წყალსატევებზე, მდინარეებსა და ტბებზე მასიური გასვლა სასურველი ამინდის გამოთხოვის მიზნით. ამჯერად

ჩვენ არ შევეხებით რიტუალის სხვა მხარეებს. ყურადღებას შევაჩერებთ ისეთ ელემენტზე, როგორიცაა რიტუალის დროს წყალში განბანვა. ეს ჩვეულება შემონახულია არა მხოლოდ აჭარის მთიანეთში, არამედ დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები “ჩვენებურების” ყოფაშიც. ამ დღეს მასიურად მიღიან მთის წყალსატევებთან, ფეხშიშველი დგებიან მუხლებამდე წყალში, თავსა და სახეზე ისხამენ წყალს, ისველებენ ხელებს, ტანსაცმელს. ნიშანდობლივია, რომ ამ წყალს ეძინან “თეთრ წყალს”. “თეთრი” აჭარულ დიალექტში “წმინდას” სინონიმადაც გამოიყენება. ალბათ, სწორედ ასე წმინდად აღიქმებოდა სარიტუალო წყალი და, მიუხედავად იმისა, რომ აქაურებს აღარ ახსოვთ ამ ჩვეულების თავდაპირველი დანიშნულება, რიტუალი აშკარად შეიცავს წყლით განწმენდის, განათვლის ელემენტებს.

ზღვაში მასობრივი ბანაობის ტრადიცია ფართოდ იყო გაფრცელებული სარფას და აღმოსავლეთ ლაზეთის მრავალ ზღვისაირა სოფელში გასული საუკუნის 20-იან წლებამდე. ამ რიტუალს “მზოდას ონჩიუში დღა” (ზღვაში ბანაობის დღე) ეწოდებოდა და “მარაშინაშ შქვიოში” (მარიამობის შვიდში) ანუ 20 აგვისტოს იმართებოდა. ეს ფერისცვალების დღესასწაულის (6(19) აგვისტო) მეორე დღეა და თუმცა ამჟამად მივიწყებულია ჩვეულების კავშირი ამ ქრისტიანულ დღესასწაულთან, მის რიტუალურ მხარეში ნათლად იკვეთება ქრისტიანული სიმბოლიკა. ზღვაზე საბანაოდ მასიურად მიმგად ქალებს თან მიჰქონდათ სხვადასხვაგვარი ხილი, ახალშემოსული ყურძენი, მოხარული კვასი და ზღვის ნაპირთან მიირთმევდნენ. როგორც ცნობილია, ქრისტიანულ სამყაროში არსებული ტრადიციით, ფერისცვალების დღესასწაულზე ტაძარში საპურთხებლად მიაქვთ ხილი. ამ ჩვეულებაშიც იკვეთება წყალში განბანის რიტუალის კავშირი ქრისტიანულ რწმენასთან.

ნამარის მონაცემებით, რომელიც თავად შესწრებია ამ დღესასწაულს, იგი ზოგან 24 ივნისს, ითანე ნათლისმცემლის ხსენების დღეს იმართებოდა და ლიტროპ/მიტროპის სახელით იყო ცნობილი. ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი, რადგან მსოფლიოს მრავალი ხალხის ყოფაშია მსგავსი რიტუალები დამოწმებული და იგი ყველგან უკავშირდება ითანე ნათლისმცემლის სახელს. მსგავსი რიტუალები ყველგან იმართება 24 ივნისს (7 ივლისს) – ითანე ნათლისმცემლის ხსენების დღეს. ამ დღეს წყალს განსაკუთრებული სამკურნალო თვისებები მიეწერება. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ლაზებიც ამ თარიღს უკავშირე-

ბენ წყალში მასიური ბანაობის ჩვეულებას, რაც წყლით ნათლისდების ხალხური პალალეფი უნდა იყოს. რაც შეეხება სახელწოდება ლიტროპ/მიტროპ-ს, მკვლევარი ზ.თანდილავა მას ბერძნული ენობრივი სამყაროს ქუთვნილებად მიიჩნევს. ეს დანაშაულის გამოსყიდვის, მონანიების, ცოდვისაგან განწმენდის აღმნიშვნელი ტერმინია და უნდა უკავშირდებოდეს წყალში მასიურ განახანვას, როგორც წყლით განწმენდის, განათვლის სიმბოლურ გამოხატულებას.

აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი “წყალში განათვლის” რიტუალის კიდევ არაერთი ხალხური პარალელი ადასტურებს, რომ ოსმალთა სამასწლოვანი ბატონობის მიუხედავად, აჭარის მოსახლეობის ისტორიულმა მეხსიერებამ შემოინახა ქრისტიანული რიტუალების მრავალი ელემენტი, რომლებმაც ისლამის გავლენით ძლიერი ტრანსფორმაცია განიცადეს, მაგრამ ამ გადმონაშთებშიც ნათლად იკითხება აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში არსებული ქრისტიანული პლასტი. ამავე მიხეზით ეს პლასტი მიჩქმალულია და ბევრი რიტუალი განიხილება არა როგორც ქრისტიანული კულტმსახურების ელემენტი, არამედ არქაული გადმონაშთი. ანუ ხშირად ხდება წესწევებისათვის ხელოვნური არქაიზაცია და ბევრი, ისლამის გავლენით სახეშეცვლილი რიტუალი, მიეწერება არქაულს, ქრისტიანობამდებანს. მაშინ, როცა მათში აშკარად იკითხება სახეშეცვლილი და გახალხურებული ქრისტიანული სიმბოლიკა.

ლიტერატურა:

1. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, თბ., 1989
2. ზ.თანდილავა, მეთევზეობა-ნაოსნობის ასახვა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში (ლაზური და აჭარული მასალის მიხედვით), აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, თბ., 1965
3. საპატრიარქოს უწყებანი, თბ., 2009, №1 (487), 15-21 იანვარი
4. „ქადაგებანი და თარგმანებანი“, თბილისი, 1997

Символика воды в христианстве и в этнографическом быту

В христианстве и в этнографическом быту Грузии символическое осмысление воды связанно с Библейскими сюжетами. По христианской космогонии вода имеет множество функций. Главным из них является «очистительная» функция воды. Эта функция выявляется при крещении. Во всей Грузии существовало традиция «массового (коллективного) купания» в ночь Крещения. В этнографическом быту Аджарии этот обычай сохранился в виде ритуального купания во время праздников «Шуамтоба», «Мариамоба», «Мзогаш ончвиуши дга», но и сохранившийся материал даёт возможность выделить в них христианский пласт и народные параллели Крещения.

სარფის მიპროტოკონიაზი

სარფის რეგიონი მდიდარია მიკროტოპონიმებით, მათი რიცხვი ცხრა ათეულს აჭარბებს (ეს ციფრი მხოლოდ რეგიონის ნაწილზე მოდის – ეგრეთწოდებულ მოლენი სარფზე (გამოღმა სარფი), მეორე ნაწილი – მელენი სარფი (გაღმა სარფი) თურქეთის ტერიტორიაზეა მოქცეული).

რეგიონი შეიძლება დაიყოს უბნებად: კვარიათის უბანი, კალენდერეს უბანი, რომლებიც რამდენიმე კილომეტრით არიან დაშორებული სოფლის უბანთან.

ს. ლიოზენის მტკიცებით სარფი თურქელი წარმოშობის სიტყვაა და ნიშანვას ტალახიან ადგილს, (ლიოზენი, გვ. 50). მისივე ცნობით სარფი არ არის ამ სოფლის ძევლი სახელი, წინათ მას რქმევია აჭყვა (იქვე). ასე უთქვამთ ლიოზენისთვის ადგილობრივ მცხოვრებლებს. რამდენად მართალია ლიოზენის განცხადება, მნელი სასოქმელია, რადგანაც წყაროებში ამაზე არაფერია თქმული და, მეორეც, არც ხალხმა იცის დღეს მასზე რაიმე.

პ. ინგოროვება, რომელმაც პირველმა სცადა სახელწოდება სარფის მეცნიერული ახსნა, მას აფსაროს სახენაცვალ ფორმად მიიჩნევს, იგი წერს „თანამედროვე სახელწოდება სარფი (< ფსარეფი) მრავლობითი რიცხვის ლაზური დაბოლოებით არის სახენაცვალი ფორმა ძევლი სახელწოდებისა აფსარი (მრავლობითი რიცხვის ლაზური დაბოლოებით აფსარეფი-აფსარები) (პ. ინგოროვება, გვ. 204).

სარფის აფსაროსიდან მომდინარეობის ინგოროვებასეული ინტერესებით, რომელსაც სათანადო საბუთიანობა არ ახლავს, სარწმუნოდ არ გამოიყერება. სახელწოდებაში ფ თანხმოვანს ავტორი მრ. რიცხვის ფორმანტად მიიჩნევს და –ფა-ად ადადგენს, ასევე აქნას დაკარგულ ფუძისეულ ფ-ს და დებულობს ფსარეფს, ამის შემდეგ „დაკარგულ“ თავსართ ა-საც თავის ადგილს მიუჩენს და სარფის თავდაპირველ ფორმად აყალიბებს აფსარეფს დატოლების ნიშნით აფსარებთან.

ავტორის მიერ ნებისმიერი კონსტრუქციებით ამა თუ იმ სახელის ეტიმოლოგიზება და უმცელესი არქეტიპების აღდგენა ამ შემთხვევაში არ ექვემდებარება ქართველურ ენათა ფონეტიკურ კანონებს და ამიტომ, რომ სარ-ფ-ის ფ თანხმოვნის მრ. რიცხვის ზანურ (მეგრულ-ლაზურ) მაწარმოებლად მიჩნევა მარ-

თებული არ უნდა იყოს, რადგან, როგორც ცნობილია ლაზურ-ში – ეფ სუფიქსი კარგავს ეს და ფს სახეს იღებს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხმოვანზე გათავებულ ფუძეს აწარმოებს, ხოლო ბოლოთანხმოვან ფუძეზე დართვის დროს იგი ყოველ-თვის სრულიად გვაქვს დაცული (არნ. ჩიქობავა, გვ. 42). ეს გარემოება ლაზურის მეტ გრამატიკულ თავისებურებას წარმოადგენს და გამონაკლისს ადგილი არ შეიძლება პქონდეს. ასევე, არამართებული ჩანს თავსართი ას და ფუძესეული ფს ადგენის საკითხი. ალბათ, პ. ინგოროვას ასეთი მოსაზრება დამყარებული უნდა ყოფილიყო ახლანდეკლი სარფის მიდამოებში აფ-სარის ლოკალიზების ვარაუდზე.

ადგილობრივ მაცხოვერებელთა ცნობით სარფი არაბული სიტყვაა და ჩაკეტილს, დაბურულს ნიშნავს.

კვარიათი//კვარი – სოფლის ნაწილი გონიოს განმებლობაში შემოდის ნაწილი სარფისაში. მდებარეობს გონიოს სამხრეთით, ზღვის სანაპიროზე. ლიოზენთან ხვარიათის სახითაა წარმოდგენილი (ლიოზენი 160). როგორც სხვა ზანურ გეოგრაფიულ სახლებში, აქც გამოიყოფა ქართულ ეთ სუფიქსის შესატყვის მეგრულ-ლაზური – ათ ფორმატი. ი. სიხარულიძე კვარ ფუძეს ქართულ ყვავს უკავშირებს (ი. სიხარულიძე, გვ. 33).

ხალხური ვარიანტით კვარიათი თურქული წარმომავლობის სიტყვაა და დიდოველიანობასთანაა დაკავშირებული.

კვარიათიშ დალი – კვარიათის დელი. მოედინება სოფლის ტყიანი სერიდან და ერთვის ზღვას „ჭიტა ლიმანთაბა”.

ჭიტა ლიმანი – პატარა ლიმანი. მცირე ნავმისადგომი, კლდეში შექრილი ზღვა. ჭიტა ლაზური სიტყვაა და პატარას, მცირეს აღნიშნავს, ხოლო მეორე – ბერმული ლიმენის სახეც-ვლილი ფორმაა.

დემოლი – რენიგზა, ადგილი ჭიტა ლიმანის დასავლე-თით. დემოლი თურქული წარმოშობის სიტყვაა და რენის გზას აღნიშნავს. ამ ტერიტორიაზე რევოლუციამდე რენიგზისთვის მზადდებოდა ნიადაგი.

თუნელი – გვირაბი. მდებარეობს კვარიათიშ დალის სამხრეთით. გვირაბი გაჭრილი იყო რენიგზისათვის.

ჭიტა ჩაი – პატარა ნაპირი. ზღვის პატარა ნაპირი ჭიტა ლიმანის სამხრეთით.

პალამანგაში – კლდე. შემოდის ჭიტა ჩაის მიმდებარე ტერიტორიაზე. გაურკვევლი სიტყვის მნიშვნელობა. რთული სიტყვა ჩანს. კომპოზიტის მეორე წევრი (ტაშ) თურქული სიტყვა

უნდა იყოს ქვის აღმნიშვნელი. პირველი წევრის მნიშვნელობა უცნობია.

ქვა კამარა//კამაა – პალამანტაშის აღმოსავლეთით მდებარე კამარიან ქვაზე მიუთითებს.

ცხემურეფუნა//ცხემუეფუნა – კვარიათისა და კალენდერებს სასახლევრო სერი, ლაზური სახელწოდებისაა და ცხემლარს, რცხილნარს ნიშნავს. ცხემურლუდის ფორმითაც იხმარება – ლუდ (<- lik) ოურქელი სუფიქსით გაფორმებული.

ტყვარჩელი – ჩაის პლანტაცია, კვარიათის სერის მიმდებარე ტერიტორია, ცხემულების წრდილო – დასავლეთით, ამ გეოგრაფიული სახელწოდების ისტორია ასეთია. იგი უკავშირდება აფხაზეთის ქალაქ ტყვარჩელს. ორმოციან წლებში ეგრეთწოდებულ დეზერტირ ახალგაზრდებს აგზავნიდნენ ტყვარჩელის მაღაროებში. სიტყვამ სიშორის მნიშვნელობა შეიძინა. სწორედ, იმ ჩაის პლანტაციას, ორმელიც ჩაის ჟუნქტიდან ყველაზე მოშორებული იყო ტყვარჩელი დაერქვა.

მანდრათი – მდებარეობს ცხემურეფუნას სერის ბოლოში დასავლეთით ზღვის სანაპიროზე. მანდრა ბერძნული სიტყვაა და რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება: პირუტყვის სადგომი, შემოღობილი (ო. დვორეცე გვ. 1051). ამ სიტყვის (საჯინიბოს, ბოსელის და სხვათა აღსანიშნავად) ბერძნულიდან ნასესხობაზე მიუთითებს ნ. მარიც (მარი, გვ. 165).

ღომუ-ყინი – ლოდი მანდრათის მიმდებარე ტერიტორიაზე აგებულება – მსგავსების მიხედვით ცივ ლომს მოგვაგონებს და სახელიც ცივი ღომი დაერქვა.

ბალუქ-აზი – ქვა ლოდი. ზღვის სანაპიროზე მანდრათის დასავლეთით. ორსიტყვიანი ოურქელი წარმოშ ბის სიტყვაა – ბალუქ „თევზი”, აზი – დაწერილი, დახატული. მიანიშნებს ქვაზე გამოსახულ თევზზე.

ქვა – მწკიდი – მანდრათის თავზე წაწვეტებული ქვის სახელწოდება. სიტყვასიტყვით ქვა წვები, წვეტიანი ქვა.

ქვა ჭკვაღერი – ლოდი ზღვაში. მდებარეობს მანდრათის მიმდებარე ტერიტორიაზე. ნიშნავს: ქვა დახეთქილი, ქვა დაბზარული.

დემირკაფი // დემიკაფი – კლდე მანდრათის სამხრეთით. სიტყვა ოურქელია და ნიშნავს რკინის კარს.

სქინდონა – მდებარეობს დემიკაფის სამხრეთით. ხალხური ახსნით იგი სქირ და ნანასთანაა დაკავშირებული, რაც შვილსა და დედას ნიშნავს. ი. სიხარულიძე სახელს ორ ნაწილად შლის სკინ და ონად სქინდ ფუძეს სკიდის სახენაცვალ

ფორმად მიიჩნევს რომელიც გამოიყოფა აღმოსავლეთ პონტოს ქედის ერთ-ერთ მთის სახელშიც – სკიდისი (სიხარულიძე ჭან. I. გვ. 36).

ჩვენი ვარაუდით სქინდ ფუძე ქართული შვინდ//შინდ ფუძის შესატყვისია, ხოლო ონა სუფიქსი ქართული ან მორფების ადექვატია. (ო. მემიშიშვ. გვ. 68). გვავვ (სქინდონა) სახელი დასტურდება ლაზეთის მიკროტოპონიმიაში კერძოდ, ათინისა და ხოფის რეგიონებში.

ბარდიშ დალი – დელე; მოედინება სქმილულიდან და ერთვის კალენდერებს დალის მარჯვნიდან, სქონდონას სამხრეთ აღმოსავლეთით. ს. ჯიქიას აზრით არაა გამორიცხული, რომ ბარდიშლალი ბარდნალისაგან წარმოდგებოდეს (სიხ. დას. ნაშ. გვ. 36).

ქვა-ონჩამურე – ბარდიშ დალის ჩრდილოეთით – ქვა საცენებელი. ასეთივე ქვა ოჯადის უბანშიც გვხვდება, რაც რეგიონში ადრინდელ განსახლებაზე მიუთითებს.

ჭამი-შუა (შ) ბურუნი მანდრათის ჩრდილოეთით მოსახვევი. პირველი წევრი ლაზური რითული სუტყვაა და აღნიშნავს: წამლის სუნი, მეორე წევრი თურქულია მოსახვევის აღმნიშვნელი.

დერემენდესი – კალენდერეს უბანშია, ხევი. პიდრონიმი თურქულ ენოვანია და წისქვილის დელეს ნიშნავს.

კალენდერე//კალენდეე//კალენდე – მდებარეობას სქინდონას სამხრეთით სახელწოდება ლიოზენს ქანდი დარას ფორმით მოაქვს (ლიოზენი, გვ. 60). ს. ჯიქიას აზრით კალენდერე შესაძლოა, თურქული კანლი-დერეს (სისხლიანი დელე) ხალხური ტარსფორმაცია იყოს (სიხ. I გვ. 35).

კალენდერეშ დალი – კალენდერეს დელე, ოკანდალის დალის ქვემო წელი.

ჰემშილული – კალენდერეს აღმოსავლეთით – ჰემშინების ნამოსახლარი. ეთნონიმ ჰემშილისა და ლულ (<- lik) თურქული სუფიქსით გაფორმებული სახელწოდებაა და საჟემშინეს ნიშნავს.

ჰემშილულის დალი – ჰემშილულის დელე, კალენდერის დალის ერთ-ერთი შენაკადი.

ჸილისე – სახელწოდება ბერძნული ეკლესიის თურქული გზით შემოსული ნაირსახეობაა სემშილულის თავზე მდებარეობს. ეკლესია შემონახულია და გეოგრაფიული სახელი მისგან წარმოდგა. იგი საშუალო ზომის ნაგებობაა (სიგრძე -5, სიგანე -4, სიმაღლე -3). კამარისებური გადახურვით.

მწკოეფუნა – სერი, ცხემურეფუნას სამხრეთ-დასავლეთით, აღნიშნავს წყავნარს.

დამატაში – ტყე, დიდი ლოდი. ფერმის თავზე მნიშვნელობა გაურკვეველია.

მაკაროლლიშ ფაცხა/მაკაონიშ ფაცხა – მაკაროლლის ფაცხა. ვინმე მაკაროლლის ნამოსახლარი პემშილუდის უბანში.

ზია-დერესი – ვინმე ფირალი ზიას ხევი, ღელე დერემენ-დერესის მარჯვენა შენაკადი.

ოკანდალე – პემშილუდის სამხრეთ აღმოსავლეთით. ტყის მასივი. სახელწოდებაში კანდელ ფუძე გამოიყოფა სახითის, ლამპარის მნიშვნელობით, რომელიც ქართულშიც, ლაზურშიც და თურქულშიც გამოიყენება.

ოკანდალეშ დალი – ოკანდალეს ღელე. კალენდერეს ღელის ზედა წელი, რომელიც ოკანდალეს ორად ყოფს.

მაისა – ოკანდალეს სამხრეთით, ტყე, აღრე სიმინდის ყანები ყოფილა. სიტყვა შეიძლება ნასესხები იყოს რუსული ენიდანა რომელიც აღნიშნავს სიმინდს. ბოლო-კიდური ხმოვანი ტოპოფორმანები ჩანს.

კამპარონა – მაისას სამხრეთით, ტყე. კამპარა – დიდგულა, ონა მეგრულ-ლაზური სუფიქსია, რომელიც მცენარეთა სიმრავლეზე მიუთითებს.

ცარა/ცაა – სამოვარი, ჩაის პლანტაციები, კამპარონას სამხრეთით, ცარა ნიადაგის აღმნიშვნელი ტერმინია, მოსავლიან ნიადაგზე მიუთითებს. აჭარულში ადგილად დასამუშავებელ, ფხვიერ მიწას უწოდებენ (შ. ნიერაძე გვ. 406).

აბანოშ წაკარი – აბანოს წყალი. ცარას უბანში, სამკურნალო წყალი.

ჟინი გზა – ზედა გზა. ცარას აღმოსავლეთით ტყიან სერზე გამავალი გზა. ხოფშოშსაც უწოდებენ; რევოლუციამდე ეს გზა ხოფამდე გადიოდა.

ქილისე – ეკლესია. ცარას სამხრეთ აღმოსავლეთით. ქილისეს თევზეზე (ქილისეს მთაზე) ნაეკლესიარზე მიუთითებს.

ღურბელა/ღუბელა – ქილისეს დასავლეთით სიტყვის მნიშვნელობა უცნობია.

პასკალოდლიშ ყონა – პასკალოდლის ყანა, ქილისეს და ღურბელას სამხრეთით; ვინმე პასკალოდლის ნაყანევზე მიუთითებს.

ფუჯი-ონჯირე-ძროხის, საჭონლის საწოლი სამოვარი პასკალოდლის ყონას დასავლეთით და ღურბელას სამხრეთით მდებარეობს.

მთხერეფუნა/მთხეეფუნა – თხილნარი, საძოვარი, ტყე ფუჯიონჯირეს სამხრეთით.

გაკალიშ ყონა – კაპლის ყანა. მთხერეფუნას დასავლეთით.

ქვაონჩამურე – ქვა საცეხველი – კაპალიშ ყონას დასავლეთით.

დიდი ოჯაღი – დიდი ოჯახი. ნასოფლარი, ღურბელას დასავლეთით. მე-19 საუკუნის 20-იან წლებიდან მოსახლეობა დასავლეთით ზღვის სანაპიროსკენ ჩამოსახლებულა ამას მოწმობს გადმოცემები, ნაპოვნი ქვევრები სახლის საძირკვლები, საცეხველები, კერამიკული ნივთები.

შერეფაიშ/შერეფაიშ დუხი – მცირე ვაკობი, ვინმე შერიფას საყანე ადგილი. კომპოზიტის მეორე წევრი (დუხი), რომელიც ვაკეს, მინდორს აღნიშნავს, თურქული სიტყვაა და ლაზურში ფართოდაა გავრცელებული. მან თითქმის გამოდევნა ადგილობრივი ზენი (მეგრული რზენი), რომელიც ძველ გეოგრაფიულ ნომენკლატურას თუ შემორჩა მხოლოდ.

თოხეე – სათხილე, შერეფაიშ დუხის ჩრდილო-დასავლეთით.

ქურთოჯაღი – ქურთების ნასახლარი ოჯაღის რეგიონში.

სინო(რ)იშ დალი – საზღვრის დელე. ყოფს მოლენი „გამოღმა“ და მელენე „გაღმა“ სარფს. მოედინება მთხერეფუნას სამხრეთით ყონაყურუს მიდაოქიდან და ერთვის ზღვას.

ტიბაში – ტბისი. სინორიშ დალის ქვედა წელი, ტბორდება და ამიტომაც ეწოდა ეს სახელი. არსებობს, სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია.

მსქიბუ (შ) დალი – სინორიშ დალის შეა წელი. კომპოზიტი აღნიშნავს წისქვილის დელეს.

ბინა (შ) მსქიბუ – ბინას წისქვილი. მსქიბუშ დალზე წისქვილი, რომელიც ვინმე ბინას ეკუთვნოდა.

დეფნეფუნ/დეფნელული – დაფნარი. ოკანდალებ დალის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ტყე.

ბურჭული მეჭარელი – ქლისებს სერთის აღმოსავლეთით, მიუთითებს ხესე გამოსახულ წალდზე („წალდი დაწერილი“).

არგუნი მეჭარელი – ცული გამოსახული („დაწერილი“) ბურჭული მეჭარელის ზემოთ.

ნეფერლული – სასირე. ტყე ბურჭული მეჭარელის აღმოსავლეთით.

პერკეტაში – პერკეტისა; ადგილი კალენდერესა და მონტრაცას შორის.

ქვა ჭაჭი – ცარას დასავლეთით. პლანტაციები. ი. სიხარულიძის აზრით, კომპოზიტის პირველი ნაწილი (ქვა) განმარტებას არ მოითხოვს, მეორე კი (ჭაჭი) ზანური სიტყვა უნდა იყოს (სიხ. 38). გ. ბედოშვილს არ აქმაყოფილებს ი. სიხარულიძის განმარტება და ცდილობს სრულყოფას. მკვლევარის აზრით ქვა ჭაჭი, უეჭველია, იხეთი სახელწოდებაა, რომელიც ობიექტის თვისებაზე და აღნაგობაზე მიუთითებს (გ. ბედოშვილი, 13).

ავტორი ყურადღებას აქცევს მოხეურ სიტყვას „ჭაჭი” (ქვის თხელი და მოგრძო ფიქალი) და ფიქრობს, რომ იგი „შესაძლოა ფიქლოვან კლდოვან ადგილს ნიშნავდეს”, (იქვე) ჭაჭი არც გურიის ტოპონიმაშია უცხო. ამ სიტყვიდანაა ნაწარმოები სოფლის სახელი აღმოსავლეთ გურიაში – ჭაჭიეთი (ი. სიხარულიძე, II, 66). ამავე სახელით იწოდება მთა არქაბში.

ფილარდაღი – ადგილი სოფლის ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე. ი. სიხარულიძეს ხალხური ეტიმოლოგია – ფირალების ტყე – სარწმუნოდ არ მიაჩნია (ი. სიხარულიძე, გვ. 40). მკვლევარი კომპოზიტის პირველ წევრს ჭანეთის რამდენიმე სოფლის სახელშიც გამოიყოფს – ფილარგეთი (არქაბის უბანი), ფილარგიათი (ართაშენის რეგიონი) (იქვე). გ. ბედოშვილი მხარს უჭერს ხალხურ ეტიმოლოგიას და ეჭვი არ ეპარება, რომ ფილარდაღი ნამდვილად ფირალდაღისაგან გვაქს მიღებული ლ და რ სონორთა მოსალოდნელი ადგილმონაცვლეობის გზით და ფირალების ტყეს აღნიშნავს (გ. ბედოშვილი, 13) დავტო, რომ ამ შემთხვევაში ხალხური ეტიმოლოგია უეჭველი უნდა იყოს.

ჩებელეში – ადგილი სინორიშ დალის სამხრეთით. სიტყვის მნიშვნელობა უცნობია. სიტყვაში – ში ელემენტი ნათესაობითი ბრუნვის ფორმაციი ჩანს.

წარმაფხა/წამაფხა – წყაროს წყალი მეზარლულის დასაგლეთით. კომპოზიტის პირველი ნაწილი წყალ ფუძის ადექტატია, მეორე ნაწილი – მაფხა ძველი ქართული, ნეფხუ ძირის შესატყვისი უნდა იყოს, რომელიც აღნიშნავს ცივს, ყინულოვანს. მაშასადამე, წარმაფხა უდრის: წყალი ცივი, ცივი წყარო.

ნოღა – სოფლის ცენტრი, ზღვის სანაპიროზე. ლაზურში ნოღა ქალაქის მნიშვნელობითაც რეალიზდება. ნ. მარი როზენზე დაყრდნობით ნოღას ნაპირის მნიშვნელობით ხმარობს (მარი, გვ. 10) მ. ალავიძეს სარწმუნოდ მიაჩნია ნ. მარის თვალსაზრისი (მ. ალავიძე, №59). ნოღა სხვა გეოგრაფიულ სახელებშიც მონაწილეობს (ნოღა-დიხა, ნოღა-დუბი). იგი სხვადასხვა

მნიშვნელობით ქართული ენის დასავლურ კილოებშიც იხმარება.

ნოღა დუბი – ნოღას ვაკობი. სოფლის ცენტრის სამხრეთით დღევანდელი საბაჟოს ტერიტორია.

საკუჩხე – ადგილი ოჯაღის ტერიტორიაზე, შერეფაიშ დუბის სამხრეთ-დასავლეთით. სიტყვის მნიშვნელობა უცნობია.

რაკანი/აგანი – სერი. მეწანების ჩრდილოეთით. ლაზურში სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება. ათინურში აღმართს აღნიშნავს, ვიწურში – პატარა გორას, ხუფურში – დიდ გორას (მარი, გვ. 180).

მაჯგინი – რაკანის ზემოთ. ინფორმაცითა ცნობით, მაჯგინი ადვილად დასამუშავებელ მიწას ეწოდება.

ოჭალანე – საყიბორჩხლელე. ქვა ჭაჭის სამხრეთ-დასავლეთით. სიტყვა ბერძნულია ოურქულის გზით ლაზურში შემოსული.

ობუბე/ოუბე – ოჭალანეს სამხრეთ-დასავლეთით, სადამურეს ნიშნავს.

ობუბეშ დალი – ობუბეს დელე, ოჭალანეს ყოფს უბუბესთან.

ნოქილისენი – ნაეკლესიევი დუბის უბანში.

მონტრაცა – ნაშვავი, ქვაჭაჭის დასავლეთით.

მთხალევეშ გზა – თხების გზა. ობუბეს სამხრეთით.

მეწანები – დიდი ოჯაღის ჩრდილო-დასავლეთით. მეწანერიანი ადგილი.

მენოქტებენი – კაკალიშ ყონას სამხრეთ დასავლეთით.

კაახსონიშ დალი – კახიძეების დელე. მთხალევეშ გზის სამხრეთით.

კაალოიში ოფუტე – კარალოლების უბანი. ხამზოღლიშ დალის სამხრეთით.

ზეთინდუღი – ობუბეს უბანში რამდენიმე ზეითინის ხეზე მიუთითებს.

დუზი – ვაკობი. სოფლის ერთ-ერთი უბანი.

იშონი ონტულე – ჩებელეშის ჩრდილოეთით.

სამზოოღლიშ დალი – სამზოოღლის დელე. მოედინება დიდი ოჯაღიდან. მდებარეობს მეწანების სამხრეთით.

წუკლემენე – ობუბეშ დალის ქვემო წელის ჩრდილოეთით. სიტყვის მნიშვნელობა უცნობია.

ქვა დიდი – ქვა დიდი. ობუბეს ჩრდილოედით.

ქვა ომხაზი/ქაომხაზი/ქვაამხაზი – დიდიღოდი ზღვაში. ქვა დასერილი.

ქაომხაზიშ მაღარა – ქაომხაზის გამოქვაბული, ქაომხაზის სამხერეთით.

ქვა ჩეჩმე – ქვა საპირფარეშო. ლოდი ქაომხაზის სამხერეთით.

ქვა ცხენი – ქვა ცხენი. ქაომხაზის სამხერეთით.

ქვა ჭაღანა – ქვა კიბორჩხალი ქაომხაზის სამხერეთით.

ქვა მორგვალი – ქვა მრგვალი, ქვა ჩეჩმეს სამხერეთით.

ქვა ოწუდე – თაროიანი ქვა, ქვა მორგვალის სამხერეთით.

ქვა ღოძო – ქვა ღოძო, ქვა ოწუდეს სამხერეთით.

ქვა ოსპაო – ქვა სასპაოე, სპაო ერთგვარი ოევზა.

სადოლლიშ ქვა – სადოლლის ქვა, ქაომხაზეს ჩრდილოეთით.

გრამატიკული სტრუქტურის თვალსაზრისით გეოგრაფიული სახელები ძირითადად მისდევს დღემდე ცნობილ ქართულ, ქართველურ ტოპონიმურ სახელთა წარმოებას, რაც, თავის მხრივ, საზოგადო სახელთა წარმოებისაგან არ განსხვავდება.

მოხმობილ მასალაში გამოიყოფა წარმოების შემდგენ ტიპები: ა) უაფიქსო მარტივი სახელები. ბ. აფიქსებით ნაწარმოები სახელები. გ. სიტყვაშეერთებით მიღებული კომპოზიტები და შესიტყვებები.

მარტივი სახელები ოდენფუძიანია, ან წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით: „ქილისე, ოჯაღი, რაკანი“.

აფიქსებით ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელებში გამოიყოფა – ათ ტოპოგრაფიანტი, რომელიც ქართულში ცნობილ – ეთ სუფიქსის შესატყვისია: „კვარიათი, მანდრათი“.

ბრუნვის ნიშით ნაწარმოებ სახელებს განეკუთვნება: კეკეტაში, ტიბაში, ჩებელეში ამ ტიპის ნაგენეტივარი სახელები საქციალურ ლიტერატურაში საზღვრულ დაკარგულ მსაზღვრელებად არიან მიწნეული.

ზანურში – ონ გავრცელებული სუფიქსია (უდრის ქართ-იან, -ან, -ოვან-ს), რომელიც მასუბსტანტივებელ – მატოპონიმებელი – ა ელემენტთან ერთად აღნიშნავს ადგილს. სადაც რაიმე მცენარე ხარობს, მიუთითებს ერთგვარ მცენარეთა სიმრავლეზე: კამპარონა, მწკოეფუნა, მოხევფუნა. ბაგისმიერთა მეზობლობაში -ონა -> -უნა.

ო- — -ე - თი (ქართ. სა- — -ე) ნაწარმოები ტოპონიმები გამოხატავენ დანიშნულებას, განკუთვნებას: ობუბე, ოკანდლე, ოთხევ . . .

ნო - — -ენ (ქართ. ნა - — -ალ/-ევ) წინავითარების სახელებზე მიუთითებს: ნოქილისენი, მენოქთებენი. . .

მიკროტოპონიმიაში დიდია რიცხვი სიტყვაშეერთებით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელებისა. ჩვეულებებივ კომპოზიტი მსაზღვრელ-საზღვრულია; დასტურდება ორივე წყობა. პრეპოზიციური: დიდი ოჯახი, უინი გზა . . . პოსტპოზიციური: ქვა დიდი, ქვა მორგვალი. . .

სუბსტანტიური მსაზღვრელებით წარმოდგენილი გეოგრაფიული სახელები: კაკალიშ ყონა, აბანოშ წკარი. . .

სუფიქსმოევეცილი: ნოღა დუბი, ფუჯი ონჯირე. . .

აღწერილ გეოგრაფიულ სახელებში ხდება ფონეტიკური ცვლილებებიც. იკარგება რ და ვ სონანტები: ოთხეე < ოთხირე, ქაომხაზი < ქვა ომხაზი. კომპოზიტში ვერ ძლებს ორი პარმონიული კომპლექსი და ერთერთი კომპლექსი მარტივდება წამაფხა < წკარმაფხა. . .

ლიტერატურა

1. ზ. ლიოზენ, Берег русского Лазистана Икоирго т. XVII, КН. 3. Тифлис, 1905-1907.
2. პ. ინგოროვე: გორგი მერქულევ, თბ. 1954.
3. არნ. ჩიქობავა: არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ. 1936.
4. ი. სიხარულიძე: ი. სიხარულიძე, ჭანეთი, I, ბათუმი, 1977.
5. დვორეცკი: С. Дворецкий, Древчегреческо – русский словарь, Москва, 1959.
6. მარი: H. Mapp, Грамматика чанского (лазского), языка, С-П, 1910.
7. თ. მემიშიშვილი: თ. მემიშიშვილი, შვინდ/შინდ ფუძის ზანური შესატყვის, ეტიმოლოგია, II, თბ. 1983.
8. შ. ნიუარაძე: შ. ნიუარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1971.
9. გ. ბედოშვილი: გ. ბედოშვილი, საქურადლებო გამოკვლევა, გაზეო, „წიგნის სამყარო”, №13, 1979.
10. ი. სიხარულიძე: ი. სიხარულიძე, ჭანეთი, II, ბათუმი, 1979.
11. მ. ალავიძე: მ. ალავიძე, რას ნიშნავს „ნოღა”, გაზეო სოფლის ცხოვრება, №59, 1979.

მანუჩარ ლორია, ემზარ მაპარაძე

ოლიგიური, საზღვაო და საქალაქო ტურიზმის თავისებურებანი შალაძ ბათუმში

მსოფლიოს ბევრ ქვეყანას ტურიზმის მრავალი სახეობის განვითარების შესაძლებლობები გააჩნია. თანამედროვე ტურიზმის სახეებისა და მიმართულებების კლასიფიკაციისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ ტურისტთა გადაადგილების მიმართულება, მოგზაურობის მიზანი, გადაადგილებისა და განთავსების საშუალებები, მოგზაურთა რაოდენობა, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები და სხვა არსებითი ნიშნები. ტურიზმის ძირითადი სახეებია: შიდა (ადგილობრივი) ტურიზმი - ადამიანთა მოგზაურობა საკუთარ ქვეყანაში; გასვლითი ტურიზმი - ითვალისწინებს ადამიანთა ჯგუფის გამგზავრებას ქვეყნის გარეთ მოგზაურობის მიზნით; შემოსვლითი ტურიზმი - ითვალისწინებს რომელიმე ქვეყანაში ადამიანთა შესვლას მოგზაურობის მიზნით. ტურისტთა მოგზაურობის მიზნებიდან გამომდინარე ტურიზმი იყოფა შემდეგ მიმართულებებად: სოციალური, ეკოლოგიური, სასოფლო სამეცნიერებელი ანუ აგრარული, კულტურული, რელიგიური, გამაჯანსაღებელი, შემცნებითი, პროფესიულ-საქმიანი, სამეცნიერო, სპორტული, “შოპ-ტური”, სათავგადასავლო, კედითი, ეროვნულ - ტრადიციული და სხვა.

ამჟამად ნაშრომში ყურადღებას მხოლოდ რამოდენიმე მიმართულებაზე გავამახვილებთ:

1. **რელიგიური ტურიზმი.** ასეთი სახის ტურისტული მოგზაურობა საინტერესოა - გატიკანში, ისრაელში, საფრანგეთსა და პორტუგალიაში, დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებსა და ქალაქებში, ხოლო მუსულმანებისათვის მექასა და მედინაში, სხვა რელიგიების აღმსარებლებისათვის ინდოეთსა და აზიის სხვა ქვეყნებში. რელიგიური ტურიზმი თანამედროვე ტურისტული ინდუსტრიის შემადგენელი ნაწილია. ეკლესიები, მეჩეთები, სასულიერო ცენტრები და საკულტო მუზეუმები წარმოადგენენ რელიგიური ტურიზმის ისეთ ტურისტულ ობიექტებს, რომლებიც მზარდი მოთხოვნით სარგებლობენ.

2. საზღვაო ტურიზმი. საზღვაო მოგზაურობა დიდი ოკეანის დაინერით, რომელიც დიდი საპორტო ქალაქების დათვალიერებას ითვალისწინებს. ასევე, ტურისტ-ინდივიდუალებს შეუძლიათ განახორციელონ საზღვაო მოგზაურობა ჩვეულებრივი, არასამგზავრო ხომალდით. პრაქტიკის თანახმად, ნებისმიერი საგაჭრო გემი, სამგზავრო რეგისტრის გარეშეც, უფლებამოსილია წაიყვანოს 12 მგზავრამდე.

3. საქალაქო ტურიზმი. მას სამ ბლოკად ყოფენ. ქალაქები, როგორც მიმზიდველობები, სადაც ხდება სამოგზაუროდ მიმზიდველი ფაქტორების თაგოურა, ანუ განსაკუთრებული შარმისა და იმიჯის მქონე ქალაქი; ეკონომიკურად ძლიერი ქალაქი საგარენო სამომხმარებლო საქონლით და აქ არსებობს ვაჭრობისთვის შესანიშნავი პირობები, ანუ ქალაქი, როგორც სავაჭრო ცენტრი; დიდ ქალაქებს გააჩნიათ გართობისა და ინტელექტუალური დასვენების მრავალფეროვანი შესაძლებლობები: მუზეუმები, თეატრები, უნივერსიტეტები, ბიბლიოთეკები, დისკო-თეატრები, კაზინოები, რესტორნები, ბარები, თემატური ფესტივალები და ა.შ., ანუ ქალაქი, როგორც კულტურული ცენტრი (დაწვრ. იხ. კვარაცხელია, 2009; ოქროცვარიძე ..., 2011;).

ტურიზმის ამ სამივე მიმართულებას სრულად აკმაყოფილებს საზღვა საკურორტო ქალაქი ბათუმი. კერძოდ:

• XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ბათუმში საქალაქო ცხოვრების განვითარება წინ სწავლით ტექნიკით წავიდა. ბათუმი გახდა ამიერკავკასიის, შეა აზიისა და ჩრდილოეთ სპარსეთის ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობის ძირითადი სატრანზიტო ნავსადგური. ამან გამოიწვია მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა, სხვადასხვა ეთნიკური და კონფესიური თემის ჩამოყალიბება. ამჟამად ქალაქში ქართველების გვერდით ცხოვრობენ - ბერძნები, სომხები, რუსები, აფხაზები, ებრაელები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. აქ მცხოვრები ეთნიკური ჯგუფებისათვის ტრადიციული რელიგიური მიმდინარეობებია ქრისტიანობა (მართლმადიდებლობა, კათოლიკოზმი, გრიგორიანობა), ისლამი და იუდაიზმი. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ფუნქციონირებს მართმადიდებული ეკლესიები, კათოლიკური და გრიგორიანული ეკლესია, მეჩეთი და სინაგოგა. ეს ყოველივე რათქმაუნდა განსაკუთრებით საინტერესოა რელიგიური ტურიზმით დაინტერესებული დამსვენებლებისათვის.

• 2006 წელს ბათუმის პორტი შავი ზღვის სხვა პორტების (ოდესა, იალტა, სოჭი) მსგავსად გაწევრიანდა საერთაშორისო საკ-

რუიზო ასოციაციაში “MEDCRUISE”-ში, ასე რომ 2006 წლიდან დაიგეგმა საკრუიზო ხომალდების მრავალჯერადი შემოსვლა ბათუმის პორტში. ბოლო დროს მსოფლიოს მოგზაურთათვის განსაკურრებით მიმზიდველია მარშრუტი “ოდესა-სოჭი-ბათუმი-სტამბოლი”, რის შედეგადაც გაიზარდა ბათუმის ნავსადგურში შემოსული საკრუიზო ხომალდების რაოდენობა. ხომალდზე მყოფი ტურისტები ათვალიერებენ ქალაქის დირექტორის სახისანიშნაობებს, სტუმრობენ ოჯახებს და ეცნობიან ქართულ ფოლკლორს (საზღვაო ტურიზმი. www.tourismadjara.ge).

- 2005 წლიდან ბათუმი შავი ზღვის ნამდვილ ტურისტულ ცენტრად იქცა. ამ ქალაქით დაინტერესდა მსოფლიოში ცნობილი სასტუმროების ბრენდები “შერატონი”, “ჰაიატი”, “რედისორი” და “ჰილტონი”. ასევე, ვითარდება სხვა ტურისტული თუ გასართობი ინფრასტრუქტურა. გაიზარდა ბათუმის ცნობილი ზღვისპირა პარკი, რომლის სიგრძეც ამჟამად უკვე 7 კმ-ია. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ძველი ბათუმის რეაბილიტაცია. ქალაქში არის სამუზეუმო გაერთიანება, თეატრი, უნივერსიტეტები, დისკოთეკები, კაზინოები, რესტორნები, ბარები, ტარდება თემატური ფესტივალები. თუმცა კონფერენციის „ჩვენი სულიერების ბალავარის“ საეციფიკურობიდან გამომდინარე ცალკე გამოვლენით აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმს, რომელიც ერთ-ერთი უძველესი სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებაა. აქ დაცულია 180-ათასამდე ექსპონატი: უნიკალური ნივთები, კოლექციები, ფოტოები, ხელოვნების ნიმუშები, მუზეუმის ოქროს საგანმურებელი თავმოყრილია ასზე მეტი დასახელების ნივთი. ხელნაწერთა ფონდში დაცულია 2000-ზე მეტი იშვიათი ხელნაწერი ქართულ, რუსულ, სომხურ, არაბულ, თურქულ, სპარსულ და სხვა ენებზე, მუზეუმის ბიბლიოთეკაში ინახება 63000 წიგნი სხვადასხვა ენებზე. მათ შორის ბევრი ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. მუზეუმს აქვს ფილიალები, მათ შორის რელიგიის მუზეუმი. რომელიც 2004 წლის 17 სექტემბერს ბათუმში, ტამარის დასახლებაში გაიხსნა რელიგიის მუზეუმი, ის ქართველი მწერლისა და პუბლიცისტის, თეომურაზ კომახიძის შვილის, დათო კომახიძის სახელობისაა. მუზეუმი ყველა ასაკის და რელიგიური აღმსარებლობის დამთვალიერებელისთვის თავისებურად საინტერესოა. მუზეუმში სულ 382 ექსპონატია (ყველა ნივთი ექსპონირებულია), აქ შეგიძლიათ ნახოთ:

ხატები, ქანდაკებები, მაკეტები, ფოტო-დოკუმენტები და ბიბლიოთება ყველა იმ რელიგიის შესახებ, რომელი აღმსარებლობის მიზანებიც ცხოვრობენ ჩვენს რეგიონში. განსაკუთრებით საყურადღებოა ნიუარაზე შესრულებული აღდგომის სცენა, დათვის ტყავზე შესრულებული წმინდა ნინო, იქსოს ჯვარცმა, ქანდაკებები – შობის სცენა და სხვ. (დაწვრ. იხ. ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმი . – [www.adjaramuseums.ge...](http://www.adjaramuseums.ge/); რელიგიის მუზეუმის მოძრავი ძეგლის პასპორტი, № 1-20.).

შოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შესაძლებელია ბათუმში რელიგიური, საზღვაო და საქალაქო ტურიზმით დაინტერესებული პირებისათვის, მათვის სასურველი დროის გათვალისწინებით შემუშავებული იქნეს მოკლე თემატური ტურები: ძველი და ახალი ბათუმის არქიტექტურა, დიასპორები და კონფესიები, ზღვისპირა პარკი, მუზეუმები, გონიო-აფსაროსი, ბოტანიკური ბაღი, ადგილობრივი კერძები და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კვარაცხელია ნ. კულტურული ტურიზმი, თბილისი, 2009
2. ოქროცვარიძე ა., ვადაჭკორიძ მ. ოქროცვარიძე ლ. ტურიზმისა და მასფინანსობის მენეჯმენტი, თბილისი, 2011
3. საზღვაო ტურიზმი.– www.tourismadjara.ge/new/index.php?a=main&pid=71&lang=geo
4. ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმი .– www.adjaramuseums.ge/ge/?page=showmus&mid=3
5. ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმის ფილიალის რელიგიის მუზეუმის მოძრავი ძეგლის პასპორტი, № 1-20.

06 ვორმაცია

სიახლეები

- გამოიცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის, ბიჭვინთისა და ცხემლის თბილის მიტროპოლიტის ილია II „ეპისტოლები”, I, II, თბილისი, 2011.
- გამოცასემად მზადდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ეპისტოლები I, II ტომების მიხედვით „შეზრდებები”. შემდგენელები პროფესორები ნანი გუგუნავა, გიორგი (იური) ბიბილეიშვილი
- 2011 წლის 9 ნოემბერს შედგა ქრისტიანული კულტურის კვლევის ცენტრის მიერ გამოცემული კრებულის „ჩვენი სულიერების ბალავარი I, II, III ტომების განხილვა”.

გიორგი (იშრი) ბიბილეიშვილი

საინტერესო ფასოზება

საინტერესო ინიციატივა წამოიწყო კრებულის „ჩვენი სულიერების ბალავარის“ მთავარმა რედაქტორმა პროფ. ბიჭიკო დიასამიძემ—გადავხედოთ „ჩვენი სულიერების ბალავარში“ გამოქვეყნებულ მასალებს და შევაფასოთ მათი მეცნიერული დირექტულება—რამ გაუძლო დროს, ან რა აღმოჩნდა არასიცოცხლისუარიანი. პედაგოგიკის ისტორია იცნობს ანალოგიურ ინიციატივას, დაკავშირებულს ინ ამოს კომენსკის სახელოან. ინ ამოს კომენსკიმ გამოაქვეყნა ნაშრომი „სიბრძნის სანიავებელი“ და მასში გადმოგვცა კრიტიკული შეხედულებები საკუთარ ნაშრომებზე. სიბრძნის სანიავებელში გაატარა მისი უკვდავი ნაშრომები და აღმოჩნდა, რომ მისი ბევრი იდეა კელავ განაცრობდა სიცოცხლეს, ხოლო ზოგიერთი იმსახურებდა გადმოცემის ახალ რედაქციას.

განხილვაზე მოვისმინერ სხვადასხვა მიმართულების მიხედვით (რელიგიის ისტორია, ქრისტიანული არქეოლოგია და ეთნოლოგია, ტოპონიმიკა, ქრისტიანობა აჭარაში...) დაბეჭდილი მოხსენებების შეფასებები. ჩვენ წარმოვადგენთ აღზრდის პრობლემებზე კრებულის სამ ტომში გამოქვეყნებულ ლელა თავდგირიძის, ასმათ დიასამიძის, ხათუნა ხალვაშის, ხოდარ ბასილაძის, ხოდარ ბარამიძის, თინა ჭეიშვილის პედაგოგიკიციებს.

ჩვენი სულიერების ბალავარის I კრებულში (2009) გამოქვეყნებულია პროფ. **ლელა თავდგირიძის** ნაშრომი „რწმენისა და ცოდნის ერთიანობის საკითხი საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის გაისტოლებებსა და ქადაგებებში“.

ავტორი თანამედროვე სინამდვილის გათვალისწინებით აყალიბებს საგულისხმო დასკანებს სრული განათლების კონცეფციის პოზიციებიდან მეცნიერული ცოდნისა და რწმენის ერთიანობის საკითხზე. ამასთან დაკავშირებით ავტორი იძლევა საკითხის ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვასაც. ეს კარგი და საჭიროა საკითხით დაინტერესებული მკითხველისათვის. მაგრამ საჭირო იყო უფრო სრულყოფილი ბიბლიოგრაფიის მიწოდება, მაგალითად, ილია ჭავჭავაძესთან ერთად დასახელებული იაკობ გოგებაშვილი და მისი ორი ნაშრომი იმერეთის გაისკოპოს გაბრიელის შესახებ. რაც შექება ილია მეორის შესახებ გამოქვეყნებულ ნაშრომებს, შეიძლებოდა დასახელებულიყო ი.ბიბილევშვილის „ქართული კომენტარი“ (1993 წ.) და პროფ. რევაზ ბალანჩივაძის „პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები“ (1997 წ.).

პირველ კრებულში დაიბეჭდა **მადონა მიქელაძის** ნაშრომი „ეროვნული დირექტულებების ჩამოყალიბების პრობლემები თანამედროვე სკოლაში“. ავტორი აღმრავს საინტერესო საკითხს ეროვნული იდეოლოგიის დამუშავების შესახებ. ის წერს: „პოლიტიკური სისტემის მკეთრად ცვლამ

არსებული საბჭოთა იდეოლოგიის მსხვრევა გამოიწვია. საჭირო იყო ძველი იდეოლოგიის ახლით ჩანაცვლება. ამას კი დრო დასჭირდა“. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ახალი ეროვნული იდეოლოგია შეიქმნა გვიან. სინამდვილეში ეს ახალი ეროვნული იდეოლოგია დღესაც არ არის ჩამოყალიბებული. ეროვნული იდეოლოგიის მისია არ აკისრია საქართველოს კანონებს „ზოგადი განათლების შესახებ“ და არც „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“-ს შესახებ.

საყურადღებოდ მიგახნია ქართული სკოლის ინტეგრირება ეპროპულ სიგრცეში. ვეთანხმებით ავტორს, რომ ევროინტეგრაცია არ ნიშნავს საკუთარ ღირებულებებზე უარის თქმას. სამწევაროდ, დასტენს ავტორი, რომ, ჩვენი სკოლა, გატარებული რეფორმების მიუხედავად, ჯერჯერობით, ვერ აქმაყოფილებს ვერც ევროპულ სტანდარტებს და ვერც ეროვნულ ღირებულებებს ვერ უყალიბებს მოზარდებს.

აქტუალობას ინარჩუნებს ქალბატონ მაღინა მიქელაძის იდეა პუმანიტარული განათლების ხარისხის ამაღლების მიზნით სკოლებში რელიგია ისწავლებოდეს ცალკე საგნად და არა ისტორია-გეოგრაფიასთან ინტეგრირებულად, როგორც ამჟამად არის.

თანამედროვე სკოლაში მოსწავლეთა სულიერი ფორმირების პრობლემებს აშექებს ასმათ დიასახმიძე თავის წერილში, რომელიც №1 კრებულში ქვეყნება. ავტორი სამართლიანად შენიშვნავს, რომ პოსტსაბჭოურ ქართულ სკოლაში სწავლების უცხოური ფორმებისა და მეთოდების გაძမოლებით გავერთეთ და ნაკლები ყურადღება დაგუთმეო ეროვნული განათლების ტრადიციებს და გამოცდილების გაანალიზებასა და თანადროულობასთან შეჯერებას. ამის შედეგად ავტორს მიაჩნია იმ ნეგატიური მოვლენების მომდლავრება.

სულიერების აღზრდის საიმედო საფუძველს სწორად მიაგნო ავტორმა, როცა აღზრდის ამოსავალ პრინციპზე გაამახვილა ყურადღება: „ნუ აქცევთ ბავშვებს კერად, ორემ გაიზრდება და თაყვანისცემას მოითხოვს“. ბავშვი ოჯახშიც და სკოლაშიც უნდა გრძნობდეს სიყვარულს და პატივისცემას, მაგრამ ამის პარალელურად პასუხისმგებლობას და მოვალეობას მათ წინაშეც. სწორად ანგითარებს ავტორი აზრს სულიერების აღზრდის წარმატებისათვის, როცა წერს: „ცხოვრებაში ყველაფერი სასიამოგნო და საინტერესო როდია, მაგრამ ადამიანი უნდა მოქმედებდეს მოვალეობის გრძნობით.“

ფრიად საყურადღებო მეთოდიკურ გამოცდილებას შეიცავს ხათუნა ხალვაშის წერილი „წევრობრიობის პრობლემებზე წერა საშუალო სკოლაში“. ავტორი გვთავაზობს რამდენიმე გაკვეთილის აღწერას, რომელზეც შეიძლება წარმატებით განუვითარდეს მოსწავლეს კრიტიკული აზროვნების უნარი. მასწავლებელი სწორად წარმართავს მოსწავლეთა დაინტერესებას მხატვრული ნაწარმოების იდეის ამოკითხვით. ეს ნაშრომი სასარგებლო სამსახურს გაუწევს მაძიებელი გონებით დაჯილდოუბულ მასწავლებლებს.

„ჩვენი სულიერების ბალაგარის“ მეორე კრებულებში (2010) გამოქვეყნებულია ნოდარ ბასილაძის, ნოდარ ბარამიძისა და თინა ჭეიშვილის ნარკვევები.

ნოდარ ბასილაძე გვთავაზობს ნარკვევს „გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე) ბაგშვითა ზნეობრივი აღზრდის შესახებ“.

ნაშრომი ყურადღებას იმსახურებს დასტული პრობლემით, მაგრამ მასში აღწერა ჭარბობს ანალიზს. სასურველია ასეთ თემებზე წერის დროს ყურადღება გაძლიერდეს თემის ძირითადი საკითხების კლასიფიკაციაზე. კერძოდ, ზნეობრივი აღზრდა ძალიან ფართო თემაა და საჭირო იყო ერთი კონკრეტული საკითხის დასმა და მოლომდე სრულყოფილად გააზრება.

უაღრესად საჭირო და აქტუალურია თემა, რომელიც პროფ. **ნოდარ ბარამიძეს** აურჩევია გამოკვლევისათვის: „ნიჭიერების ბიოლოგიური საფუძვლების კვლევის ისტორიიდან“ და ავტორი იმ დასკვნამდე მიდის ლენინის ტვინის შესწავლის საფუძველზე „ნიჭიერების მოლექულების“ საკითხი კვლავაც დიად რჩება. ძიება გრძელდება.

თინა ჭეიშვილის ნარკვევში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II დახასიათებულია, როგორც მრავალმხრივი შემოქმედი.

ილია II დიდი ავტორიტეტი იწვევს დიდ ინტერესს მისი შესაძლებლობების მიმართ. ავტორი გვთავაზობს საექლესიო მხატვრობაში ილია II ხატწერის ნიმუშების გაანალიზებას.

ასევე საინტერესო დეტალებზე მითითებით არის დახასიათებული ილია II-ის, როგორც საეკლესიო გალობათა ავტორის შემოქმედება. ავტორი თავად არის პროფესიონალი მუსიკოსი და ამდენად სარწმუნო მისი დასკვნები, რომ ილია II თავის სულიერ გრძნობებს, ფიქრებს წარსულსა და მომავალზე მელოდიურად გადმოსცებს.

კრებულის მესამე ტომში (2011 წ.) დაბეჭდილია იმერი ბასილაძის ნაშრომი „ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული პედაგოგიკის გალესიური საფუძვლები IV-VIII საუკუნეებში. ნაშრომი კვლევითი ხასიათისაა და აფართოებს მკითხველის წარმოდგენას ქრისტიანული პედაგოგიკის მეცნიერულ დირექტულებაზე.“

ქრისტიანული პედაგოგიკის საკითხებზე ამახვილებენ ყურადღებას ლელა თავდგირიძე და გიორგი გობრონიძე ნარკვევში „რელიგიური აღზრდა-სულიერი ფორმირების გზა“. ნარკვევი აღწერითი ხსიათისაა, მაგრამ სასარგებლო სამსახურს უწევს მკითხველს.

რელიგიური აღზრდის თემა უდევს საფუძვლად ასმათ დიასამინის ნაშრომს „მიდგომა მხოლოდ აკადემიური“... ჩვენ ვიზიარებთ ავტორის რეკომენდაციებს, რომლებიც ასე არის ჩამოყალიბებული.

- საჯარო სკოლის მიდგომა რელიგიისადმი უნდა იყოს აკადემიური

- საჯარო სკოლის მიზანია რელიგიის შესახებ მოსწავლეების ცოდნის ამაღლება და არა რომელიმე რელიგიური მიმდინარეობისადმი ან ზოგადად რელიგიის მხარდაჭერა ან დამცირება
- საჯარო სკოლა მოსწავლეებს აცნობს მრავალფეროვან რელიგიურ შეხედულებებს და არ ახვევს თავს გარკვეულ რელიგიურ მსოფლმხედველობას.
- საჯარო სკოლა აფინანსებს „ხწავლებას რელიგიის შესახებ“ და არა რელიგიურ აღმსარებლობას.

ასევე ვიზიარებთ ავტორის მოსახრებას იმის შესახებ, რომ სკოლები ვალდებულია ისტორიის კურსის ფარგლებში მოსწავლეებს ასწავლონ სხვადასხვა რელიგიების შესახებ. მოსწავლეთა მხრივ ინტერესის ან სურვილის გამოვლენის შემთხვევაში, სამეურვეო საბჭოსთან შეუთანხმებით ფაკულტატური კურსის სახით, შეიძლება რელიგიების ისტორია ცალკე საგნად ისწავლებოდეს.

„ჩვენი სულიერების ბალაგარის“ სამ კრებულში გამოქვეყნებული მასალები თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით ინარჩუნებს აქტუალობას. მათი გაცნობა სასარგებლო სამსახურს გაუწევს დაინტერესებულ მკითხველს.

ბოლოს, რა არის ჩვენი სულიერების ბალაგარი? თუ იაკობ გოგებაშვილის „ბურჯი ეროვნებისა“ ანალოგიით ვიხელმძღვანელებთ ჩვენი სულიერების ბალაგარი არის ქრისტიანული ეულტურა. სამართლიანად შენიშნავდა ილაი მართალი, რომ ქრისტიანობა არ არის ქართველისათვის მხოლოდ სარწმუნოება, იგი ის ძალაა, რომელიც უზრუნველყოფს ქართველთა ქრისტიანობას სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ბოლოს ერთხელ კიდევ უნდა მივუბრუნდეთ „ჩვენი სულიერების ბალაგარი“—ს მთავარი რედაქტორის წამოწებისა და უნდა ვთქვათ, რომ მომავალშიც სისტემატურად უნდა იძეგდებოდეს ახალ კრებულში წინამორბედი კრებულის მასალების შეფასება. ამით მნიშვნელოვნად ამაღლდება ავტორთა პასუხისმგებლობა, ამაღლდება თითოეული პუბლიკის აკადემიური დონე და თვით „ჩვენი სულიერების ბალაგარი“ იქცევა ერთ-ერთ პრესტიულ გამოცემად.

ეთნო-რელიგიური საკითხები „ჩვენი სულიერების ბალავარში“*

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქრისტიანული აკლევის ცენტრმა სამი კონფერენცია ჩაატარა და კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები სამ წიგნად გამოსცა სახელწოდებით „ჩვენი სულიერების ბალავარი“. წიგნებში დაბეჭდილი სტატიების განხილვით ფაქტიურად ვაჯამბერთ სულიერების საკითხებზე ჩატარებული სამწლიანი მუშაობის შედეგებს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ სახის მუშაობას ამაռო არ ჩაუვლია და მან თავისი დადებითი შედეგები გამოიღო. წიგნებში დაბეჭდილი სტატიები ეთნო-რელიგიის საკითხებსაც შექებას. რომლებსაც სადღვისო კვლევაში განსაკუთრებული შერადღება ექცევა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქართველ ეთნოგრაფთა (ეთნოლოგთა) მიერ ეთნო-რელიგიის საკითხების კვლევას თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა, მაგრამ მსგავსი კვლევა-მიება განსაკუთრებით გაძლიერდა უკანასნედი ორი ათეული წლის მანძილზე, რაც ქართველი საზოგადოებრიობის ქრისტიანობისკენ შემობრუნების შეუქცევად პროცესს უკავშირდება. ამასთან ერთად, შეიცვალა მიღომები, შეფასებები ეთნო-რელიგიის საკითხების კვლევაში. ამის ნათელ მაგალითს დასახელებულ წიგნებში დაბეჭდილი სტატიებიც იძლევა.

ქრისტიანული და ეროვნული იდენტობის საკითხებია განხილული ისტ. აკად. დოქტორის ნაიდა ჩელებაძის სტატიაში „ქრისტიანული და ეროვნული იდენტობის წარმოდგხათა ურთიერთობისათვის (სამსრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)“, რომელიც პირველ წიგნშია დაბეჭდილი. ამავე რიგისაა მისი მეორე სტატია „ქრისტიანული მოტივები ხინოს მოსახლეობის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალებში“ (მეორე წიგნი).

საკუთრივ ავტორის მიერ მოძიებული მასალების და არსებული ლიტერატურის მონაცემების შეჯერების საფუძველზე სტატიებში გატარებულია აზრი, რომ ქრისტიანული და ქართული ეროვნული იდენტობის შენარჩუნებას გამუსლიმებულ მოსახლეობაში ხელი შეუწყო ქრისტიანული მატერიალური კულტურის ძეგლების (ეკლესია-მონასტრები), ქრისტიანული დღესასწაულების ელემენტთა, ქრისტიანული წარმომავლების ადგილთა (ტოპონიმთა) დღემდე შემონახულობამ. ეს

* ქრისტიანული კვლევის ცენტრის მიერ გამოცემული წიგნების („ჩვენი სულიერების ბალავარი“, I-III ტომები) განხილვაზე (2011 წელი, 9 ნოემბერი) წაკითხული მოხსენების შინაარსი.

იდენტობა კარგად ჰქონდათ გააზრებული XIX საუკუნეში მცხოვრებ მუსლიმან სასულიერო პირებსაც. მაგალითისათვის ავტორს მოაქვს ზაქარია ჭიჭინაძის ცნობა ქობულეთული ხოჯის – ისკანდერ ცივაძის მაგალითზე. იგი გამუსლიმებულ ქობულეთულებს მაშინაც შეახსენებდა, რომ ისინი ქართველები არიან და მათ იმულებით მიაღებინეს მუსლიმანობა, რომელიც გურჯობას, ანუ ქართველობას და ქრისტიანობას დაუპირისპირდა.

ანალოგიური საკითხებია განხილული ასოციებული პროფესორის ინება ზოიდის სტატიაში „ქრისტიანობა აჭარის მოსახლეობის ტრადიციულ ყოფაში“ (მეორე წიგნი). სტატიაში მოცემული ეთნოგრაფიული მასალები მიუთითებენ ოსმალთა ბატონობის დროინდელი აჭარის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში ქრისტიანული დღესასწაულების (ბზობა, ფერიცვალება, აღდგომა) ელემენტების შემონახულობასა და აღსრულებაზე.

მეორე მხრივ, დასახელებულ ავტორთა სტატიებში მოტანილია მონაცემები, თუ რა უარყოფითი დაღი დაახვა თმალთა სამსაუკუნოვანმა ბატონობამ აჭარის მოსახლეობის სულიერ ცხოვრებას.

ეთნო-რელიგიურ ჰრიოლშია განხილული საკითხები ისტ. აკად. დოქტორის ჯემალ ვარშალომიძის სტატიაში „ქრისტიანული მოტივები აჭარის ხალხურ დეკორატიულ ხელოვნებაში“ (მეორე წიგნი). ამ საკითხებს ავტორი სხვა შრომებშიც ქება, მაგრამ ამჯერად მას ზოგიერთი ახალი მასალაც შემოაქვს, როთაც უცრო გამდიდრდა მონაცემები ჯვრის სიჩროლურ ფუნქციათა მრავალფეროვნებაზე, ჯვრის შენიდბულ გამოსახულებათა არსებობაზე ხეზე კვეთილობაში, აჭარელი ქალის ჩატელობის ელემენტებზე, საგვარეულო საკუთრების ნაშენებზე (ჯვრის გამოსახულება როგორც საკუთრების უფლების მატარებელი) და ა.შ. მაგრამ განსაკუთრებულ შეფასებას იმსახურებს ჯვრის შენიდბული გამოსახულებანი მუსლიმებურ საკულტო ნაგებობებზე ნის მეჩეთების სახით, რომელსაც ანალოგები ექცნება ჭოროხის მხარის ქვის ეკლესია-მონასტრების შემკულობაში. ეთნოგრაფიულ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ფაქტი შეფასებულია როგორც პასიური ბრძოლის გამოხატულება ისლამის წინააღმდეგ.

ეთნოგრაფიული და სხვა სახის მონაცემების მიხედვით ჯვრის შენიდბულ გამოსახულებაზე მოთხოვობილი ეთნოლოგ მარინა შალია-გავას სტატიაში „ჯვრის შეფარეული გამოსახულება ხალხურ რონამენტში“ (მესამე წიგნი).

ეთნო-რელიგიური თვალსაზრისით საინტერესოა ასოციებული პროფესორის თამაზ ფუტკარაძის სტატია „ახირეთი//ქვესკნელი ისტორიული საქართველოს მოსახლეობაში“ (მეორე წიგნი), რომელშიც ჭოროხის ხეობაში, კერძოდ, ბორჩხასა და მურდულში ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს ჩატერილი მასალების მიხედვით პარალელებია გავლებული იმქვენიური ცხოვრების მუსლიმანური ახირეთის ანუ ქვესკნელის ჯენერად და ჯენერად და ქრისტიანულ სამოთხე-ჯოჯოხეთად დაყოფაზე. ეს ფაქტი იმით არის ახსინდი, რომ ისლამის დოგმებზე აგებულმა მუსლიმანურმა სარწმუნოებამ ბევრი რამ ისესხა

ქრისტიანობიდან და ისინი ახალ სამოსედში გახვია. სტატიაში ყურადღებას იქცევს ერთი მურდულელის მონათხრობი: სიზმარში ამ კაცს, როგორც მიცვალებულს, სასიკვდილოდ დავნიდა ცეცხლი. ამ საფრთხისაგან იგი ცოცხა იხსნა, რომელმაც ცეცხლი ჩააქრო და იგი სიკვდილს გადაარჩინა. აგზორის სამართლიანი შენიშვნით, ცოცხი აქ მაგიური ძალის ქონება, რომელიც უთნოგრაფიული მონაცემებით სხვა შემთხვევაშიც გამოიყენება (ავი სულგის დაცვის მიზნით ცოცხის შემოდგმა მელოგინე ქალისა და ჩვილი ბავშვის ლოგინის ქვეშ).

საარქივო მონაცემებზე აგებული თამაზ ფუტკარაძის მეორე სტატია (მესამე წიგნი), რომელშიც ასახულია რელიგიური კულტების საქმიანობა ბათუმში 1940–1950 წლებში. გამოკვლეულია, რომ ამ სახის საქმიანობის უფლება მინიჭებული პქმნიათ მხელოდ ბათუმისა და სოფქ-სუს მართლმადიდებლურ ეკლესიების. სტატიის დასკვნით ნაწილში კვითხულობო, რომ რელიგიური კულტების საბჭოს რწმუნებულის ფონდში დაცული დოკუმენტები წარმოადგენს პირველხარისხის წეროს საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პრლიტიკის შესწავლისა და იმის მიზანით, რომ რელიგიური კულტების საზოგადოება ანუ მეჯლისი, ქართველ ებრაელთა რელიგიური საზოგადოება, მართლმადიდებელი რუსული ეკლესია), მაგრამ ისინი მოქცეული იყვნენ საბჭოთა ხელისუფლების სრული კონტროლის ქვეშ.

საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციას შეიცავს პროფესორ ოთარ თურმანიძის სტატია „ქრისტიანობა შარეთის ხეობაში“ (მესამე წიგნი). მასში ყურადღება გამახვილებულია უჩამბის ცენტრში არსებულ წმინდა ელიას სახელობის ეკლესიაზე, ჯაბნიძეების ქრისტიანულ საყდარზე, რომელსაც მოსახლეობა წმინდა გორგის საყდრის სახელწოდებით მოიხსენებს, ლომანაურის ნაეკლესიარზე და ამავე სოფლის ერთ-ერთ ტოპონიმზე, რომელიც ხუციერის სახელს ატარებს. სტატიაში საუბარია სხვა წმინდა ადგილებზეც. სტატიაში მოტანილია მასალები ხეობაში მასობრივ ნათლობასთან დაკავშირებით, რაც მოსახლეობის ქრისტიანობისაკენ შემობრუნების პროცესის მატარებელია, ასევე მოსახლეობის ნაწილის პოზიციაზე მეტეოგბის შეწყვებლობის საკითხთან დაკავშირებით.

უხერხულად მიმართა ვისაუბრო ჩემს სამ სტატიებზე, რომლებიც სამივე წიგნშია დაბჭდილი. ისინი წმინდა ეთნო-რელიგიური ხასიათისაა, რაც მათი სახელწოდებიდანაც ჩანს. ესენია: „ფარულ ქრისტიანთა საკითხისათვის ჭოროხის ხეობასა და აჭარაში“ (წიგნი პირველი), „აჭარის ქრისტიანი მოსახლეობის მიგრაცია ოსმალთა შემოსევებისა და ბატონობის პერიოდში“ (წიგნი მეორე), „მაჭახლის ხეობის დედაეკლესია“ (წიგნი მესამე).

პირველი სტატია ძირითადად აგებულია ლიტერატურის მასალებზე, რომელთა შორის უპირველესია გიორგი გაზბევის, ზაქარია ჭიჭინაძის, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ შეკრებილი უთნოგრაფიული მონაცემები, რომლებიც ჩაწერილია ჭოროხის ხეობის რაიონებში, აჭარაში და სხვ. ეს მასალები კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, თუ როგორ

შეუპოვრად იცავდა აქაური გამუსლიმანებული ქართველი მოსახლეობა მამა-პაპურ და ეროვნულ ფენომენად ქცეულ მართლმადიდებლურ ქრისტიანულ წესჩვეულებებს.

მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მაჭახლის ხეობის დედაეკლესიაზე არსებული მონაცემები. აქსნილია, რომ მაჭახლის ხეობის დედაეკლესიად მიიჩნევდა სოფელ ეფრატის ეკლესია ამავე დასახელების სოფელში, რომელიც დღეს თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებშია მოქცეული (ართვინის ვილაიეთი, ბორჩხის ილჩე). ეფრატის ეკლესის მაჭახლის ხეობის დედაეკლესიად გადაქცევა გადმოცემით უკავშირდება თამარ მეფის აქ სტუმრობას. ეფრატის დედაეკლესიად გადაქცევას კი განაპირობებდა სოფლის მდებარეობა. მაჭახლის ამ სოფელში გადიოდა უმოკლესი სახმელეთო გზა, რომელიც შავშეოს შავიზღვისპირეთან აკავშირდება. ეფრატის ეკლესია წმინდა დვინისმობლის სახელს ატარებდა. ოსმალთა ბატონობის დროს ეფრატის ეკლესიამაც სხვა ეკლესიების ბედი გაითხარა – იგი განადგურდა. მის საძირკველზე კი დღეს მეჩეთია აღმართული.

ეთნო-რელიგიური თვალსაზრისით შეგვიძლია შევაფასოთ ასოცირებული პროფესორის იზოლდა ბელთაძის სტატია „საქართველო სულზე ტკბილი დელიბილი“ (შეირ წიგნი). სტატიაში მოტანილი ფაქტები კიდევ ერთხელ შეგვასხვნებს, რომ ქრისტიანულმა რელიგიამ, ქრისტეს რჯულმა და სარწმუნოებამ დაახლოვა ერთმანეთან ორი უძველესი ხალი – ქართველები და ებრაელები. მათი სიახლოვე, ურთიერთობა დღესაც ახალი ფორმით ვლინდება. იმ დროს, როცა ებრაელობა ბევრ ქვეჩნაში დევნა-შევიწროებას განიცდიდა, საქართველოში პირიქით, ებრაელების მიმართ ყოველთვის ლიოალური დამოკიდებულება და კეთილგანწყობა იგრძნობოდა.

„ჩვენი სულიერების ბალავარის“ სამივე წიგნშია დაბეჭდილი ასოცირებული პროფესორის, ეთნოლოგ მანუჩარ ლორიას სტატიები, რომელთა საერთო სახელწოდებაა „დოკუმენტურ ფილმში „მრავალეთნიური საქართველო“ ასახული ეთნოკულტურული და რელიგიური ასპექტები“. ეს ის დოკუმენტური ფილმებია, რომელებიც მომზადდა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლობის მიერ საქართველოს ეროვნული ინტეგრაციის ფარგლებში და დააფინანსა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტომ, ხოლო საქართველოში იგი განახორციელა გაეროს ასოციაციამ.

ფილმებში გაცოცხლებულია საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა – ბერძნების, სომხების, ოსების, ქურთების, უკრაინების და სხვათა ყოფისა და კულტურის ასპექტები, რელიგია და რელიგიური წესჩვეულებები, ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მათი ადაპტაცია, მათ მიერ ქართული სამუშაოები და კულტურული ტრადიციების შეთვისება თვითმყოფადი ტრადიციების შენარჩუნებით. ამ მხრივ გამონაკლის შეადგენდნენ ურუმებად წოდებული წალექლი ბერძნები, რომელთა ნაწილმა დაივიწყა ბერძნული და თურქულად და რუსულად ლაპარაკობდნენ. ფილმებში განსაკუთრებით საინტერესო ფაქტად მოჩანს საქართველოში მცხოვრებ ბერძენთა და

უკრაინელთა მიერ ქართული ენის დაუფლება, ბაქურიანში მცხოვრებ უკრაინელთა მიერ აქაური სამების ეკლესის განახლება და იქ წირვა-ლოცვის აღსრულება ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად.

ქართველ ავტორთა გარდა „ჩვენი სულიერების ბალაგარის“ მე-სამე წიგნში დაბეჭდილია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიელუ-ხო-მაკლაის სახელობის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტი-ტუტის უფროის მეცნიერი თანამშრომლის, ისტ. მეცნ. კანდიდატის ლუბა სოლოვიოვას და სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის შირაკის არმენოლოგიური ცენტრის მეცნიერი თანამშრომლების კარენ ბაზეანი-სა და ასმიკ არუთუნიანის სტატიები. პირველ სტატიაში («Обеты в народной традиции грузинского народа») სხვადასხვა წყაროების მოშვე-ლიებით შესწავლილია ინდივიდუალურ და კოლექტიურ მღრღველთა აღთქმა წმინდა ადგილებში მსხვერპლშეწირვის დროს. მეორეთა სტა-ტიაში დახასიათებულია საეკლესიო ქარგულობის ორნამენტაცია და შუა საუკუნეების ანისის მჟინიალური საეკლესიო კულტურის საკით-ხები.

რუს და სომებ ავტორთა მონაწილეობა კრებულში მათი ქარ-თველ მეცნიერებთან ერთობლივი სამეცნიერო თანამშრომლობის კარ-გი შაგალითია.

ჩვენ მხოლოდ „ჩვენი სულიერების ბალაგარში“ დაბეჭდილი სტატიების პოზიტიური ნაწილი წარმოვადგინეთ. სტატიების ნაწილი უსათუოდ იმსახურებს შენიშვნებს, რამდენადაც ისინი ძირითადად აღ-წერილობითი ხასიათისაა და მოკლებულია სათანადო ანალიზს, გან-ზოგადოებას, დასკვნებს და, პირველ რიგში, საილუსტრაციო მასა-ლებს.

სარედაქციო საბჭომ მომდევნო კონფერენციების ჩატარებისა და კრებულების დაკომპლექტებისას ეს მხარე აუცილებლად უნდა გაით-ვალისწიოს.

თემურ აგალიანი

ბანარტება ერთი დასახანი შეცდომის გამო

უკრნალ „არხეიონის“ 2011 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა სტატია „ერთიან ეთნოკულტურულ სივრცეში არაქართული კომუნიკაციური ველის ჩამოყალიბების ძირითადი ფაქტორები“, რომელშიც ვერსიების დონეზე გამოვთქვამთ მოსახრებებს იმის შესახებ, რომ ქართულ ეთნოკულტურულ სივრცეში, ზემო აჭარის ზოგიერთ სოფელში, რომელიც მთლიანად ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული და სადაც საკომუნიკაციო სივრცის ყველა სფერო (განათლება, კულტურა, საქმისწარმოება, მედია და ა.შ) ქართულია, საოჯახო კომუნიკაციის ენის ფუნქციას ბოლო ათწლეულებამდე ქართულთან ერთად ოურქელიც ასრულებდა. დაბეჭდვის დროს, სამწუხაროდ, გაიარა დასახანი შეცდომა, კერძოდ, რატომდაც ამოგარდნილია სიტყვები: „ქართულთან ერთად“ და ციტატა დაბეჭდილია შემდეგი სახით: „...ამ სოფლებში საოჯახო ენის ფუნქციას დღემდე ოურქელი ასრულებს“, რის გამოც სავსებით სამართლიანად დავიმსახურეთ საველეურო.

საჯაროდ ვუხდით ბოლიშს ყველას, ვისაც აღნიშნულის გამო უნებლივებ ვატკინეთ გული.

ამასთან, კიდევ ერთხელ სრულიად გულწრფელად გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს უნებლივ შეცდომა და არა შეგნებული ფორმულირება. თანაც ჩვენი ინტერესის სფეროა ზოგადად პრობლემის არსი და არა რომელიმე კონკრეტული სოფელი. ამის დასტურად შეგვეიძლია მოვიშველით ციტატა ამავე თემაზე გამოქვეყნებული კიდევ ერთი სტატიიდან: „ჩატეტილი თემის ფენომენი და ენობრივი კომუნიკაციის ზოგიერთი თავისებურებანი“, (თ. ავალიანი, თ. ფუტკარაძე, თ. ცეცხლაძე) რომელიც დაბეჭდილია გაცილებით ადრე, 2010 წელს თბილისის დავით აღმაშენებლის სახლობის უნივერსიტეტის მე-17 სამეცნიერო კონფერენციის მასალებში. „...აქ საოჯახო ენის ფუნქციას ქართულთან ერთად ოურქელიც ასრულებს“ – ვწერ აღნიშნულ ნაშრომში (გვ. 46).

ასე, რომ დასტურებული პრობლემისადმი კონკრეტული სოფლების მაგალითზე ხელმეორებდ მიბრუნებით აღნიშნული მოვლენის ახსნისადმი მეცნიერული ინტერესი გვამოძრავებდა და არა ვინმეს განაწყინების, მთუმეტეს ვინმესთვის გულის ტკენის სურვილი. გამოვთქით ვერსიები, რომლებსაც უტყუარობის არანაირი პრეტენზია არ აქვს და რომელთა გაბათილებაც ნებისმიერს შეუძლია, ოდონდ არა ფაქტების უარყოფით, არამედ არგუმენტებით ან ვერსიების დონეზე მაინც.

აგტორები

1. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე - მანგლის-წალკას ეპარქიის მიტროპოლიტი, საქ. ტექ. უნივერსიტეტის ოფიციალური კათედრის .
2. მარია მშევრილაძე - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
3. ირმა ბაგრატიონი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი-პროფესორი.
4. მარაზ ჩოხარაძე - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
5. ბიჭიკო დიასამიძე - პროფესორ-ემერიტუსი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქრისტიანული კულტურის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი.
6. ოთარ გოგოლიშვილი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
7. უჩა ოქროპირიძე - ისტორიის აკადემიური დოქტორი
8. შოთა მამულაძე - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი.
9. თამაზ ფუტბარაძე - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
10. ოლეგ ჯიბაშვილი - ისტორიის აკადემიური დოქტორი.
11. შუშანა ფუტკარაძე - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსი.
12. ავთანდილ ნიკოლეიშვილი - ქუთაისის აკადი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ქართული ლიტერატურის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.
13. რამაზ სურმანიძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
14. თინა შიომშვილი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი.
15. ნოდარ კახიძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

- 16. ნოდარ ბარამიძე** - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი.
- 17. ნანი გუგუნავა**- პროფესორი.
- 18. გული შერგაშიძე** - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი.
- 19. ასმათ დიასამიძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.
- 20. ჯემალ კარალიძე** - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ- პროფესორი.
- 21. მიხეილ ხალგაში** - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი.
- 22. ნინო კილურაძე** - ისტორიის დოქტორი.
- 23. გურამ ლორთქიფანიძე** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თუმცა პროფესორ-ემერიტუსი.
- 24. ქეთევან დილმელაშვილი** - ისტორიის დოქტორი.
- 25. თამარ ფხალაძე** . ისტორიის აკადემიური დოქტორი. თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის პროფესორი.
- 26. დავით მალაზონია** . ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი.
- 27. იმერი ბასილაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
- 28. სულხან კუპრაშვილი** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
- 29. მამია ფალავა** - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი.
- 30. ნანა ცეცხლაძე** - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
- 31. იზოლდა ბელთაძე** - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

- 32. შორენა მახაჭაძე** - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი.
- 33. ტატიანა კოპალეიშვილი** - დოქტორანტი
- 34. ელზა ფუტგარაძე** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი
- 35. აბესალომ ასლანიძე**- ფილოსოფიის დოქტორი.
- 36. მერაბ მეგრელიშვილი**- ისტორიის დოქტორი.
- 37. თამილა ლომთათიძე**- ისტორიის დოქტორი.
- 38. ოთარ მემიშიშვი** – ფილოლოგიის დოქტორი.
- 39. ემზარ მაკარაძე** - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
- 40. იური ბიბილეიშვილი** - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი.
- 41. მანუჩარ ლორიძა** – ასოცირებული პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურის უფროსი.



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, გ. ვაკესაძის გამზ. 1, ტელ: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge